ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან პავლიაშვილი

# საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში

თბილისი
1995 წ.

ნაშრომში განსაზღვრულია საქართველოს საეგზარქოსოს ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის საეკლესიო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში; წარმოჩენილია საეგზარქოსოს პოლიტიკა საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მიმართ; ქართველი სამღვდელოების ადგილი და როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ამ საკითხთან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაკავშირება.

გამოკვლევაში გაშუქებულია საქართველოს საეგზარქოსოს დანიშნულება რუსეთ-იაპონიის და პირველ მსოფლიო ომებში; ქართველი სამღვდელოების აქტიური მონაწილეობა ეროვნული კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეში. ამასთან, შესწავლილია საეგზარქოსოს საქმიანობა რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებს შორის არსებულ პერიოდში.

მრავალრიცხოვან მასალაზე დაყრდნობით შესწავლილია რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიის მმართველობის, საეკლესიო-სასულიერო განათლებისა და სასულიერო-სამისიონერო სფეროში გატარებული ორგანიზაციული ღონისძიებების მიზნები და ამოცანები და ამ საქმეში საეგზარქოსოს ხელისუფლების მნიშვნელოვანი წვლილი.

ნაშრომი განსაზღვრულია როგორც საქართველოს ეკლესიისა და საერთოდ საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, ისე ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებული ფართო საზოგადოებრიობისათვის.


**რედაქტორი**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**
**თ. ბოცვაძე**

**რეცენზენტები:**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**
**ბ. ლორთქიფანიძე**

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**
**რ. კოჭლამაზაშვილი**

# შესავალი

ქართული ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესწავლას. ამ მხრივ ყურადღების მიღმა არც საქართველოს ეკლესიის ისტორია და მისი დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული საქმიანობა დარჩენილა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ნებისმიერ ეტაპზე ქრისტიანულ სარწმუნოებას უაღრესად რთული, დროისათვის შესაფერისად საჭირო პოლიტიკურ-სამართლებრივი, კულტურულ-იდეოლოგიური ფუნქცია ეკისრებოდა, რაც მას კონკრეტულ სახეს აძლევდა და ჩამოყალიბებულ, დახვეწილ სტრუქტურას უქმნიდა.

ქართული ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის ღრმად შესწავლა, მისი ისტორიის ობიექტური გაშუქება, აუცილებლობად მიგვაჩნია და ეჭვგარეშეა, ქართული საზოგადოების ისტორიის შესწავლაც მის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ეკლესია, როგორც მძლავრი სახელმწიფო ორგანიზაცია ისტორიულად უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა.

(საუკუნეების მანძილზე ქართული ეკლესია გამოდიოდა ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად, იდეოლოგიურად აერთიანებდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს, მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეჰქონდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებში, სათავეში ედგა ერის კულტურულ ცხოვრებას და ა.შ.)

საკითხის განხილვის ამ ჭრილში, საქართველოს ისტორიოგრაფიაში თითქმის შეუსწავლელ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია. მისი წარმოჩენა და მეცნიერული გააზრება დღეს, ეროვნული ისტორიოგრაფიის აქტუალური და საპატიო ამოცანაა.

თანამედროვე ისტორიოგრაფია, ისტორიკოსების წინაშე აყენებს ახალ მოთხოვნებს – ღრმად და ობიექტურად იქნეს შესწავლილი ეკლესიის როლი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურული დაცვა-განვითარების საქმეში.

(საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ, ქართული ეკლესია ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, და ქვეყნის განვითარება-წინსვლის საქმეში მისი აქტიური ფუნქცია უკიდურესად იზღუდებოდა. ყოველივე, ცარიზმის მიერ საქართველოში გატარებული საეკლესიო რეფორმებით ვლინდებოდა. კერძოდ, 1811 წელს უქმდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და იცვლება იგი ჯერ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორით (1815 წ.), ხოლო მოგვიანებით, მძლავრი საეკლესიო-სოციალური ინსტიტუტით, რომელიც საქართველოსა და რუსეთის ისტორიულ ცხოვრებაში „საქართველოს საეგზარქოსოს" სახელით არის ცნობილი. საქართველოში შეიქმნა სრულიად განსხვავებული, ახალი საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც სხვა დანარჩენ ორგანიზაციებთან ერთად ქართველი ერის ასიმილაციას ემსახურებოდა.) სახელმწიფოსა და ეკლესიის საერთო ინტერესების განხორციელებისათვის თანამშრომლობა, ის მძლავრი ძალა იყო, რომლის მეშვეობითაც ცარიზმი მთელს კავკასიაში თვითმ-

პყრობელურ-კოლონიური და სარწმუნოებრივი პოლიტიკის დამკვიდრება-განმტკიცებას ლამობდა. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საეგზარქოსოში ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რეალურად გაებატონებინა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია კავკასიაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის მთელი რიგი საკითხი გაშუქდა ისტორიოგრაფიაში, ეს პრობლემა გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, არ არის სათანადო სიღრმით შესწავლილი. საკვლევი თემისადმი მიძღვნილი რიგი ნაშრომები ვერ ავსებენ საისტორიო მეცნიერებაში არსებულ ხარვეზებს და აღნიშნული პერიოდის მეცნიერული გააზრება ისევ სადღეისო ამოცანათა რიგებში დგას. ამით იყო განპირობებული, რომ ამ თემას ჩვენ მივუძღვენით წინამდებარე გამოკვლევა „საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში".

ნაშრომში, პირველად ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულად შევისწავლეთ საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია XX საუკუნის პირველ ოცწლეულში. ამ ამოცანის გადასაჭრელად პირველად სპეციალურ ლიტერატურაში განისაზღვრა საქართველოს საეგზარქოსოს ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის საეკლესიო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. პირველად საკითხის ისტორიოგრაფიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა საქართველოს საეგზარქოსოს პოლიტიკა საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მიმართ; ქართველი სამღვდელოების ადგილი და როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ამ საკითხთან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაკავშირება. აღნიშნული გამოკვლევით პირველად საისტორიო მეცნიერებაში შევეცადეთ გვეჩვენებინა საქართველოს საეგზარქოსოს დანიშნულება რუსეთის იმპერიის საომარ ვითარებებში; ქართველი სამღვდელოების თავდაუზოგავი საქმიანობა ქართული კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეში და ა.შ.

რადგან, რუსული მართლმადიდებლური ეკლესია თვითმპყრობელობის აპარატთან მყარი პოლიტიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ქსელებით იყო დაკავშირებული, ქრისტიანული სარწმუნოება, უდავოა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო ხალხთა მასებზე ზემოქმედებისათვის. აქედან გამომდინარე, რუსული ეკლესია თვითმპყრობელური სახელმწიფო მანქანის უმთავრესი იარაღი უნდა ყოფილიყო. თავის მხრივ, რუსეთის იმპერიის ყველა განაპირა რეგიონი და მათ შორის საქართველოც მწვავედ განიცდიდა სახელმწიფოს ყველა იმ შინაგანი პროცესის ზეგავლენას, რაც XX საუკუნის ოცწლეულის რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებდა.

საქართველოს საეგზარქოსოს სოციალური ინსტიტუტი, ცარიზმის აშკარა ბიუროკრატიული წყობის გამოვლინებას წარმოადგენდა, ამიტომ, აშკარაა, რომ საქართველოს ახალ, რუსულ საეკლესიო წყობას არ შეეძლო რაიმე დადებითი ძვრების მოხდენა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რადგან იგი ეროვნული სასულიერო ცხოვრების წესისაგან რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზე იდგა და ამ უკანასკნელის მოსპობისაკენ იყო მიმართული. საეგზარქოსოს შინაგანი სტრუქტურა ქართული საკათალიკოსოს განსხვავებულ იერსახეს წარმოადგენდა, როგორც ისტორიულ-იურიდიული, ისე იდეოლოგიურ-ტერიტორიული თვალსაზრისით. საეგზარქოსო, თავისი გეოგრაფიული მასშტაბურობით ფართო სპექტრს მოიცავდა. მის ფარგლებში ამიერკავკასიასთან ერთად ძველი ჩრდილო კავკასია და კასპიისპირეთიც შედიოდა. აღნიშნული კი ერთა ასიმი-

ლაციასა და ერთიანი, ძლიერი რუსული იმპერიის განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა.

საქართველოს საეგზარქოსოს, რუსეთის თვითმპყრობელურ სისტემაში საეკლესიო, პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაჭრა ევალებოდა; მას „ასათვისებელი რეგიონის" მოსახლეობაში ცარიზმის პოლიტიკური ინტერესები უნდა დაეცვა, რისთვისაც, ქართული ეკლესია თავისებურ მონარქისტულ კაიელრად უნდა ექცია, საიდანაც რუსული სასულიერო ფენა თვითმპყრობელობის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდას გასწევდა. ისე, რომ მოსახლეობაში სახელმწიფო წყობისა და ეროვნულ-სოციალური ურთიერთობის საწინააღმდეგო აზრი არ გაეღვივებინა. ყოველივე კი, საქართველოს იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით მტკიცედ უნდა შეერწყა რუსეთის იმპერიაში.

ცარიზმის მიერ საქართველოს საეგზარქოსოზე დაკისრებული ეკონომიკური ამოცანა ითვალისწინებდა ქართული ეკლესიის რეფორმის განხორციელებას, რომლის თანახმადაც ეს უკანასკნელი რუსული ბიუროკრატიული აპარატის დაქვემდებარებულ სარწმუნოებრივ პუნქტად იქცეოდა. ქართული ეკლესიის რეფორმა, მის ეკონომიკურ დაუძლურებას მოასწავებდა და იმპერიის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ქვაკუთხედად აქცევდა. რაც შეეხება საეგზარქოსოს სარწმუნოებრივი ამოცანის გადაჭრას, მასზე იყო დამოკიდებული ქართველი ერის გადაგვარების განხორციელება, რომელსაც იგი რუსეთის იმპერიის მრავალრიცხოვან მოსახლეობაში უნდა შეერწყა. ამ კუთხით, თვითმპყრობელობის მიზანი იყო კავკასიაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გამარჯვება და მისი საბოლოო დამკვიდრება. ქართულ საეკლესიო მმართველობაში ჩატარებული რიგი რეფორმები, მას სახელმწიფო სამსახურში აყენებდა და ხელს უწყობდა რუსეთის თვითმპყრობელური მიზნების განხორციელებას. ასეთი პოლიტიკის წყალობით, ქართული ეკლესია თანდათანობით კარგავდა თავის ეროვნულ სახეს, ობიექტურად ხელს უწყობდა თვითმპყრობელური რეჟიმის განმტკიცებას საქართველოში.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ბუნება 1900-1917 წლების საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისადმი მიმართებაში.

საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციულმა ანტიხალხურმა პოლიტიკამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეზე. მისი რეაქციული ბუნება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა XX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველოში მიმდინარე ცარიზმის ექსპლოატატორული რეჟიმისა და რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული სოციალური ხასიათის მღელვარებანი მჭიდროდ დაუკავშირდა საერთო სახალხო დემოკრატიულ მოძრაობას და მას მეტი სიმკვეთრე და შეურიგებლური ხასიათი მიანიჭა.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ გვეჩვენებინა რუსული ეკლესიის მცდელობა ქართველ ერში ავტორიტეტისა და ნდობის მოპოვებაზე. ეს მაშინ, როდესაც ეკლესია თავად არ სცელიდა თავის სოციალურ-პოლიტიკურ კანონებს და აშკარად მხარს უჭერდა თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ წყობას. ყოველივე კი ერთ-ერთ ძირითად მიზეზად იქცა საქართველოს საეგზარქოსოს წარუმატებელი მოღვაწეობისა საქართველოში. რუსული ეკლესიის თვითმპყრობელობასთან მჭიდრო თანამშრომლობის პოლიტიკამ არა მარტო გამოაშკარავა მისი ნამდვილი სახე, არამედ რადიკალურად დაუპირისპირა მას საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი. ქართველი ერის ბრძოლა რუსული სახელმწიფოებრივი წყობის წინააღმდეგ, ითვალისწინებდა ბრძოლას საერთოდ რუსული ეკლესიის წინააღმდეგაც.

XX საუკუნის დასაწყისში, ცარიზმისა და სასულიერო უწყების შეთანხმებულმა საქმიანობამ, მათი საერთო ინტერესების თანმიმდევრულმა შესწავლამ საშუალება მოგვცა დაგვენახა ის დიდი, ხანგრძლივი და მომქანცველი ბრძოლა, რომელსაც საქართველოს მოწინავე საზოგადოება აწარმოებდა ქვეყნისა და ეროვნული ეკლესიის გადარჩენისათვის.

ნაშრომის კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო გვეჩვენებინა ქართველი სასულიერო პირების დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი და მისი წვლილი ამ საქმეში. ქართველი სამღვდელოება ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილედ და მედროშედ გვევლინება, რომელიც წინა პლანზე ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს აყენებს. ქართველი სასულიერო პირების ირგვლივ, ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში დაირაზმა ქართველი ერის დემოკრატიული ძალები. ეს იყო ქართული ეკლესიის უდიდესი გამარჯვება, რაც მისი ავტოკეფალიის აღდგენით დასრულდა.

საკვლევ თემაზე მუშაობის დროს ჩვენ მიზნად ვისახავდით დაგვეკონკრეტებინა თვითმპყრობელობისა და რუსული ეკლესიის მესვეურთა მიზანდასახული ბრძოლა ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ; გვეჩვენებინა მოწინავე ქართველი სასულიერო მოღვაწეების დაუღალავი ბრძოლა ეროვნული ეკლესიის ინტერესების დასაცავად.

ნაშრომში წარმოჩენილია იმპერიის სასულიერო უწყებისა და საქართველოს საეგზარქოსოს დამოკიდებულება რუსეთის საგარეო პოლიტიკისადმი, რომელსაც განსაკუთრებული სახე რუსეთ-იაპონიისა და პირველი მსოფლიო ომების პერიოდში მიიღო. საეგზარქოსო ასეთ დროს, ყველგან და ყოველთვის ცარიზმის დამცველად გამოდიოდა. მისი მთავარი მიზანი ამ დროს საქართველოში მიმდინარე რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა შესუსტება იყო. ომის წლებში საეგზარქოსო აქტიურ ღონისძიებებს ატარებდა ომისათვის საჭირო მატერიალური და სულიერი დახმარებისათვის. საეგზარქოსოს ასეთი ანტიხალხური პოლიტიკა, კიდევ უფრო ამწვავებდა ქართველი საზოგადოების ისედაც დაძაბულ დამოკიდებულებას ხელისუფლებისა და რუსული ეკლესიისადმი.

ნაშრომში სპეციალურად არის შესწავლილი საქართველოს საეგზარქოსოს მოღვაწეობა რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებს შორის არსებულ პერიოდში. ამ დროის საეგზარქოსო გვევლინება, როგორც თვითმპყრობელობის ინტერესების ერთგული დამცველი და მისი ღონისძიებების აქტიური გამტარებელი. აღნიშნულ პერიოდში, საეგზარქოსო უმკაცრესი ზომებით ებრძოდა ყოველგვარი ეროვნული გამოვლინების მცდელობას.

წარმოდგენილ ნაშრომში მონოგრაფიულად არის შესწავლილი საქართველოს საეგზარქოსოს დამოკიდებულება ქართული კულტურისადმი. საეგზარქოსოს პოლიტიკა ამ საკითხში მიზნად ისახავდა საქართველოს კულტურულ დაპყრობას. ამ ვერაგულ ზრახვებს წინ აღუდგნენ ქვეყნის საუკეთესო შვილები, რომლებმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს ცარიზმს და მის საეკლესიო დამქაშებს. XX საუკუნის პირველ ათწლეულში ქართველმა სამღვდელოებამ დიდი წვლილი შეიტანა მშობლიური ენის, სამშობლო ისტორიის, ღვთისმეტყველების, საეკლესიო მუსიკის, ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, ხელოვნების ყველა დარგისა და ა.შ. დაცვა-განვითარების საქმეში.

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ეკლესიისა და საეგზარქოსოს ისტორიის შესწავლას არა ერთი მეცნიერული ნაშრომი და გამოკვლევა მიეძღვნა. ქართულ და

რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნდა მრავალი წერილი.

ქართული ეკლესიის ეროვნულობის დაცვა-აღორძინების საქმეს უდიდესი წვლილი დასდეს ქართველ 60-იანელთა ბრწყინვალე პლეადის. ა. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილისა და სხვათა თხზულებებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართული კულტურისა და, კერძოდ, ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თემას. ისინი, ქართველ სამღვდელოებასთან ერთად, ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დაბრუნებას, საერთო დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევდნენ და ერს, ამ საქმეში ერთსულოვნებისაკენ მოუწოდებდნენ.

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის ქართველი და უცხოელი მოღვაწეებიდან, რომლებმაც თავიანთი მეცნიერული შესწავლის საგნად აქციეს ზოგადი საეკლესიო ისტორიის საკითხები საყურადღებოა ა. ჯორჯაძის, გ. წერეთლის, ივ. ჯავახიშვილის, გრ. გულხიანის, ს. ფირცხალავას, პ. ესაძის, ნ. დურნოვოს, ა. ლებედევის, მ. კოვალნიცკის, ს. მელგუნოვის, ე. რომანოვის, დ. ფილოსოფოვის, ნ. ბერდიაევის, ტ. ფილიპოვის, ო. ხუროვსკის, მ. ტიხომიროვის, ე. აკვილონოვის, ე. რომახოვსკის, ე. ქმაკინისა და სხვათა ნაშრომები. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიას და ქართველ სასულიერო პირთა მოღვაწეობას საინტერესო გამოკვლევები უძღვნეს ნ. მარმა, ა. ცაგარელმა, პ. იოსელიანმა, მ. ჯანაშვილმა, თ. ჟორდანიამ, ალ. ხახანაშვილმა, ა. ფურცელაძემ, ს. გორგაძემ, ეკ. ნიკოლაძემ, ნ. დურნოვომ, ეპისკოპოსმა კირიონმა (საძაგლიშვილი), დეკანოზებმა კ. ცინცაძემ, მ. კელენჯერიძემ, პ. კარბელაშვილმა და სხვ. საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის რიგ საკითხთა ირგვლივ საყურადღებო შრომები აქვთ შესრულებული: ერისთავ-შარვაშიძეს, ეპისკოპოს დავითს (კაჭახიძე), მ. ფომინ-ცაგარელს, მ. ტყემალაძეს, ფ. გერმელმანს, ი. ბელიაევს, ა. ბოიარსკის და სხვ.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველი მეცნიერების უმთავრეს ამოცანად იქცა დაემტკიცებინათ თვითმპყრობელობისათვის საქართველოს სახელმწიფოებრივი და საეკლესიო წარსულის სიდიადე და ეროვნული კულტურის მაღალი დონე. ამ კუთხით, ქართველ სწავლულთა საქმიანობამ განსაკუთრებულად აქტიური სახე მიიღო XX საუკუნის დასაწყისში. პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოებრიობა და მისი სასულიერო კრებული, ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დაცვა-აღდგენისათვის საჭირო წერილობით ფიქსაციას იწყებს, რათა რუსეთის საზოგადოებას იურიდიული დოკუმენტაციის მეშვეობით დაუმტკიცოს ეროვნული ეკლესიის მსოფლიო საეკლესიო გადაწყვეტილება მისი ავტოკეფალიის შესახებ. ამ პერიოდში შექმნილი სამეცნიერო გამოკვლევები, თუ პუბლიცისტური წერილები ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის ბრძოლის ფონზე იქმნება და მათ ამ საქმეში დიდი მნიშვნელობაც ენიჭებათ. აღნიშნულის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნ. მარის, ა. ცაგარელის, ალ. ხახანაშვილის, ეკ. ნიკოლაძის, ს. გორგაძის, კ. ცინცაძის, ეპისკოპოსების კირიონის, ლეონიდის, დავითის და სხვათა ნაშრომები. დასახელებული მკვლევრები, თავიანთი გამოკვლევებით, საქართველოს ისტორიული ცხოვრების ფონზე იხილავდნენ ქართულ ეკლესიას, მისი იერარქიის საკითხს, საქართველოს უძველეს ნაყოფიერ ქრისტიანულ წარსულს, ეკლესიის როლს ერის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, სამღვდელოების აქტიურ სასულიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობას და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის სპეციალურად შესრულებული ნაშრომები: ს. ხოკოლოვის „ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის (ისტორიული ცნო-

ბა)" (1906); კ. ცინცაძის „ქართული ეკლესიის ავტოკეფალია" (1905); თ. ჟორდანიას „მოკლე ისტორიული ცნობები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე" (1905); ს. გორგაძის „სიმართლე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე" (1906) და მრავალი ძვირფასი საგაზეთო პუბლიკაცია, რომელთა შორის აღსანიშნავია: ი. გოგებაშვილის „დღევანდელი მომენტი ქართველთა და სომხეთა ეკლესიისა" (გაზ. „მრომა", 1906, № 51); ალ. ხახანაშვილის „ქართულ ეკლესიაზე" (გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი", 1906); ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი" (გაზ., „ზაკავკაზიე", 1907); კირიონ საძაგლიშვილის „ნაციონალური პრინციპი ეკლესიაში" (ჟურ. „ცერკოვნიე ვედომოსტი", 1906), „რა აიძულებს ქართველს იბრძოლოს თავისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის" (ჟურ. „ცერკოვნიე ვედომოსტი", 1906), „საქართველოს საეკლესიო საკითხი" (გაზ. „ოტგოლოსკი", 1906, № 2); ლეონიდ ოქროპირიძის საგრძნობი მეცდომა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვაში" (ჟურ. „ჯვარი ვაზისა", 1906, № 11); ს. გორგაძის „ქალაქის პრესა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე" (გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი", 1906); ზაქ. ჭულისაშვილის „ახალი მიმართულება საეკლესიო საქმეში" (გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905); ფ. გოგიჩაიშვილის „სამღვდელოების ბრძოლა" და „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია" (ჟურ. „ივერია", 1906); ნ. დურნოვოს „საქართველოს ეკლესიის საკითხებზე", „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საწინააღმდეგო აგიტაციაზე" (გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი", 1906) და სხვა მრავალი. მათ ნაშრომებში წარმოჩინებული და თავმოყრილია ქართული ეკლესიის უძველესი იურიდიული დოკუმენტაცია, რომლებიც მისი კანონიერი დამოუკიდებლობის ობიექტურობაზე მეტყველებენ. მკვლევრები შეფასებას აძლევენ საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობას, გმობენ მის ანტიქართულ ღონისძიებებს. აღნიშნული პუბლიკაციები, მდიდარი მასალების საფუძველზე უაღრესად საინტერესო დასკვნებს იძლევიან, რამაც მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია საქართველოსადმი თვითმპყრობელობის საეკლესიო პოლიტიკისა და მის წინააღმდეგ ქართველი საზოგადოების ბრძოლის ისტორიის მესწავლის საქმეში.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაება რუსი სასულიერო ფენის წარმომადგენელი, ქართული ეკლესიის ისტორიის მკვლევარი ნ. დურნოვო. იგი თავის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში — „ივერიისა და იმერეთის ავტოკეფალური ეკლესიების ისტორიული ნარკვევი" (1910), „საქართველოს ეკლესიის ბედი" (1907), „ბუნდოვანი წყარო, ანუ პურიშკევიჩის სიტყვის გამო საქართველოს ეკლესიის საკითხზე სახელმწიფო სათათბიროში" (1909) და სხვ., ცდილობს ქართული ეკლესიის კანონიერი უფლებების დამტკიცებას რუსეთის სასულიერო ხელისუფლების წინაშე. ნ. დურნოვოს უდიდესი მუშაობა აქვს გაწეული ქართული საეკლესიო საბუთების მესწავლაზე და ქართული ეკლესიის ისტორიას ზედმიწევნით დაწვრილებით აღწერს. მის ნაშრომებში სერიოზული ადგილი აქვს დათმობილი რუსეთის მთავრობის არაობიექტურ დამოკიდებულებაზე ქართული საეკლესიო ცხოვრებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ნ. დურნოვო აუცილებელ ფაქტორად თვლის ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენას, სწავლულს, მისი რუსული ეკლესიისაგან დამოუკიდებლად არსებობა მიზანშეუწონლად მიაჩნია. იგი რუსულ სასულიერო ხელისუფლებას კეთილგონიერებისაკენ, „უფროსი დის" — ქართული ეკლესიისადმი ტრადიციული მეგობრული ურთიერთობების აღდგენისაკენ მოუწოდებს.

ქართული ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის აღდგენისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილეა სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის პროფესორი ა. ხოკლო-

ეი და საქართველოს რუსული საეპარქიის მღვდელი ი. ბრიხნიჩევი, რომლებიც თავიანთი სამეცნიერო გამოკვლევებითა და წერილებით ცდილობდნენ ქართული ეკლესიის კანონიერი დამოუკიდებლობის დასაბუთებას იმპერიის სასულიერო ხელისუფლების წინაშე.

საქართველოს საეგზარქოსოს სოციალურ-პოლიტიკური პოზიციის ანტიხალხურობასა და ეკლესიის სასულიერო ფენის მოღვაწეობის შესახებ XX საუკუნის დასაწყისშიც ყურადღება გაამახვილეს ივ. ჯავახიშვილმა, ზაქ. ჭიჭინაძემ, არკ. ხუნდაძემ და სხვებმა. მათი გამოკვლევები უმთავრესად ეხებოდნენ ქართველი სამღვდელოების წვლილს ქართული სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენაში, ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნებაში, სასულიერო ფენის წარმომადგენელთა ბრძოლაში თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ და მათ წვლილს ქართული კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეში.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქებას სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი. XX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან იწყება აქტიური მუშაობა დასახელებული საკითხის ირგვლივ. ამ პერიოდის ნაშრომები ძირითადად პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა, რომელთა შორის აღსანიშნავია „მებრძოლი ათეისტი" (1934-1935), „რელიგიის წინააღმდეგ" (1930-1931), „მებრძოლი უღმერთო" (1932-1934) და სხვ. აქ გამოქვეყნებული მასალები ცალმხრივად აშუქებდნენ რელიგიის მნიშვნელოვან საკითხებს. მათი ძირითადი ამოცანა იყო ქართული ეკლესიის როლის გარკვევა საზოგადოების ისტორიაში, მისი დამოკიდებულება ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობებთან, რომელიც საბჭოური ინტერესების, კომუნისტური პარტიისა და ათეისტური იდეოლოგიის საფუძველზე მუშავდებოდა. ამ ჟურნალებში, თავიანთ ნაშრომებს აქვეყნებდნენ ი. იმედაშვილი[1], გ. მანტკავა[2], ია. ვართაგავა[3], ალ. ბილანიშვილი[4], ა. მელიხოვი[5] და სხვ.

საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის რიგი საკითხების გარკვევისათვის უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩატარდა გარკვეული სამუშაოები. ქართველი მეცნიერებიდან, რომლებმაც თავიანთ კვლევის საგნად საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია აირჩიეს, აღსანიშნავია მ. ხუციშვილის მონოგრაფიები – „საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში" (1972) და „საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში" (1987); ბ. ლომინაძის „ეკლესიის რეაქციული როლი 1905-1907 წლების რევოლუციაში" (1959).

---

1. იმედაშვილი ი., რელიგია ცარიზმის სამსახურში, ჟურ. მებრძოლი ათეისტი, ტფ., 1937, №4,5; 1938, №4,5,10

2. მანტკავა გ., როგორ შეხვდა სამღვდელოება 1905 წლის რევოლუციას, ჟურ. მებრძოლი ათეისტი, 1938, №1

3. ვართაგავა ია., ქართული ეკლესია და რევოლუცია, ჟურ. მებრძოლი ათეისტი, 1938, №3

4. ბილანიშვილი ა., გამოსვლები სამღვდელოების წინააღმდეგ გურიაში 1905 წ. ჟურ. მებრძოლი ათეისტი, 1941, №3

5. მელიხოვი ა., 1905 წლის რევოლუცია და ქართული ეკლესია, ჟურ. მებრძოლი ათეისტი, 1939, №2,3

მ. ხუციშვილის ნაშრომებში განხილულია საეგზარქოსოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა XIX-XX საუკუნეებში. ავტორი, მრავალ წყაროებისა და დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით სწავლობს იმპერიის მიერ საქართველოს ეკლესიის მმართველობის, ეკლესიო-სასულიერო განათლებისა და სასულიერო-სამისიონერო სფეროში გატარებული ორგანიზაციული ღონისძიებების მიზეზებსა და ამოცანებს. მ. ხუციშვილი გვიჩვენებს საეგზარქოსოს ადგილსა და როლს თვითმპყრობელობის მიერ გატარებულ ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იყო ანტირუსული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობების წინააღმდეგ. მ. ხუციშვილი ათეისტური კუთხით განიხილავს XIX-XX საუკუნეების საქართველოში მიმდინარე ეკლესიის საწინააღმდეგო გამოსვლებს. ავტორის დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ საარქივო მასალებზე დაყრდნობითა და ლიტერატურული წყაროების გამოყენებით გაშუქებული ის ღონისძიებები, რომლებსაც საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლება მოსახლეობაში ეკლესიის საწინააღმდეგო მოძრაობის მიმართულებით ახორციელებდა. მ. ხუციშვილის „საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია" მოიცავს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მოდერნიზაციის პერიოდს 1921-1941 წლებში, როდესაც საბჭოურ საქართველოში ათეისტური მუშაობის თავისებურ გამოვლინებებს ჰქონდა ადგილი. ავტორი იქვე მიმოიხილავს ანტირელიგიურ და ათეისტურ პროპაგანდას საქართველოში.

საქართველოს საეგზარქოსოს მოღვაწეობას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ეძღვნება ბ. ლომინაძის ნაშრომი — „ეკლესიის რეაქციული როლი 1905-1907 წლების რევოლუციაში". ავტორი, მრავალრიცხოვან ისტორიულ საარქივო დოკუმენტებსა და წყაროებზე დაყრდნობით აღწერს მართლმადიდებლური რუსული ეკლესიის ადგილსა და დანიშნულებას თვითმპყრობელურ სისტემაში; ახასიათებს მას, როგორც უდიდეს სახელმწიფოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ორგანიზაციას. გულდასმით არის შესწავლილი საეგზარქოსოს ხელისუფლების მკაცრი რეაქციული ღონისძიებები საქართველოს მოსახლეობის რევოლუციური გამოსვლების წინააღმდეგ. ავტორი ნათლად წარმოგვიჩენს თვითმპყრობელობისა და მისი საეკლესიო უწყების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სარწმუნოებრივ მიზნებს საქართველოს ეკლესიისადმი, მაგრამ მას ყურადღების მიღმა რჩება ქართველი სასულიერო ფენის როლი ეროვნული სახელმწიფოსა და მისი ეკლესიის თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში. ბ. ლომინაძის მონოგრაფიაც საბჭოური იდეოლოგიის საფუძველზეა შესრულებული და ათეისტურ ხასიათს ატარებს.

საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის ცალკეულ საკითხთა გაშუქებას უძღვნეს თავიანთი გამოკვლევები კ. ჭელიძემ, გ. გაბუნიამ, ლ. გორგილაძემ, ალ. იმედაშვილმა, გრ. რუხაძემ, არკ. ხუნდაძემ, ბ. კანდიდოვმა, ა. კლენოვსკიმ, მ. კუროვმა, ნ. ლუკინმა, ნ. პლატონოვმა და სხვ. მათ ნაშრომებში წარმოჩენილია თვითმპყრობელობის ეკლესიის გამძაფრებული რეაქცია ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობების წინააღმდეგ. მართალია, გამოკვლევებში შეიმჩნევა რუსული ეკლესიის საწინააღმდეგო ბრძოლის უდიდესი ისტორიული როლი ეროვნული გათვითცნობიერებისა და შეგნების გაღვივების საქმეში, მაგრამ თითქმის არაფერია ნათქვამი ამ საქმეში ქართული ეკლესიისა და მისი კრებულის წვლილზე. ათეისტურ-საბჭოური მსოფლმხედველობით არის გაშუქებული XX საუკუნის დასაწყისის სახალხო დემოკრატიული მოძრაობაც, არ არის წარმოჩენილი ამ მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნე-

ლოვანი კომპონენტი — ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

ჩვენი საკვლევი პრობლემის ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია მთელ რიგ სხვა ნაშრომებში, მათ შორის გრ. გიორგაძის წიგნში „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905 წწ." (1928); გ. პარკაძის „მასალები ქართლის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ" (1954); შ. ხანთაძის „ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში XVIII საუკუნეში" (1957); თ. ღლენტის „1905 წელი გურიაში" (1931); თ. ფანჯიკიძის „მართლმადიდებლობის შემგუებლური ტენდენციები" (1965), და სხვ.

აღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ ასახა საქართველოს ისტორიის განმაზოგადებელ ნაშრომებში: ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში" (1959), „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-4, მე-5 და მე-6 ტომებში და სხვ.

ბოლო პერიოდების ქართველ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა თავიანთ გამოკვლევებში სერიოზული ყურადღება გაამახვილეს ქართული ეკლესიის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხებზე. ამ მხრივ საყურადღებოა ბენდიანიშვილის, ა. იოსელიანის, პ. რატიანის, ი. ნაცვლიშვილის და სხვათა შრომები. ა. ბენდიანიშვილის მონოგრაფიაში — „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წლებში" (1980) ღრმად არის გაშუქებული ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის XIX საუკუნის დამდეგიდან ვიდრე 1921 წლამდე. პირველწყაროების საფუძველზეა შესწავლილი XX საუკუნის პირველი ოცწლეულის სახალხო დემოკრატიულ მოძრაობათა ხასიათი. ა. ბენდიანიშვილმა ნათლად წარმოაჩინა ქართული ეკლესიის საკითხები, რომლებსაც ავტორი განიხილავს ეროვნული თავისუფლების მოთხოვნასთან უშუალო კავშირში. ა. ბენდიანიშვილის ნაშრომში დამაჯერებლად არის ნაჩვენები ქართველი სამღვდელოების დიდი წვლილი ეროვნული თვითგამორკვევის საკითხში; მათი თავდაუზოგავი მოღვაწეობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

საქართველოს საეგზარქოსოს საქმიანობა განათლების დარგში გაანალიზებულია მთელ რიგ შრომებში. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გრ. რუხაძის „ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში" (1940), „ცარიზმი და სახალხო განათლება საქართველოში 1801-1917 წწ." (1948) და სხვა წიგნები; ო. ბაკურაძის „თბილისის სასულიერო სემინარია სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში" (1937); ტ. სარიშვილის „სახალხო განათლების საკითხები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე" (1986) და სხვ. საინტერესო ნაშრომებია შესრულებული მოსწავლე ახალგაზრდობის ანტისამთავრობო და ანტისაეკლესიო გამოსვლების ირგვლივ. კერძოდ, კ. ჭელიძის „თბილისის სასულიერო სემინარიის რევოლუციური წარსულიდან" (1988); გ. გაბუნიას „საქართველოს ახალგაზრდობის რევოლუციური წარსულიდან" (1985), „მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში (1900-1904 წწ.)" (1982); აბ. იმედაშვილის „ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1900-1917 წწ." (1961); ა. კალმახელიძის „საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა 1905-1907 წლების რევოლუციაში" (1963); ნ. თუთაშვილისა და ვ. ხაბურძანიას „დიდი პოლიტიკური აქტიობით: მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნიაში 1905-1907 წლებში" (1985) და სხვ. ყველა ზემოთმოყვანილ გამოკვლევებში არ არის ნაჩვენები ქართველი სამღვდელოების საქმიანობა ახალგაზრდობაში.

ნაშრომის მომზადებისას შევისწავლეთ და გავაანალიზეთ შემდეგი ნაშრომები: ირ. ხანთაძის „იმპერიალისტური ომი და ეკლესია" (1938); შ. ბახილაძის სადისერტაციო ნაშრომი – „ამიერკავკასია პირველ მსოფლიო ომის წლებში (თებერვლის რევოლუციამდე)" (1965); ს. ფედორჩენკოს „ხალხი ომში" (1917); ბ. კანდიდოვის „იმპერიალისტური ომი და რელიგია" (1933), „რელიგია მეფის არმიაში" (1929), „საეკლესიო ფრონტი პირველ მსოფლიო ომში" (1927) და სხვ. გამოკვლევები. მართალია, აღნიშნულ ნაშრომებზე მუშაობისას მკვლევარები რელიგიისა და ეკლესიის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებითა და დადგენილებებით ხელმძღვანელობდნენ, ამასთან, ვრცლად იყენებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებსა და შეხედულებებს, მაგრამ მათში მოტანილი მდიდარი დოკუმენტური მასალა საშუალებას იძლევა ახლებურად გავიაზროთ საკვლევი პრობლემის მთელი რიგი საკითხი.

საკვლევი თემის ზოგიერთ საინტერესო ისტორიოგრაფიულ ფაქტს ვხვდებით ჟ. გურშელმანის, ი. გრეკულოვის, პ. ზირიანოვის, ე. კურსკის, ა. კლიბანოვის, მ. კუროვის, ნ. ლუკინის, ა. სკალსკის, ი. ჩხარტიშვილის, ე. ჩანტლაძის, დ. პაქრაძის, ლ. ბოცვაძის, ო. ქურდელიას და სხვათა ნაშრომებში.

ნაშრომი დაწერილია მრავალრიცხოვანი ახალი დოკუმენტალური მასალების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. შესაძლებლობების ფარგლებში, მასში გათვალისწინებულია თითქმის ყველა გამოქვეყნებული საარქივო დოკუმენტები.

XX საუკუნის რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ მიზნებზე საქართველოს მიმართ, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს „გენერალ-გუბერნატორის, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ყოვლადქვეშევრდომილესი ბარათი კავკასიის მხარის მმართველობის შესახებ" (1907). დოკუმენტში ნათლად არის წარმოჩენილი რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების ღონისძიებანი მხარის საბოლოო შემომტკიცებისათვის. თვითმპყრობელობის საქართველოს მიმართ საეკლესიო პოლიტიკის ობიექტურ შეფასებაში დიდი სამსახური გაგვიწია „უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის" (1905) და „საეპარქიოთა არქიეპისკოპოსების ანგარიშებმა" (1905), რომლებშიც დაცულია ძვირფასი მასალა საქართველოში მიმდინარე ანტისამთავრობო და ანტისაეკლესიო მოძრაობების წარმოჩენისათვის.

რუსული თვითმპყრობელობის საგანმანათლებლო პოლიტიკაზე კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ იმპერიის სასულიერო უწყების საგანმანათლებლო ქსელის ცალკეულ ანგარიშებზე, რომლებიც 1900-1917 წლების პერიოდს მოიცავს. ქართველი სამღვდელოების ანტისამთავრობო და ანტისაეკლესიო მოღვაწეობის შესწავლის კუთხით მუშაობისას ფართოდ გამოვიყენეთ ეპისკოპოს დავითის (კაჭახიძე) „ქადაგებანი" და „სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა დარიგებანი" (1912). მათში ნათლად წარმოჩინდა ქართველი სასულიერო კრებულის უდიდესი დაინტერესება მოსწავლე ახალგაზრდობით, რომლებშიც ისინი ეროვნული თვისებების გაღვივება-განმტკიცების აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ.

თვითმპყრობელობის საეკლესიო პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლის საკითხზე მუშაობისას გარკვეული დახმარება გაგვიწია საქართველოს საეგზარქოსოში მომქმედმა სხვადასხვა სახის მონარქისტულ-რელიგიური სახის კავშირებისა და საზოგადოებების მიერ გამოცემულმა ნარკვევებმა და ანგარიშებმა. მათში მოცემულია ცალკეულ კავშირთა და საზოგადოებათა მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, წესდებე-

ბი, წერილობითი მიმართვები ხელისუფლებისადმი და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებოა „სასულიერო-საგანმანათლებლო საეპარქიო-სამისიონერო საძმოს მოკლე ნარკვევი" (1900), „თბილისის ეპარქიის სამისიონერო სასულიერო-საგანმანათლებლო საძმოს მოღვაწეობის მოკლე ნარკვევ-მიმოხილვა" (1907), „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მოღვაწეობის მიმოხილვა 1860-1910 წწ." (1912).

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში მიმდინარე რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების საკითხთა ობიექტურ გაშუქებაში დიდი დახმარება გაგვიწია „1904-1905 წლების ამიერკავკასიის ბოლშევიკთა პროკლამაციებმა", სადაც ნათლად წარმოჩენილია ხალხთა მასების მძიმე სოციალურ-ეროვნული ჩაგვრით გამოწვეული უკიდურესად მძიმე მდგომარეობა, მათი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ.

საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის ამსახველი მდიდარი მასალები დაცულია საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა სახელმწიფო არქივსაცავებში. განსაკუთრებულად ძვირფასი მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივის მრავალ ფონდში. მათ შორის აღსანიშნავია კავკასიის მთავარმართებლის კანცელარია (ფ.12), კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია (ფ.13), თბილისის გუბერნატორის კანცელარია (ფ.17), თბილისის საოლქო სასამართლოს ფონდი (ფ.116) და სხვა სამოქალაქო დაწესებულებათა ფონდები. აღნიშნული ფონდების მასალებმა უდიდესი დახმარება გაგვიწიეს თვითმპყრობელობის ხელისუფალთა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პოლიტიკის დახასიათებისათვის, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ კავკასიის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მნიშვნელობის დადგენაში და ა.შ. თბილისის საოლქო სასამართლოს ფონდში, წარმოდგენილია მასალა, რომელმაც საშუალება მოგვცა გაგვეშუქებინა ხელისუფალთა რეაქციული პოლიტიკა. აქ დაცული დოკუმენტები აშკარავებს მთავრობის მიერ გატარებულ იმ მკაცრ რეპრესიებს, რომლებიც მიმართული იყო პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების მიმართ.

ყურადღებას იპყრობს საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული რიგი სასულიერო უწყების ფონდები: საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარია (ფ. 488) საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა (ფ. 489), კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების ფონდი (ფ. 493). დასახელებულ ფონდებში დაცული მასალა საშუალებას იძლევა დაწვრილებით გავაანალიზოთ სინოდის ფარული მიზნები კავკასიის რეგიონის მიმართ. საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარია მოიცავს დიდძალ დოკუმენტალურ მასალას დღიდან მისი დაარსებისა ვიდრე 1917 წლამდე.

საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული პოლიტიკის კვლევისას ხშირად ვისარგებლეთ ჟურნალ „საქართველოს საეგზარქოსოს მოამბის" რედაქციისა (ფ. 503) და კავკასიის საცენზურო კომიტეტის (ფ. 480) ფონდების მასალებით.

საქართველოს მიმართ ცარიზმისა და მისი სასულიერო უწყების მიერ გატარებული საგანმანათლებლო პოლიტიკის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა თბილისის სასულიერო სემინარიის ფონდს (ფ.440), სადაც დაცული მასალა მეტყველებს საეგზარქოსოს ხელისუფლების მიერ გატარებულ რიგ ღონისძიებებზე ეროვნული განათლების ამოძირკვისათვის.

ქართველი სასულიერო კრებულის დაპირისპირება თვითმპყრობელობის სასულიე-

ერო და საერო უწყების რელიგიური პოლიტიკისადმი მთელი სიმძაფრით წარმოჩინდა სახელმწიფო ისტორიული არქივის რიგი ფონდების შესწავლის დროს — ღარიბი სამღვდელოების საქართველოს საზრუნველოს (ფ. 513) და საქართველოს ეპარქიის საბლაღოჩინო მონასტრების (ფ. 1612) ფონდებში.

დიდმნიშვნელოვან ისტორიული მოვლენების ამსახველ ფაქტებს მოიცავს ჩვენი საუკუნის დასაწყისის საერო და სასულიერო მოღვაწეთა პირადი ფონდები და მათში დაცული მასალები, რომელიც ნათელს ჰფენენ XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს მდგომარეობას. მათ შორის უნდა დავასახელოთ საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული კირიონ საძაგლიშვილის (ფ. 1458), ლეონიდ ოქროპირიძის (ფ. 1459), ზორის და სიმონ ესაძეების (ფ. 1438), პოლიევქტო კარბელაშვილის (ფ. 1461) და სხვათა პირადი ფონდები. ბევრი ახალი მასალა გამოვლინდა აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ პირად ფონდებში. აქ შემონახულმა პ. კარბელაშვილის (489, 490), თ. ჟორდანიას (491, 492), კირიონ საძაგლიშვილის (493, 494), კ. ცინცაძის (495) პირადმა მასალებმა ნათელი მოჰფინეს საკვლევი თემისადმი დასახულ რიგ პრობლემას.

XX საუკუნის დასაწყისის სასულიერო და საერო პერიოდიკა საინტერესო და მრავალმხრივი წყაროა იმ პერიოდის საქართველოს საეგზარქოსოს მოღვაწეობის შესასწავლად.

საყურადღებო მასალებსა და ცნობებს შეიცავენ ხელისუფლების ოფიციალური ორგანოების, წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გამოცემები. მათ შორის უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს სასულიერო პერიოდული გამოცემები „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე" (1891-1906), „მწყემსი" (1889-1910), „ჯვარი ვაზისა" და სხვ. მათში თავმოყრილია საეგზარქოსოს სასულიერო უწყების მიერ გატარებული აქტიური ღონისძიებების ამსახველი მასალა.

XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე რთული პოლიტიკური ვითარება და ქართველი საზოგადოების აქტიური დემოკრატიული მოძრაობა ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა ქვეყანაში მრავალი სახის პარტიული ხასიათის ჟურნალ-გაზეთების გამოცემისათვის. მათ შორის განსაკუთრებული აქტიობით და ნაყოფიერად მოქმედებდნენ: „ივერია", „მოგზაური", „შინაური საქმეები", „დროება", „კვალი", „ალიონი", „კლდე", „საქართველო", „სახალხო საქმე", „სახალხო ფურცელი", „თემი", „სიტყვა", „ქართული გაზეთი", „შრომა", „ჩვენი აზრი", „ცნობის ფურცელი", „ერი" და სხვა მრავალი; რუსულენოვანი: „კავკაზი", „ზაკავკაზიე", „ზაკავკაზსკოე სლოვო", „ზაკავკაზსკაია რეჩ", „ტიფლისკი ლისტოკ", „პეტერბურგსკიე ვედომოსტი" და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისის სასულიერო პერიოდულ გამოცემებს შორის ავტორიტეტითა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურობით გამოირჩეოდა ჟურნალი „შინაური საქმეები" (1908-1916). ჟურნალის თემატიკაში აშკარად იკვეთება ღრმა ეროვნული მნიშვნელობის საკითხები, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი შინაარსის მატარებელი მასალა. სერიოზული და განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სასულიერო სასწავლებლების გაეროვნების საკითხებს, ქართულ ენაზე სწავლების აღდგენა-დამკვიდრებასთან დაკავშირებულ რიგ პრობლემებს და სხვ.

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის სასულიერო და საერო პერიოდიკის ფურცლებზე იხილებოდა ქართულ ეროვნულ ეკლესიასა და სახელმწიფოებრიობის აღდგე-

ნასთან დაკავშირებული რიგი რთულად გადასაჭრელი საკითხი, რომლებიც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დამაშვრალ სასულიერო პირთა არწყინვალე პლეადის წარმომადგენელთა კალამს ეკუთვნოდა. კირიონ საძაგლიშვილისა და ლეონიდ ოქროპირიძის, ალექსანდრე ოქროპირიძისა და დავით კაჭახიძის, ამბროსი ხელაიასა და [illegible] კეკელიან, გაბრიელ ქიქოძისა და დავით ღამბაშიძის, პეტრე კონჭოშვილისა და გიორგი ხელიძის, გიორგი ალადაშვილისა და პიროს ოქროპირიძის, ანტონ გიორგაძისა და დიმიტრი მარღანიას, სვიმონ ნოდიასა და სვიმონ მჭედლიძის პუბლიცისტურ წერილებში აშკარად გამოსჭვივის ქვეყნის ბედუკუღმართობითა და ეროვნული ეკლესიის ტყვეობით გამოწვეული უდიდესი წუხილი. ამ კუთხით ქართულ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე ციკლური სახით ქვეყნდებოდა მღვდელ მაქ. ცულისაშვილის პუბლიკაციები — „ახალი მიმართულება საეკლესიო საქმეში" (გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905), ეპისკოპოს ლეონიდის „საგრძნობი შეცდომა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კითხვაში" (გაზ. „ჩვენი მეგობარი", 1916), „საქართველოს ეკლესის საკითხი" (ჟურ. „ჯვარი ვაზისა", 1906), ეპისკოპოს კირიონის „ეროვნული პრინციპი ეკლესიაში" (ჟურ. „ცერკოვნი ვედომოსტი", 1906), ეპისკოპოს დავითის „ხმამაღალი ფიქრები საეკლესიო საკითხებზე" (გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩ", 1912). ქართული ეკლესიის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს უძღვნიდნენ წერილებს ა. ნატროშვილი და ს. რცხილაძე (გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი", 1906 და გაზ. „ივერია", 1903). კულტურის თემაზე საინტერესო პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ პ. კარბელაშვილი (გაზ. „ივერია", 1900), ბ. ეამაძე (გაზ. „ივერია", 1903), დ. ღამბაშიძე (ჟურ. „მწყემსი", 1902) და სხვები.

სასულიერო პირთა პუბლიცისტურ წერილებში აშკარად გამოიკვეთება ქართული ეკლესიის ეროვნული პრინციპულობის დაცვისათვის ბრძოლა; ახალი საეკლესიო მიმართულებებისათვის ძიების გზებისა და ამოცანების დასახვა; ეროვნული ეკლესიის კანონიერი იურიდიული უფლებამოსილების დამტკიცების მცდელობანი და სხვ. ქართველი სამღვდელოების მეცნიერულმა და პუბლიცისტურმა გამოკვლევებმა უდიდესი დახმარება აღმოუჩინეს მთელი მუშაობის მანძილზე, რათა ობიექტურად შეეფასებინა ქვეყანაში მიმდინარე რიგი პოლიტიკურ-ეკონომიკური, თუ სოციალურ-კულტურული ძვრები.

1917 წლის 12 მარტს გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. ამ მნიშვნელოვანი აქტით, საქართველოს ეკლესია ორგანიზაციულად გამოეყო რუსეთის უწმინდეს სინოდს და დაასრულა თავისი საუკუნოვანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამ პერიოდიდან, საქართველოს წინაშე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო, რომელ საქმეშიც ქართულ ეკლესიას ისევ ღრმადმნიშვნელოვანი ისტორიული მისია დაეკისრა, მაგრამ ეს საკითხი უკვე კვლევის ახალ სფეროს მოიცავს და ჩვენს სამეცნიერო ინტერესებში ამჟამად არ შედის.

წინამდებარე ნაშრომი, როგორც ითქვა, მიზნად ისახავს 1900-1917 წლების საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის მონოგრაფიულ შესწავლას. თუ რამდენად შევძელით დასახული ამოცანის თავის გართმევა, იგი მკითხველთა სამსჯავროსათვის მიგვინდვია.

# კარი პირველი

# საქართველოს საეგზარქოსო რუსეთის იმპერიის საეკლესიო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში (1900-1917 წწ.)

XX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის იმპერია კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ახალ, იმპერიალისტურ სტადიაში შევიდა, რომლის ყველა ნიშანი მეტ-ნაკლებად იჩენდა თავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თვითმპყრობელურ რუსეთში, იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელ შეურიგებელ წინააღმდეგობებს თან ერთვოდა ხალხთა სამხედრო-ფეოდალურ ჩაგვრაზე დამყარებული ცარიზმის ყოვლისშემძლე ძალაუფლება. ორი საწინააღმდეგო მოვლენის ეს თავისებური შერწყმა კიდევ უფრო აჩქარებდა მათ შორის წარმოებული კონფლიქტის გადაწყვეტას. ქვეყანაში მიმდინარე ღრმა ეკონომიკური წინააღმდეგობების მიუხედავად, რუსეთი მაინც რჩებოდა ერთ-ერთ უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც თავისი ადგილი ეკავა საერთაშორისო იმპერიალიზმის სისტემაში. გააჩნდა თავისი მტაცებლური გეგმები და მეტოქეობას უწევდა დიდ სახელმწიფოებს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საქმეში. ამ პერიოდის ცარიზმი, არა მარტო მემამულე-მიწათმფლობელთა და იმპერიალისტ-მონოპოლისტთა დამცველი და მსახური იყო, არამედ მსოფლიოს უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პარტნიორიც რევოლუციური მოძრაობების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის სახელმწიფოს ძლიერებისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში, ძველი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ეჭირა. XX საუკუნის დასაწყისიდან კი, სულ უფრო იზრდებოდა ეკლესიის როლი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. რუსული ეკლესია ერთგულად იცავდა სახელმწიფოს ინტერესებს, მოქმედებდა ხელისუფლების მითითებით და თანმიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში თვითმპყრობელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

თვითმპყრობელურ რუსეთთან შეერთებისთანავე ქართველი ხალხი მძიმე ხვედრს იზიარებდა იმ სხვა მრავალეროვან ერებთან ერთად, რომლებიც ცარიზმის ჩაგვრას განიცდიდნენ. რუსული მმართველობის რეჟიმი ძირს უთხრიდა ქართულ ეროვნულობას და ამზადებდა მას რუსეთის იმპერიის ხალხებში ასიმილაციისათვის, რისთვისაც იგი იყენებდა, როგორც მატერიალურ — ჯარი, პოლიცია, ბიუროკრატია, ისე იდეურ-ეკლესია, სკოლა და სხვა საშუალებებს. (14,398; 3,387;37,829).

კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს ათვისება-შემომტკიცებისათვის იდეოლოგიური საფუძვლის მომზადება თვითმპყრობელობამ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას დააკისრა. საამისოდ, ცარიზმი საქართველოში მის მიერ დამყარებული მმართველობის ორ მთავარ პრინციპს იყენებდა: თვითმპყრობელობასა და ეკლესიას. თვითმპყრობელობის დასასაბუთებლად ეკლესია ქადაგებდა რუსეთის იმპერატორის ერთმპყრობელობასა და განუსაზღვრელ მონარქობას, რომელიც ამავე დროს ითვლებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურად და თავის უფლებებს ეკლესიაზე უწმინდესი სინოდის მეშვეობით ახორციელებდა (8,195).

რუსეთის საეკლესიო მმართველობის უმაღლეს ორგანო — სინოდს ექვემდებარებოდა რუსეთის მართლმადიდებლური სამღვდელოება განურჩევლად წოდება-რანგისა. იგი უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა და იმის გამო, რომ მას საეკლესიო სასამართლოს უმაღლესი ინსტანციის ფუნქცია ეკისრებოდა, თავად განმარტავდა, აუქმებდა და სცემდა სხვადასხვა საეკლესიო კანონებსა და წესებს. სინოდის შემადგენლობაში 12 მღვდელმთავარი იყო, რომლებსაც სასულიერო ფენიდან ირჩევდნენ. მათი დამტკიცება კი იმპერატორის კომპეტენციაში შედიოდა. სინოდს განაგებდა ობერპროკურორი, რომელსაც სახელმწიფო მინისტრის უფლებები ჰქონდა და სახელმწიფო სენატში საეკლესიო უწყების წარმომადგენლად ითვლებოდა. მას ეკისრებოდა სინოდის მუშაობის თვალყურისდევნება, ჩატარებულ სამუშაოებზე იმპერატორთან ანგარიშის წარდგენა. ასეთი დანიშნულების გამო, ობერპროკურორს იმპერიაში ოფიციალური ეპითეტიც კი გააჩნდა — „თვალი და ყური მეფისა“ (22,13-14;140, № 7713).

XX საუკუნის დასაწყისისათვის სინოდს თითქმის საუკუნოვანი კო-

ლეგიალური მმართველობის ფორმა გააჩნდა, რომელიც XVIII საუკუნის 20-იანი წლების საეკლესიო რეფორმის საფუძველზე თვითმპყრობელობას მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ქსელებით დაუკავშირდა. ამ დროიდან, სინოდი ცარიზმის სახელმწიფო მანქანის განუყოფელ ნაწილად იქცა და მისი ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა (61,19-20;212).

თვითმპყრობელობა — ეკლესიის თანამშრომლობა აქტიური და ორმხრივ ნაყოფიერი იყო, რომელმაც განსაკუთრებული გამოვლინება XX საუკუნის დასაწყისიდან ჰპოვა. სინოდი სულ უფრო უხეშად ერეოდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში; იზრდებოდა სასულიერო ცენზურის როლი, სასულიერო სასამართლოს კომპეტენცია და სხვ. ხშირად სამთავრობო გადაწყვეტილებანი სინოდის წევრებთან შეთანხმებით ხორციელდებოდა. ყოველივე კი, ეკლესიის ავტორიტეტს იმპერიაში სულ უფრო ზრდიდა და მას განსაკუთრებულ მდგომარეობას ანიჭებდა (55,10-12).

(რუსული ეკლესია უხვად სარგებლობდა სახელმწიფოსაგან მიღებული პრივილეგიებით, ხოლო თვითმპყრობელობა მას იყენებდა თავისი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. ეკლესიას კარგად უწყოდა, რომ რუსეთის სიძლიერე მართლმადიდებლურ რწმენაში იყო, ისევე, როგორც თავად რუსეთს ჰქონდა „ღვთიური მადლი" მართლმადიდებლობის წინსვლისათვის. აქედან გამომდინარე, რუსეთის სამღვდელოება დადებითად აფასებდა სახელმწიფოსთან თანამშრომლობას და ამ უკანასკნელის ძლიერებაში თავის დადებით წვლილსაც აღნიშნავდა — „სახელმწიფო მით უფრო ძლიერია... რაც უფრო აშკარად წარმოჩინებულია მასში სასულიერო ფესვი. მხოლოდ ასეთი პირობით მტკიცდება და შენარჩუნდება მასებში კანონისადმი პატივისცემა და სახელმწიფო ხელისუფლებისადმი ნდობა... ხალხის ნდობა ხელმძღვანელობისადმი დამყარებულია რწმენაზე. ყოველივე ხდება არა მარტო ხალხისა და ხელისუფლების ერთმორწმუნეობის გამო, არამედ ხალხის რწმენაზე იმის შესახებ, რომ მთავრობას გააჩნია რწმენა და ამ რწმენით მოქმედებს..." (72,5-6) — აღნიშნავდა ობერპროკურორი კ. პობედონოსცევი.

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, იმპერიის საეკლესიო სისტემაში დასაყრდენი ფუნქცია ენიჭებოდა. საამისოდ კი, საჭირო

იყო რუსული ეკლესიისაგან განსხვავებული, ქართული საეკლესიო ცხოვრების შეცვლა იმპერიისათვის ხელსაყრელი სასულიერო უწყებით.

საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე ქართული ეკლესია ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელსაც სათავეში კათალიკოს-პატრიარქი ედგა. იგი დიდ ქონებას ფლობდა და ეკონომიკურად დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა (50,1). ქართულ ეკლესია-მონასტრებს დიდი რაოდენობით მამულები, სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, სათევზაო ადგილები, საცხოვრებელი ბინები, წისქვილები, სამხატვრო-სამღებრო სახელოსნოები და სხვა ქონება გააჩნდა. ქართლ-კახეთის ეპარქიის გამგებლობაში იყო 218 ათასი დესეტინა მიწა. აქედან, სახნავ-სათესი 80 ათასი დესეტინა, სათიბ-საძოვარი 40 ათასი, ტყე 98 ათასი დესეტინა. ეპარქიას გააჩნდა 13 ხეხილის ბაღი, 31 დუქანი, 13 წისქვილი, 16 საცხოვრებელი სახლი, 10 სამღებრო, სათევზაო ადგილები მდინარეების მტკვრისა და ალაზნის მიდამოებში და სხვ. იმერეთის ეპარქიაში იყო 13 500 დესეტინა მიწა და 12 000 დესეტინა ტყე, 5021 გლეხთა კომლი; გურია-სამეგრელოს ეპარქია ფლობდა 639 გლეხთა კომლს, 300 ათას დესეტინა მიწას, 56 ათას დესეტინა ტყეს (74, 324-327) და ა.შ.

ქართული ეკლესიის რუსული ეკლესიისადმი მორჩილებას უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობა ჰქონდა, რის გამოც ცარიზმი ქართული ეკლესიის რეფორმას ჩქარობდა. საეკლესიო რეფორმა ითვალისწინებდა ქართული საეკლესიო ქონების ხაზინაში გადასვლისა და მოსახლეობაში საეკლესიო გადასახადების გაზრდით რუსეთის სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის ზრდას. საამისოდ, უნდა შემცირებულიყო ქართული ეპარქიებისა და სასულიერო წოდების რაოდენობა (34,931).

რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, სასულიერო უწყებას თვითმპყრობელობის წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. სინოდი მოვალე იყო „ასათვისებელი რეგიონის“ მოსახლეობაში ცარიზმის პოლიტიკის ინტერესები დაეცვა. მას, ქართული ეკლესიის თავისებურ მონარქისტულ კაპიტალად გადაქცევა ევალებოდა, საიდანაც ათასობით სასულიერო პირის თვითმპყრობელობის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდა უნდა ექადაგა (22,33). სასულიერო უწყებას უნდა

დაეცვა სამოქალაქო მმართველობის კანონები, საეკლესიო სანქციები შეესატყვისებინა სამოქალაქო გადაწყვეტილებებისათვის, სარწმუნოება ექადაგა მოსახლეობაში სიფრთხილით, რათა მასში სახელმწიფო წყობისა და ეროვნულ-სოციალური ურთიერთობების საწინააღმდეგო აზრი არ გაეღვივებინა. სინოდის მოხელეთა ასეთი საქმიანობა, მათ, სამოქალაქო აპარატის თანამშრომელთა მსგავს ჩინოვნიკებად აქცევდა (175, №21,2). რუსული ეკლესიის მსახურნი იმპერიის ყველა რეგიონში მონდომებით იღწვოდნენ, იარაღდებოდნენ „ჭეშმარიტი სიტყვით", სიტყვა-კაზმული ქადაგებებით და თავიანთი ცხოვრება-საქმიანობით ცდილობდნენ მოსახლეობის სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვებას (167, №2920,2).

რუსეთის სასულიერო ხელისუფლება შესანიშნავად უძღვებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და სახელმწიფოში მიმდინარე ყველა მოვლენის მესაფერის ღონისძიებას ატარებდა.

რუსული ეკლესია არად დაუდევდა დაპყრობილ ერთა ეროვნული ეკლესიის ჩაგვრას და საკუთარის ავტორიტეტის შერყევას – „თვითმპყრობელობა პატივს სცემს ეკლესიას, არა, როგორც ეკლესიას, არამედ მას აღიარებს და სცნობს იმდენად, რამდენადაც არის ბიუროკრატიული დაწესებულება, მისი კანცელარიის განყოფილება..." (167, №2837,2) – აღნიშნავდა გაზეთი „ცნობის ფურცელი".

საქართველოში საეკლესიო რეფორმის გასატარებლად თვითმპყრობელობამ გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და 1811 წელს ჯერ სასულიერო დიკასტერია დაარსა, ხოლო 1815 წლიდან იგი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორად გადააკეთა. მოგვიანებით, სინოდალური კანტორის შემადგენლობაში შევიდა საქართველოს საეგზარქოსო, მასზე დაქვემდებარებული ყველა საეკლესიო დაწესებულებით (241;278,20,1).

„ეგზარქოსი" ბერძნული სიტყვაა და დამოუკიდებელი ხელისუფლების მქონე ხელმძღვანელს ნიშნავს. ძველ საბერძნეთში, ეგზარქოსი ქურუმთა წოდებაში მაღალი თანამდებობა იყო. მოგვიანებით, ეგზარქოსი პატრიარქად იწოდებოდა, რომელსაც ქვეყნის საეკლესიო საქმეების მოგვარება ევალებოდა. იგი მართავდა ადმინისტრაციულ-ეთნიკურად განსხვავებულ დიდ საეკლესიო ეპარქიას.

საქართველოს ეგზარქოსი საქართველოში სინოდის წარგზავნი-

ლი იყო. მას ქართლ-კახეთის მიტროპოლიტისა და არქიეპისკოპოსის წოდება გააჩნდა. მის კომპეტენციაში შედიოდა მთლიანად კავკასია და კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილი. XX საუკუნის დასაწყისისათვის საეგზარქოსო იყოფოდა 5 ეპარქიად: 1) საქართველოს (12 მონასტერი, 485 ეკლესია), რომლის შემადგენლობაში შედიოდა თბილისის, ბაქოს, ელიზავეტპოლისა და ერევნის გუბერნიები, ყარსის ოლქი, დაღესტნისა და იმიერკასპიის რეგიონები; 2). ვლადიკავკაზის (2 მონასტერი, 122 ეკლესია). მის ფარგლებში იყო თერგის ოლქი და ჩრდილო ოსეთი; 3). იმერეთის (8 მონასტერი, 478 ეკლესია). მას ექვემდებარებოდა ქუთაისის გუბერნია, შორაპნისა და რაჭის მაზრები; 4). გურია-სამეგრელოს (5 მონასტერი, 407 ეკლესია), რომლის შემადგენლობაში შედიოდა ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრები და ბათუმის ოლქი; 5). სოხუმის ეპარქია (1 მონასტერი, 46 ეკლესია სოხუმის ოლქში, 9 ეკლესია შავიზღვისპირეთის რეგიონში).

მთელი თავისი არსებობის მანძილზე, საქართველოს საეგზარქოსოს განაგებდა 19 ეგზარქოსი, რომელთაგან მხოლოდ პირველი — ვარლამ ერისთავი (1811-1817) იყო ეროვნებით ქართველი. მის შემდგომ, ეგზარქოსებად მხოლოდ რუსი ეროვნების მღვდელმთავრები ინიშნებოდნენ, რომელთაც საგანგებოდ გზავნიდნენ რუსეთის შიდა ეპარქიებიდან (80,43).

საქართველოს საეგზარქოსოს რუსეთის იმპერიულ-თვითმპყრობელურ სისტემაში საეკლესიო, პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაჭრა ევალებოდა. მას უნდა დაესრულებინა ქართული ეკლესიის რეფორმა და იგი საბოლოოდ დაექვემდებარებინა რუსეთის სახელმწიფოსათვის. ეგზარქოსის თანამდებობა 1917 წლამდე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე არსებობდა.

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქიულ საფეხურზე, საქართველოს ეგზარქოსს რიგით მეოთხე ადგილი ეკავა. იგი საქართველოს „განთავისუფლებული" სამიტროპოლიტო კათედრის ხელმძღვანელად ითვლებოდა. მაღალი სასულიერო რანგის პირისათვის ეგზარქოსის ადგილი ერთგვარად სასურველიც კი იყო (261,276,4), რადგან აღნიშნული თანამდებობა ტრამპლინი იყო, საიდანაც ისინი იმპერიის შიდა ეპარქიების მმართველებად ინიშნებოდნენ (76,119; 127,10).

„საქართველოში განწესებული რუსი მღვდელმთავრები გამოირჩეოდნენ მეფის თვითმპყრობელობის ერთგულებით. ისინი არ ზოგავდნენ თავიანთ ცოდნა-გამოცდილებას თვითმპყრობელობის პოლიტიკის განხორციელებისათვის კავკასიაში; მათზე დაქვემდებარებულთ მოუწოდებდნენ გარეგნული სახით მხოლოდ საეკლესიო ცხოვრებით შემოფარგლულიყვნენ და აშკარად არ შეხებოდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს. მათ რელიგიურ-მონარქისტულ იდეოლოგიას უნდა დაეჩქარებინა ქართველი ერის სულიერად შერწყმის პროცესი იმპერიის მრავალეროვან მოსახლეობაში, რაც უნდა განხორციელებულიყო ყოველგვარი ეროვნული ჩახშობა-აღკვეთის უხეში საშუალებებითა და სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტის მეშვეობით. პარალელურად, ეგზარქოსთა საქმიანობა ფრთხილი პოლიტიკითაც უნდა გამორჩეულიყო, რათა ქართველთა სარწმუნოებრივი გრძნობა არ შელახულიყო და ისინი თანდათან შეეჩვიათ სახელმწიფოებრივი წყობისადმი დაქვემდებარებული ახალი რუსული საეკლესიო წესისათვის. ასეთი პოლიტიკა, ერთი მხრივ, ქართული ეკლესიის ტრადიციულ იერარქიულ წყობას ცვლიდა ახლით, და მეორეს მხრივ, მის ეკონომიკურ დაუძლურებას იწვევდა; ორივე ერთად კი, ქართულ ეკლესიას იმპერიის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ქვაკუთხედად აქცევდა. მართალია, ერთი შეხედვით, საეგზარქოსოს ეს პოლიტიკა ქართველთა რელიგიურ გრძნობას თითქოს ხელშეუხებელს ტოვებდა, მაგრამ ფაქტიურად, მის საბოლოო მოსპობასა და მისი მრევლის სარწმუნოებრივ ინდეფერენტიზმს იწვევდა (90 № 35,1).

საქართველოს ეგზარქოსების მიერ გატარებული ღონისძიებები არ იყო მათ მიერ შემუშავებული და არც მათ დამოუკიდებელ კურსს წარმოადგენდა. ისინი მოქმედებდნენ მხოლოდ ხელისუფალთა მითითებით და მათ იარაღს წარმოადგენდნენ. საეგზარქოსოს ასეთმა პოლიტიკამ ქართულ ეკლესიას ეროვნული სახე დაუკარგა.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოებრიობა ხვდებოდა საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის მთავრობის შორეულ ზრახვებს. 1912 წლის 14 იანვარს, სოხუმის საკათედრო ტაძარში ჩატარებული წირვის დასასრულს ქართველი თავადი ნ. თავდგირიძე შემდეგი სიტყვებით უხასიათებს სოხუმის ეპისკოპოსს რუსეთის

პოლიტიკას საქართველოში: „...ყველამ, ვინც კი ისტორია იცის, მისთვის გასაგებია, რომ რუსეთის ძლიერების ძირითადი საყრდენის შექმნა კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ, საქართველოს მეშვეობით ხდება, რომელ საქმესაც საქართველოში მართლმადიდებლური სარწმუნოების არსებობა უწყობს ხელს..." (224,№5,66). ცარიზმი საქართველოს შემომტკიცებით ცდილობდა კავკასიაში საბოლოო გაბატონებას. მას კარგად უწყოდა კავკასიაში საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ჰეგემონობის ფაქტი და მართლმადიდებლობის ნიღბით მიისწრაფოდა თავისი გავლენის მოპოვებას იმპერიის სამხრეთ რეგიონში.

საქართველოს საეგზარქოსოს დაარსებისთანავე, ქართული ეკლესიის რეფორმის განხორციელება დაიწყო. რის შედეგადაც ქართლ-კახეთის 13 ეპარქიიდან დარჩა ჯერ 9 საეპისკოპოსო და 5 საარქიმანდრიტო, ხოლო მოგვიანებით კი ქართლში 2 საეპისკოპოსო, იმერეთში, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში თითო, რომელთაც თვით ეგზარქოსი განაგებდა. ამავე დროს, დაიხურა 15 მონასტერი და 800-ზე მეტი ეკლესია. რუსეთის ხაზინამ ქართული ეკლესიის 150 მილიონი მანეთის ღირებულების ქონება მიითვისა, საიდანაც ჯამაგირის სახით ეკლესიას ყოველწლიურად 700000 მანეთი გამოუყო. აქედან, 150 ათასი მანეთი რუსულ და ბერძნულ ეკლესიებს ხმარდებოდა (92,36-37).

თვითმპყრობელობამ, ქართველი სამღვდელოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, მას დაუტოვა მცირეოდენი სახნავ-სათესი მიწა, სათევზაო ადგილები და შემოწირულობათა აკრეფის უფლება, რომლიდან აღებული თანხებიც საეგზარქოსოსაც უნდა მოხმარებოდა. ასეთი ღონისძიებით, საეგზარქოსო დიდი შემოსავლის პატრონი გახდა. მაგალითად, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში მისი შემოსავალი მხოლოდ საეკლესიო გლეხობიდან შეადგენდა 60 000 მანეთს წელიწადში, ხოლო უძრავი ქონება იძლეოდა დაახლოებით 97 000 მანეთს, მაშინ, როდესაც საეგზარქოსოს საჭიროებას წელიწადში 51 000 მანეთი ხმარდებოდა (81,78).

განსხვავებული პოლიტიკა შემუშავდა საქართველოს მთის მოსახლეობის მიმართ. აქ, მიწის სიმწირის გამო, მოსახლეობა უკიდურეს

სიღარიბეში ცხოვრობდა, ამიტომ საეგზარქოსომ ისინი საეკლესიო გადასახადებისაგან გაანთავისუფლა, ხოლო იქ მოღვაწე სამღვდელოებას სახელმწიფო ხაზინიდან ხელფასი დაუნიშნა. ეს ღონისძიება ნაწილობრივ პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა, რადგან ასეთი დათმობითი პოლიტიკით მთავრობა ცდილობდა ახლადმოქცეული მოსახლეობის შენარჩუნებას, რაც ცარიზმის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა.

სახელმწიფო ხაზინიდან ხელფასები დაენიშნათ ქალაქისა და მწირ ნიადაგიანი რეგიონების სოფლის სამღვდელოებას. სინოდის ბრძანების საფუძველზე, 1900 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ხელფასით უზრუნველყოფილი იყო 1534 მღვდელი, იმერეთში – 508, სოხუმის ეპარქიაში – 101, გურია-სამეგრელოში – 358, სულ მთლიანად საეგზარქოსოში – 2501 მღვდელი, რომელთა შენახვა სახელმწიფოს ყოველწლიურად უჯდებოდა 426 417 მანეთი და 22 კაპიკი (59,326-327). საეგზარქოსო ხელფასების გარდა ნიშნავდა პენსიებს, რომლის ოდენობა წელიწადში 130 მანეთს უდრიდა, ეს, იმ შემთხვევაში, თუ სასულიერო პირს მუშაობის 35 წლის სტაჟი ჰქონდა. პენსიები ენიშნებოდათ მღვდლების ქვრივებსა და მათ უპატრონოდ დარჩენილ მცირეწლოვან შვილებს.

სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, საქართველოს საეგზარქოსოში დაარსებულ საეპარქიო სამზრუნველოებსაც ევალებოდათ, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის 60-70-იან წლებში დაარსდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში 90-იანი წლებიდან ფუნქციონირებდა (272,26863,7).

სამზრუნველოებს, სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფის გარდა ღარიბ-ღატაკთათვის სამოწყალოების, თავშესაფრების, საავადმყოფოების, სკოლების, ქოხ-სამკითხველოების და სხვათა დაარსებაც ევალებოდათ (272,26863,1).

XX საუკუნის დასაწყისში, საეგზარქოსოს 575 ეკლესიაზე მოდიოდა 153 სამზრუნველო, რაც არასაკმარისი იყო მათდამი დაკისრებული ამოცანის გადასაჭრელად. ეგზარქოსთა მოთხოვნით, თვითმპყრობელობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა სამზრუნველოების მიმართ და მათ სათანადო ფინანსიურ დახმარებასაც უწევდა. თუ 1910-1912 წლებში სამზრუნველოების ფონდში 3173 მანეთია

(276,2370,4-6;2371,2-4), 1915-1916 წლებში თანხა 52713 მანეთით იზრდება (276,1484,2-3), ხოლო 1917 წელს სამზრუნველოს გააჩნია მხოლოდ 9 599 მანეთი (276, 1488,2-3). სამზრუნველოების მთლიანი შემოსავალი 1910-1912 წლებში უდრიდა 44 283 მანეთს (276,1418,23;2370,4-6;2371,2-4), 1915-1916 წლებში 15 255 მანეთს (276,1484,23;1488,2-3). აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სამზრუნველოების ძირითადი შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაზე მოდიოდა. მოტანილი ფაქტები ნათელჰყოფს, რომ დროთა განმავლობაში სამზრუნველოთა შემოსავალი აშკარად კლებულობს, რაც მათ რიცხობრივ შემცირებას იწვევდა. თუ XX საუკუნის დასაწყისში, მათი რაოდენობა დღითი-დღე მატულობს, 1915 წლის მონაცემებით, საქართველოს საეგზარქოსოში სულ 100 სამზრუნველო მოქმედებდა (272,27091,3).

კავკასიის სახელმწიფო სხვა დაწესებულებებისაგან განსხვავებით, საქართველოს საეგზარქოსო ძირითადად ადგილობრივი თანხებით ფინანსდებოდა, ეს მაშინ, როდესაც იმპერიის შიდა და განაპირა გუბერნიების საეპარქიოებს სახელმწიფო ხაზინა აფინანსებდა (272,26391,7).

XX საუკუნის დასაწყისიდან, საეგზარქოსოს დახმარებისათვის ყოველწლიურად ხაზინიდან გაიცემოდა 59 445 მანეთი (272,26186,11). გარდა დადგენილი თანხისა, სინოდი საჭიროების შემთხვევაში საეგზარქოსოს დამატებით თანხებსაც აძლევდა. მაგალითად, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით 1900 წელს საეგზარქოსოს აპარატს გამოეყო დამატებით 24 874 მანეთი (99,№3,2). საეგზარქოსოს დაფინანსებაზე ზრუნავდა ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანო, რომელთა შორის განსაკუთრებული აქტიობით გამოირჩეოდა მეფისნაცვლის კანცელარია.

სახელმწიფო ხაზინიდან დახმარება განისაზღვრებოდა საეგზარქოსოში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით. თუ კავკასიაში მღელვარებებს ჰქონდა ადგილი, მაშინ სინოდი წელიწადში რამოდენიმეჯერ ურიცხავდა თანხას საეგზარქოსოს. მაგალითად, 1903 წელს სინოდმა გამოყო დამატებით ჯერ 7 670 მანეთი, მოგვიანებით 2 000 მანეთი (272,22122,8).

საეგზარქოსოს კანცელარია თანამშრომელთა მრავალრიცხოვან კრებულს მოიცავდა, რომელსაც ჰყავდა შტატიანი და უშტატო თანამ-

შრომლები. ძირითადი საშტატო ერთეული ხუთი კაცისაგან შედგებოდა: კანცელარიის მმართველი, წლიური ხელფასით 900 მანეთი, მმართველის თანაშემწე – 500 მანეთი, არქივარიუს-ჟურნალისტი – 650 მანეთი, გადამწერები – 800 მანეთი, ხაზინადარი – 650 მანეთი (272,22327,10). სულ ხელფასისათვის წელიწადში გამოყოფილი იყო 5 650 მანეთი (273,47507,37;267,154).

XX საუკუნის დასაწყისიდან საეგზარქოსის თანამშრომელთა რიცხვი გაიზარდა და, ბუნებრივია, იმატა მათზე ხაზინიდან გაცემულმა თანხებმაც. იგი აერთიანებდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 15 თანამშრომელს, წლიური ხელფასით 21 920 მანეთი, იმერეთის საეპარქიო საბჭოს 9 თანამშრომელს, წლიური ხელფასით 13 975 მანეთის ოდენობით, გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭოს 8 თანამშრომელს 11 775 მანეთი წლიური ხელფასით და სოხუმის საეპარქიო საბჭოს 8 თანამშრომელს 11 775 მანეთი წლიური ხელფასით. აღნიშნული თანხები ხშირად საეგზარქოსის თანამშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა, რისთვისაც ეგზარქოსი სინოდს მიმართავდა დამატებითი თანხების გამოყოფისათვის. გაცემული ხელფასის გარდა, საეგზარქოსოს ხაზინას ყოველწლიურად რჩებოდა 5 500 მანეთი, აქედან, მას თანამშრომელთა კვებისათვის ეხარჯებოდა 4 500 მანეთამდე, ხოლო დარჩენილი 1000 მანეთი ვერ აკმაყოფილებდა კანცელარიის სხვადასხვა საჭიროებებს (272,26186,12;22098,1;22122,5).

საქართველოს საეგზარქოსოს ძირითადი შემოსავალი ქართული ეკლესიისათვის დარჩენილ უძრავ ქონებაზე მოდიოდა (228,№49,2), რომელიც ვერ სწვდებოდა მის მრავალრიცხოვან ხარჯებს. უმაღლესი სასულიერო უწყების დაკვირვებით, საქართველოს საეკლესიო ხაზინაში აუთვისებელი თანხებიც რჩებოდა, რომელზეც რუსეთის ხელისუფლებას ხელი არ მიუწვდებოდა. 1905-1906 წლებში, სინოდმა ბრძანებით მიმართა სინოდალურ კანტორას შეესწავლა აღნიშნული საკითხი, რათა ქართული ეკლესიის ხაზინის დარჩენილი აუთვისებელი კაპიტალი სახელმწიფო ხაზინის გამგებლობაში გადასულიყო. საკითხის შესწავლის საფუძველზე, სინოდმა 1906 წელს მიიღო გადაწყვეტილება ქართველი სამღვდელოების მატერიალური უზრუნველყოფისათვის ქართულ ეკლესიასთან დარჩენილი მიწის ფართი მთლია-

ნად ჩამორთმეოდა და სახელმწიფო ხაზინას გადასცემოდა. ასეთმა ღონისძიებამ, ქართული ეკლესია-მონასტრების უკიდურესი გაღატაკება გამოიწვია, რამაც უფრო შეამცირა საეგზარქოსოს შემოსავალი, ამიტომ, მის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხაზინას მეტი ხარჯების გაწევა უხდებოდა. ამ ნიადაგზე, სინოდი იძულებული გახდა თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა. საეგზარქოსოს ყოფილ ეკლესია-მონასტრებზე ქართული ეკლესიის ყოფილი ქონებიდან გამოყვეს 33 დესეტინა მიწა (139,№429,2), რომელსაც მათი მატერიალური მდგომარეობა უნდა გაეუმჯობესებინა, საეგზარქოსოს შემოსავალი გაეზარდა და სახელმწიფო ზედმეტი ხარჯებისაგან გაენთავისუფლებინა.

ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე, აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებს 1909-1911 წლებში სახელმწიფო ხაზინიდან გამოეყოთ 423 დესეტინა და 276 კვადრატული საჟენი მიწა. აქედან, სახნავ-სათესი 117 დესეტინა და 1260 კვ. საჟენი; ტყე — 97 დესეტინა და 220 კვ. საჟენი (273,51452,143), ხოლო 60 ეკლესიას საერთოდ არ გამოეყო მიწა და ტყე.

აღნიშნული ღონისძიება, დასავლეთ საქართველოში მიწის სიმწირის გამო უფრო რთულად მიმდინარეობდა. 1909-1911 წლებში იმერეთის ეპარქიას სახელმწიფო ხაზინიდან ერგო 91 დესეტინა და 888 კვ. საჟენი ტყე. ტყით ძირითადად უზრუნველყოფილი იყო იმერეთის ეპარქიის სამი მონასტერი: წმ. დავითისა და კონსტანტინეს სახელობის მოწამეთას მონასტერი, ჭოლევის მიძინების და ქუთაისის ეპისკოპოსის სახლი. ამათგან, მხოლოდ ჯრუჭის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას ჰქონდა დარჩენილი წერეთლების მიწებიდან იმერეთის მეფის სოლომონის მიერ 1840 წელს ნაბოძები მამულები (273,56969,41-48;51452,5,26).

ასეთივე მდგომარეობა იყო გურია-სამეგრელოს ეპარქიაშიც. 1909-1911 წლებში, სამეგრელოს ეპარქიის მხოლოდ 8 მონასტერს გააჩნდა ნაწილობრივ სახნავ-სათესი მიწის ფართობი. რაც შეეხება ტყეს, სხვადასხვა კერძო პირთა მიერ ნაწყალობევი იყო 2 000 დესეტინა და სახელმწიფო ხაზინიდან გაცემული 200 ქცევა (272,51452,5,26).

მიწის ფართით დაკმაყოფილებისას, საქართველოს საეგზარქოსო განსაკუთრებულ მზრუნველობას სოხუმის ეპარქიის სამღვდელოებას

მიმართ იჩენდა, რაც შემდეგში გამოვლინდა: ჯერ ერთი, ხელისუფ-
ლებამ აფხაზეთის შედარებით მწირი ნიადაგის გამო, სოხუმის ეპარ-
ქიას დიდი ოდენობის მიწის ფართი გამოუყო, მეორეც, აქ ძირითა-
დად მოღვაწეობდნენ რუსი სასულიერო პირები, რომელთა მიმართ
საეგზარქოსო განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. ასეთი მეთოდით,
საეგზარქოსო ცდილობდა ამ რეგიონში მძიმე კლიმატურ პირობებში
მცხოვრები რუსი სამღვდელოების დამაგრებას.

XX საუკუნის 10-იან წლებში, სოხუმის ეპარქიას ჰქონდა: სოხუ-
მის ოლქში 603 311,46 დესეტინა მიწა; შავიზღვისპირეთის გუბერნია-
ში — 763 261,46 დესეტინა, სულ მთლიანად 1 366 572,92 დესეტინა მი-
წა (272,26391,3).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მიერ გაცემული მი-
წების თითქმის ნახევარი ძნელად მისადგომობის გამო არ მუშავდე-
ბოდა. ეპარქიაში იყო ეკლესია-მონასტრები, რომელთაც საერთოდ
არ გამოეყოთ მიწის ფართი. მაგალითად, 1910-1912 წლებში სოხუმის
7 კეთილდამწყსველთა 43 ეკლესიას არ ერგო მიწა, რაც მათ უკიდუ-
რეს გაჭირვებაში აგდებდა. რაც შეეხება მონასტრებს, მათი მიწები
ძირითადად ნაწყალობევი იყო რუს ქველმოქმედთა, ქალაქის სათათ-
ბიროს, რუს ვაჭარ მოხელეთა, იმპერატორის კარის მრჩეველ-
მოხელეთა, მისიონერთა საზოგადოებებისა და სხვათა მიერ. ტყით,
სოხუმის ეკლესიის მხოლოდ 4 მონასტერი იყო უზრუნველყოფილი,
რომელთა დიდ ნაწილს ისინი ვერ იყენებდნენ ძნელად მისადგომო-
ბის გამო (22,11).

საქართველოს საეგზარქოსოს ერთ-ერთ ძირითად შემოსავლის
წყაროს სანთლის ქარხნები წარმოადგენდა, რომლებიც საეგზარქო-
სოს სხვადასხვა ეპარქიებში იყო გახსნილი (272,22766,178). სანთლის
ქარხნებს ევალებოდათ ეპარქიებისა და სასულიერო სასწავლებლე-
ბის სანთლით უზრუნველყოფა. სანთლის წარმოების გაზრდის მიზ-
ნით, სინოდმა 1890 წელს მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც
სანთლის დამზადება-რეალიზაცია შეიძლებოდა მხოლოდ სასულიე-
რო უწყებას დაქვემდებარებულ მაღაზია-დუქნებში, რომლებიც სან-
თლის ქარხნებთან არსებობდა (50,88-89).

სანთლის დიდი რაოდენობით წარმოებას, სათანადო რაოდენო-
ბის მასალა ესაჭიროებოდა, რის გამოც სინოდის თაოსნობით მთელს

იმპერიაში განსაკუთრებულად განვითარდა მეფუტკრეობა; გაიხსნა სპეციალური მეფუტკრეობის შესწავლის კურსები, რომელთაც საჭირო კადრების მომზადებისათვის სინოდმა სესხიც გამოუყო (149,№ 512,2).

საეგზარქოსოს სანთლით ძირითად მომმარაგებლად თბილისის საეპარქიოს სანთლის ქარხანა ითვლებოდა, რომელიც საუკუნის დასაწყისში წლიურად 4 ათას ფუთ წმინდა ცვილის სანთელს ამზადებდა. ქარხანას თბილისში ოთხი სავაჭრო წერტი ჰქონდა. დანარჩენი გაბნეული იყო თელავში, სიღნაღში, გორში, დუშეთში, ცხინვალში, ბაქოსა და ყარსში. XX საუკუნის დასაწყისისათვის ერთი გირვანქა თეთრი სანთელი 6 აბაზი ღირდა, ხოლო ყვითელი 1 მანეთი (102, № 38,4-5).

სანთლის ქარხნების შემოსავლის ერთი ნაწილი თვით ქარხნების საჭიროებებს ხმარდებოდა, ნაწილი საქველმოქმედო საქმიანობისათვის იყო გათვალისწინებული, რომელიც ეძლეოდათ ღარიბ ქართველ სამღვდელოებას, საქართველოს საეკლესიო მუზეუმს, სასულიერო სასწავლებლებს და სხვ.

თბილისის სანთლის ქარხნის მონაგები წლობით იზრდებოდა: 1900 წელს იგი უდრიდა 16 245 მანეთს და 26 კაპიკს (59,283-284), რაც წინა წლებთან შედარებით 328 მანეთით მეტი იყო; 1901 წელს მონაგები 18 965 მანეთი და 20 კაპიკი იყო (273,63638,2), ხოლო 1902 წელს – 10 802 მანეთი და 99 კაპიკი (273,51919,11-12). 1909 წლის სანთლის ქარხნის ანგარიშიდან ცნობილი ხდება, რომ 1906-1908 წლებში ქარხანამ სუფთა მოგება 124 763 მანეთი და 44 კაპიკი ნახა, ხოლო 1909-1910 წლებში ქარხნის შემოსავალი 217 888 მანეთი და 47 კაპიკი იყო (272,22772,19;273,51941,6).

ცხოვრების პირობების გაუარესებით გამოწვეული ფასების ცვალებადობა, სულ უფრო ზრდიდა სანთლის დასამზადებელი პუნქტების ღირებულებას, რის გამოც თბილისის სანთლის ქარხანამ 1913-1914 წლებში გირვანქა 80 აბაზი გახადა (142,№ 99,3), რადგან სანთლის გამგეობის კომიტეტიდან მიღებული ფუთი ცვილი ქარხანას 32-35 მანეთი უჯდებოდა, ხოლო ადგილობრივ ფუთ ცვილში 45 მანეთს იხდიდა (135,№ 83,3), სანთლის ქარხანამ რუსეთიდან მიღებული სანთლის გაძვირების ნებართვა სინოდისაგან მიიღო (142,№ 99,3).

ამრიგად, საქართველოს საეგზარქოსოს ხაზინის შემოსავალ-გასავალი დამოკიდებული იყო ეპარქიებიდან შესულ თანხებზე, თვითმპყრობელობის მოწყალებაზე, სინოდის ქარხნების ამონაგებზე, რომელსაც იგი სანთლის წარმოებით იღებდა და სხვა მრავალი. რაც შეეხება დანახარჯს, იგი ხმარდებოდა საეგზარქოსოს ეკლესია-მონასტრების გაწყობა-გამართვას, შეკეთებას, სასწავლო დაწესებულებათა კეთილმოწყობას, საეგზარქოსოს თანამშრომელთა და სამღვდელოების ხელფასებით უზრუნველყოფას და ა.შ.

1901 წელს საეგზარქოსოს ხაზინაში მთლიანად შევიდა 130 809 მანეთი და 26 კაპიკი, საიდანაც სახელმწიფო ხაზინის ნაწყალობევი იყო 99 906 მანეთი. მოგვიანებით, სინოდმა კიდევ 2 500 მანეთი დაუმატა საეგზარქოსოს. დანარჩენი თანხა მოდიოდა ქართული სამონასტრო მიწების მონაგებიდან (273,47509,8). 1902 წელს საეგზარქოსოს შემოსავალი კიდევ უფრო გაიზარდა და იგი 1 133 104 მანეთისა და 70 კაპიკს უდრიდა (273,47524,52-54). 1903 წელს შემოსავალი იყო 142 752 მანეთი და 99 კაპიკი (273,47507,11-14). 1904 წელს კი 143 777 მანეთი და 39 კაპიკი (273,48079,3). რაც შეეხება გასავალს, იგი უდრიდა 1 088 275 მანეთსა და 78 კაპიკს (273,47509,47). 1902 წელს – 1 141 565 მანეთს და 83 კაპიკს (273, 47524,52-54). 1903 წელს – 1 127 001 მანეთს და 6 კაპიკს (273,48614,25). 1904 წელს – 1 279 703 მანეთს და 44 კაპიკს (273,64029,2-27).

აქედან გამომდინარე ამკარა ხდება, რომ საეგზარქოსოს შემოსავლის ძირითადი წყარო ქართული ეკლესიის უძრავი ქონებიდან მომდინარეობდა, ხოლო სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი საგრძნობლად მცირე იყო. რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა საქართველოს ეკლესიასა და მის კრებულს თვითონ ერჩინათ თავი და საეგზარქოსოც შეენახათ. რაც შეეხება გასავლის საგრძნობ მატებას, იგი მეტყველებს იმაზე, რომ საეგზარქოსოს ხელმძღვანელობა უხვად სარგებლობდა ქართული ეკლესიის ქონებით და სულ უფრო მეტი თანხების შეტანას ითხოვდა თავის ხაზინაში.

ოფიციალური ცნობების საფუძველზე, ქართული ეკლესიის ქონება 1904-1905 წლებში სამონასტრო ქონება-მეურნეობათა გამორიცხვით შეადგენდა 257 795 მანეთსა და 80 კაპიკს ოქროთი (185,№ 1-10,13). ამავე ცნობების საფუძველზე, ქართული ეკლესიის

ქონებიდან 1906 წელს სახელმწიფო ხაზინაში შევიდა 809 808 მანეთი (187,№ 1-2,10), ხოლო 1907 წელს საეკლესიო მამულებიდან შემოსული თანხა 10 მილიონ მანეთს უდრიდა (33,13).

1909-1912 წლებში საეგზარქოსოს ხაზინაში შესავალ-გასავლის რეგულირება შეინიშნება (273,65012,2-35; 51919,10;53023,22; 55037,1-18; 55040,1-11). ამ პერიოდში, ხაზინის გასავალი შესავლის ტოლი ხდება, რაც გამოწვეული იყო თვით საეგზარქოსოში მიმდინარე რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებით.

სინოდის 1912 წლის 16 ივლისის № 15656 დადგენილების ძალით, საეკლესიო ხაზინას შეემატა საეკლესიო წიგნების გაყიდვით აღებული თანხებიც. ასეთი ღონისძიებით ხაზინაში 1912-1917 წლებში ყოველწლიურად შედიოდა 544 მანეთი და 19 კაპიკი (273,53917,2-3).

1913 წლიდან საეგზარქოსოს შემოსავალი საგრძნობლად დაეცა, ხოლო გასავალი კი ბევრად აჭარბებდა შემოსავალს. აღნიშნულის მიზეზი ქვეყანაში მიმდინარე ახალი რევოლუციური აღმავლობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული (273,57674,1-14; 281,95,1). 1914 წლიდან ხაზინის შემოსავალი კვლავ იზრდება, რისი მიზეზიც საეგზარქოსოს მიერ ომის საჭიროებისათვის გატარებული ღონისძიებები იყო (273,57676,7-8; 58715,10; 60647,15).

აქედან გამომდინარე, საქართველოს საეგზარქოსოს ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად ქართული ეკლესიის დარჩენილ ქონებაზე იყო დამოკიდებული და იგი ყოველნაირად ცდილობდა მის საბოლოო დაპატრონებას.

საქართველოში საეკლესიო პოლიტიკის გატარებისათვის, თვითმპყრობელობა ეგზარქოსებად სასულიერო ფენის ისეთ წარმომადგენლებს ნიშნავდა, რომელთაც განსაკუთრებული სიძულვილი გააჩნდათ ყოველგვარი ქართულის მიმართ. მათი მოღვაწეობის შედეგად, საქართველოში მოიშალა სამღვდელმთავრო კათედრები, გაუქმდა და დაიხურა ეკლესია-მონასტრები, ქართული სასულიერო და საერო სასწავლებლები; გაიძარცვა და დარბეულ იქნა ასობით ქართული ეკლესია, გაიბნა ძვირფასი არქეოლოგიური მასალა და სხვ. რუსიფიკატორი ეგზარქოსები შეურაცყოფდნენ და აბუჩად იგდებდნენ ქართველთა ღვთისმსახურებას, საეკლესიო გალობას, ხალხის ზნე-ჩვეულებებს და უმკაცრესი მეთოდებით სდევნიდ-

ტენ მათი პოლიტიკის მოწინააღმდეგეთ (25,210).

ეგზარქოსები აშკარა პოლიტიკით უარყოფდნენ თავიანთ პირდაპირ სამწყსო მოვალეობას. ისინი უფრო „რუსულ საქმეს“ (278,174,29-30;283,775,4) ემსახურებოდნენ, ვიდრე სარწმუნოებრივს და ივიწყებდნენ „წმინდა წერილის“ სიტყვებს: „მოძღვარი ხალხის ამოურჩევლად მისული მრევლში არის მპარავი და მტაცებელი... გადასული სამწყსოში ლობიდან და არა მწყემსი კეთილი, შესული კარიდან, რომელსაც სცნობენ ცხოვარნი“ (38;167,№2920,2). აქედან გამომდინარე, ადგილობრივი მრევლისათვის რუსი ეგზარქოსები უცხონი იყვნენ, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელნი არ ინტერესდებოდნენ სამწყსოს ცხოვრებით, არ ეცნობოდნენ ეპარქიათა საქმიანობას. ეგზარქოსთა მოგზაურობანი, მხოლოდ მათი პირადი ინტერესებით იყო განპირობებული. მოსახლეობაში მათი სტუმრობა კეთიმყოფელ გავლენას არ ახდენდა, რადგან რუსული ენის უცოდინარობის გამო, მრევლს მისი მოსმენის შესაძლებლობა არ ჰქონდა; ეგზარქოსების აბსოლუტური უმრავლესობა საერთოდ არ ფლობდა ქართულ ენას. ეპისკოპოსი დავითი აღნიშნავდა, რომ რუს მღვდელმთავრებს არად ესაჭიროებოდათ ქართული ენის ცოდნა, რადგან არც საქმით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ მრევლისადმი ზრუნვა (283,755,2). ამის გამო, ეგზარქოსები ღვთისმსახურებას მხოლოდ რუსულ ენაზე ატარებდნენ. საკმარისია ითქვას, რომ თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც მხოლოდ ქართველი მრევლი იყო, ღვთისმსახურება რუსულ ენაზე წარმოებდა (277,268,7;221,№74,2). ეგზარქოსების სიუცხოვეს ქართული ეკლესიისა და მისი კრებულის მიმართ კიდევ უფრო აღრმავებდა მათი სწრაფი შეცვლის ფაქტები თანამდებობაზე. ისინი ვერ ასწრებდნენ მრევლის გაცნობას, მასთან დაახლოებას, მით უფრო, რომ მთელი ძალისხმევით იახლოებდნენ უზნეო ადამიანებს, რომლებიც მღვდელმთავრისადმი სამსახურით, ფაქტიურად მთელს საეგზარქოსოს განაგებდნენ. (283,791,3-4). აღსანიშნავია, რომ თითოეული ეგზარქოსი საშუალოდ ათიოდე წელს განაგებდა სამწყსოს.

საქართველოს ეგზარქოსს სინოდისაგან ევალებოდა სარწმუნოებრივი იარაღით საქართველოს მოსახლეობაში თვითმპყრობელობის ინტერესების დაცვა, მათში რუსული მართლმადიდებლური რწმენის ჩასახვა-გაღვივება, მათი სულიერი დაპყრობა, რომლის შედეგიც

ქართველი ერის შერწყმა უნდა ყოფილიყო იმპერიის ხალხებთან. ეს საქმე კი მხოლოდ ქრისტიანული რწმენის საფუძველზე უნდა მომხდარიყო, რომელიც დაეხმარებოდა თვითმპყრობელობას ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილებაში – „კავკასია უნდა დავიპყროთ ხელმეორედ და ამ შემთხვევაში სრულიად სხვა იარაღით. ამ სულიერი გამარჯვების გარეშე არ იქნება მყარი ფიზიკური დაპყრობა. ასეთი გამარჯვება არის სარწმუნოებრივი გამარჯვება. დადგა დრო, როდესაც ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ შემოვირიგოთ ადგილობრივი ტომები, შევირწყათ ისინი, მოვიკვლიოთ, დავიპყროთ მათი სული და გული", – აღნიშნავდა იმპერიის სასულიერო უწყება (274,1745,25).

საქართველოს იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცევას ცარიზმი სხვადასხვა გზებით ცდილობდა, რომელთა შორის უმთავრესი ქვეყნის კოლონიზაცია იყო. თვითმპყრობელობა კავკასიისა და კერძოდ საქართველოს კოლონიზაციას ძირითადად აწარმოებდა უცხო ტომების დასახლებით იმპერიის განაპირა მხარეში (12,355-747;50,32). მართალია, ცარიზმმა ამ საკითხზე საქართველოს შეერთებისთანავე გაამახვილა ყურადღება, მაგრამ მისი ინტერესი ამ საქმისადმი საგრძნობლად გააქტიურდა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან.

თავდაპირველად, საქართველოს კოლონიზაცია რუსული ელემენტით სამხედრო დასახლებათა მეშვეობით ხორციელდებოდა, რომელთაც, მართალია, ვერ გაამართლეს ცარიზმის იმედები, მაგრამ ამ გარემოების დღის წესრიგიდან მოხსნა არ მომხდარა, გრძელდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის გარუსება. ე.წ. „სამხრეთ ციმბირში" ხელისუფლებამ რუსეთში მცხოვრები სექტანტების – დუხობორების, მალაკნების, სკოპების, სუბოტნიკები და სხვათა ჩამოსახლებას მიჰყო ხელი, რომლებიც იმპერიის მართლმადიდებელ მოსახლეობაზე უარყოფითად მოქმედებდნენ. მთავრობას მათი საქართველოში ცხოვრება სახიფათოდ არ მიაჩნდა, რადგან სექტანტებისა და მოსახლეობის ზნე-ჩვეულებანი მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, და, რაკი სექტანტები ქართულ ენას არ ფლობდნენ, ხელისუფლების აზრით, ისინი ქართველებთან კონტაქტს ვერ დაამყარებდნენ და ვერც მავნე ზეგავლენას მოახდენდნენ მათზე (35,123). მოგვიანებით, ნათელი გახდა, რომ სექტანტთა ჩასახლებამ ვერ გაამართლა მთავრობის იმ-

დები და პირიქით, საფრთხე შეუქმნა ამ რეგიონში ჩასახლებული რუსი ეროვნების მართლმადიდებელ მოსახლეობას. ამ ფაქტით შეშფოთებული ხელისუფლება იწყებს რუს მართლმადიდებელთა მასიურ ჩასახლებას საქართველოში, რომლებიც „თავისუფალი“ სახელმწიფო მიწებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

XX საუკუნიდან რუსეთის თვითმპყრობელობა ენერგიულად აგრძელებს თავის კოლონიურ პოლიტიკას. 1899 წლის 15 აპრილის (258,751,5) რუსეთის მინისტრთა კაბინეტის თანადგომით, საქართველოში მომძლავრდა რუსული დასახლებანი. რადგან კოლონისტების მიღება საქართველოში, თვითმპყრობელობის დიდ საზრუნავს წარმოადგენდა, ეს უკანასკნელი, მიწების გარდა ახალმოსახლეთ პირველ მოწყობისათვის საჭირო თანხებსაც ჰპირდებოდა.

რუსი ელემენტის საქართველოში საბოლოო დამკვიდრება უშუალოდ იყო დაკავშირებული ახალმოსახლეთა გონიერულ განსახლებასთან, რომელშიც გასათვალისწინებელი იყო მათი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებებიც. კოლონისტებისათვის მძიმედ შესაგუებელი იყო უცხო გარემო, სხვადასხვა სექტანტური ჯგუფები, ადგილობრივი მოსახლეობა, რისთვისაც ისინი განსაკუთრებულ სულიერ მხარდაჭერას საჭიროებდნენ. ამ საქმეში კი გადამწყვეტი როლი საქართველოს საეგზარქოსოს ეკისრებოდა, რომლის პოლიტიკაც ერთმანეთს უპირისპირებდა ჩასახლებულ და ადგილობრივ ელემენტებს, მათ შორის სიძულვილსა და გაუტანლობას თესდა, ადგილობრივ მოსახლეობაში რუსული საეკლესიო მმართველობისადმი უნდობლობას ნერგავდა.

საქართველოში მცხოვრებ მართლმადიდებელი კოლონისტების საგანგაშო ყოფასა და მათ მძიმე სულიერ ცხოვრებაზე საეგზარქოსოს კანცელარიის მმართველი სინოდისადმი გაგზავნილ 1907 წლის მოხსენებით ბარათში იტყობინებოდა: „...ქართველი სამღვდელოება უცხოა რუსი ახალმოსახლეთათვის არა მარტო ეროვნული თვალსაზრისით, არამედ სარწმუნოებრივ-საეკლესიო ხასიათითაც. იგი არ ენდობა მათ (ქართველი სამღვდელოება — ქ.პ.), ხოლო ეს უკანასკნელი კი ვერ უგებს და ვერ თანაუგრძნობს პირველს...“ (189,№ 88,3). კანცელარიის მმართველს, საქართველოში კოლონისტების დაფუძნების მთავარ ფაქტორად მათთვის რუსული ეკლესიის გახსნა მიაჩნდა. ფაქ-

ტიურად კი, თვითმპყრობელობას რუსული ეკლესიის მეშვეობით გამიზნული ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეროვნული სიადავის გამოცლა, მათი სარწმუნოებრივი გადაგვარება.

ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად საქართველოში შენდებოდა ეკლესია-მონასტრები, მიმდინარეობდა ძველი მონასტრების აღდგენა-შეკეთება და მათი რუსული ეკლესიისათვის დაქვემდებარება (193,№ 55,3). დროთა ვითარებამ დაამტკიცა, რომ ახალმოსახლეთა მორის გამძლეენი აღმოჩნდნენ ისინი, რომელთაც თავიანთი ეკლესიები გააჩნდათ. ადგილობრივი სახსრები მთავრობის სასარგებლო შედეგებს ვერ იძლეოდნენ, რადგან ნელი ტემპით მიმდინარეობდა საეკლესიო მშენებლობის პროცესი, რაც ეგზარქოსებს აღელვებდათ, რადგან მთავრობის მოთხოვნებს დროულად ვერ ასრულებდნენ. 1901 წელს ეგზარქოსი ფლაბიანე (1898-1901) თხოვნით მიმართავს რუსეთის ხელისუფლებას დახმარება გაუწიოს საქართველოში ბინადარ კოლონისტებს. თხოვნაში ეგზარქოსი მთავრობას აფრთხილებს იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრებოდა სულიერ წყაროს მოკლებულ ახალმოსახლეთ ადგილობრივი მოსახლეობის „დაბნეული" ცნობიერებისა და რუსი სექტანტების მხრიდან (258,751,5).

ზემოაღნიშნულის საფუძველზე მრავალი ქართული ეკლესია-მონასტერი გადაკეთდა რუსულ ყაიდაზე. მათ შორის ბიჭვინთის, ახალი ათონის, დრანდის, ბეთანიის მონასტრები, ასევე, თბილისის ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ნაწილობრივ სამხედრო უწყებას გადაეცა (59,326-327;243). კავკასიის ხელისუფლების თანხმობით, სინოდმა და საქართველოს ეგზარქოსმა იმპერიის სამხედრო-საზღვაო სამღვდელოების პრესვიტერის თხოვნით 1906 წელს ბათუმის საკათედრო ტაძარი სამხედრო უწყებას გადასცა (272,24580,1-11). სრულიად ქართველი სამღვდელოება ამ ფაქტს დიდი უარყოფითი გამოელინებით შეხვდა. ბათუმის საქალაქო სათათბირომ 1906 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით დაგმო სინოდის ეს ღონისძიება და იგი უსამართლოდ მიიჩნია. ბათუმის საზოგადოებამ დახმარებისათვის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გიორგის მიმართა, რომელიც ცდილობდა ეგზარქოს ნიკონისათვის (1906-1908) დაესაბუთებინა, რომ ბათუმის ეკლესიას დადებითი როლის შესრულება შეეძლო სამისიონერო საქმეში, ხოლო სამხედრო სამღვდელოების კომპეტენციაში კი

სამისიონერო მოღვაწეობა არ შეეძლო. ეპისკოპოს გიორგის თხოვნა, ბათუმის ეკლესიის სამოქალაქო უწყებაში დარჩენაზე, შეუწყნარებელი დარჩა. სინოდმა იგი მაინც სამხედრო სამღვდელოებას გადასცა, რადგან თვითმპყრობელობისათვის სამხედრო ეკლესიას საქართველოს საეგზარქოსოში სამისიონერო საქმესთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების საქმეც ევალებოდა (272, 2458ც,3).

საეგზარქოსოს ხელისუფლება ეკლესია-მონასტრების მშენებლობის საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას სასაზღვრო რეგიონებში უთმობდა, სადაც სხვა სარწმუნოების გავრცელების მეტი საშიშროება იყო. 1902 წელს სინოდის გადაწყვეტილებით, აჭარის რეგიონში მასიურად იწყება ქვის ეკლესიების მშენებლობა (50,65). პარალელურად, საეგზარქოსო ცდილობდა ამ რეგიონში მოღვაწე რუსი სამღვდელოების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას. იმპერატორის სახელზე გაგზავნილი ეგზარქოსთა ანგარიშები შეიცავდნენ მოთხოვნებს ამ საქმისათვის სათანადო სახსრების გამოყოფაზე.

საქართველოში, კოლონიური პოლიტიკის გატარებას საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებების დიდი და ფართო ქსელი ემსახურებოდა. მომავალი თაობის კლერიკალურ იდეებზე აღზრდას, თვითმპყრობელობამ საქართველოში დამკვიდრებისთანავე მიაქცია ყურადღება. ჯერ კიდევ მთავარმართებელი ტორმასოვი რუსიფიკაციის განხორციელების აუცილებელ პირობად საქართველოში სასულიერო სასწავლებლების დაარსებას მიიჩნევდა (242).

საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში 1900-1910 წლებში 850 საეკლესიო-სამრევლო სკოლა არსებობდა, სადაც სხვადასხვა ეროვნების ბავშვები სწავლობდნენ. მოგვიანებით, 1913-1915 წლებში მათი რაოდენობა შემცირდა და უკვე 790 უდრიდა (272,2642ც,3). საეგზარქოსოს საეკლესიო სკოლებიდან მარტო საქართველოს საეპარქიოში 1900-1905 წლებში მოქმედებდა 318 სკოლა (273,48388,45), რომელთა რაოდენობა 1910-1915 წლებში საგრძნობლად შემცირდა და 295 გახდა. აქედან, რუსული სკოლა იყო 108, ქართული 92, ყველა დანარჩენი სხვადასხვა ეროვნების ყმაწვილებს ემსახურებოდა (275). ესენი იყო ბერძნული, ოსური, სომხური და ა.შ. ამავე პერიოდში, იმე-

რუსის ეპარქიაში იყო 190 და გურია-სამეგრელოს ეპარქიაში 169 საეკლესიო-სამრევლო სკოლა (273,54599,49,56940,168).

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან საეგზარქოსოში შემცირებული სამრევლო სკოლების მიზეზი იყო იმპერიაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარება; ქვეყანაში მიმდინარეობდა რევოლუციური აღმავლობის პროცესი, ხოლო განაპირა მხარეებში კი, დემოკრატიული იდეოლოგიის ნაყოფიერი ნიადაგი სწორედ სასულიერო სასწავლებლებში იყო. ყოველივეს გამო, ხელისუფლებამ სისტემატიური სახე მისცა სასწავლებლის დახურვას, მით უფრო, რომ მას არასდროს უზრუნვია არარუსი ხალხების განათლებისათვის.

სასულიერო სასწავლებლების გახსნით, საეგზარქოსო თვითმიზნად არ ისახავდა ხალხის განათლებას, იგი ემსახურებოდა რუსული თვითმპყრობელურ-ჩინოვნიკური აპარატისათვის ადგილობრივი კადრების მომზადების პოლიტიკას და ქართველი ერის გარუსების საქმეს. ასეთი შინაარსის განათლების ორგანიზაცია აშკარად ამჟღავნებდა მთავრობის გონებამახვილურ პოლიტიკას უცხო ერის რუსეთთან ერთ ერად შერწყმისათვის მცდელობას (272,26588,4;95,406).

თვითმპყრობელობის ამოცანათა განხორციელების მიზნით, საეგზარქოსომ ენერგიული ბრძოლა გააჩაღა ქართული ენის წინააღმდეგ სასულიერო და საერო სასწავლებლებში „გარეუბნებში ენა უფრო საჭიროა, ვიდრე სარწმუნოება“ – აღნიშნავდა ერთ-ერთი ეგზარქოსი (278,174,29). ქართულ ენას შეურაცხყოფდნენ, აბუჩად იგდებდნენ, სდევნიდნენ სამრევლო სკოლებიდან და ეკლესია-მონასტრებიდან. ეგზარქოსებმა ქართული საეკლესიო გალობა „ძაღლის ყეფასაც“ კი შეადარეს. სასწავლებლების ხელმძღვანელ პოსტებსა და პედაგოგთა შტატებზე რუსი მართლმადიდებელი სასულიერო პირები ინიშნებოდნენ (277,279,23), რომელთაც ქართული ენა არ იცოდნენ. ამ მეთოდით, საეგზარქოსო ცდილობდა სასულიერო სასწავლებლების საეკლესიო პედაგოგთა ეროვნული თაობა, რომლის დიდი ნაწილი თვითმპყრობელობის პოლიტიკის წინააღმდეგი იყო შეეცვალა მისთვის სანდო რუსი სასულიერო ჩინოვნიკებით.

საეგზარქოსოს რეაქციული პოლიტიკა ეროვნული საგანმანათლებლო სისტემისადმი უდიდეს უარყოფით გამოვლინებას პოულობდა როგორც ზრდასრულ თაობაში, ისე სასწავლებელთა აღსაზრდელებში-

აც. სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეები აღარ ემორჩილებოდნენ აუტანელ ადმინისტრაციულ რეჟიმს. ისინი აშკარად გამოდიოდნენ არსებული პოლიტიკური და რუსული საეკლესიო წყობის/წინააღმდეგ. სასულიერო სასწავლებლებში არსებული მდგომარეობა უკიდურესად აღელვებდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებას, რადგან ისინი თვითმპყრობელური რუსეთისათვის ერთგული მოხელეების აღზრდის ნაცვლად მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებათა კერებად იქცნენ (272,21776,1). მათ უკიდურესი მკაცრი მეთოდებით უპირისპირდებოდა საეგზარქოსოს ხელისუფლება.

XX საუკუნის დასაწყისიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობებით გააქტიურებული სასულიერო სასწავლებლები ეგზარქოსთა ზრუნვის საგნად იქცა. სასულიერო უწყება პედაგოგ-აღმზრდელთა ამ მოძრაობისაგან იზოლაციას ცდილობდა. საეგზარქოსოს ხელისუფლება მოუწოდებდა ცარიზმის პოლიტიკით დაინტერესებულ სასულიერო ფენას დახმარებოდა სახელმწიფოს ხალხის დაწყნარებაში და ახალგაზრდობის „მავნე სენისგან“ დაცვაში (50,140). ეგზარქოსის მოთხოვნით, ეს საკითხი განხილულ იქნა კავკასიის მთავარმმართებლის საბჭოს სხდომაზე და დაისახა მისი მოგვარებისათვის სათანადო ღონისძიებები (272,25522,90), რომლებიც ითვალისწინებდა საეგზარქოსოს მრავალი სასულიერო სასწავლებლის გაუქმებას და მათ ადგილზე ე.წ. „ბოგოსლოვსკიე შკოლების“ დაარსებას, რომელთაც სასულიერო პირებთან ერთად საეკლესიო სკოლების მასწავლებლებიც უნდა აღეზარდათ. ასეთი სახის სკოლებს იმპერია ძირითადად განაპირა მხარეებში აარსებდა. საეგზარქოსოს ამ გადაწყვეტილებას ქართველი საზოგადოება სერიოზული წინააღმდეგობით შეხვდა. სასულიერო სასწავლებლების შემდეგ, ამ სკოლების გახსნა უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა ახალგაზრდობის სასულიერო ზოგად განათლებაზე, რადგან ისინი თავიანთი კატეგორიით გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგნენ სასულიერო სასწავლებლებთან შედარებით.

თვითმპყრობელობისა და სასულიერო უწყებისადმი საწინააღმდეგო გამოვლინებებისას, საეგზარქოსო სასწავლებლების მიმართ ხშირად იცვლიდა მოქმედების ტაქტიკას და გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა. მაგალითად, ეგზარქოსის განკარგულებით ამბოხებაში მო-

ნაწილე მოსწავლეებს უფლება ეძლეოდათ ხელწერილის საფუძველზე სასწავლებლებს დაბრუნებოდნენ (272,24576,1). ასევე, სასწავლებლებთან არსებულ ბიბლიოთეკებს ნება დაერთოთ გამოეწერათ პოლიტიკური ხასიათის პერიოდული გამოცემები და ლიტერატურა, რომლებიც ადრე მკაცრად იკრძალებოდა (187,№5,19).

XX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებამ მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ქართულ ენას. საქართველოს რიგ რეგიონში, როგორიც იყო სამეგრელო და სვანეთი, მეგრული და სვანური დამწერლობის შექმნის მცდელობით, ეგზარქოსები მიისწრაფოდნენ ამ კუთხეების მოსახლეობისათვის არაქართული წარმოშობის დამტკიცებას, ქართული კულტურის ზეგავლენის დასუსტებას, რათა შეექმნათ მყარი ნიადაგი მათი ეროვნული გადაგვარებისათვის (283,755,3). მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა საეგზარქოსოს ამ პოლიტიკას ქვეყნისადმი მიმართულ „საშიშ აქტად" მიიჩნევდა (50,39). ისინი არა თუ ილაშქრებდნენ ყოველივეს წინააღმდეგ, არამედ ყველა დონეს ხმარობდნენ საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის აღდგენა-დაკანონებისათვის.

ქართველი საზოგადოების ხელისუფლებისადმი დაპირისპირება უკიდურესად აშინებდა თვითმპყრობელობის სამოხელეო აპარატს და მის ხელმძღვანელ პირებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის 1906 წლის 6 ივნისის ობერპროკურორისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც იგი რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ ამხედრებული მოსახლეობის დასამშვიდებლად სინოდისაგან ითხოვს საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების აღდგენისათვის სპეციალური ღონისძიების გატარებას და მღვდელმთავრებად შედარებით ფრთხილი სასულიერო პირების განწესებას — „ასეთი მეთოდით, — აღნიშნავს მეფისნაცვალი, — საქართველოს საეგზარქოსოში შემავალი ერების ეროვნული პატიემოყვარეობის გაღვივებას თავიდან ავიცილებთ..." (260,374,3). ამის შემდგომ, სინოდი, განსაკუთრებული აგიტაცია-პროპაგანდით აღჭურვილ მღვდელმთავრებს აწესებს საქართველოში, რაც კიდევ უფრო ნიღბავდა მათ ვერაგულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ.

საქართველოში განწესებული რუსი სამღვდელოების დიდი ნაწილი თავისი განათლებისა და ზნეობის უკიდურესად დაბალ დონეს ამ-

კლავნებდა, რაც ადგილობრივი მრევლის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების მოსყიდვით, საეკლესიო თანამდებობებზე წინაურდებოდნენ ისეთები, რომელთაც ეკლესიასთან საერთო არაფერი ჰქონდათ (272,25521,18). ქართული ეკლესიის ქონებას, ნიკოლოზ დურნოვოს დაკვირვებით, რუს სამღვდელოებას სასულიერო საქმის ნაცვლად, შემოსავლის წყაროდ ვაჭრობა-მევახშეობა გაუხდია: ხსნიდნენ სამიკიტნოებს, სასმელით ვაჭრობდნენ და სხვ. (272,22447,41-42).

რუსი სამღვდელოების ნაწილი მწვავედ განიცდიდა სამშობლოს სიშორეს და უცხო მრევლთან კონტაქტს. მათი მომაბეზრე ცხოვრება-მოღვაწეობის მიზეზი ადგილობრივი ენისა და მოსახლეობის ადათწესების უცოდინრობა იყო. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ თვითმპყრობელობის დავალებათა ერთგულ და პირნათლად შესრულებას, რადგან მხოლოდ ასეთი გზით იყო შესაძლებელი მათთვის ძნელად შესაგუებელი გარემოებიდან თავის დახსნა. პარალელურად, თავიანთი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე რუსი სამღვდელოება ეძურებოდა ქართული ეკლესია-მონასტრების და მრევლის ძარცვას. ისინი არად დაუდევდნენ სასულიერო პირთათვის შეუფერებელ საქციელს და ადგილობრივ მოსახლეობაში სიძულვილს, უნდობლობას თესავდნენ, ხოლო რუსულ მმართველობასა და მის სასულიერო უწყების ავტორიტეტს უკიდურესად ლახავდნენ.

კავკასიაში მყარად ფეხის მოკიდების მიზნით, თვითმპყრობელობამ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გააქტიურა თავისი სარწმუნოებრივი პოლიტიკა ამ მხარეში. რუსეთის ერთგულ მოკავშირედ ამ მხარეში საქართველო და მისი სასულიერო ხელისუფლება იყო. ამ დროიდან, ჩრდილო კავკასიაში აქტიურ მოღვაწეობას ქართველი მისიონერები იწყებენ, რომელთაც უშუალოდ სინოდი აფინანსებდა (170,403-405). XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთი თავის პოლიტიკას კავკასიის მიმართ ააშკარავებს და ქართველი სამღვდელოების ნაცვლად უპირატესობას რუს სამღვდელოებას ანიჭებს. ყოველივეს დასტურია საქართველოს საეგზარქოსოსთან დაარსებული „კავკასიაში მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოება", რომელიც მიზნად ისახავდა ქრისტიანობის გავრცელებას კავკასიის მთელს მოსახლეობაში და ამით, მთა-

რობის დასახული მიზნების სწრაფად გადაჭრას (246).

„საზოგადოებას" რუსეთის ხელისუფლება აფინანსებდა, რაც მას თვითმპყრობელობის წინაშე ბევრს ავალებდა. მას მთავრობის პოლიტიკური მეთოდებით უნდა ეხელმძღვანელა (246).

იმისათვის, რომ „საზოგადოება" მთლიანად სახელმწიფო ხარჯზე არ ყოფილიყო, იმპერიამ მისცა ეპარქიების ეკლესია-მონასტრებში სპეციალური შემოწირულობანი დააწესა, რის საფუძველზეც „საზოგადოება" სოლიდური თანხის მფლობელი გახდა, რომელიც არა მარტო საკუთარ თავს აფინანსებდა, არამედ დიდ დახმარებას უწევდა საეგზარქოსოს მთავრობის პოლიტიკის გატარებაში. დღიდან დაარსებისა, 1864-1909 წლებში, მის სახელზე სხვადასხვა წყაროებით შესული თანხა 1 475 842 მანეთსა და 4 კაპიკს უდრიდა (254,182). სინოდის 1907 წლის განკარგულებით სახელმწიფო ხაზინიდან „საზოგადოების" საქმიანობისათვის გამოიყო 100 ათასი მანეთი (33,27-28). გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ ფინანსურ დახმარებას უწევდა „საზოგადოებას" და მას თავისი ხაზინიდან მიწის საკარგულეებს აძლევდა, რაც მთლიანად ამიერკავკასიაში 100 000 დესეტინას უდრიდა. მიწის ფართიდან აღებული შემოსავალი მთლიანად საეგზარქოსოსა და „საზოგადოებას" ხმარდებოდა. მოგვიანებით, მიწის ერთი ნაწილის დამუშავებისათვის, უვარგისობის გამო სახელმწიფომ უკან დაიბრუნა და სამაგიეროდ „საზოგადოებას" წლიურად 25 ათასი მანეთი დაუნიშნა.

„საზოგადოებას" დიდ შემოსავალთან ერთად სათანადო გასავალიც ჰქონდა. მას ახალმოქცეულებში სარწმუნოების განმტკიცებისათვის ეკლესია მონასტრების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება ევალებოდა, რომელიც ძირითადად მოსახლეობის ხარჯით ხორციელდებოდა. დიდძალი თანხა შემოდიოდა იმპერიიდან მიღებული შემოწირულობებიდანაც (50,57). 1898-1901 წლებში „საზოგადოებამ" ეკლესია-მონასტრების შეკეთებ მოახმარა 90 795 მანეთი და 89 კაპიკი, 1902-1905 წლებში 31 107 მანეთი და 30 კაპიკი, 1906-1907 წლებში —26 451 მანეთი და 90 კაპიკი, ხოლო 1908-1909 წლებში 23 500 მანეთი. მთლიანად, 1898-1909 წლებში ამ საქმისათვის დაიხარჯა 455 245 მანეთი და 83 კაპიკი (254,184-185). 1902-1905 წლებში საეგზარქოსოში „საზოგადოების" ეგიდით აიგო 3 ეკლე-

სია, 3 ტაძარი; შეკეთდა 7 ეკლესია; 1906-1909 წლებში აიგო ერთი სამლოცველო სახლი; 1909 წელს კი ერთი ეკლესია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეგზარქოს ნიკონის ხსოვნის საპატივცემულოდ 1908 წელს „საზოგადოების" გამგეობამ თბილისში, რიყეზე, წმ. ნიკონის სახელობის ეკლესიის ასაგებად გამოყო 23 000 მანეთი (278,56,172).

„საზოგადოების" საქმიანობას ორი მიმართულება ჰქონდა: 1). სარწმუნოებრივ-მისიონერული, რომელიც მოიცავდა კავკასიის მთიანეთში ეკლესია-მონასტრების აგებას, იქაური სამღვდელოების ცხოვრების პირობების კეთილმოწყობას, ადგილობრივ ენებზე ბიბლიის თარგმნას და მის გამოცემას; 2). სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელსაც თვითმპყრობელობის ერთგული თაობა უნდა აღეზარდა. სათანადოდ, უნდა გახსნილიყო სამრევლო სკოლები, დაწესებულიყო სტიპენდიები და სხვა. (278,56,179).

XX საუკუნის პირველ ათწლეულში „საზოგადოებამ" გახსნა 58 საეკლესიო-სამრევლო სკოლა. ამათგან, აფხაზეთში — 9, სვანეთში — 7, ახალციხის მაზრაში — 4, თიანეთში 2, დუშეთში — 2, თბილისში — 1 (278,56,184). ყველა დანარჩენი საეგზარქოსოს სხვა რეგიონებში ფუნქციონირებდა. გარდა ზემოაღნიშნულისა, „საზოგადოება" თავისი ხარჯებით სისტემატიურად სცემდა სასულიერო ხასიათის სასწავლო-შემეცნებით ლიტერატურას, პერიოდულ გამოცემებს, ბიბლიას, წირვისათვის საჭირო ნივთებს (140,776,3).

„საზოგადოების" ხელმძღვანელობამ ღრმულად და კარგად აულო ალღო მთის მოსახლეობის ქრისტიანობისადმი არამყარ დამოკიდებულებას და ყურადღება გაამახვილა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრებ ქართველებზე: ხევსურებზე, თუშებსა და ოსებზე. ისინი საქართველოს სამხედრო გზაზე ცხოვრობდნენ და, რადგან რუსეთისათვის ამ გზას პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ეგზარქოსიც თავის საქმიანობას სწორედ ამ ხალხებით იწყებს.

„საზოგადოებას", სამისიონერო მოღვაწეობის მეორე ეტაპზე, ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმ რეგიონების მიმართ, სადაც ისლამიზმმა უკვე გაიმარჯვა, ან მართლმადიდებლობა აქ დაცემა-დაქვეითებას მწვავედ განიცდიდა (274,2,22-23). ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა სამურზაყანო, სვანეთი, ხამანაბლო, თუშ-ფშავ-

ხევსურეთი. საქართველოს ანგარიშით, ქრისტიანობას უნდა შეეღწია და განმტკიცებულიყო სამურზაყანოდან აფხაზეთში, სვანეთიდან ბალყარეთისა და ყარაჩაეთში, სამაჩაბლოდან ჩრდილო ოსეთში, თუშეთიდან ქისტებსა და ჩეჩნეთში და ა.შ. (274,2,22-23).

„საზოგადოების" მოღვაწეობამ დაარსების პირველივე წლებიდან თვითმპყრობელობას შედეგიანი ნაყოფი მისცა. უკვე XX საუკუნის დასაწყისისათვის კავკასიაში დაარსდა 137 რუსული სამრევლო. აქედან, აფხაზეთში — 20, სამურზაყანოში — 17, სვანეთში — 14, სამაჩაბლოსა და ჩრდილო ოსეთში 54, თუშ-ფშავში — 19, ზაქათალის ოლქში — 4, ახალციხის მაზრაში — 5, ერევნის გუბერნიაში — 4. „საზოგადოების" მეშვეობით XX საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 1917 წლამდე აიგო 32 და აღდგა 24 ეკლესია-მონასტერი (245).

„საზოგადოების" საქმიანობის წარმატებაში დიდი როლი ენიჭებოდა მისი კადრების სათანადო შერჩევას, რომელიც წარმოადგენდა უაღრესად საგულისხმო ფაქტს, რადგან ამ პროცესში წამყვანი ადგილი უკავა ასარჩევი კანდიდატურის პოლიტიკურ-ზნეობრივ პრინციპს. მისიონერებს უნდა ჰქონოდათ ზოგადი წარმოდგენა იმ მხარეზე, სადაც მათ მოუხდებოდათ მოღვაწეობა. მისიონერების შერჩევაში უპირატესობა რუსი ეროვნების სასულიერო პირთ ენიჭებოდათ (50,53).

სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად, მისიონერების მოვალეობა იყო დაეცვათ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ინტერესები, რისთვისაც მათ მეტროპოლიასთან მჭიდრო კონტაქტი ესაჭიროებოდათ. სისტემატიურად მიმდინარეობდა „საზოგადოების" ხელმძღვანელობისა და ხელისუფლების მოხელეების აზრთა ურთიერთგაცვლა, სადაც მსჯელობდნენ „საზოგადოების" მიერ ჩატარებულ სამუშაოებზე (274,186,1).

საქართველოს სერიოზული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა მისიონერების მატერიალური უზრუნველყოფა. მისიონერებს, მრევლის საერთო მიწის ნაკვეთებიდან ნადელები გამოეყოთ, რაც მათ მრევლისგან მატერიალურად დამოუკიდებელს ხდიდა. ამით, ხელისუფლება მისიონერთა დაფინანსებისაგან და, რაც მთავარია, თავიდან იცილებდა მათსა და მრევლს შორის შესაძლო დაპირისპირებას. პარალელურად, მისიონერები თავისუფლდებოდნენ ყოფითი ცხოვრების

პრობლემებისაგან და მათ ერთად-ერთ საზრუნავს თვითმპყრობელო-ბის გადაწყვეტილებათა შესრულება წარმოადგენდა. ისინი თავიანთ სამოქმედო რეგიონებში სახელმწიფო მუშაკებად ჩამოყალიბდნენ. სახელმწიფო მოხელეთა დანიშვნისას, ადგილობრივი მმართველობა მოვალე იყო შერჩეული კანდიდატურის დახასიათება სოფლის სამრევლო მისიონერისაგან მოეთხოვა, სადაც წამყვანი როლი ასარჩევი პირის რელიგიურ-ზნეობრივ და პოლიტიკურ ორიენტაციას ენიჭებოდა (274,560,22).

რუსული სარწმუნოებრივი პოლიტიკის განმტკიცების მიზნით, საეგზარქოსოში დაარსებული მრავალრიცხოვანი ძმობა — კავშირები დიდძალ მატერიალურ თანხებს მოითხოვდა. XX საუკუნის დასაწყისის პირველსავე წელს, საეგზარქოსომ თითოეულ საძმოს ყოველწლიურად 1 400 მანეთი დაუნიშნა (239,7). დიდძალი თანხები მიდიოდა სამლოცველო სახლების, სამკითხველო და შესაკრები დარბაზების აგება-მოწყობაზე. საამისოდ გაცემული თანხები დღითი-დღე იზრდებოდა, თუ 1889 წელს ეგზარქოსმა ძმობებს 11 645 მანეთი გამოუყო (50,92), 1900 წელს მისი ოდენობა 13 110 მანეთსა და 88 კაპიკს აღწევს (239,10). სასულიერო და საერო უწყებანი სერიოზულად ზრუნავდნენ მისიონერთა მატერიალურ კეთილდღეობაზე. მაგალითად, 1903 წელს იმპერატორმა დააკმაყოფილა ობერპროკურორის თხოვნა საეგზარქოსოს ერთგული თანამშრომლებისათვის გამოეყოთ 500 000 მანეთი დახმარება (272,26377,1;231,55-57).

კავკასიის ხალხთა რუსულენოვან მოსახლეობასთან შერწყმისათვის საეგზარქოსოს ერთ-ერთ ამოცანას ღვთის სიტყვის რუსულ ენაზე ქადაგება წარმოადგენდა. ცარიზმი თვლიდა, რომ კავკასიის ხალხებზე ქართული კულტურის გავლენა, ეღობებოდა თვითმპყრობელობის პოლიტიკურ მიზნებს ამ რეგიონში და აუცილებლად მიაჩნდა ამ ხალხთა ანბანის შექმნა, რომელიც რუსულ ენასთან ერთად იმოქმედებდა ადგილობრივ მოსახლეობაში. საამისოდ, საეგზარქოსოს ხელისუფლებამ პირველ ამოცანად დაისახა აფხაზურ და ოსურ ენებზე ანბანის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ ხალხების ჩამოცილებას ქართული კულტურისაგან (274,2,22).

ზემოაღნიშნულ ღონისძიებას უნდა მოჰყოლოდ სასწავლო დაწესებულებებისათვის სპეციალური რუსულენოვანი და კავკასიური ენე-

ბის სასულიერო-სარწმუნოებრივი ლიტერატურის გამოცემა, რომლებითაც მომარაგდებოდა საეგზარქოსოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. საარქივო მონაცემებით ცნობილი ხდება, რომ 1910-1915 წლებში საეგზარქოსოში ასეთი სახის 153 ბიბლიოთეკა არსებობდა. აქედან, იმერეთის ეპარქიაში — 2, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში — 2, ხოლო სოხუმის ეპარქიაში — 27 ბიბლიოთეკა. (273,56940,75;54599,154). ამ უკანასკნელში, ბიბლიოთეკების სიმრავლე გამოწვეული იყო თვითმპყრობელობის განსაკუთრებული ინტერესით ამ რეგიონის რუსიფიკაციაში.

მთის მოსახლეობასთან დაახლოების მიზნით, საეგზარქოსოს ხელისუფლება თავის წარგზავნილებს ავალებდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარებას. მათში, განსაკუთრებით ფასობდა სამედიცინო საქმე. ამიტომ მისიონერებს ელემენტარული სამედიცინო განათლების ცოდნა ევალებოდათ, რაც მაღალმთიან მოსახლეობას ნდობით განაწყობდა. საეგზარქოსოს ხელისუფლება, ეკონომიურად შედარებით ძლიერ ეკლესია-მონასტრებთან აარსებდა საავადმყოფოებს, სადაც გაჭირვებულ მოსახლეობას უფასო დახმარებას უწევდნენ. 1911-1914 წლებში, სოხუმის ეპარქიაში მონასტრებთან 6 საავადმყოფო იყო 120 საწოლით (273,586,67;54599,19).

ადგილობრივ მოსახლეობაში რუსული ეკლესიის ავტორიტეტის მოპოვების მიზნით, საეგზარქოსო მრავალ საქველმოქმედო ღონისძიებებით გამოდიოდა. მისი უშუალო ინიციატივით იხსნებოდა თავშესაფრები მოხუცების, ინვალიდებისა და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვებისათვის. მართალია, ასეთი ღონისძიებები ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯით ხორციელდებოდა, მაგრამ საეგზარქოსო მას ეკლესიის დამსახურებად მიიჩნევდა (207,№65,3). მოსახლეობებიდან შემოწირულობების გაზრდის მიზნით ეგზარქოსები ხალხში მატერიალურად გაჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად და მათი გულის მოგების მიზნით სისტემატიურ საჯარო ლექცია-ქადაგებებს ატარებდნენ და აღებულ შემოსავალს ღარიბ-ღატაკ მოსახლეობას ურიგებდნენ (272,22944,2; 23290,2;142,№1152,2;193,№291,3).

კავკასიაში გაბატონებისთანავე რუსეთის იმპერიის სასულიერო უწყებამ სახელმწიფოსათვის საჭირო პოლიტიკა შეიმუშავა და მას

მადიანური სარწმუნოების მიმდევარი ქართველი მოსახლეობისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება დაამყარა. სინოდმა ბრძოლა გამოუცხადა მაჰმადიან ქართველებს და მათში მართლმადიდებლობის აღდგენას რუსული ეკლესიის მეშვეობით ცდილობდა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საეგზარქოსომ განსაკუთრებით გააქტიურა ბრძოლა აღნიშნული მიმართულებით, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში მიმდინარე მძლავრი რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებით. საეგზარქოსოს მკაცრმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო უარყოფითად განაწყო საქართველოს მაჰმადიანური მოსახლეობა მის მიმართ და ისინი ახლადმიღებული მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი მტრულად განაწყო. ხალხი პროტესტის ნიშნად ტოვებდა ქრისტეს სჯულს და ძველ მაჰმადიანურ რწმენას უბრუნდებოდა. ყოველივე უკიდურესად აღელვებდა ხელისუფლებას, რადგან, ყოველივეს შეეძლო გამოხმაურება ჰქონოდა საქართველოს მართლმადიდებელ მოსახლეობაში (244).

ზემოაღნიშნულით იყო განპირობებული საეგზარქოსოს ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღება აფხაზეთის რეგიონის მიმართ, სადაც ცარიზმის პოლიტიკის განხორციელებას ფართო ასპარეზი ეშლებოდა. პარალელურად, ყოველივეს აფხაზეთში ქართული გავლენა უნდა აღმოეფხვრა და იგი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულისაგან ჩამოეცილებინა.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, გააქტიურდა სამისიონერო საქმიანობა აფხაზეთში, რისთვისაც იგი ოთხ სამოქმედო ნაწილად დაიყო: გუდაუთის, გუმისთის, კოდორისა და სამურზაყანოს რეგიონებად. ეს ადგილები ძირითადად დასახლებული იყო აფხაზებითა და ქართველებით (198;199;200;201;253).

აფხაზეთში საეგზარქოსომ თავისი მიზნის მისაღწევად სხვადასხვა პროგრამა შეიმუშავა. იმ ადგილებში, სადაც აფხაზი და რუსი ერი სახლობდა განწესდა რუსი სამღვდელოება. რაც შეეხება სამურზაყანოს, რომელიც ქართველი მოსახლეობის სიმრავლით გამოირჩეოდა და, სადაც თურქეთიდან შემოსული მოლები საქმიანობდნენ, ფართო გასაქანი მიეცა ქართველ სამღვდელოებას, რადგან ისინი ფლობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ენას და ზედმიწევნით იცნობდნენ მათ ზნე-ჩვეულებებს. ქართველმა სასულიერო ფენამ აქ უდიდეს წარ-

შატების შიალწია. ისინი ფრთხილად და მიზანდასახულად მოქმედებდნენ. ასეთი მეთოდით, საეგზარქოსომ გაიმეორა XIX საუკუნის დასაწყისის „ოსეთის სასულიერო კომისიის“ საქმიანობა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სამურზაყანოში აქტიურად მოღვაწეობდნენ ქართველი მისიონერები ვ. კვეკია, ს. თოფურია, ნ. კუპრავა, დ. ხვახიძე, მ. გაგუა, მ. არქანია, დ. ანთელავა, ი. ხოჭოლავა, პ. ძლენტი. ი. მიქაბერიძე, ი. ჯიქია, დ. ახვლედიანი, გ. ბერიძე, ა. გულოვანი, პ. დეკანოზიშვილი, ვ. ნემსაძე და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში, აფხაზეთის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ათვისებისათვის, საეგზარქოსო მოქმედების მეორე ეტაპს იწყებს, რაც გამოიხატებოდა იქ მოღვაწე ქართველი სამღვდელოების დევნა-შევიწროებაში. საეგზარქოსოს ხელისუფლება ეტაპობრივად ცვლიდა ქართველ სასულიერო პირებს რუსი ეროვნების წარმომადგენლებით. ამით თანდათანობით ირღვეოდა აფხაზი და ქართველი ხალხების ერთობლივი სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია (137,3).

აფხაზეთის გაქრისტიანება-გარუსების საქმეს მრავალი საერო, თუ სასულიერო პირი ემსახურებოდა; მზადდებოდა საამისო პროექტები და ტარდებოდა მრავალი სათანადო ღონისძიება. ყოველი გადაწყვეტილება, მხოლოდ ერთ საქმეს ემსახურებოდა, სწრაფად განდევნილიყო სოხუმის ეპარქიიდან ქართველი სამღვდელოება და მისი ადგილი რუს სასულიერო ფენას დაეკავებინა (257,1). სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდა რუსი მეცნიერის თეოდორე გერშელმანის რეკომენდაციები თვითმპყრობელობისა და სასულიერო უწყებისადმი. მისი აზრით, საჭირო იყო არა მარტო ქართველი სამღვდელოების განდევნა აფხაზეთიდან, არამედ მის ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურების რუსულ ენაზე შესრულებაც, რადგან უცხო ენის ერში შესისხლხორცება, მათი მორჩილება-მართვის გარანტიას იძლეოდა და თვითმპყრობელობის პოლიტიკის გამარჯვებას მოასწავებდა. ასეთი მეთოდით მიიჩნევდა გერშელმანი აფხაზი ხალხის ქართველთა „ზეგავლენისაგან“ განთავისუფლებას (147,12;258,751,8;43,94;54,26).

სახელმწიფო მოხელეთა იდეოლოგიის საფუძველზე, სოხუმის ეპარქიის კათედრაზე XX საუკუნის დასაწყისიდან მხოლოდ რუსი ეროვნების მღვდელმთავრები ინიშნებოდნენ, რომლებიც ადგილობრივი მო-

სახლეობის ენასა და ზნე-ჩვეულებებს საერთოდ არ იცნობდნენ.

ასეთი სახის ღონისძიებამ აფხაზეთის ქართველობა მთლიანად ჩამოაცილა ეროვნულ ეკლესიას, რაც მათში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. აფხაზეთის ქართველმა მრევლმა საეპარქიო სასულიერო ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართა ნება დაერთოთ საკუთარი ხარჯებით აეგოთ ეკლესია-მონასტრები, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე ჩატარდებოდა (273,45712,27). მოსახლეობის მოთხოვნებს ხელისუფლება უარით პასუხობდა და შემდეგი სიტყვებით ანუგეშებდა — „ყველამ უნდა იცოდეს საეკლესიო-სლავიანური ენა, — და მაშინ, თქვენ აღარ დაგჭირდებათ თხოვნით ნებართვა ღვთისმსახურების ქართულ ენაზე ჩატარებისათვის“ (220,2).

საეპარქიოს პოლიტიკამ აფხაზეთში უმაღლეს წერტილს ეპისკოპოს დიმიტრის დროს მიაღწია, რომელმაც 1910 წლის 21 სექტემბრის № 1594 სინოდის ბრძანების საფუძველზე, აფხაზეთის საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მხოლოდ რუსი ეროვნების მღვდელმსახურები განაწესა. ამ ღონისძიებამ იმდენად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია სოხუმის ქართველ საზოგადოებაში, რომ სინოდი იძულებული გახდა იმავე წლის 25 ოქტომბრის № 20365 ბრძანებით (192,№ 203,3) ეცნობებინა ეპისკოპოს დიმიტრისათვის, რომ მოსალოდნელი უსიამოვნებების თავიდან აცილების მიზნით, დროებით, სოხუმის ეპარქიაში რუსებთან ერთად ქართველი სასულიერო პირებიც დაენიშნათ. პარალელურად, სინოდი ცდილობდა წარუმატებლობით გულგატეხილი რუსი სამღვდელოების გამხნევებას და მათ დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა. 1912 წელს სინოდმა სოხუმის ეპისკოპოსს ხუთწლიანი უწყვეტი სტაჟის გამო წელიწადში 1000 მანეთი ხელფასი დაუნიშნა, ხოლო სამისიონერო კადრების მომზადებისათვის გამოყო წელიწადში 1000 მანეთი (192,№ 233,2).

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან საქართველოს საეგზარქოსოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ, სინოდი აიძულა აფხაზეთში ლმობიერი პოლიტიკით შენიღბული სასულიერო პირები გაეგზავნა, რომლებიც კომპრომისის გზით შეეცდებოდნენ აფხაზეთში თვითმპყრობელობის ამოცანათა გადაჭრას. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა სოხუმის ეპისკოპოსი, ეროვნებით ქართველი — ანდრია, რომელიც ფარისევლური მეთოდებით ცდილობდა ადგილობრივი საქარ-

თველის მოსახლეობის გულის მოგებას. იგი სისტემატიურად სცემდა სოხუმში რუსულ ენაზე ქართველ წმინდანთა ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ ილუსტრირებულ კრებულებს, რაც სოხუმელ ქართველთა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა (193,№ 163). მან, ერთი მხრივ, თავისი ე.წ. ეროვნული მოღვაწეობით, შეცდომაში შეიყვანა ქართველი საზოგადოება და მათი ნდობა და პატივი დაიმსახურა.

მიუხედავად საქართველოს საეგზარქოსოს ყოველმხრივი მცდელობისა, შეერწყათ კავკასიის მთის მოსახლეობა რუს ერთან და მათში თვითმპყრობელობისადმი ნდობა აღეძრათ, ამ საქმეში მათ გამარჯვება ვერ მოიპოვეს. მთიელები კარგად ხედავდნენ, რომ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკა ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციას ემსახურებოდა, ამიტომ ისინი თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის მაჰმადიანურ რწმენაზე დარჩენას ამჯობინებდნენ (262,3239,23).

სასულიერო უწყების თვითმპყრობელური განსაკუთრებული ინტერესები იმპერიის სასაზღვრო ტერიტორიების, კერძოდ კი, აჭარის მიმართ მთელი სიმძაფრით იჩენდა თავს. მით უფრო, რომ აჭარაში რუსული სამხედრო ნაწილები იდგა და მათ სარწმუნოებრივ სტაბილიზაციას ხელისუფლება დიდი მონდომებით ეკიდებოდა. აფხაზეთის მსგავსად, საეგზარქოსომ აქაც სამისიონერო მოძრაობა ქართველი სამღვდელოების დევნა-შევიწროებით დაიწყო. მათ ადგილებზე კი რუს და ბერძენ სასულიერო პირებს აწესებდა. მანამდე კი, ეს რეგიონი იმერეთის ეპისკოპოსის მმართველობაში შედიოდა. XX საუკუნის დასაწყისიდან, იგი საქართველოს ეგზარქოსმა თავის იურისდიქციას დაუქვემდებარა (50,65).

ცარიზმის ასეთი პოლიტიკა როგორც აფხაზეთში, ისე აჭარაში ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა, რაც ნათლად აისახა მათ საზოგადოებრივ მოძრაობაში.

თვითმპყრობელობის ამოცანათა დროულად და წარმატებით გადაჭრისათვის საეგზარქოსოს წინაშე დაისახა ამოცანა, რომელსაც ქართველი ხალხის გონებიდან ეროვნული სახელმწიფოს არსებობა და გეოგრაფიული ტერიტორიების შეგრძნება უნდა აღმოეფხვრა. საამისოდ, საეგზარქოსოს ხელისუფლებამ, საეგზარქოსოს რეორგანიზაცია და ტერიტორიალური გადანაწილება განიზრახა (50,61). რომე-

ლიც გამიზნული იყო საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობების წინააღმდეგ. რუსეთის ხელისუფლება დარწმუნდა, რომ კავკასიის საბოლოო შემომტკიცება მოითხოვდა ახალი, უფრო მკაცრი საეკლესიო რეფორმის გატარებას, რომელიც საეგზარქოსოს მთლიან რეორგანიზაციას საჭიროებდა (167,№2920,2).

საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი, ქართული ეკლესიის პოზიციების მთლიან მოშლას ითვალისწინებდა, კერძოდ, აფხაზეთის რეგიონის ქართული ეკლესიიდან ჩამოცილებას და მის შეერთებას ყუბანის ოლქთან და სამაჩაბლოს ცალკე ეპარქიად შექმნას, იმ მიზნით, რომ მომავალში იგი ჩრდილო ოსეთის ეპარქიას შეუერთდებოდა (50,60-61). გარდა ყოველივესი, ერევნისა და ყარსის ეპარქიები ერთ, ბაქოს ეპარქიად უნდა გაერთიანებულიყო.

საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტის განხილვა-გადაწყვეტისათვის სინოდში 1906 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის გადაწყვეტილებით სამურზაყანო უნდა შეერთებოდა გურია-სამეგრელოს ეპარქიას, ხოლო ამ უკანასკნელისაგან გამოცალკევებული აჭარა ქალაქ ბათუმით სოხუმის ეპარქიას (33,152). ახალი საეკლესიო რეფორმა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებას მოასწავებდა და ქართულ ეპარქიებს მისი შუამდგომლობის გარეშე პირდაპირ რუსეთის სასულიერო უწყებას უქვემდებარებდა, ყოველივე კი, ქართულ ეკლესიას საბოლოოდ ანადგურებდა.

საეგზარქოსოს რეორგანიზაციის საკითხზე სინოდში აზრთა ურთიერთ-განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა. სინოდის წევრები მხოლოდ საეგზარქოსოს გაუქმების მოთხოვნაში იყვნენ ერთსულოვანნი, რადგან მიაჩნდათ, რომ საეგზარქოსო რუსეთის შიდა ეპარქიებისაგან განსხვავებით ერთგვარი პრივილეგიებით სარგებლობდა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლას. დანარჩენ შემთხვევაში, სინოდის წევრებს ორი მოსაზრება გააჩნდათ: ერთნი მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება საჭიროებდა ეპარქიების ხელახალ გადანაწილებას, ხოლო მეორენი კი თვლიდნენ, რომ ამ საკითხის გადაჭრა კიდევ უფრო დაძაბავდა საქართველოში მიმდინარე რთულ მოვლენებს. ამ უკანასკნელ მოსაზრებას სინოდის წევ-

რითა უმრავლესობა იზიარებდა. ისინი საეგზარქოსოს ხელშეუხებლობას ქართული ეკლესიის საკითხისადმი გონივრულ მიდგომად მიიჩნევდნენ (260,808,52;179,2).

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იზიარებდა კავკასიის მეფისნაცვალიც, რომელიც ცდილობდა საეგზარქოსოს არა მარტო უვნებლობის დასაბუთებას, არამედ მას ხელისუფლების მიზნების განხორციელებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევდა (173,3;90,№259,3).

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, სინოდმა კავკასიის მეფისნაცვლის მოსაზრება სწორედ ჩაითვალა, რადგან მას კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე ღრმად ჩახედულ პიროვნებად სთვლიდა, რის გამოც საეგზარქოსოს იურისდიქცია დროებით ძალაში დატოვა (259,2152,7).

სინოდის აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მოწინავე რუსი საზოგადოებრიობის უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ნ. ოგნევი, რომელსაც მთავრობამ მოგვიანებით არასაიმედო პოლიტიკური ორიენტაციის გამო დეპუტატისა და მღვდლის წოდება ჩამოართვა, შენიშნავდა: „უწმინდესმა სინოდმა პოლიტიკა გამოიცვალა, ხელი აიღო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის აკლებაზე. სინოდის პოლიტიკის ამ ცოტად, თუ ბევრად მშვიდობიან გზაზე გადასვლას არ შეიძლება არ მივესალმოთ. ამით რამდენიმე ხნით მაინც გადაიდება გორდიის ამ კვანძის გახსნა, რომელშიც დაიხლართა ურთიერთობა ორს ეკლესიისა — რუსეთისა და საქართველოსი. ყოველ შემთხვევაში აგრესიულ პოლიტიკის შეცვლა მცირე იმედს მაინც იძლევა, რომ ორი ეკლესიის სადაო საკითხი მშვიდობიანად, „საეკლესიო" გზით გადაწყდება" (90,№264,3).

რუსეთის ხელისუფლების აღნიშნული გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო ქვეყანაში მიმდინარე მძლავრი რევოლუციურ-დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებით, რომელმაც თავისი აშკარა გამოვლინება 1905-1907 წლების რევოლუციაში ჰპოვა. მართალია, რევოლუცია ჩახშობილ იქნა და მას მძაფრი რეაქციის ხანაც მოჰყვა, მაგრამ მთავრობა იძულებული ხდება გარკვეულ კომპრომისზე წავიდეს, რადგან მხოლოდ ასეთი მეთოდით იქნებოდა შესაძლებელი უმტკივნეულოდ გადაჭრილიყო საქართველოს რუსიფიკაციის საკითხი, რომელიც საქმის ერთ-ერთი ქვაკუთხედიც სა-

ეგზარქოსის გაუქმება იყო. აღნიშნულ ეტაპზე კი თვითმპყრობელობა ქართველი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობის გამწვავებას უკიდურესად ერიდებოდა.

მართალია, რუსეთის მთავრობამ დროებით შეაჩერა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის ღონისძიება, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მან თავის პოლიტიკურ მიზნებზე ხელი აიღო.

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან თვითმპყრობელობა ხელახლა იწყებს საეკლესიო რეფორმის შემუშავებას, რომლითაც საქართველოს საეგზარქოსოს ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ახალი პროექტით მთელს იმპერიაში უნდა გაზრდილიყო ეპარქიების რაოდენობა, შექმნილიყო განსაკუთრებული სამიტროპოლიტო ოლქები, მათ შორის რუსული სამიტროპოლიტოც (192,245,3).

სინოდის ახალმა პროექტმა რუსი სამღვდელოების ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ამ კუთხით აქტიურობდა ნ. დურნოვო, რომელიც სინოდს არწმუნებდა, რომ ასეთი მეთოდით საბოლოოდ დაიღუპებოდა ქართული და რუსული ეკლესიების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები — „როგორ შეგიძლიათ თქვენ აღადგინოთ კანონიერი საეკლესიო მმართველობა და წყობა ჩვენს უკვე ორსაუკუნოვან პარალიზირებულ ეკლესიაში, — წერდა იგი, — როცა ჩვენ არა თუ პატივს არ ვცემთ, უგულვებელვყოფთ მრავალტანჯულ ეკლესიას საქართველოსას" (263,4651,20).

1916 წელს (263,4651,20;169,№ 55,2) სინოდმა ზემოაღნიშნული პროექტი დაამტკიცა, რომლის საფუძველზეც საქართველოს საეგზარქოსოს ეწოდა კავკასიის მიტროპოლია, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ტერიტორია როსტოვიდან ერზრუმამდე (149,524,3).

სინოდის პროექტის გატარებას მაშინვე შეუდგა ეგზარქოსი პლატონი (1915-1917). მისი განკარგულებით, საეგზარქოსოს ვიკარებს (რუსი ეროვნების მღვდელმთავრებს), გორისა და ალავერდის ეპისკოპოსებს რეზიდენციებად დაუმტკიცდათ გორი და ალავერდი. გორის ეპისკოპოსს დაექვემდებარა 169 სამწყსო, ალავერდისას 133. ქართველი სამღვდელოების თვალის ახვევის მიზნით, საეგზარქოსოში დაარსდა ახალი საეპისკოპოსო კათედრა — დუშეთის, ანუ სამთავროს სახელწოდებით. თავიდან მას ქართველი მღვდელმთავრები განაგებდნენ. მოგვიანებით კი, აქაც რუსი სასულიერო პირები ინიშნებოდ-

ნენ (263,4651,19). როგორც გაზეთი „ბაქო" აღნიშნავდა, სინოდის ახალი საეკლესიო პროექტი, საქართველოს ეკლესიის მიერ 1906 წელს წამოჭრილი საკითხის ლიკვიდაციას ემსახურებოდა (174,1).

კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის დაარსება, საეგზარქოსოს დაშლის მომასწავებელი იყო, რაც ქართველ სასულიერო და საერო პირებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ქართველი საზოგადოება საეგზარქოსოში ჯერ კიდევ ხედავდა თავისი ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებელი ცხოვრების უსუსურ ნიშნებს; საეგზარქოსოს გაუქმება კი, ქართული ეკლესიის ცხოვრებას საბოლოოდ დააკარგვინებდა თავის ეროვნულ სახესა და მნიშვნელობას. (149,№ 524,3).

ქართველი საზოგადოების ხელისუფლებისადმი დაპირისპირებამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ამჯერადაც თვითმპყრობელობამ დათმობაზე წასვლა ამჯობინა და ხელი აიღო თავისი ღონისძიების გატარებაზე, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ ეგზარქოსს დაემატა ახალი ტიტული — „ქართლ-კახეთის მიტროპოლიტი" (263,4651,25,66-67). იმპერიის ხელმძღვანელობის ასეთი კომპრომისული ნაბიჯი ნაკარნახევი იყო თვით რუსეთში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებით, რაც სერიოზულ გამოვლინებას პპოვებდა საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

საეგზარქოსოსა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში გააქტიურდა ქართველი გლეხობა, რომელიც უნდობლობას უცხადებდა რუსული ეკლესიის სარწმუნოებრივ პოლიტიკას და უარს აცხადებდა მის სასარგებლო გადასახადებზე (44,71). ქართველ გლეხს მრავალი სახის საეკლესიო გადასახადთა შორის მძიმე ტვირთად „დრამის" გამოსაღები აწვა. იგი გამოიხატებოდა მარცვლეულის გამოსაღებით სამღვდელოების სასარგებლოდ (272,22481,7-8).

საეგზარქოსოში დრამის ნატურით აკრეფას სამღვდელოება აწარმოებდა, რაც ერთგვარად შეურაცხმყოფელი აქტი იყო სასულიერო პირისათვის და მის ავტორიტეტს ადაბლებდა მრევლის თვალში. მით უმეტეს, რომ ხშირად სამღვდელოება ამ საქმეში მოსახლეობის წინააღმდეგობის შემთხვევაში ადგილობრივ პოლიციასაც იყენებდა, რაც მრევლის უკმაყოფილებას იწვევდა.

დრამის უწესრიგო გადასახადი მრევლსა და სამღვდელოებას შორის სისტემატიურ უთანხმოებას იწვევდა, რის გამოც საეგზარქოსოს

დღის წესრიგში დადგა დრამის გადასახადის წესის შეცვლა, რომელიც ორივე მხარის ინტერესებში უნდა ყოფილიყო (202,3;203,2). ხელისუფლების მოსაზრებით დრამის ნატურალური გამოსაღები ფულადი გადასახადით უნდა შეცვლილიყო, რომელიც სახელმწიფო ხაზინაში შევიდოდა, საიდანაც ის სამღვდელოებაზე ხელფასის სახით უნდა გაცემულიყო. მოგვიანებით, სასულიერო უწყებამ შეცვალა გადაწყვეტილება, მან დრამის ფულადი აკრეფა დროებით შეაჩერა და დააწესა სოფლის საზოგადოებების მაღაზიებში საეკლესიო გადასახადის ნატურის თავმოყრა, საიდანაც პროდუქტი დაწესებულ დროს გაიცემოდა სამღვდელოებაზე (272,22481,9-10;273,26383,1-2). ეს გადაწყვეტილება სოფლის სამღვდელოებას ანთავისუფლებდა „დამამცირებელი მოვალეობისაგან". დრამის გადასახადზე თვალყურისდევნება სინოდმა 1891 წელს მაზრის უფროსებს დაავალა (272,26183,4).

მიუხედავად სასულიერო უწყების ძალისხმევისა, გლეხობის უკიდურესი სიდუხჭირის გამო, დრამის გადასახადი მაინც ვერ იკრიფებოდა, რაც ხშირ უსიამოვნებებს იწვევდა სამღვდელოებას, პოლიციასა და მრევლს შორის. ხშირად გამოსაღებს დაწესებულთან შედარებით დიდი რაოდენობით იღებდნენ, ან პოლიცია თავად ისაკუთრებდა მას, რაც სამღვდელოების უკმაყოფილებას იწვევდა. აღნიშნული ვითარება საეგზარქოსოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რის გამოც ეგზარქოსის გადაწყვეტილებით (1905 წ.21.11) სამღვდელოებას გამოსაღების აკრეფაში მონაწილეობის მიღება აეკრძალა (272,26383,3).

საეგზარქოსოს ხელისუფლება, არად დაუდევდა ქართველი სამღვდელოების ტრადიციული მატერიალური სახსრების მოსპობას, მათ გაჭირვებას და ქართველი გლეხის მძიმე ცხოვრებას. სასულიერო ხელისუფლების ღონისძიებებით შევიწროებული ქართველი სამღვდელოება მისთვის შეუფერებელ საქმიანობას მისდევდა და ქართველ გლეხში სიძულვილს იწვევდა; რომლის გამოვლინებაც ამ უკანასკნელთა მხრიდან საეკლესიო ცხოვრების უარყოფა იყო. დროთა ვითარებაში, სამღვდელოების მანკიერი ქმედებანი სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა; ხშირი იყო მრევლსა და სასულიერო პირს შორის საეკლესიო წესების შესრულებისათვის გაჩაღებული დავა-კამათი და ვაჭრობა (247); ყალბი, თვითმარქვია მღვდლები დაიარებოდნენ ქარ-

თულ სოფლებში და საეკლესიო გადასახადს კრეფდნენ (50,77), ითვალისწინებდნენ ეკლესიის მთელი კრებულის მოვალეობას საეკლესიო გამოსაღების ვალდებულებაზე და მათ ხელფასებს მთლიანად ითვისებდნენ. ისე, რომ უსახსროდ დარჩენილი, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი, გადაგვარების გზაზე დამდგარი სამღვდელოების ერთი ნაწილი ღვთის სახელით უმოწყალოდ ძარცვავდა მრევლს (272,21775,38:240).

თვითმპყრობელობისა და მისი სასულიერო უწყების ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობდა და აჩქარებდა ქართველი სამღვდელოების გადაგვარებას, მათ მშობლიური ეკლესიიდან ჩამოცილებას. მთავრობა იმედოვნებდა, რომ მძიმე მატერიალურ ყოფაში ჩავარდნილი ქართველი სამღვდელოება ველარ მოიცლიდა ეროვნული ინტერესებისათვის საბრძოლველად და ჩამოსცილდებოდა ქვეყანაში მიმდინარე სახალხო დემოკრატიულ მოძრაობას.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური ვითარებით გამოწვეულმა რეაქციის პერიოდებმა, შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს საქართველოში მიმდინარე სახალხო დემოკრატიულ მოძრაობას. თავის მხრივ საეგზარქოსოს ხელისუფლებაც ცდილობს ადგილობრივ მოსახლეობაში კლერიკალური იდეოლოგიის განმტკიცებას. დღითი-დღე მრავლდებოდა შავრაზმული საეკლესიო ორგანიზაციები, საზოგადოებები, რელიგიური კავშირები, საძმოები და სხვ. მათი მიზანი იყო მრევლში რუსული ორიენტაციის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი დონის ამაღლება. საამისოდ კი, საეგზარქოსო აქტიურებს მრევლში საუბარ-ქადაგებებს, რომელსაც უაღრესად განათლებული, მჭერმეტყველებითა და საუბრის მაღალი კულტურით გამორჩეული მღვდელმთავრები ატარებდნენ (122,14).

რელიგიურ-მონარქისტული ძმობები, საზოგადოებები და კავშირები აქტიურად ეწეოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციას. მათ გახსნეს თავიანთი დაწყებითი სკოლები, სისტემატიურად სცემდნენ რელიგიური შინაარსის ლიტერატურას, ატარებდნენ მოსახლეობაში საუბარ-ქადაგებებს და სხვ. მათ ადგილობრივი ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევდა. მიუხედავად გულმოდგინე მოღვაწეობისა, ისინი მოსახლეობის უნდობლობასა და სიძულვილს იწვევდნენ, რომელთაც „ქრისტეს სახელის ჟანდარმებად" და „ბნელ ინკვიზიტო-

რებად" მოიხსენიებდნენ, ხოლო ქართველი სამღვდელოება მათ პოლიციის მზვერაებს უწოდებდა (55,20).

საეგზარქოსოს მონარქისტულ-რელიგიურმა ორგანიზაციებმა თვითმპყრობელობის მიზნები ვერ განახორციელეს. საზოგადოებათა წევრები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად მათი მცდელობისა მრევლი მაინც გულგრილი რჩებოდა რელიგიური ქადაგებებისა და საუბრების მიმართ (272,21775,10-11;122,13-14;204,3;252,9-11).

საეგზარქოსოს პოლიტიკის მოსახლეობაში გატარების საქმეს კარგად უძღვებოდა ადგილობრივი პრესა. მრევლში რელიგიური ცოდნის განმტკიცების მიზნით, საეგზარქოსო სისტემატიურად სცემდა სხვადასხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს: „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე" (1891-1906 წწ.), „მწყემსი" (1883-1910 წწ.), „სასულიერო მახარობელი" და სხვ. რომლებიც დიდი ტირაჟით გამოდიოდა ქართულ და რუსულ ენებზე საეკლესიო პერიოდულ გამოცემათა რედაქტორებად ისინი ხდებოდნენ რეაქციონერი სასულიერო პირები. რეაქციულობითა და ანტიქართული მიმართულებით გამოირჩეოდა „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბე", რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის ბაზაზე გამოდიოდა. ანტიქართული საქმიანობით გამოირჩეოდნენ არქიმანდრიტი ტიხონი, სერაფიმი, პროკოფსკი, ვოსტორგოვი და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს საეგზარქოსო აქტიურად უჭერს მხარს რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკას. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა საეგზარქოსოს საქმიანობა რუსეთ-იაპონიისა და პირველ მსოფლიო ომების პერიოდში.

ომიანობის დროს, საეგზარქოსო მოსახლეობაში დიდ მუშაობას ეწეოდა. იგი ცდილობდა თვითმპყრობელობის სასარგებლოდ აეხსნა ომის დაწყების, მასში რუსეთის მონაწილეობისა და ომით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მიზეზები (50,128).

თვითმპყრობელობის საგარეო პოლიტიკისადმი თანადგომას იმპერიის სასულიერო უწყება ომისათვის წინასწარი მზადებითაც გამოხატავდა. სინოდი აქტიურ მუშაობას ეწეოდა სამხედრო ნაწილებში; დგებოდა სასულიერო პირთა მობილიზაციის გეგმები საზღვაო ფლოტსა და ჰოსპიტლებში მუშაობისათვის. სათანადო ყურადღება ეთმობოდა იმპერიის ეკლესია-მონასტრებში დაცული ძვირფასეულობის

ეკლესიის საკითხებს ფრონტისპირა რეგიონებიდან (50,159), რომელთა რიცხვშიც საქართველოს საეგზარქოსოც ითვლებოდა.

აღნიშნული პერიოდი განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნიდა ქართული კულტურის ძეგლებს. საეგზარქოსოს ხელისუფალთა დანაშაულებრივი ქმედების გამო უკიდურესად იძარცვებოდა ქართული ეკლესიის ქონება: ომიანობის წლებში, საქართველომ მრავალი საეკლესიო, თუ ისტორიული ღირებულების უნიკალური ნივთი დაკარგა. ასეთი ფართომასშტაბიანი ღონისძიების წინააღმდეგ მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ მთელი ძალისხმევით გაილაშქრა, რომელსაც მხარში ამოუდგა არქეოლოგიური კომისია და მთავრობისაგან მხატვრული და ისტორიული ღირებულების ძვირფასი ნივთების დაცვა მოითხოვა (273,59403,2).

ამრიგად, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებისთანავე, ქართული ეკლესია გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოში შექმნილი ახალი საეკლესიო ორგანიზაცია ქართველი ხალხის ეროვნულობის მოშლისა და მის მრავალეროვან იმპერიაში ასიმილაციას ემსახურებოდა. რუსული სახელმწიფოსა და ეკლესიის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე შეკავშირებული მძლავრი ძალა, კავკასიაში თვითმპყრობელურ-კოლონისტური და სარწმუნოებრივი პოლიტიკის დამკვიდრება-განმტკიცებას ლამობდა. XIX-XX საუკუნეების მიჯნიდან, საქართველოს საეგზარქოსო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რეალურად გაბატონოს რუსული მართლმადიდებლური ეკლესია კავკასიაში.

საქართველოს საეგზარქოსოს მნიშვნელოვანი ადგილი და როლი ენიჭებოდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სასულიერო სისტემაში, რომელიც განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდებოდა.

რადგან ისტორიულად რუსული მართლმადიდებლური ეკლესია თვითმპყრობელობის აპარატთან მყარი პოლიტიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ქსელებით იყო დაკავშირებული, უდავოა, საქართველოს ათვისება-შემომტკიცების საქმეში ქრისტიანულ სარწმუნოებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა და ძლიერი დასაყრდენი ძალა იყო ხალხთა მასებზე ზემოქმედებისათვის. აქედან

გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ საქართველოს საეგზარქოსოს იმპერიის სასულიერო სისტემაში თვითმპყრობელობის პოლიტიკური მიმნების საქმეში იდეოლოგიური საფუძვლის მომზადება ევალებოდა.

საქართველოს საეგზარქოსოს XX საუკუნის დასაწყისის მოღვაწეობა აშკარა დასაბუთებაა მისი მეცადინეობისა ცარიზმის პოლიტიკური ინტერესების დაცვისათვის კავკასიაში. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველოს მოსახლეობის თვალში გაემართლებინა თვითმპყრობელური სისტემის არსებობა; მთელი ძალისხმევით ქადაგებდა რუსეთის იმპერატორის ერთმპყრობელობასა და გასაქიამბლერულ მონარქიობას. რუსეთის სასულიერო უწყებას, ქართველი ქვლქსია თავისებურ მონარქისტულ კათედრად უნდა ექცია, საიდანაც რუსული სამღვდელოება თვითმპყრობელობის პოლიტიკის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდას გასწევედა. აღნიშნულის განხორციელებაში, აქტიურად იყო ჩართული საეკლესიო უწყების ყველა დაწესებულება. ისახებოდა რიგი ღონისძიებები საქართველოს მოსახლეობის იმპერიასთან შერწყმისათვის და ცარიზმის პოლიტიკის განმტკიცებისათვის ასათვისებელ რეგიონში.

საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლება და მის მიერ დაარსებული მრავალრიცხოვანი რელიგიური ორგანიზაციები მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ საქართველოში ცარიზმის სასულიერო პოლიტიკის მიზნების განხორციელებისათვის ცხოვრებაში, იარაღდებოდნენ რელიგიური ქადაგებებით და თავიანთი მოღვაწეობით ცდილობდნენ ქართველი ერის სიყვარულისა და პატრიოტიზმის მოპოვებას, რაც საფუძველს შეუქმნიდა საქართველოს იმპერიაში პოლიტიკური შერწყმის აბსოლუტურ გამარჯვებას. ასეთი პოლიტიკით, ქართული ეკლესია თანდათანობით ჰკარგავდა თავის ეროვნულ სახეს და ობიექტურად ხელს უწყობდა თვითმპყრობელობის რეჟიმის განმტკიცების საქმეს საქართველოში.

ცარიზმის მიერ საქართველოს საეგზარქოსოზე დაკისრებული ამოცანა ითვალისწინებდა ქართული ეკლესიის რეფორმის დაგეგმვას, რომლის ძალითაც ეს უკანასკნელი რუსული ბიუროკრატიული აპარატის დაქვემდებარებულ პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ მხარედ იქცეოდა.

ქართული ეკლესიის რუსული ეკლესიისადმი ეკონომიკურ დამოკიდებულებას დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა ჰქონდა. რის გამოც ცარიზმი XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული ეკლესიის ახალი ძალით დამორჩილებას ცდილობდა. ქართული საეკლესიო რეფორმის გამარჯვებას რუსეთის სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის ზრდა უნდა მოჰყოლოდა. ყოველივე კი, ეროვნული ეკლესიის ეკონომიკურ დაუძლურებას იწვევდა და მას იმპერიის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ქვაკუთხედად აქცევდა.

საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციულმა, ანტიხალხურმა პოლიტიკამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეზე და ცარიზმის რეჟიმისა და რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული სოციალური ხასიათის მღელვარებანი მჭიდროდ დაუკავშირა საერთო სახალხო დემოკრატიულ მოძრაობას, მას მეტი სიმკვეთრე და შეურიგებლობა მიანიჭა.

კარი მეორე

# საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში და საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წწ.

## თავი პირველი

### საქართველოს საეგზარქოსო 1900-1904 წწ.

XIX საუკუნეში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენებმა ძირეულად შეცვალეს საქართველოს შემდგომი განვითარების გზა, რამაც გამოიწვია ფეოდალური მეურნეობიდან მისი ბურჟუაზიულ ურთიერთობაზე გადასვლა. ყოველივე გამოიხატა სასაქონლო წარმოების განვითარებაში, სოციალურ ფენათა კლასობრივი დიფერენციაციის სიღრმით მიმდინარეობაში, ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში, მუშათა კლასის შექმნაში, კლასობრივი ბრძოლის ჩვეულებრივზე მეტად გამწვავებაში და ა. შ.

XIX საუკუნის მიწურული ხასიათდება ქართველი საზოგადოებრიობის ყველა ფენის აქტიური ბრძოლის პოლიტიკურ-სოციალური უფლებების მოპოვებისათვის. ამ პერიოდში, მუშათა მოძრაობებმა აშკარად გამოხატული პოლიტიკური ელფერი მიიღო. მათი ეკონომიკური ბრძოლა შეიცვალა პოლიტიკური გაფიცვებით, რომელთა დევიზიც თვითმპყრობელობის დამხობა იყო. მუშათა მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. ისინი აქტიურ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდნენ სოფლად და გლეხობას აქტიური ერთობლივი შეტევისათვის ამზადებდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ყოველივემ კი ყველა პირობა შექმნა XX საუკუნის დასაწყისის გლეხთა მასიური მოძრაობისათვის საქართველოში (113, 260).

ცარიზმის მიერ გატარებული კოლონიური, საეკლესიო, თუ ეკონომიკური ღონისძიებები უპირისპირდებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ ძალთა აღმავლობისა და კონსოლიდაციის იმ ღრმა სოციალ-ეკონომიკურ პროცესს, რომელიც თავის უშუალო გამოხატულებას საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში პოულობდა. ამ ბუნებრივ ისტორიული პროცესისადმი თვითმპყრობელობის დაპირისპირება კო-

ლეე უფრო ამწვავებდა საქართველოში ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობას, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ხელისუფლების ბატონობას მთლიანად კავკასიაში (11, 17).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თვითმპყრობელობამ „განაპირა მხარეებში" თავისი პოლიტიკის განმტკიცებისა და დემოკრატიულ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მართლმადიდებლურ ეკლესიას ადგილობრივ მოსახლეობაში თვითმპყრობელობისადმი ერთგულება უნდა ექადაგა და იმპერიის ეს განაპირა მხარე მტკიცედ შეეკავშირებინა მეტროპოლიასთან. ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე რუსეთის სასულიერო უწყებამ საქართველოს საეგზარქოსოს დააკისრა, რომლის მოღვაწეობას მოსახლეობის ფართო მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთი ძლიერი და ქმედითი ფუნქცია უნდა შეესრულებინა

საქართველოს საეგზარქოსოს მიერ გატარებული ღონისძიებები დიდ გავლენას ახდენდნენ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეზე. საეგზარქოსოსა და თვითმპყრობელობის მჭიდრო თანამშრომლობამ, მათი ინტერესების ერთიანობამ და ფარულმა თუ აშკარა ბრძოლამ ქართველი ერის წინააღმდეგ გამოააშკარავა საეგზარქოსოს დანიშნულება და ქართველებს მისი ნამდვილი სახე დაანახვა.

საეგზარქოსოს რეაქციული ბუნება მკაფიოდ გამოვლინდა 1900-1904 წლების საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში, როდესაც ცარიზმის ექსპლუატატორული რეჟიმისა და რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული სოციალური ხასიათის მღელვარება მჭიდროდ დაუკავშირდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, გადააქცია იგი საერთო ხასიათის დემოკრატიულ მოძრაობად და მას მეტი სიმკვეთრე და შეურიგებლობა მიანიჭა. ასეთ ვითარებაში, ქართველი ერის ბრძოლა რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ ითვალისწინებდა ბრძოლას რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის სახელმწიფოსთან ერთობლივი მოქმედება ქართულ ეროვნულ საქმეს უდიდეს საფრთხეს უქმნიდა და მის გადაგვარებას მოასწავებდა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში გლეხთა მოძრაო-

ბამ მწვავე ხასიათი მიიღო. მათ აუტანელ ყოფას უკიდურესად ამძიმებდა სამღვდელოების სასარგებლო სავალდებულო „დრამის" გამოღება და სანადელო მიწებით სარგებლობისათვის მემამულეებზე მოსავლის 1/4-ის გაცემა. ყოველივეს დაერთო 1902-1903 წლების დიდი მოუსავლიანობა, რამაც მარცვლეულის ფასი ორჯერ გაზარდა. ამ მდგომარეობით შეწუხებული გლეხობა სასულიერო ხელისუფლებისაგან სამღვდელოებისათვის ნატურის მაგიერ ფულადი გამოსაღების დაწესებას ითხოვდა (273, 48101, 21-22). აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად თბილისის გუბერნიის სამღვდელოებამ 1900 წელს განსაკუთრებული 14 კაციანი კომისია შეადგინა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საეკლესიო გადასახადთა აკრეფის ახალი ფორმა და მეთოდები. ამავე მიზნით შეიქმნა დუშეთისა (166, № 2394, 3) და გორის (272, 22353, 2) მაზრების სამღვდელოთა კომისიებიც, მაგრამ მათ ვერ გაართვეს თავი დასახულ ამოცანას და დაიშალნენ (163, 2).

„დრამის" გადასახადი სერიოზული უთანხმოების მიზეზი იყო სამღვდელოებასა და მრევლს შორის და რადგან გლეხს ხშირად გადასახდელი თანხა არ გააჩნდა მის უკმაყოფილებას იწვევდა სამღვდელოების მხრიდან გადასახადის პროდუქტით აკრეფა, რომელშიც ეს უკანასკნელი გაძვირებულ ფასებს აწესებდა. შექმნილ ვითარებაზე ყურადღება გაამახვილა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელმა თავადმა გოლიცინმა და იმპერატორისადმი მიმართვებში ითხოვდა „დრამის" გადასახადის შეწყვეტას და სამღვდელოების სახელმწიფო ხაზინიდან ხელფასით უზრუნველყოფას (258, 561, 6). თვითმპყრობელობის ერთ-ერთი მთავარი მიზანიც ამ უკანასკნელის განხორციელება იყო, რაც სამღვდელოებას მთლიანად დამოკიდებულს ხდიდა ხელისუფლებაზე (272, 26377, 87).

1902 წლის ზაფხულიდან საგლეხო გამოსვლებმა საქართველოში მწვავე ხასიათი მიიღო, როდესაც მათ პროტესტი გამოთქვეს საეკლესიო გადასახადებზე მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ სასულიერო წოდებას ჯამაგირი დაუნიშნა თავისი ხაზინიდან. ამის გამო, მოსახლეობა გადასახადის გაუქმების ბრძანების პრაქტიკულ განხორციელებას ითხოვდა საეგზარქოსოს ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობისაგან (59, 250; 183, 4-6; 100, № 275, 1).

საეგზარქოსოს გადაწყვეტილებათა სიყალბემ მოსახლეობის სარ-

წმუნოებრივი მოვალეობებისა და საერთოდ ეკლესიისადმი გულგრილი დამოკიდებულება გამოიწვია. ამბოხებული გლეხობა არბევდა ეკლესია-მონასტრებს; თვითნებურად ერეოდა საეკლესიო საქმეებში; ჰყიდდა სანთელს, იტაცებდა სამღვდელოების პურეულ მარაგს, სწვავდა მათ სახლ-კარს, სდევნიდა მათ სოფლებიდან და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა; ხშირი იყო სასულიერო პირის მკვლელობის ფაქტებიც (272, 25522, 95).

მოსახლეობის დაპირისპირება სასულიერო ფენასთან, ყველაზე მეტად ამ უკანასკნელს აზარალებდა. სამღვდელოება თვეების მანძილზე ვერ იღებდა ოჯახის სარჩენ, სახელმწიფო ხაზინიდან გამოყოფილ კუთვნილ ხელფასს (101, № 85, 3; 102, № 205, 2). გაზეთი „ივერია": „... ისეთივე ღატაკია ჩვენი სამღვდელოება, როგორც თვით ჩვენი ხალხი... ბევრჯერ იმდენი არ ემოვება, რომ გაზეთი, წიგნი გამოიწეროს და მიღებული სწავლა არ გააპაროს. გარდა თავისი მოვალეობისა უნდა იშრომოს და ისე გამოვიდეს ქვეყნად იოლად, გაზარდოს შვილები..." (102, № 113, 2).

სასულიერო პირებს ხშირად უხდებოდათ „კოდის პურის" ასაღებად სოფლებში სიარული. სამღვდელოების გამოსაღებში მონაწილეობამ, სისტემატიურმა დავა-კამათმა, მრევლში მისდამი მტრობა, სიძულვილი და შურისგება დათესა, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა ზოგიერთი სასულიერო პირის უკიდურესად თავაშვებული და უკანონო საქციელი (101, № 147, 2). მოსახლეობიდან იძულებით აღებული გამოსაღები ხშირ შემთხვევაში უხარისხო იყო, (50, 76), რაც სამღვდელოებას აიძულებდა ხელმეორედ აეკრიფა გადასახადი. ყოველივე კი, მოსახლეობის უდიდეს უკმაყოფილებას იწვევდა (101, № 85, 3).

როგორც უკვე აღინიშნა, XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში საგრძნობლად შეიმჩნევა პროლეტარიატის შემდგომი ზრდა, მისი აქტიური მონაწილეობა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამაც იგი საქართველოში მიმდინარე საერთო დემოკრატიული მოძრაობის ფერხულში ჩააყენა. რევოლუციურ მიმდინარეობათა წარმომადგენლები ამკარად გამოდიოდნენ თვითმპყრობელობა-ეკლესიის ერთობლივი, ანტიქართული მოღვაწეობის წინააღმდეგ და მოსახლეობაში მათ საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწე-

ოდნენ (197, 2-3; 18, 232-233). რევოლუციური ხასიათის პროპაგანდამ კეთილმყოფელი ნიადაგი ნახა ამ პერიოდისათვის გლეხობის გამწვავებულ დამოკიდებულებაში სასულიერო ფენისა და მემამულეებისადმი. ამ მხრივ, აღსანიშნავია, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების 1902-1904 წლების აგრარულ-რევოლუციური ხასიათის მოძრაობები (258, 561, 6). რევოლუციონერთა უშუალო მეცადინეობით, გლეხობა უარს აცხადებდა საეგზარქოსოს ღონისძიებათა შესრულებაზე. ამის შესანიშნავი დასტურია გორის მაზრის გლეხთა საპროტესტო გამოსვლები საეკლესიო გადასახადების მიმართ.

საგლეხო გამოსვლებში აქტიურად მონაწილეობდა სამღვდელოების ერთი ნაწილიც, რომელიც რევოლუციურ მოძრაობას საერთო დემოკრატიულ მოძრაობას უკავშირებდა და მოსახლეობას თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა (5,5). ისინი სისტემატიურად ესწრებოდნენ რევოლუციონერთა შეკრებებს და სასულიერო უწყების უნებართვოდ ხანგრძლივი დროით ტოვებდნენ სამწყსოებს. საეგზარქოსოს ხელისუფლება მთავრობისაგან ასეთ პირებზე მკაცრი კონტროლის დაწესებას ითხოვდა (273, 46858, 1). რუსული საეკლესიო პოლიტიკის წყალობით ეროვნულობას მოკლებულ საეკლესიო ცხოვრებას ქართველი ერი უგულებელყოფდა, უარს აცხადებდა საუკუნეების მანძილზე მოვალეობად ქცეულ ეკლესია-მონასტრების შეკეთება-მშენებლობის სამუშაოებში მონაწილეობაზე, რაც მათ თვითმპყრობელური რეჟიმის ხანაში უკიდურესად მძიმე ბეგარად ეწვათ (165, № 2180, 2). თითოეული ეკლესიის შეკეთება 1000-1500 მანეთს საჭიროებდა, საიდანაც თითოეულ მოსახლეზე 10-15 მანეთი მოდიოდა, ხოლო ახლის აგება კი, სულიდან 20-25 მანეთ ხარჯს ითხოვდა (272, 26363, 1). ეკლესიისადმი მრევლის გულგრილი დამოკიდებულებით აღშფოთებული ხელისუფლება აცხადებდა: „დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ქართველ მრევლის ეკლესიას გარეშე დახმარება არ ექნება, ისინი სულ მალე დაიხურებიან. და თუ ეკლესიები შენდება და მიმდინარეობს მათი შეკეთება, უმეტეს შემთხვევაში სხვისი ხარჯებით, ან კიდევ ნაჩუქარი მასალით და მრევლის განთავისუფლებით საზოგადო ვალდებულებებისა და გადასახადებისაგან“ (51, 6).

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ, ყოველივე ეროვნულის დევნამ და ქართული ეკლესიის მოსპობის მცდელობამ, ქართველ სამღვდელოებაში უკიდურესი კრიზისი გამოიწვია. რუსული საეკლესიო პოლიტიკით გაგულისებულ სამღვდელოების ერთ ნაწილში გაჩნდა ეკლესიისადმი გულგრილი დამოკიდებულების ტენდენცია, ისინი უარს აცხადებდნენ საეკლესიო სამსახურზე (272, 21775, 28-30). სასულიერო ფენის მცირე ნაწილში კი თავს იჩენდა უკიდურესი მანკიერი გამოვლინებანი. მაგალითად, ჯვრისწერისას მღვდლები ეკლესიებში ვაჭრობდნენ; გასამრჯელოს გარეშე მიცვალებულის ზიარებაზე უარს აცხადებდნენ (247); ნათელმხილველობდნენ, მკითხაობდნენ, შეცოდება-ჯადოს ამზადებდნენ, მოსახლეობაში ცრურწმენას ნერგავდნენ და ყოველივეს შემოსავლის წყაროდ ხდიდნენ. მევახშეობისა და ვაჭრობის საქმის მიდევნით, სასულიერო ფენა მატერიალურად კიდევ (102, № 113, 2) უფრო უახლოვდებოდა გლეხობას და მასში პატივისცემასა და ნდობას კარგავდა. ხშირი იყო სასულიერო პირთა შორის უთანხმოებანი გასამრჯელოს მიზეზით. მაგალითად, სიღნაღის მაზრის სასამართლო პროცესზე მოწმის დაფიცება ზოგჯერ ერთი და იგივე მღვდელს უწევდა, რაც მეორის უკმაყოფილებას იწვევდა და მათ შორის დავის საგანი ხდებოდა (165, № 2133, 3).

პროგრესულად მოაზროვნე ქართველ სამღვდელოებას აწუხებდა მრევლთან ტრადიციული კეთილმეგობრული ურთიერთობების დარღვევის საკითხი. როგორც გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „...მღვდელს ხალხი სულიერ მამად და წინამძღოლად კი არ სთვლიდა, არამედ თითქოს მძარცველად და შემავიწროვებლად...“ (165, № 134, 2).

ქართველი სამღვდელოება ხედავდა ერის ეკლესიისაგან განდგომისა და სასულიერო ფენის კრიზისის ნამდვილ მიზეზებს. სამღვდელოებას კარგად უწყოდა ქართველი სულიერი მამების ისტორიული მისია და ხალხში ნდობის დაკარგვის სერიოზულ მიზეზად თავიანთი მამაპაპეული ეროვნული საეკლესიო ცხოვრების მოსპობას მიიჩნევდა (123, 3). გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსისა და მისი საკრებულოს აღნიშვნებით, მრევლის ეკლესიისადმი გაუცხო-

ეების მიზეზი არამშობლიური წირვის ენა იყო (234, № 41, 1308). იგივე მიზეზს ასახელებდა თელავის მაზრის დეკანოზი ნიკოლოზ ხუციშვილი, რაც გამოიხატებოდა ადგილობრივი გლეხობის მიერ სამრევლო სკოლების უარყოფით (272, 21775, 10).

ქართველ სასულიერო ფენის კრიზისს გრძნობდა ქართველთა საერო ნაწილიც. ამ მხრივ საგულისხმოა სამეგრელოს დიდებულის სალომე დადიანის 1902 წლის 18 მარტის წერილი საქართველოს ეგზარქოსისადმი, სადაც აღნიშნულია სასულიერო პირთა თავაშვებულობა მთლიანად გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. დადიანი ეგზარქოსისაგან ასეთი პირთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას ითხოვდა მათი დაკავებული თანამდებობებიდან (272, 26372, 18-19).

მიიჩნევდა, რა თვითმპყრობელობა ქართველი სამღვდელოების მატერიალური პირობების გაუმჯობესების საკითხს მოსახლეობის დამშვიდებისა და მასში დემოკრატიული მოძრაობის შეწყვეტის ერთ-ერთ მძლავრ პირობად, 1903 წელს საეგზარქოსოს სოფლის სამღვდელოებას დახმარების სახით გამოუყო 500 000 მანეთი (231, 55-57). ასეთ შემთხვევებში, ხშირი იყო საეგზარქოსოს მუშაკთა არაკანონიური ქმედებები სასულიერო პირებისადმი, რის შედეგადაც მათი უმრავლესობა თანხების არასწორი განაწილების გამო ნაწილობრივ, ან კიდევ სრულიად დაუკმაყოფილებელი რჩებოდა, რის გამოც ისინი ხშირად დახმარებისათვის სინოდის ობერპროკურორსაც კი მიმართავდნენ (231, 55-57).

იმავდროულად, საეგზარქოსომ ყურადღება გაამახვილა სამღვდელოების პენსიებით უზრუნველყოფის საქმეზეც. სასულიერო უწყება, სამღვდელოების პენსიებით დაკმაყოფილებისათვის მათ ხელფასიდან 2 % უქვითავდა. პენსიების მიღების უფლება ეძლეოდათ მხოლოდ შტატიან სასულიერო პირთ, ხოლო მათი სიკვდილის შემდეგ კი, მათ ოჯახებს. სრული პენსია ენიშნებოდათ 35 წლიანი სტაჟის მქონე მღვდლებს, ხოლო 20-30 წლის მუშაობის შემთხვევაში პენსიის მხოლოდ 1/3. პენსიები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: საკათედრო დეკანოზს წლიურად — 500 მანეთი, ქალაქისა და სოფლის მღვდელს — 300 მანეთი, მედავითნეს — 100 მანეთი (164, № 1848, 3).

სამღვდელოების მატერიალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, XX საუკუნის დასაწყისიდან მთელს რუსეთის იმპერიაში დაიწ-

ყო საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობის აღმავლობის მძაფრი პროცესი. მასიური სახე მიიღო სამონასტრო ნამუშევარისა გამოფენა-გაყიდვითმა ღონისძიებებმა. ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად იწვევდნენ იმპერიის ყველა საეპარქიოს სამღვდელოებას (272, 22312, 1-3). ასეთი სახის ღონისძიებები ემსახურებოდა მოსახლეობის მიერ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგების ათვისებული ცოდნა-გამოცდილების გაზიარებას სასულიერო ფენასთან (272, 22297, 1).

საქართველოს საეგზარქოსოს სამღვდელოება აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამონასტრო მეურნეობის გამოცოცხლებისადმი მიმართულ ძალისხმევაში, მით უფრო, რომ ქართულ საეკლესიო ცხოვრებას ამ საქმის ტრადიციულად უდიდესი და უძველესი გამოცდილება ჰქონდა. ქართველი სამღვდელოება თავისი სულიერი და ფიზიკური ხსნის გზას ამ საქმის განვითარებაშიც ხედავდა. საამისოდ, ყოველწლიურად სამეურნეო სასწავლებლებში სათანადო ცოდნის შესაძენად თითოეული მონასტრიდან ერთი ბერი, ან მორჩილი ძმა იგზავნებოდა (101, № 86, 2).

სამონასტრო მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის საქართველოში იხსნებოდა სამეურნეო სასწავლებლები, აღმოსავლეთ საქართველოში – ი. პ. როსტომაშვილის, ხოლო დასავლეთ საქართველოში – რ. ნ. ჩიხლაძის თაოსნობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამღვდელოების დაინტერესება მეფუტკრეობითა და მეღვინეობით. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგი, იმ დროის ცნობილი მეფუტკრე რ. ნ. ჩიხლაძე აღნიშნავდა: „...ჩვენ მართლმადიდებელ ეკლესიებს არ შეშვენის და არც ხელს მისცემს ცვილის ყიდვა, რომელიც წარმოუდგენლად ძვირია. რუსეთში ბევრმა ეპარქიამ უკვე დაარსა საეკლესიო საფუტკრეები, ისინი ყველგან გამართულია მღვდლებისაგან სამრევლოებში, ყოველ ეკლესიასთან. ძმობის, ანუ ეკლესიის საშუალებით და საეკლესიო ან საკრებულო ადგილებში, რომ თვითონ თავისი ცვილით ამზადონ სანთლის ქარხანაში წმინდა სანთელი, რადგან ამ უკანასკნელის ფასი თანდათან მატულობს" (124, № 10, 3-5).

ეკლესია-მონასტრებთან მეღვინეობის განვითარების ნებართვა ქართველმა სამღვდელოებამ იმპერიის მიწათმოქმედების დეპარტა-

მენტისაგან ითხოვა. გაითვალისწინა რა, დეპარტამენტმა კავკასიის ისტორიული ინტერესი ლეინის წარმოებისადმი, ნება დართო სამღვდელოებას საეგზარქოსოსთან შეექმნა სპეციალური კომისია, რომელიც ამ საქმეს გაუძღვებოდა. 1902 წელს დაინიშნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვ. ა. სტაროსელსკი, პ. ი. ყიფიანი, გ. გ. გოგოლიანოვსკი, ს. რ. ვახვახიშვილი, გ. ალიბეგოვი, ნ. ვ. დიკენსონი (164, № 1850, 2).

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს ეკლესია-მონასტრების ძარცვის სისტემატიურმა ხასიათმა კიდევ უფრო გაამძაფრა ქვეყანაში მიმდინარე საეკლესიო კრიზისი. საეგზარქოსოს პოლიტიკას დაპირისპირებული მოსახლეობა სოციალ- დემოკრატიული პარტიის პროპაგანდის ზეგავლენით ეკლესია-მონასტრებიდან იტაცებდა საეკლესიო თანხებსა და ინვენტარს და ა. შ. ყოველივე კი, საეგზარქოსოს ხელისუფალთა უკიდურეს აღშფოთებას იწვევდა. ისინი, ყველა ძალისხმევით ცდილობდნენ იმპერიის კუთვნილ ქართული საეკლესიო ქონების დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების დასახვას. ეგზარქოს ფლაბიანეს (1898-1901) მოთხოვნით, კავკასიის მეფისნაცვალმა ეკლესია-მონასტერთა დასაცავად სპეციალური ქვეგანაყოფები შექმნა (272, 22370, 35). მათი ხელფასებით უზრუნველყოფა კი „კავკასიაში მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმდგენელმა საზოგადოებამ" ითავა (272, 21776, 12). მიუხედავად ხელისუფლების დიდი მცდელობისა, მოსახლეობის ანტისამთავრობო დამოკიდებულების ზრდასთან ერთად, მასიური სახე მიეცა საეკლესიო ქონების დატაცების შემთხვევებს (102, № 188, 2; 164, 1835, 1-2). საეგზარქოსოს ხელისუფლება კი მთავრობისაგან სასწრაფო და გადამჭრელი ზომების მიღებას ითხოვდა (101, № 11, 9-10). 900-იანი წლებიდან სასულიერო ხელისუფლებამ შეცვალა დაპირისპირებულ მხარეთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი და ზემოაღნიშნული შემთხვევები თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ქართული საეკლესიო ქონების „დაცვის" მიზნით, სინოდმა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე პარასკევა უვაროვა 1901 წელს საქართველოში მიავლინა ქართული საეკლესიო ქონების მდგომარეობის შესასწავლად. მას ევალებოდა საქართველოს სხვადასხვა საეპარქიოებში გაბნეული ხატ-

ბის, კედლის ფრესკების, სასულიერო ლიტერატურის, მინიატურებისა და სხვათა გულდასმითი შესწავლა და აღნუსხვა (272, 22364, 2). საქართველოს ეგზარქოსს სინოდის დავალების შესასრულებლად უვაროვასათვის ყოველგვარი პირობები უნდა შეექმნა (272, 26381, 1).

სათანადო სამუშაოების ჩატარებისა და მოძიებული მასალის შესწავლის შემდეგ, უვაროვამ ეგზარქოსს ანგარიში წარუდგინა (273, 46852, 1-2). ანგარიში იუწყებოდა, რომ საეგზარქოსოში შემავალ საეკლესიო ქონებას ქართველი მოსახლეობა ანადგურებდა, რის მიმართაც ადგილობრივი სასულიერო ფენა გულგრილობას იჩენდა და ხშირ შემთხვევაში მას ვაჭრობის საგნადაც კი ხდიდა. მაგალითისათვის უვაროვას მოჰყავს მარტვილის მონასტერში აღმოჩენილი ბიზანტიური ოქროში შესრულებული ხატი, რომელიც ქართველ ბერებს პეტერბურგის კოლექციონერ მ. პ. ბოტკინისათვის მიუყიდიათ. ანგარიშში მოხსენიებულია სვანეთში აღმოჩენილი ძველი საეკლესიო საბუთები, სიგელ-გუჯრები და ხელნაწერები.

ქართული საეკლესიო ქონების მითვისების საქმეში რუსეთის ხელისუფლება უდიდეს სიფრთხილეს იჩენდა და საეგზარქოსოს ხელისუფლებას ამ ღონისძიების გატარების ფრთხილი პოლიტიკისაკენ მოუწოდებდა. ამით იყო განპირობებული, რომ პარასკევა უვაროვა ქართული სიძველეების „დაცვა-გადარჩენის" მიზნით საქართველოს ეგზარქოსს სთხოვს ქართული საგანძურის რუსეთში გატანის ნებართვასა და ამ საქმის ორგანიზაციას.

თვითმპყრობელობისა და საეგზარქოსოს ამ მცდელობას წინ აღუდგა ქართველი სამღვდელოება. ამ მხრივ აღსანიშნავია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს 1902 წლის 12 დეკემბრის (273, 46852, 10-11) საპროტესტო მიმართვა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი. მიმართვაში აღინიშნებოდა, რომ სინოდის 1875 წლის განკარგულებით საქართველოს ცალკეული ეკლესია-მონასტრების ქონება ერთგზის უკვე აღწერა კანტორის სპეციალურმა კომისიამ, ხოლო აღწერილობის ასლები, რომლებიც ადგილზე ინახებოდა ყოველწლიურ შემოწმებას გადიოდა თვით ეპისკოპოს ალექსანდრეს მიერ. ამავე მიმართვაში ეპისკოპოსი სასტიკად უარყოფდა ქართული საეკლესიო ქონებით ვაჭრობის ფაქტებსა და სასულიერო ფენის უყურადღებო დამოკიდებულებას ეროვნული საგანძურისადმი.

ქართველმა სამღვდელოებამ გააქტიურა საეკლესიო ქონების შენარჩუნებისათვის ბრძოლა. 1902 წლის გაზაფხულზე, გორის ეპისკოპოს კირიონის თავმჯდომარეობით მოწვეულ იქნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის სხდომა, სადაც განიხილეს ქართული საეკლესიო ქონების მოვლა-პატრონობის საკითხი. სხდომის წევრებმა საქართველოს ეპისკოპოსს მოსთხოვეს თბილისის საეპარქიო სანთლის ქარხნის საწყობში გამოეყო საეკლესიო ქონების სპეციალური საცავი, საიდანაც საეკლესიო ინვენტარი გარკვეული ვადით გაიცემოდა ამა, თუ იმ ეკლესია-მონასტრებზე, მხოლოდ სასულიერო ხელისუფლების სპეციალური ნებართვით. ქართველი სამღვდელოების მოთხოვნა ეგზარქოსმა ალექსი I-მა (1901-1905) დააკმაყოფილა 1902 წლის 17 ივლისის (273, 46364, 9) დადგენილებით.

საქართველოს საეპარქიოებში გაბნეული საეკლესიო სიძველენის შეგროვების მიზნით, ქართველმა სამღვდელოებამ გამოყო მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელსაც თავმჯდომარეობდა თევდორე ჟორდანია (273, 46852, 7). მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობებისა, ქართველი სამღვდელოება მოწინავე საზოგადოებასთან ერთად ჩინებულად გაუძღვა ამ მეტად რთულ საქმეს და ქართული საეკლესიო და ისტორიული სიძველენი პირნათლად შეუნარჩუნა თავის ერს.

ქართველი საზოგადოებრიობის უარყოფითმა დამოკიდებულებამ საეგზარქოსოს პოლიტიკისადმი, ყველაზე მკაფიო გამოვლინება საქართველოს იმ რეგიონებში ჰპოვა, სადაც არამართლმადიდებელი მოსახლეობა ცხოვრობდა. ამ მხრივ, ყველაზე სავალალო მდგომარეობა აფხაზეთის რეგიონში შეიქმნა.

რუსეთის იმპერია ოდითგან დაინტერესებული იყო აფხაზეთის რეგიონის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოყენებით. აფხაზეთის მეშვეობით რუსეთი ცდილობდა გაელენის მოპოვებას ჩრდილო კავკასიაზე და სამხრეთის საზღვრებზე მშვიდობიანობის დამყარებას. ამიტომ, რუსეთის მთავრობა აფხაზეთის ათვისებას ერთ-ერთ „ურთულეს საკითხად" მიიჩნევდა (13, 210-223).

1864 წლიდან აფხაზეთში რუსული მმართველობის დამყარებისთანავე, ეკლესიამ ცარიზმის სარწმუნოებრივ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმდგენი-

თი მუშაობა გააჩაღა. საეგზარქოსოს მიერ გატარებული ღონისძიებები უპირისპირდებოდა აფხაზეთის არაქრისტიანული მოსახლეობის ინტერესებს. მაჰმადიანური რწმენის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმპერიის იძულებით თურქეთში გადასახლდა, ხოლო მათი მცირე ნაწილი კი ქრისტიანობას ეზიარა. აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობისაგან განთავისუფლებულ ადგილებში ინტენსიურად მიმდინარეობდა გარეშე ელემენტების ჩასახლება, იდევნებოდა ყოველივე ეროვნული, რაც აფხაზეთის მოსახლეობის უკიდურეს აღშფოთებას იწვევდა.

აფხაზეთში, საეგზარქოსოს რეაქციულმა პოლიტიკამ განსაკუთრებული გამოვლინება XX საუკუნის დასაწყისიდან ჰპოვა. თვითმპყრობელობის პოლიტიკით შეეიწროვებულ ახალმოქცეულთა ძველ მაჰმადიანურ რწმენაზე დაბრუნებამ სისტემატიური ხასიათი მიიღო; გააქტიურდა მოსახლეობაში მაჰმადიან სასულიერო პირთა პროპაგანდაც. ყოველივეს თან ერთვოდა, XIX საუკუნის 70-იან წლებში თურქეთში იძულებით გადასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის დაბრუნება მშობლიურ მიწაზე, მათი ნათესაური ურთიერთობანი მაჰმადიან თურქებთან. და ბოლოს, აფხაზეთის მძიმე გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებში უჭირდა მოღვაწეობა სასულიერო ფენას, ხოლო ისინი, ვინც იქ მოღვაწეობაზე თანხმდებოდნენ არაკვალიფიცირებული მისიონერები იყვნენ და სახელმწიფოსათვის ესოდენ საჭირო საქმეს სათანადოდ ვერ უძღვებოდნენ (273, 47418, 2, 6-7).

ქართული ეკლესია ვერ ურიგდებოდა საეგზარქოსოსა და თვითმპყრობელობის გამარუსებელ პოლიტიკას აფხაზეთში. ქართველი სამღვდელოება ყოველ ღონეს ხმარობდა საქართველოს ამ უძველეს საეპარქიოში ეროვნული მართლმადიდებლური რწმენის შენარჩუნებისათვის, და, როდესაც ახალმოქცეულთა მაჰმადიანურ რწმენაზე მიბრუნებით საეგზარქოსოს სერიოზული პოლიტიკური მარცხი გამოვლინდა, ქართველი სასულიერო ფენა ქართული რწმენის, ენისა და ეროვნული ინტერესების გალესძებისათვის თავდაუზოგავ ბრძოლას ეწევა (273, 47884, 2).

საეგზარქოსოს ხელისუფლება უმაღლეს სასულიერო უწყების წინაშე თავის წარუმატებელ საქმიანობას კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის ურჩობითა და განვითარების დაბალი დონით ხსნიდა.

ნაწილობრივ კი, ქართველი ხალხის მიერ რუსული ეკლესიის უარყოფას ეგზარქოსები ქართული სასულიერო ფენის გაუნათლებლობას მიაწერდნენ.

XX საუკუნის დასაწყისისათვის ქართველი სამღვდელოების უმეტეს ნაწილს საოჯახო განათლება ჰქონდა, რაც განპირობებული იყო საქართველოს მძიმე ისტორიული წარსულით, ეკონომიკური სიდუხჭირით და ა. შ. მართალია, სამღვდელოების დიდ ნაწილს არ ჰქონდა სპეციალური სასულიერო განათლება, ვერ ერკვეოდა ისეთ საეკლესიო საქმეებში, როგორიც არის მეტრიკული ჩანაწერების, შემოსავალ-გასავლის წიგნთა წარმოება და სხვ. (272. 21775. 38); მაგრამ, ყოველივეს არასოდეს დაუბრკოლებია ქართველ სასულიერო პირთა კეთილმეგობრული კონტაქტები მრევლთან. იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ცნობით, დასავლეთ საქართველოს 784 ეკლესიაზე განწესებული იყო 1000, რომელთაგან უმაღლესი სასულიერო განათლება 20 კაცს ჰქონდა. ეპარქიის 367 მღვდლიდან კი საშუალო სასულიერო განათლებით 14 კაცი იყო (50, 79). 1902 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი" იუწყებოდა, რომ სვანეთის 15 მღვდლიდან საშუალო განათლება 6 კაცს ჰქონდა (164, № 1831, 3) დანარჩენს კი საოჯახო. ამავე გაზეთის მეშვეობით ვიგებთ, რომ სამურზაყანო-აფხაზეთის 90 მღვდლიდან მხოლოდ 5 იყო განსწავლული (166, № 2580, 4).

აღნიშნულ გარემოებას ნაყოფიერად იყენებდა საეგზარქოსოს ხელისუფლება სასულიერო-საკადრო პოლიტიკის განხორციელების საქმეში. ამ მიზნით, საეგზარქოსოს წარმომადგენლები ყოველნაირად აბრკოლებდნენ ქართველი სამღვდელოების სათანადო სასულიერო განათლების მიღებისადმი სწრაფვას, რათა ე. წ. „გაუნათლებელი" სამღვდელოება შეეცვალათ „განათლებული" არაქართული სასულიერო პირებით (272. 26370, 1-3). თვითმპყრობელობის ასეთი პოლიტიკა დააჩქარებდა „ათვისების" საქმეს, მის მთლიან რუსიფიკაციას, რომელსაც გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა კავკასიაში ცარიზმის პოლიტიკის გამარჯვებაში.

საქართველოს სამღვდელოების მოწინავე ნაწილი კარგად ხედავდა თვითმპყრობელობის მზაკვრულ საეკლესიო პოლიტიკას, რომელიც საქართველოს გადაგვარებისაკენ იყო მიმართული და განათლების მიღებისაკენ ისწრაფოდა, რათა საკუთარ ერს უფრო დაახ-

ლოებოდა და მასში ტრადიციული ეროვნული თვითშეგნება აუმაღლებინა. ამ მცდელობის ნათელი დადასტურებაა ქართველი სამღვდელოების გამოხმაურება სომხეთის მართლმადიდებელი სამღვდელოების გადაწყვეტილებისადმი. სომეხი სამღვდელოების 1902 წლის 6-9 ივნისის დადგენილებით საეგზარქოსის სამღვდელოების განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ერევანში უნდა ჩატარებულიყო რამდენიმე თვიანი მოსამზადებელი კურსები ღვთისმსახურებასა და გალობაში. მასზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე საეგზარქოსოს ხელისუფლება ბუნებრივია ამ ეროვნულ საქმეს წინ აღუდგა.

ზემოაღნიშნული ვითარება სულ უფრო ააქტიურებდა მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებას საეგზარქოსოსა და რუსეთის მთავრობის მიმართ (272, 25522, 111-112).

საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, სინოდის 1902 წლის განკარგულების (51, 33-34) საფუძველზე, საეგზარქოსოს ხელისუფლებას ყურადღება უნდა გაემახვილებინა ანტისამთავრობო და ანტისაეკლესიო გამოსვლებზე. სამრევლოთა მღვდლები ვალდებულნი იყვნენ მრევლისათვის განემარტათ „ბოროტმოქმედთა რწმენის მთელი სიყალბე"; ემხილათ ის პირები, რომლებიც ხალხს მთავრობას უმხედრებდნენ. საეგზარქოსოს ხელისუფლება ცდილობდა მოსახლეობაში თვითმპყრობელობის დადებითად წარმოჩენას, რუსეთის სამეფო ტახტისა და ცარიზმის რეჟიმის ავტორიტეტის ამაღლებას (41, 66). ამ მიზნით, სინოდმა 1903 წლის 19 თებერვლის (50, 121) დადგენილებით მოითხოვა 1861 წლის საგლეხო რეფორმის დღესასწაულით აღნიშვნა მთელს იმპერიაში. საქართველოს ეგზარქოსის მითითებით, ეს დღე ყველა ეკლესიაში ზეიმით უნდა აღნიშნულიყო. საეგზარქოსოს ზემეობით იმპერიის მიერ გატარებული საგლეხო რეფორმა საქართველოს მოსახლეობაში ვრცელდებოდა, როგორც გლეხთა ბატონყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლების მნიშვნელოვანი ფაქტი.

თვითმპყრობელობის პოლიტიკის გამარჯვებისა და ქვეყანაში მიმდინარე ღრმა პოლიტიკური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, საეგზარქოსო სხვადასხვა მეთოდებსა და ხერხებს მიმართავდა. მთავრობის ერთგული სასულიერო პირები მოხერხებულად აღწევდნენ ამ-

ბოხებულთა რიგებში, იმსახურებდნენ მათ ნდობას, იგებდნენ მათ ზრახვებს და საჭირო ინფორმაციას აწვდიდნენ ხელისუფლებას. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის ბროშურა გურიის 1902 წლის ამბოხების შესახებ იუწყებოდა: „სულიერი მამები ჩუმად გარბოდნენ ადგილობრივ და საშაზრო მთავრობასთან, რომ ყველაფერი შეეტყობინებინათ, რაც კი მათ ყურამდე აღწევდა. მაზრის უფროსის კამერა ყოველდღე სავსე იყო ჯამუში მღვდლებით" (18, 234).

რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში საეგზარქოსო აქტიურად იყენებდა მისახლეობაში რელიგიურ პროპაგანდას. ამ კუთხით გატარებულ ღონისძიებებს შორის გამოირჩეოდა მუშათა რეგიონებში ეკლესია-მონასტრების მშენებლობის აქტიური საქმიანობის დაწყება, რადგან ეს ადგილები რევოლუციური იდეოლოგიის ცხელ წერტილებად იყო მიჩნეული. საეგზარქოსომ ამ საქმის განსახორციელებლად სახელმწიფო ხაზინიდან 1902-1904 წლებში 60 000 ათასი მანეთი მოითხოვა (50, 125).

მუშათა კვარტლებში აგებულმა ეკლესია- მონასტრებმა საეგზარქოსოს ხელისუფლებას ახალი პრობლემა გაუჩინა. მრევლის ამბოხების მიზნით, ახლადდაარსებულ სამლოცველოებს თავს აფარებდნენ მთავრობისათვის პოლიტიკურად არასაიმედო საერო და სასულიერო პირები. ეს საკითხი 1904 წლის 8 აპრილს (272, 22370, 35) განიხილა სინოდმა და დაადგინა, რომ ეკლესია-მონასტრებში მიეღოთ მხოლოდ ისინი, რომლებიც გაივლიდნენ წინასწარ შემოწმებას და დაშვებულ იქნებოდნენ სასულიერო სამსახურში.

საქართველოს საბოლოო შემომტკიცების, თვითმპყრობელური რეჟიმის დამკვიდრებისა და მხარის რუსიფიკაციაში ცარიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ხერხს კოლონიზატორული პოლიტიკა წარმოადგენდა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, საქართველოში დასახლებულმა სექტანტებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ახალჩასახლებულ მართლმადიდებელ რუსებს და მათში აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობა გააჩაღეს. ყოველივემ, ცარიზმის პოლიტიკურ მიზნებს კავკასიაში მნიშვნელოვანი სიძნელეები შეუქმნა, ხოლო ამ პოლიტიკის უშუალო განმახორციელებელი საქართველოს საეგზარქოსო სერიოზული სიძნელეების წინაშე დააყენა. მას უნდა

ეხსნა შართლმადიდებელი რუსი მოსახლეობა სექტანტური გავლენისაგან. ამ მიზნით, საეგზარქოსოს ინიციატორობით გაჩაღდა ქართული ეკლესიების გარუსებისაკენ მიმართული საქმიანობა, რუსი სასულიერო პირების მოძალება საქართველოში და სპეციალური სამისიონერო საზოგადოებების დაარსება (234, № 48, 1525).

ზემოაღნიშნული ღონისძიების გატარებისათვის თვითმპყრობელობა საეგზარქოსოს სათანადო მატერიალურ დახმარებას უწევდა. მაგალითად, 1902 წელს საქართველოს საეპარქიო-სამოსწავლო საბჭომ სინოდის მითითებით ახალშენებში ეკლესია-სკოლების ასაგებად გამოყო 17 000 მანეთი, მომდევნო წლებიდან კი ამ საქმისათვის სისტემატიურად ირიცხებოდა ყოველ წელს 3 000 მანეთი (165, № 2200, 2-3). ამასთან, საეგზარქოსოს თანამშრომელთა და მისიონერთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის 1902 წლის 22 აგვისტოს (272, 22100, 1). სინოდის განკარგულებით საქართველოს საეკლესიო ხაზინიდან მათ გაუდიდდათ ხელფასები 100-დან 200 მანეთამდე და ბინებით უფასოდ სარგებლობის ნება დაერთოთ.

XX საუკუნის დასაწყისი ხასიათდება საეგზარქოსოს რიგი კულტურული ღონისძიებების გატარებით. ადგილობრივ მოსახლეობაში ავტორიტეტის მოპოვების მიზნით, საეგზარქოსოს ხელისუფლება ატარებდა სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებებს, კერძოდ, ბუნებრივი სტიქიით დაზარალებულთათვის აგროვებდა თანხებს მრევლში (272, 22229, 1), მართავდა სასულიერო კონცერტსაღამოებს, ატარებდა საუბარ-ქადაგებებს და სხვ. (164, № 1767, 2). ყოველივესადმი კი, ქართველი საზოგადოებრიობა გულგრილობასა და უყურადღებობას იჩენდა.

რუსეთის იმპერიაში საქართველოს საბოლოო შერწყმის საქმეში განსაკუთრებული როლი საგანმანათლებლო სისტემის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას ენიჭებოდა. სწორედ ამ სისტემაში უნდა აღეზარდათ თვითმპყრობელობის ერთგული მოხელე-ჩინოვნიკები. საამისოდ კი, სასწავლებლებიდან მთელი სიმკაცრით იდევნებოდა ქართული ენა, ზნე-ჩვეულებები, ყოველგვარი ეროვნული და მის ადგილს ყოველივე რუსული იკავებდა. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად რუსეთიდან საქართველოში ინიშნე-

ბოდნენ რუსიფიკატორი-მოხელენი, რომლებიც ქართული სასწავლებლებიდან დევნილი საერო და სასულიერო პედაგოგების ადგილებს იკავებდნენ.

ცარიზმი რუსიფიკატორულ საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოში ორი მიმართულებით აწარმოებდა: ქართველ პედაგოგთა შეცვლას რუსი შოვინისტებით და სწავლა-აღზრდის სრული რუსიფიკაციის განხორციელებით. XX საუკუნის დასაწყისში ქართული ენა საეკლესიო-სამრევლო სკოლებსღა აფარებდა თავს, მოსახლეობაც ამიტომ აძლევდა უპირატესობას ამგვარ სკოლებს სახელმწიფო სასწავლებლებთან შედარებით, სადაც სწავლა ბავშვებისათვის გაუგებარ, არამშობლიურ ენაზე წარმოებდა (29, 7-13). აქედან გამომდინარე, სასულიერო ხელისუფლების წინაშე იდგა საკითხი სამრევლო სკოლებში ძირეულად აღმოფხვრილიყო მშობლიური ენა და საბოლოოდ გამეფებულიყო რუსული. 1904 წელს სინოდის გადაწყვეტილებით (272, 22496, 9-11) „განაპირა მხარეთა" სასულიერო სასწავლებლებში რუსული ენის სწავლება უნდა გაძლიერებულიყო. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე სასწავლებლებში მთელი სიმკაცრით დაიწყო ქართველ პედაგოგთა დევნა-შევიწროვება, რომლის უშუალო განმხორციელებელიც იყო რეაქციონერი ბერი, სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველი კავკასიაში იოანე ვოსტორგოვი (272, 25452, 1). ამ დროიდან, სამრევლო სკოლებშიც კი პედაგოგებად მხოლოდ რუსი ეროვნების პირები ინიშნებოდნენ (165, № 22168, 1), რათა ბავშვებს დროულად და უკეთ აეთვისებინათ რუსული ენა. მოსახლეობის ასეთი ტიპის სკოლებით დაინტერესებისათვის საეგზარქოსომ სამრევლო სკოლებს სასწავლო წიგნები და სხვა ინვენტარი უსასყიდლოდ გადასცა (165, № 2204, 2).

საეგზარქოსოს საგანმანათლებლო პოლიტიკას თვითმპყრობელობა თავის ძალისხმევას არ აკლებდა და სისტემატიურ ფინანსიურ დახმარებას უწევდა. თუ 1900-1902 წლებში საამისოდ სახელმწიფო ხაზინიდან 17 300 მანეთი გამოიყო, კავკასიის მთავარმართებელმა 1903 წელს ეს თანხა 26 000 მანეთამდე გაზარდა (165, № 2157, 2).

თვითმპყრობელობისა და საეგზარქოსოს დიდი ძალისხმევის მიუხედავად მთავრობისადმი გაგზავნილი ანგარიშები მეტყველებდნენ ქართული საერო და სასულიერო სასწავლებლების არაჯანსაღ პო-

ლიტიკურ მიმართულებაზე. XX საუკუნის დასაწყისის ქართული სასწავლებლები ეროვნულ პოზიციაზე იდგნენ და მკაცრად ილაშქრებდნენ ცარიზმის რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ, ახალგაზრდობაში თესდნენ ნაციონალურ თვითშეგნებას. ყოველივეეს გამო, მინისტრთა საბჭოს მსჯელობის საგნად იქცა ამიერკავკასიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების საერთოდ არსებობის საკითხი (272, 25452, 2) და 1902 წლის 1 აპრილის დადგენილებით (164, № 1785, 3-4) შემუშავებულ იქნა საეკლესიო სკოლების ახალი წესდება, რომლის საფუძველზე ისინი ორ საფეხურად დაიყო: დაწყებით და საოსტატო. პირველი ყმაწვილებს თავიდანვე რუსულ ენაზე ასწავლიდა წერა-კითხვას. ასეთი სახის სასწავლებლები იყოფოდა ერთ, ორწლიან და საკვირაო სკოლებად. მათ საქართველოს რუსიფიკაციის საქმე უნდა გაეადვილებინათ და, რაც ყველაზე მთავარი იყო, მოზარდებში ეროვნული თვითშეგნება აღმოეფხვრათ. რაც შეეხება საოსტატო სკოლებს, ყმაწვილები აქ ხელსაქმეს ეუფლებოდნენ.

სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეებში ეროვნული თვითშეგნების გამღვივებლად ქართველი სამღვდელოება გვევლინება. ისინი ცარიზმის მიზნების წინააღმდეგ ბრძოლის სათავეს ახალგაზრდობაში ეროვნული სულის ამაღლებაში ხედავდნენ და მათ მშობლიური ინტერესების დაცვისაკენ უბიძგებდნენ.

ამ კუთხით, ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლაში, საეგზარქოსო ხელისუფლება ფრთხილ პოლიტიკას მიმართავდა. იგი ცდილობდა ქართველ სამღვდელოებაში მისთვის სანდო ელემენტის გაჩენას, ან კიდევ უკიდურეს შემთხვევაში, სასწავლებლებიდან სასულიერო ფენის ჩამოცილებას. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ჯერ კიდევ 1899 წლის ანგარიშში შენიშნავდა: „...საქართველოში მიმდინარე ანტისამთავრობო მოძრაობის ხელმძღვანელები არიან ზოგი უვიცი მასწავლებლები და პუბლიცისტები, რომელთ მხარს უჭერს საქართველოს სამღვდელოება.- საჭიროა სამღვდელოებას ჩამოერთვას სწავლა-განათლების საქმე; სანამ ეს მხარე საკმარისად არ არის შეკავშირებული იმპერიასთან, მანამ სწავლა-განათლება უნდა იქნეს რუსის ადმინისტრაციის ხელში, რომ აღზარდოს ახალთაობა რუს სახელმწიფოებრივ მიმართულების მიხედვით და არა ნაციონალურ მიდრეკილებით...“ (8, 258-259).

ქართული სკოლების გადაგვარების მცდელობამ უკიდურესად დაძაბა მისი შინაგანი ცხოვრება და მოსწავლე ახალგაზრდობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. XX საუკუნის დასაწყისიდან სულ უფრო მძაფრად იკიდებს ფეხს ახალგაზრდობაში რევოლუციური და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეები, რაც მათ უკიდურესად უპირისპირებს თვითმპყრობელობას. არსებული რეჟიმისადმი მოსწავლეთა უკმაყოფილებამ, პოლიტიკური ორგანიზაციის ზეგავლენითა და უშუალო ხელმძღვანელობით აშკარა პოლიტიკური ხასიათი მიიღო და პროლეტარიატის, გლეხობის, პროგრესულად მოაზროვნე დემოკრატიული ინტელიგენციის, ქართველი სამღვდელოების საერთო დემოკრატიული მოძრაობის შემადგენელ და მის განუყოფელ ნაწილად იქცია.

რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში თვითმპყრობელობის მკაცრ პოლიტიკას ყველაზე მეტად სასულიერო სასწავლებლები განიცდიდნენ, რადგან ისინი ეროვნული თვითშეგნების იდეათა მძაფრი მატარებელნი იყვნენ (272, 26908, 5).

XX საუკუნის პირველივე წლებიდან ანტისახელმწიფოებრივ-რევოლუციური გამოსვლებით გამოირჩეოდნენ თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელთაც აქტიურად აუბა მხარი სასულიერო სემინარიამაც (269, 1-3). სოციალ-დემოკრატიული თბილისის კომიტეტის პროპაგანდის საფუძველზე 1902 წელს თბილისსა და ქუთაისში არსდება მოსწავლე ახალგაზრდობის კომიტეტები. ასეთივე სახის ორგანიზაციები ამოქმედდა ბათუმში, ხონში, თელავსა და სოხუმში (85, 162). აღნიშნული კომიტეტები სოციალ-დემოკრატთა მითითებით აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ თანატოლებში: აქვეყნებდნენ ნაბეჭდ ფურცლებს, ბიულეტენებსა და პროკლამაციებს, რომლებშიც მხილებულ იყო სასწავლებლებში გაბატონებული სწავლა-აღზრდის აუტანელი რეჟიმი და მოუწოდებდნენ მოზარდ თაობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაკენ (272, 26844, 5; 131, 178-179, 181-182, 184, 185, 197, 202, 207, 218, 225).

მოსწავლეთა შორის ანტისამთავრობო პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერების მიზნით, ახალგაზრდობის კომიტეტები აწყობდნენ კონფერენციებს და ამით ხელს უწყობდნენ ერთმანეთთან შეკავშირებასა და საერთო ბრძოლის წარმოებას. ამავე კონფერენციებზე

წყდებოდა პარტიული ორგანიზაციებისადმი მატერიალური დახმარე-ბისათვის სხვადასხვა ღონისძიებათა დასახვა, როგორიც იყო სასწავ-ლებლებში კონცერტ-საღამოების მოწყობა, დრამატული წრის დაარ-სება, საიდანაც მიღებული თანხები მთლიანად რევოლუციურ მოძრა-ობას ხმარდებოდა (85, 163).

მოსწავლე ახალგაზრდობის თვითმპყრობელობისადმი დაპირის-პირებას სოციალ-დემოკრატიული პარტია უდიდეს და ერთ-ერთ გა-დამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთო სახალხო დემოკრატი-ულ მოძრაობაში, ამიტომ იყო, რომ პარტიის ორგანო „ისკრა“ ანტი-სამთავრობო გამოსვლებს საქართველოში სისტემატიურად აშუქებ-და და მაღალ შეფასებას აძლევდა (85, 183).

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ანტისამთავრობო და-მოკიდებულებას თვითმპყრობელობა და სასულიერო უწყება უკიდუ-რესი რეაქციული ღონისძიებებით პასუხობდა. ჟანდარმერია-პოლიციის განდევნით, სასწავლო დაწესებულებებში ეროვნული თვითშეგნება კიდევ უფრო გაღრმავდებოდა, რაც ხელისუფლების ინ-ტერესებში არ ექცეოდა, ამისათვის მთავრობა ყოველნაირად ცდი-ლობდა ახალგაზრდობის ამ მოთხოვნის წინააღმდეგ სასტიკი ღონის-ძიებების გატარებას. რეაქციონერი აღმზრდელები ცდილობდნენ მოს-წავლეებში ყოველგვარი თვითშემოქმედების, საკუთარი იდეების ჩახ-შობას, რაც მათ გონებას აჩლუნგებდა, ხოლო ზნეობას კი რყვნიდა (272, 26844, 5). სასწავლებლებში სასტიკად იკრძალებოდა თვით ცენ-ზურაგავლილი ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების გაცნობა, ბიბლიოთეკებში სიარული, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, რაც მოს-წავლე ახალგაზრდობას საზოგადოებისაგან იზოლირებულს ხდიდა და უმეცრების ვაკუუმში ამყოფებდა.

საეგზარქოსოს მოთხოვნით, სასწავლებლებში ხელისუფლებისათ-ვის არასასურველი იდეოლოგიის თავიდან აცილების მიზნით, სისტე-მატიურად „იწმინდებოდა“ სასწავლებლების ბიბლიოთეკები, მკაცრად იკრძალებოდა ქართულენოვანი პერიოდიკისა და ლიტერატურის გაც-ნობა. სამაგიეროდ, რუსიფიკატორი სამღვდელოება ისწრაფოდა ახალ-გაზრდობაში რელიგიური ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივებას, რაც მათ თვითმპყრობელობისადმი ერთგულსა და მორჩილს გახდი-და (272, 22099, 1-5). მოსწავლე ახალგაზრდობის დასაქმებისა და რე-

ვოლუციური იდეებიდან ჩამოცილების მიზნით, 1904 წლის 14 ივნისს სინოდმა გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც მოსწავლეებს ეკრძალებოდათ სასწავლებლების ხელმძღვანელობის ნებადაურთველად საცხოვრებელი ადგილების დატოვება, რადგან თავისუფალ დროს ისინი უნდა დაკავებულიყვნენ ისეთი ნაყოფიერი და სახარბიელო საქმიანობით, როგორიც არის მუსიკა, ფერწერა, სიმღერა, ხელსაქმე, სამეურნეო საქმიანობ სუფთა ჰაერზე. სეირნობა, ექსკურსიასანახაობათა მოწყობა და სხვ.

პერიოდულად სასულიერო სასწავლებლებისადმი საეგზარქოსო ხელისუფლება უკიდურესად მკაცრ ზომებსაც მიმართავდა. სასწავლებლებიდან ირიცხებოდნენ ანტისამთავრობო საქმიანობაში შენიშნული მოსწავლეები (272, 26809, 1). 1902 წლის 4 ნოემბრის ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა მღელვარების გამო სასწავლებლის ხელმძღვანელობამ 15 მოსწავლე გარიცხა (131, 181-182). სისტემატიური სახე მიეცა მოსწავლეთა დაპატიმრებებს (131, 186-187, 192, 205, 209, 213-214).

ახალგაზრდობის მღელვარებათა ჩახშობის მიზნით, 1902 წლის 30 ივნისს თბილისის პოლიცმეისტერი საგანგებო ცირკულარით მიმართავდა ქალაქის ბოქაულს თბილისის მოსწავლეებზე მეთვალყურეობის დაწესების შესახებ (131, 180).

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც სულ უფრო მძაფრ ხასიათს იჩენდა იმპერიის სასულიერო უწყებას აიძულებდა გაემკაცრებინა სასულიერო სასწავლებლებისადმი მიმართული ღონისძიებები. არაკეთილსაიმედო დამოკიდებულების გამო ხელისუფლებისადმი სინოდმა 1904 წელს საჭიროდ ცნო ქუთაისის სასულიერო სემინარიის დახურვა. სამაგიეროდ, საეგზარქოსოში იხსნება სპეციალური „სადვთისმეტყველო სკოლები", რომლებსაც ევალებოდათ საეკლესიო მუშაკთა და სამრევლო სკოლების პედაგოგების მომზადება. სასულიერო უწყების ეს რეფორმა ქართული კულტურის განვითარების შეფერხებისაკენ იყო მიმართული, რაზეც მოწინავე ქართველმა სამღვდელოებამ და ინტელიგენციამ ხმა აღიმაღლა.

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისში, თვითმპყრობელობისა და საეგზარქოსოს სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, რომელსაც ისინი არ-

სებული რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებული ახალგაზრდობის მიმართ ატარებდნენ, ვერ აჩერებდა ამ უკანასკნელთა დაპირისპირებას ხელისუფლებისადმი, პირიქით, ისინი კიდევ უფრო აქტიურდებოდნენ ბრძოლას და დემოკრატიული მოძრაობის აქტიურ მონაწილეთა რიგებში მედგრად იბრძოდნენ ეროვნული თავისუფლებისათვის.

XX საუკუნის დასაწყისში ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამძაფრა თვითმპყრობელური რეჟიმისადმი მიმართული დემოკრატიული მოძრაობა, რომელშიც მძაფრ ნაკადად გამოიკვეთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და რევოლუციური სახის გამოსვლები. ყოველივე კი, უდიდეს საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ბატონობას მთლიანად კავკასიაში. საერთო სახალხო მღელვარებათა ჩახშობაში რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და კერძოდ, საქართველოს საეგზარქოსოს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა, რომელსაც თვითმპყრობელობისათვის უნდა დაემტკიცებინა თავისი ერთგულება და კავკასიის მოსახლეობაში თავისი უფლებები და ავტორიტეტი მოეპოვებინა.

თვითმპყრობელობისა და საეგზარქოსოს ერთობლივმა ინტერესებმა, საქართველოსათვის მეტად მძიმე პოლიტიკურად არასტაბილურობის ჟამს გამოააშკარავა საეგზარქოსოს ნამდვილი სახე და მოსახლეობაში უნდობლობა დაიმსახურა, რომელმაც მე-20 საუკუნის დასაწყისიდან რევოლუციურ და ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ჰპოვა გამოძახილი.

საქართველოში რუსულ საეკლესიო პოლიტიკას ქართველი მოსახლეობა საპროტესტო გამოსვლებით დაუპირისპირდა; ისინი უარს აცხადებდნენ საეკლესიო გადასახადებზე, საეკლესიო ცხოვრების წესებზე, რაც ერთის მხრივ იწვევდა მათ დაპირისპირებას სასულიერო ფენისადმი, ხოლო მეორე მხრივ, ამ უკანასკნელს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებდა. ყოველივე კი საეგზარქოსოს ხელისუფლებას ახალ პრობლემებს უქმნიდა და აბრკოლებდა მას თვითმპყრობელური პოლიტიკის განხორციელებისათვის კავკასიაში.

საერთო სახალხო დემოკრატიულმა მღელვარებებმა XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი სასულიერო სასწავლებლებში ჰპოვა, რაც მათ სისტემატურ დაპირისპირებაში გამოიხატებოდა თვითმპყრობელური რეჟიმისადმი. ამ საქმეში

კი მნიშვნელოვან როლს ქართველი სამღვდელოება ასრულებდა.

საეგზარქოსოში ანტისამთავრობო, რევოლუციური და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეოლოგიის აღმოფხვრის მიზნით, სასულიერო ხელისუფლება სხვადასხვა მეთოდებსა და ზომებს მიმართავდა.

რუსული სასულიერო პოლიტიკით გამოწვეულმა ქართულმა საეკლესიო ცხოვრების კრიზისმა საეგზარქოსოს ხელისუფლება რიგი სირთულეების წინაშე დააყენა. ქართველი სამღვდელოებისა და მისი კრებულის დემოკრატიული მოძრაობიდან ჩამოცილების ერთ-ერთ პირობად სასულიერო უწყებას სამღვდელოებასა და მრევლს შორის არსებული დაპირისპირების აღმოფხვრა მიაჩნდა. საამისოდ, საჭირო იყო ქართველი სასულიერო ფენის მატერიალური პირობების გაუმჯობესება. საეგზარქოსოს ხელისუფლება ამ მიზნით, ზრდის სასულიერო პირთა ხელფასებს, უნიშნავს პენსიებს, უწევს მათ პერიოდულ დახმარებას და ა. შ. ამავე მიზანს ემსახურებოდა იმპერიის ყველა რეგიონში საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობათა მძლავრი აღმავლობის პროცესიც, რომელსაც თავად უნდა უზრუნველყო სამღვდელოების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. სამონასტრო მეურნეობების განვითარებას ემსახურებოდა საეგზარქოსოში გახსნილი რიგი სამეურნეო სასწავლებლები.

XX საუკუნის დასაწყისში სულ უფრო აქტიურდება საეგზარქოსოს კულტურული ღონისძიებანი, რომლებიც ერთის მხრივ ქართველი ხალხის ასიმილაციას, ხოლო მეორეს მხრივ, მხარეში პოზიციების, თავისი ძლიერების განმტკიცება-აღმავლობას ემსახურებოდა.

ნიშანდობლივია საეგზარქოსოს ხელისუფლების აქტიური ბრძოლა დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ, რომელმაც განსაკუთრებული გამოვლინება საგანმანათლებლო სასწავლებლებში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობებისადმი მიმართებაში იჩინა თავი.

1900-1904 წლების საეგზარქოსოს საქმიანობა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული მოძრაობის პოტენციალის შესაფერისი იყო. მისი მოღვაწეობა ნაირსახოვანი გამოვლინებებით ხასიათდებოდა. რიგ შემთხვევაში, საეგზარქოსოს მკაცრ მეთოდებს მიმართავდა, ზოგჯერ კი იჩენდა სიფრთხილეს და მიდიოდა გარკვეულ დათმობებზე.

# საქართველოს საეგზარქოსო 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში

იმპერიის „განაპირა მხარეებში“ ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ, ხალხთა მასების უკიდურესმა სიღატაკემ, მთელს სახელმწიფოში და, მათ შორის საქართველოშიც XX საუკუნიდან აქტიური რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააღვივა. საქართველოში ძლიერად ამოქმედდნენ რევოლუციური ძალები: მუშათა მოძრაობამ უკიდურესი აქტიობა ჰპოვა, ხოლო გლეხთა მღელვარებამ კი მასობრივი ამბოხების ხასიათი მიიღო.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობათა მიუხედავად, რუსეთი რჩებოდა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოდ.

რუსეთის იმპერიას საკმაოდ კარგად ორგანიზებული სამხედრო-პოლიციური აპარატი ჰქონდა, რომელიც თვითმპყრობელობის სადარაჯოზე იდგა. XX საუკუნის დასაწყისის რუსეთი და მისი ხელისუფლება ჯარს „მეფისა და სამშობლოს“ ერთგულ დამცველებად წვრთნიდა და ამზადებდა. არმია აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში მიმდინარე ანტისამთავრობო რევოლუციური გამოსვლების ჩახშობაში. არმია და პოლიცია იყო ცარიზმის ძირითადი დასაყრდენი; მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი გარანტი.

XIX-XX საუკუნეების მიჯნიდან ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთა შორის დაიწყო ბრძოლა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. თითოეული ქვეყანა ცდილობდა ხელსაყრელი გასაღების ბაზართა მოპოვებას და ამით თავისი პოზიციების განმტკიცებას მსოფლიოში. რუსეთის იმპერიასაც გააჩნდა საკუთარი მტაცებლური, დამპყრობლური გეგმები და აქტიურ მეტოქეობას უწევდა დიდ სახელმწიფოებს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საქმეში. რუსეთის აგრესიული პოლიტიკა რამდენიმე მიმართულებით იჩენდა თავს. იგი სერიოზულ წარმატებებს აღწევს შუა აზიაში, ავ-

დანეთში, სპარსეთში და გარკვეულწილად თავის გავლენის სფე-
როში აქცევს მათ.

XIX საუკუნის დასასრულიდან შორეული აღმოსავლეთის სა-
კითხთან დაკავშირებით, კერძოდ ჩინეთისა და წყნარ ოკეანეში გა-
ბატონებისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ამერიკის შეერთე-
ბული შტატები, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი. თავისი
მტაცებლური მიზნებით განსაკუთრებით იჩენდა თავს იაპონია, რო-
მელსაც მხარს უჭერდნენ ამერიკა და ინგლისი.

ახლო აღმოსავლეთში იაპონიის ახლადფეხადგმული იმპერიალის-
ტური მიზნები, თვითმპყრობელური რუსეთის აგრესიულ საგარეო პო-
ლიტიკას შეეჯახა, რომელიც უკვე დამკვიდრებულიყო მანჯურიასა
და კორეაში. ამ ადგილებში რუსეთი აქტიურ სარკინიგზო მშენებლო-
ბას ეწეოდა.

იაპონიას, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ ამერიკა და ინგ-
ლისი უბიძგებდნენ, რადგან იმედოვნებდნენ, რომ ომი ორივეს დაა-
სუსტებდა, რის შემდგომაც მათ საშუალება მიეცემოდათ უფრო მყა-
რად გაბატონებულიყვნენ ჩინეთზე. რაც შეეხება გერმანიას, იმ მიზ-
ნით, რომ დასუსტებულიყო რუსეთ-საფრანგეთის კავშირი, იგი მხარს
უჭერდა რუსეთს, მის სამხედრო ჩანაფიქრსა და მტაცებლურ მისწ-
რაფებებს (63, 424-425).

რუსეთს, იაპონიასთან ომში, გარეშე ძალების გარდა უბიძგებდა
რუსეთის მსხვილი ბურჟუაზია და მეტ-ნაკლებად მემამულეთა რეაქ-
ციული ნაწილიც, რომლებიც შორეულ აღმოსავლეთში გასაღების ბაზ-
რებს ეძებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ომისათვის მზად არ
იყო, მაინც ავანტიურისტულ პოლიტიკას ატარებდა, რადგან ამით, მის
ქვეყანაში მოახლოებული რევოლუციის შეჩერების იმედი ჰქონდა. ია-
პონიაზე რუსეთის „იოლ“ გამარჯვებას ცარიზმის ვარაუდით უნდა
მოეტანა ახალი კოლონიები, გასაღების ახალი ბაზრები, თვითმ-
პყრობელობის ავტორიტეტის ამაღლება; და „განაპირა მხარეების“
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა.

თვითმპყრობელური პოლიტიკის დამცველმა-მართლმადიდებლურ-
მა ეკლესიამ დიდი მუშაობა გააჩაღა რუსეთ-იაპონიის ომის სასარ-
გებლოდ და ხალხთა მასების ომში ჩათრევის მისია იკისრა. კავკასი-
ის რეგიონში, ეს საქმე, საქართველოს საეგზარქოსოს დაეკისრა, რომ-

ლის ამ მიმართულებით მოღვაწეობამ საქართველოს მოსახლეობას ნათლად დაანახვა მისი რეაქციული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების მცდელობა.

ომის დაწყებისთანავე, უწმინდესი სინოდის უშუალო მითითებით, საეგზარქოსოს ხელისუფლებამ ომის სასარგებლო აგიტაცია დაიწყო და ფართო პროპაგანდას უწევდა ომის მიმდინარეობის აუცილებლობას, ხოტბა-დიდებას ასხამდა ომში მეფის რუსეთის პოლიტიკას (272, 1905, 121; 7,85). ამ საქმეში საეგზარქოსოს ხელისუფლებამ მთელი ძალისხმევით ჩართო სასულიერო უწყების ყველა ოფიციალური საგამომცემლო ორგანო. მის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა საერო და სასულიერო ხელისუფლების მოწოდებანი ომის სასარგებლოდ. საეგზარქოსოს თანამშრომლები ხალხში ავრცელებდნენ ომის სასარგებლო კლერიკალურ-მონარქისტული შინაარსის ბროშურებსა და ფურცლებს (185, № 13-14,22). სასულიერო ხელისუფლება ხალხს არწმუნებდა, რომ ხელმწიფე იზრუნებდა მეომართა მძიმე ხვედრის შემსუბუქებისათვის და ქვეყნის მტერთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის (186, 1).

საეგზარქოსოს ხელისუფლება ცდილობდა რუსეთის იაპონიასთან ომის დადებითი მხარეების წარმოჩინებას; ომს უნდა გამოემჟღავნებინა რუსეთის მტერ-მოყვარე (51,43).. ამიტომ ომის მხარდამჭერნი ბრძოლაში პასიურობას ქვეყნის ღალატად აცხადებდნენ. სასულიერო ხელისუფლება დაჟინებით მოუწოდებდა მოსახლეობასა და ჯარს ომში საბოლოო გამარჯვებამდე ბრძოლისაკენ. საეგზარქოსოს ასეთი პოლიტიკა მიმართული იყო საქართველოს მოსახლეობის მორჩილებისაკენ თვითმპყრობელობისა და საეგზარქოსოსადმი და აღმავალი რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც უკვე აღინიშნა, XX საუკუნის დასაწყისიდან მთელს იმპერიაში მიმდინარე ეკლესიისა და მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობამ მძაფრი ხასიათი მიიღო. რევოლუციური იდეოლოგიის გავლენით, ანტისაეკლესიო განწყობა სწრაფად გავრცელდა არმიასა და ფლოტშიც, რის შედეგადაც ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის საგრძნობლად დაეცა ქრისტიანული სარწმუნოების დონე; გაიზარდა ეკლესიისა და რწმენისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

თვითმპყრობელობას განსაკუთრებით აღელვებდა მის დამცველ ნაწილში რევოლუციური პროპაგანდის შეღწევა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ეკლესიასთან ერთად თავის ზრუნვის საგნად მიიჩნევდა. სასულიერო უწყება ააქტიურებს მუშაობას სამხედრო ნაწილებში და საამისოდ სერიოზულ ღონისძიებებსაც ატარებს.

იმპერიის სასულიერო უწყებამ სამხედროთა რელიგიური აღზრდისათვის 60 000-მდე სამხედრო სასულიერო პირი გამოყო. მთავრობის აგენტი მღვდლები თვალყურს ადევნებდნენ მებრძოლთა დამოკიდებულებას ეკლესიისა და მთავრობის პოლიტიკისადმი (272, 27060, 2).

სამხედრო ნაწილებში ხელისუფლებისათვის სახარბიელო მიმართულების განმტკიცებისა და საშიში იდეოლოგიის თავიდან აცილების მიზნით, ჯერ კიდევ 1901 წელს კავკასიის სამხედრო შტაბმა 14 აგვისტოს № 14992 ბრძანების (50,164) საფუძველზე შეიმუშავა მითითება, რომელიც სასულიერო პირს ავალებდა სისტემატური საუბარ-ქადაგებების ჩატარებას არმიასა და ფლოტში. ამ მიზნით, ხშირად ეწყობოდა სამხედრო კეთილდამწყსველთა თათბირები, სადაც იხილავდნენ სამხედროებში საღვთო სჯულის სწავლების საკითხებს, საუბარ-ქადაგებების ჩატარების მეთოდებსა და ხერხებს და ა.შ.

თვითმპყრობელობის პოლიტიკას განსაკუთრებულ საფრთხეს სამხედრო ნაწილებში მომძლავრებული სექტანტური ჯგუფების წარმომადგენელი სამხედროები უქმნიდნენ. ასეთ ნაწილებში მომსახურე სასულიერო პირს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სახელმწიფოს წინაშე. მას სისტემატიური და აქტიური სამისიონერო მუშაობა უნდა ეწარმოებინა არმიასა და ფლოტში.

აღნიშნული კუთხით, საქართველოს საეგზარქოსოშიც წარმოებდა სისტემატიური და აქტიური საქმიანობა. სამხედრო მოსამსახურეთა სარწმუნოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, კავკასიის სამხედრო ნაწილებისათვის საეგზარქოსო იწყებს ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობით საქმიანობას. მათ სამხედრო ნაწილებში იდეოლოგიური დამუშავების ცენტრის ფუნქცია უნდა შეესრულებინათ. ამ მიზნით, თბილისში აიგო წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის სახელობის ეკლესია, რომელიც სამხედრო უწყებას ემორჩილებოდა. ეკლესიასთან დაარსდა ბიბლიოთეკა სასულიერო

ლიტერატურითა და სხვადასხვა სახის სათანადო პერიოდული გამოცემებით: ასევე აშენდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი; სამხედრო უწყებას გადაეცა თბილისის, გორის, ბათუმის და სხვა ქალაქების რიგი ეკლესიები (185, № 13-14,7).

ომში რუსეთის გამარჯვებისათვის, საეგზარქოსოს პირადი წვლილი შეჰქონდა ფრონტზე თავისი თანამშრომლების უშუალო მონაწილეობით საბრძოლო ოპერაციებში. ომში მონაწილე სამღვდელოება მთელი შესაძლებლობებით ებრძოდა რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელებას პირად შემადგენლობაში, რაც არმიის დაშლას ყველაზე დიდ საშიშროებას უქმნიდა. საეგზარქოსო სისტემატურად აგზავნიდა პეტერბურგში იმ სანდო და გამოცდილ სასულიერო პირთა გვარებს, რომელთაც ეძლეოდათ სპეციალური რეკომენდაცია ფრონტზე წასვლისათვის. პირველ რიგში იგზავნებოდნენ ისინი, ვისაც მოსახლეობაში მუშაობის სათანადო გამოცდილება გაჩნდა და პოლიტიკურადაც სანდონი იყვნენ (185, № 13-14,7).

ფრონტზე გაწვეულ სასულიერო პირებს, სამსახურებრივი მოვალეობის გარდა, უშუალოდ ევალებოდათ საველე ჰოსპიტლებში სამსახური და სამხედროთა პირველადი სამედიცინო მომსახურება. საამისოდ, საქართველოს ეგზარქოსმა ალექსი I-მა (1901-1905) 1905 წლის 16 თებერვალს მიიღო დადგენილება (272, 22437,9), რომლის ძალითაც ყოველ სასულიერო პირს ფრონტზე სანიტრის მოვალეობის შესრულება ევალებოდა. აღნიშნულ ბრძანებას სამხედრო მოსამსახურეებში უნდა აემაღლებინა სასულიერო პირის ავტორიტეტი და განემტკიცებინა მათში სარწმუნოებრივ-ზნეობრივი დონე (125, № 20,8).

ფრონტზე უშუალო მონაწილეობის გარდა, საეგზარქოსოს სამღვდელოებას ზურგშიც უდიდესი საპასუხისმგებლო საქმე ეკისრებოდა. უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი მოსახლეობა თავს არიდებდა უაზრო ომში მსხვერპლის გაღებას და ფრონტზე წასვლაზე მტკიცე უარს აცხადებდა. უმაღლესი სასულიერო უწყების დავალებით, საეგზარქოსოს სისტემატურად უნდა ეგზავნა იმპერიის დედაქალაქში წვევანდელთა სიები, რომლებიც მოვალენი იყვნენ თავიანთი წვლილი გაეღოთ ქვეყნის დაცვისათვის (272, 22445, 11).

ომის დაწყების პირველ ეტაპზე, საეგზარქოსო ომის დაწყების პროპაგანდით მეტ-ნაკლებად ახერხებდა მოსახლეობისა და მებრძოლთა

ნაწილის მიზიდვას. უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ხალხი, მწუხარების შემსუბუქებისათვის ეკლესიას მიმართავდა, მალე გამოაშკარავდა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ეს ომი და ხალხმაც ხმა აიმაღლა მის წინააღმდეგ. მთავრობისა და ომის საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის სოციალ-დემოკრატიული პარტია ხალხს აცნობდა თვითმპყრობელობის ანტიხალხურ პოლიტიკას და ეკლესიის მსახურთა როლს ამ საქმეში.

ომის დაწყების პირველივე დღეებიდან სოციალ-დემოკრატიული პარტია აქტიურად ჩაება ომის საწინააღმდეგო ბრძოლაში. იგი მოსახლეობას განუმარტავდა ომის ნამდვილ მიზეზებს და მიუთითებდა მის დამღუპველ შედეგებზე. თავიანთ სააგიტაციო ფურცლებში, ისინი ამხელდნენ თვითმპყრობელობის პოლიტიკასა და ეკლესიის როლს ამ საქმეში: "... ჩვენი... ძმები სხვა გარეკეს ცხრა მთას იქით და ომიანობის ღმერთს (თვითმპყრობელობას – ქ.პ.) უნდა შესწირონ. მამულისათვის, ქრისტიანობისათვის, მეფისათვის თავი დასდეს. ამას ჩასჩიჩინებდნენ უეჭველ სიკვდილზე მიმავალ ჩვენს ძმებს გამოტვინებული ქურუმნი ალექსი და გაიძვერა ვოსტორგოვი" (236. 110).

ცარიზმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის საერთო მღელვარება რუსეთ-იაპონიის ომში ბიძგს აძლევდა საქართველოს დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია-გააქტიურებას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ აღმავლობას. ქართველი დემოკრატიული საზოგადოება არ აჰყოლია რუსეთის რეაქციულ შემამულეთა და ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის მტაცებლურ მისწრაფებებს. ქართველი საზოგადოებრიობა რუსეთის ხალხთა მასების მხარდამხარ ომის საწინააღმდეგო ლოზუნგებით გამოდიოდა.

ქართველი ერი მიმდინარე ომის ყაჩაღურ, დამპყრობლურ ხასიათს ამხელდა. გმობდა თვითმპყრობელობის მოხელეთა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მისწრაფებებს და ამას „სამარცხვინო თამაშად" მიიჩნევდა. ქართული დემოკრატიული საზოგადოებრიობა ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ცარიზმის კოლონიალური უღლისაგან განთავისუფლება, საქართველოს დემოკრატიულ ძალებს არა საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობით ესახებოდათ იმპერიალისტურ ომში, არამედ საკუთარი ხალხის ერ-

თიანობით. ქართული დემოკრატიული ძალები ამ დროს ეწეოდნენ გაცხოველებულ საქმიანობას მთელი ერის დარაზმვის საქმეში, რუსეთის ნამდვილი სახის გამოაშკარავებაში.

ომის საწინააღმდეგო გამოსვლებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ საეგზარქოსოს სასწავლო-საგანმანათლებლო ქსელის დაწესებულებანი. მათ შორის მნიშვნელოვანია ქუთაისის სასულიერო და საერო სასწავლებლების მოსწავლეები. დემონსტრაცია დაიწყეს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებმა, რომელსაც შეუერთდნენ სასულიერო სემინარიის, ეპარქიალური სასწავლებლებისა და რეალური სასწავლებლების აღსაზრდელები. დემონსტრაცია ჩატარდა ლოზუნგით — „ძირს თვითმპყრობელობა!“, „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“ (15,27). ეს გამოსვლები პოლიტიკურ ხასიათს ატარებდნენ და მიმართული იყო რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისადმი გამოცემულ მეფის მანიფესტის საწინააღმდეგოდ. ადგილობრივი ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა დემონსტრანტებს (131,199,220-221).

რეპრესიული და იდეოლოგიური ღონისძიებებით თვითმპყრობელობა ცდილობდა ხალხის რევოლუციური მოძრაობიდან ჩამოცილებას, რევოლუციური მოძრაობის ავტორიტეტის დაცემასა და რევოლუციონერთა სახელის გატეხვას მოსახლეობაში. ამ მიზნით, ყველა უწესრიგობა, რაც კი არსებობდა საეგზარქოსოში მიეწერებოდა რევოლუციონერებს. მაგალითად, ეკლესია-მონასტრების ქონების ხელყოფა ყველა შემთხვევაში რევოლუციონერებს ბრალდებოდათ (272, 22380, 1-9). რუსეთში მიმდინარე არეულობანი კი, საეგზარქოსოს მესვეურთა აზრით, უცხოელი აგენტების უშუალო მეცადინეობით ხდებოდა, რისთვისაც ისინი (იაპონელები) საჭირო ხარჯებსაც კი იღებდნენ (50,127).

ომის სახარგებლო რიგ ღონისძიებებთან ერთად, რომელსაც კი საეგზარქოსო ატარებდა, შედიოდა ომის საჭირო თანხების შეგროვებაც. თვითმპყრობელობა საეკლესიო თანხებს სარეზერვო ფონდად მიიჩნევდა. ომის საჭიროებისათვის შემოწირულობების გაღების მიზნით, იმპერიის სასულიერო უწყება და საქართველოს საეგზარქოსო სისტემატიურ ღონისძიებებს ატარებდნენ თანხების გაღებისათვის. ეგზარქოსთა მოწოდებები იბეჭდებოდა საეგზარქოსოს პერიო-

დულ გამოცემებში. გადაწყდა, რომ ყოველ დღესასწაულსა და კვირის წირვების შემდეგ მრევლიდან აკრეფილიყო შემოწირულობები (184, №4,6).

შემოწირულ თანხებს საეგზარქოსო საომარ ოპერაციებს სწირავდა. მაგალითად, 1904 წელს ომის ფონდში ჩაირიცხა 4 696 მანეთი და 62 კაპიკი (272, 22437,3). ეს თანხები ყოველწლიურად იზრდებოდა. ომის საჭიროებისათვის, ეკლესია-მონასტრებმა გაიღეს 3 869 720 მანეთი და 14 კაპიკი (67,9).

უწმინდესი სინოდის 1904 წლის №14021-ის განკარგულების ძალით, საქართველოს საეგზარქოსოს ეკლესია-მონასტრებს, განმანათლებელ საზოგადოებებს, ძმობებს, კავშირებს და მონასტრებთან არსებულ სამრეწველოებს დაევალათ მონაწილეობა მიეღოთ ომში დაღუპულ ჯარისკაცთა დაობლებული ოჯახებისათვის დასახმარებლად თანხების შეგროვებაში. სინოდის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ყველა ეპარქიაში სისტემატიურად მიმდინარეობდა ეკლესია-მონასტრებიდან თანხების შეგროვება, რომელიც ირიცხებოდა წითელი ჯვრის კავკასიის საოლქო სამმართველოში, რაც მცირედ დახმარებას უწევდა ომში დაზარალებულ მოსახლეობას და მათ ოჯახებს (273, 48388,6).

ომისათვის საჭირო თანხების სოლიდური ნაწილი საეგზარქოსოს სამღვდელოების ხელფასებზე მოდიოდა. საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომელთა მოთხოვნით, ყოველთვიურად მათი ხელფასებიდან 5 % კავდებოდა ომში დაზარალებულ სამხედროებისა და მათი ოჯახების დახმარებისათვის (205,3). საეგზარქოსოს კანცელარიის თანამშრომლებს უქვითებოდათ ხელფასის 2%, კანცელარიის ჩინოვნიკებს 1% (273, 48618,7). გარდა ამისა, საეგზარქოსოს, სინოდალური კანტორისა და საქართველოს საეპარქიოთა თანამშრომლებს ევალებოდათ ჰუმანური დახმარების გაწევა ფრონტზე წასულებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. მაგალითად, 1905 წელს, საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარია იუწყებოდა, რომ საქართველოს საეპარქიოების ეკლესიებიდან მეომართა ობოლი ბავშვების დასახმარებლად გაღებულ იქნა 468 მანეთი და 87 კაპიკი (273, 48388,100); ხოლო მთლიანად, 1904 წლის 2 თებერვლიდან 27 აპრილამდე შეგროვდა 3 523 მანეთი და 99 კაპიკი. ამასთან, ობოლი ტან-

საცმელი, თეთრეული, სურსათი და სხვა (184, № 19,122). ბორჩალოს მაზრის სამღვდელოებამ კი 26 მანეთი შესწირა ომის დაწყებისთანავე წითელი ჯვრის კომიტეტს დაღუპულ მეომართა ობოლი ბავშვების საპატრონოდ (103, 273,2). სოხუმის ეპარქიის სამღვდელოებამ 1905 წელს დაჭრილ და დასახიჩრებულ მებრძოლთა გამოჯანსაღებისათვის გაიღო 20 მანეთი და 47 კაპიკი. გურია-სამეგრელოს ეპარქიამ 21 მანეთი, ხოლო საეგზარქოსოს კანცელარიამ საეკლესიო ხაზინაში დახმარების სახით გადარიცხა 286 მანეთი და 70 კაპიკი (273, 48388, 86, 94-95, 97, 115).

როგორც ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, მიუხედავად სასულიერო ხელისუფლების მიერ გატარებული რიგი ღონისძიებებისა, დახმარების ხელი გაუწვდინა ქართველ სამღვდელოებას ომისა და მის მონაწილეთა წარმატებიანი ბრძოლებისათვის — ქართველი საზოგადოებრიობა და მისი სასულიერო ფენა პასიურ დამოკიდებულებას იჩენდა ზემოხსენებული მოთხოვნებისადმი. იძულებითი გადასახადების გარდა, ომის საჭიროების თანხები და საქველმოქმედო ღონისძიებები ძირითადად გროვდებოდა და ტარდებოდა საეგზარქოსოს რუსი ეროვნების მრევლში. ქართული ეკლესია არ გამოხმაურებია რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ანტიხალხურ პოზიციას და უსამართლო, დამპყრობლური ომისათვის დახმარების მოწოდებას.

ერთგული სამსახურის გამო, თვითმპყრობელობა სასულიერო პირთ განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა; ხელფასების ზრდასთან ერთად, სამღვდელოებას სისტემატურ მატერიალურ დახმარებასაც უწევდა. 1906 წლის 28 აგვისტოს № 209 (251,127) განკარგულებით რუსეთის ხელისუფლებამ ომის ფრონტზე და ზურგში მოღვაწე სამღვდელოებას მნიშვნელოვნად გაუზარდა ხელფასების ოდენობა.

საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლება გარკვეულ მზრუნველობას იჩენდა მეომართა შვილების განათლებისადმი. ამ მიზართულებით გააცხოველა თავისი საქმიანობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის საბჭომ, რომელმაც 1904 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოითხოვა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისა და საეგზარქოსოს ხელმძღვანელობისაგან ყოველი ღონე ეხმარათ, რომ საეპარქიო სასწავლებლებში უფასოდ ესწავლებინათ რუსეთ-

იაპონიის ომში დაზარალებულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა შვილებისათვის, შექმნათ მათთვის ყოველნაირი პირობა ნორმალური ცხოვრებისათვის.

კავკასიის სამოსწავლო საბჭოს მოთხოვნას საქართველოს საეგზარქოსოში მომქმედი თითქმის ყველა სასწავლებელი გამოეხმაურა. მაგალითად, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგთა საბჭოს გადაწყვეტილებით სემინარიაში მიიღეს 4 ობოლი მოსწავლე, რომლებიც სახელმწიფო ხარჯზე სწავლობდნენ, ხოლო სასულიერო სასწავლებლებში კი საერთოდ 170 ბავშვი იღებდა განათლებას, აქედან, 20 მოსწავლე განთავისუფლებული იყო სწავლის ქირისაგან. მათ ურიგდებოდათ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სასწავლო ინვენტარი. ობოლი მოსწავლეები სასწავლებლის საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ. მათი შენახვა სასწავლებელს წელიწადში თითოეულზე 150 მანეთი უჯდებოდა. ასეთი ღონისძიება გატარდა თელავის სასულიერო სასწავლებელშიც, სადაც 10 აღსაზრდელი განთავისუფლდა სწავლის ქირისაგან და თითოეულს წელიწადში 100-100 მანეთი სტიპენდია დაენიშნა. ქუთაისის სასულიერო სემინარიის პედაგოგ-მასწავლებლებს ომის დამთავრებამდე ობოლი ბავშვების სწავლისათვის ხელფასიდან ყოველთვიურად 1 % უკავდებოდათ., იგივე სახის დახმარებას უწევდნენ უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებს ოზურგეთისა და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლები (273, 48388, 2-8, 9-10, 25-28, 67).

საქართველოს საეგზარქოსოს ეპარქიების ეკლესია-მონასტრებთან ეგზარქოსის განკარგულებით იხსნებოდა ობოლ ბავშვთა თავშესაფრები. აქ ბავშვთა აღზრდისა და ნორმალური ცხოვრების პირობების შესაქმნელად საჭირო თანხებს თვით მონასტრის კრებული იღებდა. მაგალითად, სოხუმის ეპარქიის ახალი ათონის მონასტერმა 3 ბავშვი აიყვანა და მათი აღზრდა ითავა. ასეთივე მიზნით, წმინდა სამების მონასტერმა 6 ყმაწვილი მიიყვანა საკუთარ ხარჯზე, ხოლო დრანდის მონასტერმა კი, რომელსაც უსახსრობის გამო თავშესაფრის გახსნის საშუალება არ ჰქონდა ყოველწლიურად ამ საქმისათვის სახელმწიფო ხაზინაში 100 მანეთს რიცხავდა (273, 48388,13).

მოსახლეობაში ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, საეგზარქოსოს ხელისუფლება ომის დამთავრების შემდგომაც აგრძელებდა ომში და-

ზარალებულთა ოჯახების დახმარებით საქმიანობას. საამისოდ, საეგზარქოსოს განკარგულებით ცალკე იგებოდა ეკლესიები ომში დაღუპულთა სახელზე; მათი სულების საოხად ტარდებოდა მრევლიდან შემოწირულობების აკრეფა; დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართა სამკურნალოდ ეკლესია-მონასტრებთან იდგმებოდა შემოწირულობათა ყუთები და ა.შ.

ასეთი სახის იყო ის ღონისძიებები, რომელსაც ატარებდა იმპერიის უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება და მასთან ერთად საქართველოს საეგზარქოსოც რუსეთ-იაპონიის ომის გამართლების, ამ ომში რუსეთის სამშვიდობო მისიისა და მოსახლეობაში რევოლუციონერთა მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით. მიუხედავად თვითმპყრობელობისა და საეგზარქოსოს დიდი მცდელობისა, იაპონიასთან ომში რუსეთმა წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. რუსეთის მარცხის მიზეზი იყო თვითმპყრობელური წყობის სიდამპლე, ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური სისუსტე, არასათანადოდ მომზადებული არმია და ფლოტი, უმაღლესი მთავარსარდლობის არასახარბიელო სამხედრო განათლება, იაპონიის სამხედრო პოტენციის შეუფასებლობა და საერთოდ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

ომმა, რუსეთში კიდევ უფრო გააუარესა მისი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა. იაპონიასთან ბრძოლა თვითმპყრობელურ რუსეთს 2 347 მილიონი მანეთი დაუჯდა, 400 ათასი მოკლულით, დაჭრილებითა და ტყვეებით.

თვითმპყრობელობამ ვერ შესძლო ომის გამოყენება მოსახლეობაში რევოლუციური მოძრაობის შესასუსტებლად. რუსეთის იმპერიალისტურმა ზრახვებმა მძიმე მარცხი განიცადეს, ომი მძიმე ტვირთად დააწვა იმპერიის მთელ მოსახლეობას, უკიდურესად გაამწვავა სოციალური ანტაგონიზმი, დააჩქარა რევოლუციური აფეთქება.

ამრიგად, რუსეთ-იაპონიის ომმა ნათლად წარმოაჩინა ცარიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, მისი ავტორიტეტის დაცემა მოსახლეობაში. თავის მხრივ, თვითმპყრობელობის იმედები ვერც საქართველოს საეგზარქოსომ გაამართლა. მოსახლეობაზე მისი გავლენის დასუსტებამ აშკარად იჩინა თავი ომის პერიოდში. მან ვერ შესძლო ცარიზმის იმპერიალისტური ზრახვების გამართლება, საქართველოში მიმდინარე საერთო სახალხო დემოკრატიული მოძრაობის

დასუსტება. საეგზარქოსოს პოლიტიკამ ვერ ჰპოვა ნიადაგი მოწინავე ქართველ საზოგადოებაში, რომელიც გმობდა რუსეთის ცარიზმს და მის საეკლესიო პოლიტიკას საქართველოში. იგი ცდილობდა არსებული ვითარების გამოყენებას საერთო დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციას, ქართული საზოგადოების წინაშე მდგარი კარდინალური საკითხების სამართლიანად გადაჭრას.

## თავი მესამე

# 1905-1907 წლების რევოლუცია და საქართველოს საეგზარქოსო

### §1. საქართველოს საეგზარქოსო 1905-1907 წწ. რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში

1905-1907 წლების რუსეთის სახალხო რევოლუცია შემზადებული იყო ქვეყნის ისტორიული ცხოვრების მთელი მსვლელობით. თავისი ხასიათით რევოლუცია იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ითვალისწინებდა თვითმპყრობელობის დამხობას, მსხვილი მიწათმფლობელობისა და ფეოდალური გადმონაშთების მოსპობას და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. ამ მიზნის განხორციელება კი მხოლოდ სახალხო დემოკრატიულ მოძრაობას შეეძლო, რომელიც გადაწყვეტდა დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვების ამოცანას (36, 186; 63, 433).

XX საუკუნის დასაწყისიდან უკიდურესად გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი; მომწიფდა რევოლუციური სიტუაციის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. ქვეყანაში არსებულ რევოლუციურ კლასებს შეემატა მასობრივი მოქმედების უნარი, რომელმაც ჯერ კიდევ თავი იჩინა 1900-1904 წლების წინარევოლუციურ მძლავრ სახალხო აჯანყებებში (49,95). ამ პერიოდიდან გლეხთა გამოსვლებიც შედარებით ორგანიზებულია და რევოლუციური ბრძოლის ხასიათს იღებს (77,6).

1905-1907 წლების რევოლუციამ ფართო ხასიათი მიიღო იმპერიის განაპირა მხარეებში, სადაც განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა თვითმპყრობელობის ქრონიკული, კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა

(50,127). საქართველოში შესამჩნევად გაიზარდა საზოგადოების ყველა ფენის პოლიტიკური აქტიობა. რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება ქართველი თავადაზნაურობა, ლიბერალური ბურჟუაზია, ინტელიგენცია, სამღვდელოება, მუშათა და გლეხთა ფენები. ქართველმა სამღვდელოებამ ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი წამოაყენა. მისი პოზიცია ითვალისწინებდა სასულიერო ფენის უფლებააყრილ წოდებრივი მდგომარეობის აღდგენა-განვითარებასა და განმტკიცებას.

საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზს 1905-1907 წლების წინ და რევოლუციის დროს წარმოადგენდა გლეხობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები (77,4).

1905-1907 წლების რევოლუცია, გლეხთა რევოლუციაც იყო, რადგან ქვეყანაში ისტორიულად შექმნილმა ვითარებამ წამოჭრა გლეხთა შემდგომი ცხოვრების ძირეული გარდაქმნის პრობლემა, რაც აუცილებელი ფაქტორი იყო ქვეყნის პროგრესული განვითარების საქმეში. საქართველოს რევოლუციაში აგრარული საკითხი თავისი ეროვნული თავისებურებებით ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა იყო. გლეხობა არა მარტო რუსიფიკატორულ პოლიტიკას ებრძოდა, არამედ მისი პოლიტიკის ერთგულ გამტარებელ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასაც.

თვითმპყრობელურ სახელმწიფოში მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველი ნაბიჯი განპირობებული იყო მთავრობის მიერ წარმართული პოლიტიკით. ეკლესია თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა მთავრობის ღონისძიებათა გატარებას ქვეყანაში და ამზადებდა საფუძველს მისი წარმატებებისათვის. მთავრობისა და ეკლესიის ასეთი ურთიერთობა განსაკუთრებით გაძლიერდა მათ ერთობლივ საქმიანობაში 1905-1907 წლების რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისას. ამ პერიოდში ეკლესია თვითმპყრობელობის ყველაზე მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა. იგი თავდაუზოგავად ებრძოდა რევოლუციურ იდეოლოგიას და ამ საქმეში მკაცრ მეთოდებსაც მიმართავდა. ეკლესია შეშფოთებული იყო ცარიზმისა და ეკლესიის წინააღმდეგ ხალხთა მასების მზარდი გამოსვლებით. თვითმპყრობელობაც თავის მხრივ ფართოდ იყენებდა მართლმადიდებლური ეკლესიის შესაძლებლობებს, რომელმაც რევოლუციური მოძრაობის აღმავ-

ლობის ხანაში კიდევ უფრო დახვეწა და გამიზნული გახადა ხალხთან ბრძოლის მეთოდები და ხერხები (216, 65).

რევოლუციის პერიოდში, თვითმპყრობელობის უდიდესი ნდობა ეკლესიისადმი ნათლად ჩანს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის სიტყვაში, რომელიც მან სინოდის ახალი ხელმძღვანელობის წინაშე წარმოსთქვა 1905 წლის 4 ნოემბერს: „ღრმად მწამს, რომ მთელი სამღვდელოება, განსაკუთრებით კი სოფლის ქრისტიანული მღვდლობით ყოველ ღონეს იხმარს თავის მრევლში სიწყნარისა და მშვიდობის აღდგენისათვის და ყოველი მათგანი შეასრულებს მის წინაშე წამოყენებულ ვალდებულებებს" (232, №45,7).

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, ეკლესია თავის ძირითად ამოცანას ხედავდა ხალხის ჩამოცილებაში რევოლუციური მოძრაობიდან. თუ 1905 წლამდე ეკლესიის კონტრრევოლუციური საქმიანობა სამღვდელოების აშკარა ჩარევით გამოიხატებოდა მთელი რევოლუციის მანძილზე, ამ მოღვაწეობამ უფრო ფრთხილი ხასიათი მიიღო (60, 213).

1905 წლის 7 იანვრიდან რუსეთში მასიური სახე მიეცა მოსახლეობის პოლიტიკურ გაფიცვებს. რევოლუციური სიტუაცია რევოლუციაში იზრდებოდა. რომლის აღკვეთა ცარიზმის ხელისუფლებამ 9 იანვარს დემონსტრატთა მასიური განადგურებით გადაწყვიტა. ამ მოვლენამ, საბოლოოდ გააღვიძა ხალხთა მასებში პოლიტიკური აზროვნების უნარი და უბიძგა მათ რევოლუციური ბრძოლისაკენ. რუსეთის იმპერიაში რევოლუცია დაიწყო. რევოლუციის დაწყებისთანავე მეფის უშუალო დავალებით, სასულიერო ხელისუფლებამ მიიღო მთავრობისაგან პოლიტიკური შეკვეთა აქტიური მონაწილეობისათვის რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დროიდან იწყება მთელი სასულიერო აპარატის ექსტრემალური ქმედებანი. ეკლესიის სახელმწიფო საქმეებში ჩარევამ გამოიწვია თვით ეკლესიის შიდა კრიზისი, რაც გამოიხატა მოსახლეობის განდგომით ეკლესიისაგან, ქართველი სამღვდელოების მოძრაობის გააქტიურებით და მოწინავე ახალგაზრდობის დაპირისპირებით ეკლესიისადმი (60,84).

მთელი თავისი ანტირევოლუციური ღონისძიებებით, 1905-1907 წლებში ეკლესია უმაღლეს საერო ბიუროკრატიას, მსხვილ ბურჟუაზიასა და მემამულეებთან ერთად ხდება აქტიური კონტრრევოლუციუ-

რი ძალა, რომელიც თვითმპყრობელობის გასანადგურებისათვის არ იშურებს თავის ძალასა და ქონებას (72.20-21).

რევოლუციის პერიოდში განსაკუთრებული ხასიათი მიიღო საქართველოს მოსახლეობის საეგზარქოსოსადმი დამოკიდებულებამ. რევოლუციური გამოსვლების დროს ხალხი მოითხოვდა საეკლესიო-სამონასტრო მიწების უსასყიდლოდ გადაცემას, სამღვდელოების განათლებისაგან ჩამოცილებას (119, № 10,4), საეკლესიო გადასახადთა გაუქმებას, რადგან სამღვდელოების შენახვა მათ მძიმე ტვირთად აწვა (55,22-23). ამის გამო, მრევლი უარს აცხადებდა საეკლესიო ცხოვრებაზე, უგულებელყოფდა სამღვდელოების სამსახურს, მასში ხედავდა ჩინოვნიკ-ძალმომრეებს (235,22). გლეხობა სასტიკად უსწორდებოდა სასულიერო პირთ, სწვავდა მათ სახლ-კარსა და ეკლესია-მონასტრებს (1219, № 9,11). დაშინების მეთოდით, ხშირად ისინი აღწევდნენ სასურველ შედეგს. მაგალითად, გორის მაზრის სოფელ ატენის გლეხებმა თავიანთ ყრილობაზე აიძულეს მღვდელი ფიცი დაედო, რომ მემამულეებთან ბეგარით აღარ იმუშავებდნენ; ან კიდევ ამავე მაზრის რამდენიმე სოფლის გლეხთა თავყრილობაზე, სადაც 15 000-მდე კაცი ესწრებოდა ადგილობრივი მღვდელი სიმონ ხახუტაშვილი დააფიცეს მრევლის წინაშე, რომ სამღვდელოება მათ აღარ შეაწუხებდა საეკლესიო ცხოვრების წესების მოთხოვნით (26,81-82). იმ სასულიერო პირებს, რომლებიც არ დაემორჩილებოდნენ „ყრილობის" გადაწყვეტილებებს, გლეხობა სასტიკად უსწორდებოდა.

გლეხთა რევოლუციური მოძრაობის აზვირთება დაკავშირებული იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიურ პროპაგანდასთან სოფლად. კავკასიის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი საქართველოს მაზრებში აგზავნიდა პროპაგანდისტ-აგიტატორთა ჯგუფებს, რაიონებს ამარაგებდა პროკლამაცია-მოწოდებებით. სოციალ-დემოკრატები მოუწოდებდნენ გლეხობას ქალაქის მცხოვრებლებთან ერთად დაპირისპირებოდნენ თვითმპყრობელობას. სოციალ-დემოკრატების რევოლუციური მოთხოვნები გადაიქცა დემოკრატიული გლეხობის ფართო მასების მოთხოვნებად.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ კარგად იცოდა, რომ ისეთ აგრარულ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც რევოლუციამდელი საქართველო იყო, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება

ბევრად იყო დამოკიდებული მათ კავშირზე გლეხობასთან. პარტიის წევრები ენერგიულად უჭერდნენ მხარს გლეხების სრული კონფის-კაციისათვის ბრძოლის ამოცანას. ამბოხებული გლეხობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპაგანდის მეშვეობით კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებდა ყველგანაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოება. ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ქართლ-კახეთის ეპარქიაშიც (272, 22481, 1). განსაკუთრებულად მწვავე ხასიათი მიიღო მრევლის საპროტესტო გამოსვლებმა სოხუმის ეპარქიაში. თვითმპყრობელობის ერთგულ მსახურს, სოხუმის ეპისკოპოსს არსენს, რომელიც აქტიურად საქმიანობდა აფხაზეთის გარუსებისა და მის საქართველოდან ჩამოცილებაში – საკრებულომ მის ტაძარში ღვთისმსახურების ჩატარების უფლება არ მისცა. აღშფოთებული ეპისკოპოსი 1905 წლის 15 თებერვლის წერილით მიმართავს გუბერნატორსა და საქართველოს ეგზარქოსს, სადაც იგი აღნიშნავდა იმ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც მის ეპარქიაში გაბატონებულიყო. იგი ხელისუფლებას აფრთხილებდა სოხუმში მოსალოდნელ საყოველთაო ამბოხებაზე, რომელიც მთავრობისა და ეკლესიის მიმართ იყო გათვალისწინებული და საამისოდ. სასწრაფო ღონისძიებების გატარებას ითხოვდა. კავკასიის რევოლუციური კომიტეტის მუქარით შეშინებული სოხუმის ეპარქიის სამღვდელოება იძულებული ხდებოდა სამწყსო მიეტოვებინა და სიცოცხლის გადარჩენის მიზნით რუსეთისათვის შეეფარებინა თავი (272, 25521,37).

გლეხობის ეკლესიისადმი დაპირისპირებამ უკიდურესად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩააყენა სასულიერო ფენა, განსაკუთრებით კი სოფლის სამღვდელოება. ფიზიკური მოსპობით შეშფოთებული სამღვდელოება მოითხოვდა საეგზარქოსოსა და თვითმპყრობელობის ხელისუფლებისაგან მათი გადარჩენისათვის სათანადო ღონისძიებების გატარებას (272, 25522,9). წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებულნი გახდებოდნენ უარი ეთქვათ სამსახურზე. ყოველივეს ერთვოდა ის ფაქტიც, რომ სამღვდელოება წლობით ვერ იღებდა კუთვნილ ხელფასს და ღვთისმსახურებაში მრევლიდან აღებული მცირე გასამრჯელოთი ირჩენდა თავს (154,2). ასეთი შემოსავლით სამღვდელოებას ლუკმას ვერ გაჰქონდა თავი და ხშირად უკიდურეს მეთოდს

— გაფიცვას მიმართავდა, რაც თითქმის ყოველთვის უშედეგოდ მთავ-რდებოდა (167, № 2955, 3; 111,2).

1905-1907 წლების რევოლუციურმა მოძრაობამ თავისი გავლენა იქონია საეგზარქოსოს სასულიერო პირთა განწყობაზე. სასულიერო ფენის ერთი ნაწილი აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობებში და მნიშვნელოვან როლსაც ასრუ-ლებდა მის შემდგომ წარმატებებში. საეგზარქოსოს ხელისუფლება სამ-ღვდელოების სახელმწიფოსათვის არასაიმედო მიმდინარეობისაგან დაცვისათვის სათანადო ღონისძიებებს ატარებდა. ხელისუფლება მკაც-რად უსწორდებოდა სამღვდელოებას, ასამართლებდა მას, გადაჰყავდა ნაკლებშემოსავლიან ადგილებში, და, რაც საგულისხმოა, მათ იშვია-თად იხსოვდნენ სამსახურებიდან, რათა მათივე მეშვეობით დაეც-ვათ ეკლესია-მონასტრები ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობებისა-გან. ურჩი სამღვდელოების დასჯის მიზნით, 1905 წლის 20 დეკემბერს სინოდმა მიიღო დადგენილება „სამღვდელოების ქმედებებზე რევო-ლუციურ და სახალხო მოძრაობაში", რომლის ძალითაც ასეთ სასუ-ლიერო პირთ ეკრძალებოდათ ღვთისმსახურება და პასუხისგებაში მიეცემოდნენ (233,7.1.,6-7). სინოდის აღნიშნულმა დადგენილებამ, ფარ-თოდ გასაქანი მისცა საეგზარქოსოს ხელისუფლებას 1906 წლიდან სამღვდელოების მიმართ გაეტარებინა უმკაცრესი რეპრესიები (60,108).

საეგზარქოსოს მონაცემით, ეკლესია-მონასტრების წინამძღვრებს ევალებოდათ თვალყური ედევნათ თავიანთ სამწყემსოებში მოღვა-წე სახელმწიფოსათვის არასაიმედო (272, 25521, 38) სასულიერო პი-რებზე, რომლებიც თავს აფარებდნენ მონასტრებს და სასულიერო ფე-ნისა და მრევლში აქტიურ რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ. მათ შორის აღსანიშნავია, თელავის მაზრის სოფელ ქვემო ხოდაშნის მე-დავითნე სიმონ ფხალაძე (272, 22527,2); გორის სასულიერო სასწავ-ლებლის მღვდელი ფილიპე კარბელაშვილი, სამტრედიის რკინიგზის ეკლესიის მღვდელი სიმონ ხუნდაძე (272, 26390, 1-2); ახალქალაქის მაზრის მღვდელი დავით შატბერაშვილი და დიაკვანი სიმონ მადრა-ძე (272, 22748,1); სოფელ ბეშთაშენის სამწყსოს მღვდელი გიორგი კო-ტანოვი (272, 26390,2); ალავერდის მონასტრის არქიმანდრიტი ნიკო-ლოზი (262, 3238,6); იმერეთის ეპარქიის კეთილდამწყსველი გიორგი ელიავა (1267, № 2969,3) და სხვ. საეგზარქოსოს უწყებაში სისტემატუ-

აღ იგზავნებოდა სხვადასხვა ეპარქიებიდან საჩივრები, სადაც ასეთი სამღვდელოების მკაცრად დასჯას ითხოვდნენ (272, 22527,1–2;22748,1;26390,1).

ამბოხებული სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლაში საეგზარქოსოს ხელისუფლება ხშირად საპოლიციო აპარატსაც მიმართავდა, რომლისაგანაც ფრთხილ პოლიტიკას ითხოვდა. პოლიციას უკიდურესი ზომების მიღება მხოლოდ სამღვდელოების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში შეეძლო, რომელზეც დასტურიც ეპარქიათა სამმართველოებს უნდა გაეცათ (263, 5308,12).

რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ საქმიდან ქართველი სასულიერო ფენის ჩამოსაცილებლად სასულიერო უწყებამ მიიღო 24 კანონი. აქედან, 1905 წელს – 13, 1906 წელს – 7, ხოლო 1907 წელს – 4) (72, 175). იმპერატორის მიერ 1905 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ იმსჯელა ამიერკავკასიის საეკლესიო-სამოქალაქოებრივი ცხოვრების შემაშფოთებელ მოვლენებზე. საეგზარქოსოს ხელისუფლების აღნიშვნით, სხვადასხვა სახის რევოლუციონერთა პარტიები ეწეოდნენ მოსახლეობასა და სასულიერო სასწავლებლებში ანტისახელმწიფოებრივ აგიტაცია-პროპაგანდას და მათ მთავრობისადმი დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდნენ. სინოდალურმა კანტორამ დაადგინა, რომ სასულიერო პირებსა და საერო პედაგოგებს აგიტაცია-პროპაგანდა უნდა გაეძლიერებინათ მრევლსა და აღსაზრდელებს შორის; დაეცვათ ხალხი ანტისახელმწიფოებრივ და ანტისაეკლესიო პროპაგანდისაგან. კანტორამ საჭიროდ მიიჩნია საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების ირგვლივ გამოექვეყნებინა მასალები რუსულ და ქართულ ენებზე თბილისის პერიოდულ პრესაში (272, 25522, 113-114).

სასულიერო უწყების განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა საეკლესიო ქონების ხელყოფა, რის გამოც სინოდმა 1905 წლის 5 მაისის ბრძანებულებით დაადგინა უმკაცრესი ზომების გატარება იმ პირთა და დაჯგუფებათა მიმართ, ვინც საეკლესიო ქონებას იტაცებდა; შეიქმნა სპეციალური დამცველი ჯგუფები (272, 22466,8).

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსეთის ხელისუფლება და სასულიერო უწყება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ეკლესია-

მონასტრებში ანტირევოლუციური პროპაგანდის გაძლიერებას. საეგზარქოსოს ხელისუფლების მითითებით დაიწყო მასიური სამუშაოები ეკლესიათა აღსადგენად იმ რეგიონებში, სადაც განსაკუთრებული გამოვლინება ჰქონდა რევოლუციურ მოძრაობას. მათ შორის: თბილისში, ბათუმში, ბაქოში და სხვ. რევოლუციის წლებში, ეს ქალაქები ამიერკავკასიის საქალაქო და საეკლესიო მმართველობის სერიოზული ზრუნვის საგნად იქცა.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის 1905 წლის 9 ოქტომბრის განკარგულებით, საეგზარქოსოში გააქტიურდა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა. საეგზარქოსოს თანამშრომელთ ევალებოდათ მოსახლეობის განწყობის თვალყურის დევნება, მშრომელთა დამოკიდებულება რევოლუციური მოძრაობისადმი და სხვ. ეპისკოპოსებსა და კეთილდამწყსველს უნდა შეეკრიბათ რევოლუციური მოძრაობის შესახებ ადგილობრივი ცნობები და მიეწოდებინათ ისინი სასულიერო ხელისუფლებისათვის. ეს უკანასკნელი მიღებულ ცნობებს აჯამებდა და სისტემატიურად იხილავდა საეგზარქოსოს სხდომებზე, იღებდა საიდუმლო გადაწყვეტილებებს, რასაც პერიოდულად აწვდიდა იმპერიის დედაქალაქსა და სამოქალაქო-საპოლიციო განყოფილებას (22,30). სასულიერო ფენას მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა სამხედრო ნაწილებთან, პოლიციასთან და დიდ დახმარებას უწევდა მათ ხალხთა გამოსვლების ჩახშობაში. მთავრობის დავალებათა შეუსრულებლობისათვის სასულიერო პირები მკაცრად ისჯებოდნენ (55,76).

სამღვდელოების ჯაშუშურ საქმიანობაზე მეტყველებს საარქივო მასალები და იმ დროის პერიოდული გამოცემები. მაგალითად, 1905 წლის პრესიდან ვგებულობთ, რომ თბილისის მაზრის სოფელ ერწოს მღვდელს გლეხები დაუსმენია ადგილობრივ პოლიციის სამმართველოში (272, 25522, 113; 125, №9—10, 6; 119, № 14,2). ხშირად სამღვდელოება მარტო ჯაშუშობით არ კმაყოფილდებოდა და პრაქტიკულადაც მოქმედებდა. მაგალითად, სამტრედიის ეკლესიის მღვდელს ეკლესიაში შეუპყრია რევოლუციონერი მუშა; ასევე მოქცეულა იმერეთის ეპარქიის კეთილდამწყსველთა მღვდელი ერმალოზ კანდელაკი და სხვ. (272, 22445,3).

საეკლესიო ქადაგება ხალხთა მორჩილებაში ყოფნის უძველესი მეთოდი იყო, რომელმაც თავისი გაქანების მწვერვალს სწორედ 1905-

1907 წლების რევოლუციის პერიოდში მიაღწია. სამღვდელოების ქადაგებანი გამოირჩეოდნენ თავიანთი რეაქციული შინაარსით და მიმართული იყო მრევლში რევოლუციური მოძრაობის გავრცელების წინააღმდეგ (272, 25522,120). ქადაგებების ხალხთა ფართო მასებში გავრცელების მიზნით, საეგზარქოსო იყენებდა ცალკეულ გამოცემულ ლიტერატურას, თუ ბროშურებს. 1905-1907 წლებში, საეგზარქოსოს ინიციატორობით მარტო 32 რელიგიური შინაარსის წიგნი გამოვიდა, რომლებიც პირდაპირ გმობდნენ რევოლუციას (60, 118-119). 1905 წლის მანძილზე, საეგზარქოსოში გავრცელდა მონარქისტულ-კლერიკალური შინაარსის ფურცელი-მოწოდება 200 000 ცალის ოდენობით, რომელთაგან 150 000 ცალი დაიბეჭდა ქართულ ენაზე, ხოლო 50 000 ცალი კი რუსულ ენაზე (272, 25522, 222-213). საეგზარქოსოს თანამშრომლები აქტიურ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდნენ. საქართველოს ეგზარქოსმა განსაკუთრებული ყურადღებაც გაამახვილა ევროპულ ლიტერატურაზე, რომლებიც ეკუთვნოდნენ ევროპელ ანტირევოლუციონერ სასულიერო პირებს. კონტრრევოლუციური საეკლესიო ლიტერატურიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეპისკოპოს ლეონიდის ნებართვით 1907 წელს თარგმნილი ფრანგი პროფესორის ანატოლი ლეროა ბოლიეს ნაშრომები: „ქრისტიანობა და დემოკრატია" და „ქრისტიანობა და სოციალიზმი". მთარგმნელი დეკანოზი ნ. ყუბანეიშვილი ცდილობდა გამოეკვეთა ავტორის შეხედულება თანამედროვე დემოკრატიულ მოძრაობაზე და მისი მცდელობა ქრისტიანობის დაკავშირებაზე დემოკრატიასთან (22,50). ასეთი მეთოდით ცდილობდა ეკლესია მოსახლეობიდან რევოლუციური განწყობის აღმოფხვრას.

საეგზარქოსოს სერიოზული ყურადღების ცენტრში იყო მის მიერ გამოცემული რელიგიური შინარსის წიგნების ხალხში გავრცელების საქმეს. ამ მიზნით, იქმნებოდა სპეციალური ბიბლიოთეკები, რომლებიც სამღვდელოებიდან მოწოდებულ ლიტერატურით კომპლექტდებოდა. ასეთი გზით, ეკლესია ცდილობდა ხალხის შეხედულებათა მისთვის სასურველი გზით წარმართვას (41,66).

თვითმპყრობელობა განსაკუთრებით აფასებდა იმ სასულიერო პირებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ანტირევოლუციურ მოძრაობაში. ეგზარქოსები სისტემატიურად მიმართავდნენ სინოდს ერთგული

სამღვდელოების დაჯილდოებისათვის. მრავალმა სასულიერო პირმა მიიღო მთავრობისაგან ორდენები, სიგელები, ფულადი ჯილდოები და სხვ. (55,78). საეგზარქოსოს ხელისუფლება თავის ერთგულ სამღვდელოებას ხშირად რიგ დანაშაულებებსაც პატიობდა. მაგალითად, როდესაც სოფელ ნინოწმინდის ეკლესიის მრევლმა უჩივლა თავის მღვდელს, ამ რეგიონის კეთილდამწყსეელმა სასულიერო უწყებას მისი დაცვა მოსთხოვა, რადგან მას უდიდესი დამსახურება მიუძღოდა რევოლუციური მღელვარების ჩახშობაში (272, 22246, 49-50).

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლასა და ეკლესიის გარშემო ხალხის დარაზმვაში, საეგზარქოსო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიური ორგანიზაციების შექმნის საკითხს. სინოდის ობერპროკურორი 1905 წლის იანვარში (256,424) აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის წარმატებამ ეკლესიას აჩვენა გზა რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში და მისი წარმატების საწინდრად იგი სამრევლოებში სასულიერო ცხოვრების გამოცოცხლებას მიიჩნევდა. ეგზარქოსის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო სხვადასხვა მონარქისტული და კლერიკალური ძმობების, საზოგადოებებისა, თუ კავშირების ჩამოყალიბებით; მათში რაც შეიძლება მეტი ხალხის მიზიდვით. ეგზარქოსები სამღვდელოებას მოუწოდებდნენ შეეკრიბათ მრევლი ქრისტიანულ კავშირებში, გაეღვივებინათ მათში ქრისტიანული რწმენა და სახელმწიფოსადმი ერთგულება. ასეთი გაერთიანებები უნდა შექმნილიყო საეგზარქოსოს ყველა ეკლესია-მონასტრებთან.

რეაქციონერი სამღვდელოება აქტიურად გამოეხმაურა ეგზარქოსის მოწოდებას და ენერგიულად შეუდგა შავრაზმული ორგანიზაციების დაარსებას. 1905 წლის დასაწყისში, კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ოფიციალურად დაავალა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების გენერალ გრიაზნოვს შეექმნა შავრაზმული ორგანიზაცია „პატრიოტთა საზოგადოება“, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა რუს მორწმუნეთა მონარქისტულად განწყობილი ნაწილი. ამ საზოგადოების ინიციატორობით მოსახლეობაში გაერცელდა მონარქისტულ-კლერიკალური შინაარსის ათასობით ფურცელი, რომლებიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის რევოლუციისაგან ჩამოცილებას და მათი ერთიანი რიგების გათიშვას, რაც გაუადვილებდა თვითმპყრობელობას რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას. „პატ-

რიოტული საზოგადოების" სალექციო დარბაზში ტარდებოდა საუბარ-ქადაგებები, ეწყობოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების განხილვა-ანალიზება, სისტემატურად ტარდებოდა მათი მარბიელი მსვლელობანი ქუჩებში, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასთან შეტაკებებით მთავრდებოდა (168, № 357, 358,362). ამ ფაქტის მესანიშნავი დასტურია საზოგადოების მიერ მოწყობილი 1905 წლის 22 ოქტომბრის შავრაზმული მანიფესტაცია ჯვრებითა და ხატებით, რომელიც ქალაქის ცენტრში მოსახლეობასა და მუშათა ჯგუფთან შეტაკებით დამთავრდა (22, 48). ამ მოვლენას დაწვრილებით აღწერს გაზეთი „ცნობის ფურცელი". „ქალაქს თავზარი დასცა ამ რაზმის სეირნობამ. ველურმა ყიჟინამ და სიმღერებმა გააყრუა მთელი თბილისი. ქუჩაში გამოსვლა შეუძლებელი შეიქნა, რადგან „პატრიოტები" უმოწყალოდ სცემდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ გამვლელებს. მათ დაარბიეს ვაჟთა პირველი გიმნაზია, დახოცეს მოსწავლეები" (12678.№ 357,358,3623).

1905 წელს თბილისის მეორე სამისიონერო ეკლესიის ბაზაზე აღმოცენდა რეაქციული საზოგადოება „საეპარქიო-სამისიონერო ძმობა". „ძმობის" მიერ ორგანიზებულ ლიტანიობებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უმაღლესი სასულიერო პირები, თვით ეგზარქოსი ალექსი, რომელიც ხშირად მონაწილეობდა „პატრიოტულ სადილობებში". მარტო 1905 წლის მანძილზე „ძმობამ" ასეთი სახის ოთხი სადამი მოაწყო (50, 1232). მოგვიანებით, აღნიშნული „ძმობის" ბაზაზე აღმოცენდა ახალი რეაქციული ორგანიზაცია „რუს მოკავშირეთა კავშირი". მისი დაარსების ორგანიზატორი იყო რუსეთის მეძამულე პურიშკევიჩი. ამ ორგანიზაციამ შემდგომში თავისი „საზარელი" საქმიანობა მთელს რუსეთის იმპერიაში გაავრცელა.

1905 წლის მაისში, თბილისში, ჩამოყალიბდა ახალი შავრაზმული ორგანიზაცია „წესრიგის მომხრეთა პარტია", რომლის დამაარსებელნი და მესვეურნი იყვნენ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი, დეკანოზი ი. ვოსტორგოვი და თბილისის მეორე სამისიონერო ეკლესიის წინამძღვარი ს. გოროდცევი. მასში გაერთიანებული იყო 800-მდე კაცი. ისინი არბევდნენ რევოლუციონერებს, უსწორდებოდნენ უდანაშაულო მოსახლეობას, აღვივებდნენ ეროვნულ შუღლსა და სიძულვილს სთესდნენ რუს და ქართველ ერებს შორის.

„პარტია“ გარს იკრებდა მშრომელებს, წრთნიდა მათ ზნეობასა და ცდილობდა მათ ჩამოცილებას რევოლუციისაგან (22,46-48).

რევოლუციის წინააღმდეგ იყო მიმართული თბილისის „რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების“ მოღვაწეობაც, რომელიც დაარსდა 1907 წელს. იგი უშუალოდ საქართველოს ეგზარქოსს ექვემდებარებოდა და თვითმპყრობელობისა და ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურებოდა ადგილობრივ მოსახლეობაში. „საზოგადოება“ სისტემატიურად მართავდა კრებებს, ხსნიდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, სცემდა რელიგიური შინაარსის ლიტერატურას და სხვ.

„საზოგადოებამ“ სამოღვაწეო ასპარეზად აირჩია საპყრობილეები, საავადმყოფოები, ღამის გასათევი სახლები, მოხუცთა და დავრდომილთა თავშესაფრები. ლექციები და საუბარ-ქადაგებები ტარდებოდა, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. მიუხედავად დიდი მეცადინეობისა „საზოგადოების“ მიმართ ადგილობრივი მოსახლეობა გულგრილობას იჩენდა, იშვიათად დაიარებოდა მათ შეკრებებზე, ბოლოს კი, საერთოდ ჩამოსცილდა მას. 1912 წელს „საზოგადოებამ“ არსებობა შეწყვიტა (272, 22651, 37).

1905-1907 წლების რევოლუციამ, რომელმაც მოიცვა მთელი საქართველო, შეეხო საზოგადოების ყველა ფენას და მოსახლეობის პოლიტიკური აქტიობა გამოიწვია, ბუნებრივია, მან დიდი გავლენა იქონია მოსწავლე ახალგაზრდობაზეც.

საქართველოს სასწავლებლებში გამეფებულ რეჟიმს თან ერთვოდა ეროვნული თვითშეგნების შელახვაც, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრა. ყოველივე კი ახალგაზრდობას უბიძგებდა ხმა აემაღლებინა არსებული წყობილების წინააღმდეგ. მოსწავლეები ეწერებოდნენ რევოლუციურ წრეებში, ეცნობოდნენ მარქსისტულ მოძღვრებას, აწყობდნენ გაფიცვებს, სცემდნენ ჟურნალ-პროკლამაციებს (98,137,177-178), ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას ფაბრიკა-ქარხნებში, სამხედრო ნაწილებში, მართავდნენ მიტინგებსა და დემონსტრაციებს (132, 174-175). განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ახალგაზრდობაში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა არალეგალური ჟურნალი „სასკოლო ცხოვრება“, რომელსაც ახალგაზრდები სხვადასხვა სასწავლებლების მოსწავლეთა შორის ავრცელებდნენ. ჟურნალი

მთლიანად თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მოწოდებებს მოიცავდა (132, 180, 190).

რევოლუციის დაწყების პირველი დღეებიდანვე თბილისის სასწავლებლების მოსწავლეთა გარდა, ახალგაზრდობის გაფიცვები და დემონსტრაციები მოეწყო ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ოზურგეთში, გორში, თელავში, ხონში და სხვ.

მოსწავლე ახალგაზრდობას ღრმად სწამდა, რომ რევოლუცია გადაწყვეტდა საქართველოს განთავისუფლების საქმეს, ამიტომაც მათი მოთხოვნები მოიცავდა პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ თავისუფლებას (130,410-415). ახალგაზრდობის მოთხოვნებში სერიოზული ადგილი ანტისაეკლესიო მოთხოვნებს ეკავა, როგორიც იყო საღვთო სჯულის სწავლების აკრძალვა, საეკლესიო სკოლების ნაცვლად სამოქალაქო სკოლების გახსნა და სხვ. (272, 22687, 12).

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად გამოირჩეოდნენ საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები. როგორც ყველგან, აქაც ანტირელიგიური განწყობილების ზრდას მოსწავლეებში ხელს უწყობდა რევოლუციური პროპაგანდა. სხვადასხვა რევოლუციურ პარტიათა გარშემო დარაზმული მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გაფიცვებსა და პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაციებში. ასეთ დროს მოსწავლეები სწყვეტდნენ სწავლას, უერთდებოდნენ გაფიცულ მშრომელებს და ითხოვდნენ ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რასაც დემონსტრანტები ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ითხოვდნენ (130, 389-390). იმერეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მოსწავლეთა მღელვარების მიზეზად ასახელებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპაგანდას ახალგაზრდებს შორის (272, 25522,13,61-64,101). იგივე მიზეზით ხასიათდება ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მღელვარებანი, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის საპროტესტო გამოსვლები, თბილისის სასულიერო სემინარიის ამბოხება და სხვ. მოსწავლეები მთავრობისაგან ითხოვდნენ პოლიტიკურ თავისუფლებას და სასულიერო სასწავლებლების სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ მუშაობას (272, 22644,1). საკმარისი იყო, რომელიმე სასწავლებლის მოსწავლეს უარი გამოეცხადებინა საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობაზე, რომ რევოლუციონერი მოსწავლეები მას ბოიკოტს უც-

ხალებდნენ, აშინებდნენ და ხშირად სიკვდილითაც ემუქრებოდნენ. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი თბილისის პოლიცმეისტერს 1905 წლის 10 მარტის წერილით აცნობებდა, რომ სასულიერო სემინარიის გარიცხული მოსწავლეები დანარჩენი სწავლის გაგრძელების შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებოდნენ (130, 420-421).

მოსწავლე ახალგაზრდობის მასიურმა გამოსვლებმა განსაკუთრებულად მძაფრი ხასიათი მიიღო 1905 წლის იანვარ-თებერვალში. გაფიცვები მოეწყო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. დემონსტრანტი მოსწავლეები ხევდნენ იმპერატორის სურათებს, თვითნებურად ტოვებდნენ გაკვეთილებს, მართავდნენ მიტინგებს, მოითხოვდნენ სასკოლო რეჟიმის შეცვლას და სხვ. ამ პერიოდის მოსწავლეთა რევოლუციურ მოძრაობას კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი 1905 წლის 5 მარტს შემდეგნაირად ახასიათებდა: „მოსწავლეთა მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდება... და ამჟამად ისეთ ფორმასა და ზომებს მიაღწია, რომელიც მხოლოდ ანარქიის სამეფოს დროს თუ შეიძლება იქნეს მოთმენილი. სასწავლებლების უფროსობამ აღიარა თავისი უსუსურობა გამკლავებოდა ამ მოძრაობას და ამიტომ ამ ამოცანის გადაჭრა მთლიანად გადავიდა ადმინისტრაციის ხელში“ (130, 410-415).

საეგზარქოსოს სასწავლებლებში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საეგზარქოსოს ხელისუფლება სასტიკ ზომებს იღებდა (272, 25522, 73-76,90). სინოდის გადაწყვეტილებით ეგზარქოსს ნება მიეცა დაეხურა სასწავლებლები, დაეთხოვა მოსწავლეები და მომსახურე პერსონალი შტატგარეშე დაეტოვებინა. ხშირ შემთხვევაში საეგზარქოსო არ კმაყოფილდებოდა სასწავლებლების დახურვით და არც თუ იშვიათად მიმართავდა პოლიციის სამსახურს.

ასეთი სახის ღონისძიებებით, 1905-1907 წლებში საეგზარქოსოში დაიხურა ქუთაისის სასულიერო სემინარია. მღვდელ ნიკოლოზ დურნოვოს აღნიშვნით, სემინარიის აღსაზრდელები აუმხედრდნენ რექტორს, რომელიც განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა რუსი ეროვნების აღსაზრდელთ (92,70).

სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეებში ეროვნული შუღლის გაღვივებით საეგზარქოსო ცდილობდა მათ შორის გათიშულობისა

და ურთიერთდაპირისპირებულობის შეტანას. მოსწავლეთა ერთი ნაწილის მოსყიდვით, სასულიერო ხელისუფლება მიისწრაფოდა შეეტყო მოსწავლეთა მთავრობისა და ეკლესიისადმი დამოკიდებულება. ხშირად, სასულიერო ხელისუფლება ჯაშუში მოსწავლეებისა და ანონიმური წერილების მეშვეობით იგებდა სასწავლებლებში მოსალოდნელი მღელვარებების შესახებ (265,7). საეგზარქოსოს ხელისუფლება, მოსწავლეთა ერთი ნაწილის ასეთ ერთგულ სამსახურს დიდად აფასებდა და სასწავლებლის დახურვის შემთხვევაში, მათ აძლევდათ სპეციალური ცნობა სხვა სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლების შესახებ (227, № 202,2).

მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში, საეგზარქოსო ხშირად ცვლიდა თავისი მოქმედების ტაქტიკას და მძიმე რეპრესიების მაგიერ დათმობაზეც მიდიოდა. მაგალითად, ეგზარქოსების პირადი ბრძანების საფუძველზე, სასწავლებლის ხელმძღვანელობას უფლება ეძლეოდა დაებრუნებინა სასწავლებლებში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილე გარიცხული მოსწავლეები, თუ ისინი დაიცავდნენ სასწავლებლების შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს (187, № 5, 19).

მიუხედავად საეგზარქოსოს ყოველმხრივი მცდელობისა, სასულიერო სასწავლებლებში რევოლუციური და მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა უფრო ძლიერდებოდა. საეგზარქოსოს თანამშრომლები მიუწოდებდნენ ყველას, დახმარებოდნენ სახელმწიფო ორგანოებს ხალხის დაწყნარებაში და ახალგაზრდობის რევოლუციური იდეოლოგიისაგან დაცვაში.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, კვლავ გრძელდებოდა ეკონომიურ-პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები საქართველოში. მოსწავლეთა მოძრაობა თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. მართალია ამ დროს ადგილი აღარ ჰქონია მოსწავლეთა მასობრივ გამოსვლებს, როგორც 1905 წელს, მაგრამ ახალგაზრდობა მაინც ვერ ურიგდებოდა ძველი სკოლის რეჟიმს და კვლავ განაგრძობდა სხვა ფორმებით მის წინააღმდეგ ბრძოლას.

მართალია, რევოლუცია დამარცხდა და მოსწავლე ახალგაზრდობის მდგომარეობაც არ გაუმჯობესებულა, რადგან სწავლის ხაზით ხელისუფლებას არც ერთი რეფორმა არ გაუტარებია, მაგრამ ახალ-

გაზრდობამ საქმით დაამტკიცა ხალხისა და ქვეყნისადმი ერთგულება და უდიდესი საბრძოლო გამოცდილება მიიღო. საქართველოს ახალგაზრდობის ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მთელი საქართველოს დემოკრატიული მოძრაობის საერთო ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო და ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში, რუსული ეკლესია მთელი თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა თვითმპყრობელობის ღონისძიებათა გატარებას ქვეყანაში და იცავდა მის უფლებამოსილებასა და ავტორიტეტს. ცარიზმის ხელისუფლებისა და ეკლესიის ასეთმა ურთიერთობამ განსაკუთრებული გამოვლინება მათ ერთობლივ საქმიანობაში ჰპოვა 1905-1907 წლების რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისას. ამ პერიოდში ეკლესია ცარიზმის მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო, რომელიც თავდაუზოგავად ებრძოდა რევოლუციურ იდეოლოგიას. რუსულმა ეკლესიამ ამ ბრძოლაში კიდევ უფრო დახვეწა თავისი ბრძოლის მეთოდები და ხერხები.

ფართო მასების რევოლუციური იდეოლოგიიდან ჩამოცილებისათვის საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლება ატარებდა რიგ ღონისძიებებს გლეხთა საეკლესიო გამოსვლების შესუსტებისათვის, ქართველი სამღვდელოების რევოლუციური და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობიდან იზოლაციისათვის. რუსული სასულიერო უწყება იწყებს „ზრუნვას" სამღვდელოების კეთილდღეობისათვის. პარალელურად, მიმართავს მკაცრ ზომებსაც, რომელ საქმეშიც აქტიურად რთავს სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოებს.

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, სასულიერო ხელისუფლება იყენებს სარწმუნოებრივ-პროპაგანდისტული მუშაობის დახვეწილ მეთოდებს; ინტენსიურ სახეს აძლევს საეკლესიო-სამონასტრო აღდგენით სამუშაოებს იმ რეგიონებში, სადაც განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობდა რევოლუციური მოძრაობები. საეგზარქოსოს ხელისუფლების მეცადინეობით, საქართველოში არსდება რიგი კლერიკალურ-მონარქისტული ხასიათის ძმობა-კავშირები და საზოგადოებები, რომელთა უშუალო ამოცანას წარმოადგენდა ხალხთა ფართო მასებში რევოლუციური მისწრაფებების აღმოფხვრა, რუსული ეკლესიისა და თვითმპყრობელობის ავტორიტეტის ამაღლება.

მიუხედავად თავდაუზოგავი საქმიანობისა, საეგზარქოსოს ხელისუფლებამ მაინც ვერ შესძლო საქართველოს მოსახლეობის რევოლუციური მოძრაობიდან ჩამოცილება, რაც მისი უპირველესი დანიშნულება იყო 9905-1907 წლების რევოლუციაში. პირიქით, ქვეყანაში გართულებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ გაამძაფრა რუსული ეკლესიის შიდა კრიზისი, რაც საერთო თვითმპყრობელურ-მონარქისტული სისტემის კრიზისის შემადგენელი ნაწილი. საქართველოში რუსული საეკლესიო კრიზისის გამოვლინების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კი მის უარყოფაში იყო საქართველოს ყველა საზოგადოებრივი ფენის მხრიდან. ყოველივემ კი, ნათლად იჩინა თავს 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, როდესაც მთლიანად ქართველი საზოგადოებრიობა ამძაფრებს ბრძოლას რუსული თვითმპყრობელობისა და სასულიერო წყობის წინააღმდეგ; იგი აშკარად აყენებს ეროვნული სახელმწიფოსა და მისი ეკლესიის განთავისუფლების მოთხოვნას.

## § 2. ქართველი სამღვდელოება 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციაში

XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიაში მიმდინარე ძლიერმა დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის პერიოდმა, „განაპირა მხარეებში" ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ელფერიც მიიღო.

1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რუსეთის მთელი იმპერიის მსგავსად საქართველოშიც უწინარეს ყოვლისა სოციალური მოძრაობა იყო, რომელიც ითვალისწინებდა ფეოდალური გადმონაშთების მთლიანად მოსპობას. ამასთან, მეფის რუსეთში, ხალხთა ამ საპყრობილეში ერთობ მწვავედ იდგა ეროვნული საკითხიც, რადგან იმპერიის მოსახლეობის 57 % არარუსი ეროვნების ხალხები იყვნენ, რომლებიც თვითმპყრობელობის უკიდურეს ეროვნულ-კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდნენ. აქედან გამომდინარე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ რუსეთის განაპირა მხარეებში არა მარტო სოციალური, არამედ ერო-

ნული მოძრაობის ფორმა და შინაარსიც მიიღო და 1905-1907 წლების რევოლუციის თანხვედრი გახდა (36, 235).

მიმდინარე რევოლუციამ რუსეთის იმპერიის ყველა ერი და მისი საზოგადოების ყველა ფენა აამოძრავა. რევოლუციამ საქართველოში ბიძგი მისცა და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომელშიც აქტიურად ჩაება ქართველი ერის ყველა ფენის წარმომადგენელი, მათ შორის ქართველი სამღვდელოებაც. ამ ბრძოლაში, სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი წამოაყენა. ავტოკეფალიისათვის ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის მეტად მძიმე პერიოდში. მან შეასრულა ისტორიული როლი ეროვნული გათვითცნობიერებისა და შეგნების გასაღვიძებლად. მანვე ჩაუყარა საფუძველი ეროვნული კულტურის აღორძინებას, რამაც შემდგომში გასაქანი მისცა რევოლუციურ მოძრაობასაც (46, 26).

ქართულ ეკლესიას სახელმწიფოს განვითარების საქმეში პროგრესული პოლიტიკური პოზიციის გამოვლინების დიდი ისტორიული გამოცდილება გააჩნდა. იგი ყოველთვის თანაუგრძნობდა და თავისი სათანადო წვლილი შეჰქონდა ერის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესია ყოველთვის ქვეყნის ერთიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი იყო და ცდილობდა იდეოლოგიურად გააერთიანებინა საზოგადოების ფენები, შექმნა საქართველოს მთლიანობისა და განუყოფლობის ერთიანი რწმენა და სათავეში ედგა მთელი ერის კულტურულ ცხოვრებას.

საქართველოში, რუსეთის გაბატონებიდან მოყოლებული ქართული ეკლესია მედგრად იბრძვის ქართული სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენისათვის და ამ ბრძოლის აქტიური მონაწილეა (2, 56). ქართველი სასულიერო ფენა არასოდეს შეურიგებია ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას. იგი პროტესტს აცხადებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და საეკლესიო მამულების ხაზინის უწყებაში გადაცემის გამო და ამ საქმეში მოსახლეობის მხარდაჭერასაც პოულობდა. სამღვდელოება გლეხობასთან ერთად აყენებდა ქვეყნის განთავისუფლების საქმეს და აქტიურად ებმოდა საქართველოში მიმდინარე განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

XX საუკუნის დასაწყისში ქართველი სასულიერო ფენა მოწინავე საზოგადოებრიობასთან ერთად ავტოკეფალიის მოთხოვნაში ხედავდა სამშობლოს განთავისუფლებაში გადადგმულ გაბედულ ნაბიჯს. ქართველ სამღვდელოებას კარგად უწყოდა, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული მოძრაობა თავისი შინაარსით სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა იყო, რომლის მიზანიც არა მარტო კოლონიური ჩაგვრის უღლის გადაგდება და ძველი საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაციის დამკვიდრება იყო, არამედ იგი იმპერიაში დამკვიდრებულ სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების ძირეულ შეცვლასაც გულისხმობდა (2, 130; 27, 77). აქედან გამომდინარე, ქართველი სამღვდელოება, როგორც უფლებააყრილი ფენა, მთელი ძალით ცდილობდა განთავისუფლებული იყო თვითმპყრობელური რუსული სასულიერო უწყების მარწუხებისაგან და სახელმწიფოსა და ეკლესიის არსებულ ურთიერთობათა ძირეულ შეცვლას ითხოვდა (229, 517; 191, 2).

მრავალი საუკუნეების მანძილზე, საქართველომ თავის ეკლესიასთან ერთად უმძიმესი ისტორია განვლო: მან ბევრი მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა გადაიტანა გარეშე დამპყრობლებისაგან, მაგრამ მას გადაგვარების ისეთი დიდი საფრთხე არასოდეს ჰქონია, როგორც მას ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ შეექმნა (80, 40-41). თვითმპყრობელობის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ აშკარად დაანახვა ქართველ ერს ცარიზმის ინტერესების ნამდვილი სახე და თვითმპყრობელობამ არა, თუ ვერ მოახერხა ერის გადაგვარება, არამედ, ერთიანად დარაზმა იგი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და დაუპირისპირა იგი რუსეთის ცარიზმსა და მისი პოლიტიკის განმახორციელებელ ეკლესიას (92, 2).

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ, საეკლესიო ქონების ჩამორთმევამ და ხალხში უცხო, სარწმუნოებრივი მმართველობის ძალისმიერი დანერგვის მეთოდმა მრევლის საეკლესიო ცხოვრების სრული დეზორგანიზაცია გამოიწვია. გაუქმდა მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო კათედრები, დაინგრა და განადგურდა შესანიშნავი კულტურულ-ისტორიული ძეგლები, დაცარიელდა ეკლესია-მონასტრები, დაიხურა მონასტრებთან არსებული სკოლები, ხოლო მათ ადგილზე გაიხსნა რუსული ყაიდის სასულიერო-სასწავლო და-

წესებულებები, რომელთაც თვითმპყრობელობისათვის ერთგული სასულიერო პირების აღზრდა ევალებოდათ. ასეთ დაწესებულებებში აღზრდილი სასულიერო თაობა, რომელიც ეროვნულ ფესვებს იყო მოწყვეტილი და ბიუროკრატიზმის საფუძვლებზე იზრდებოდა, სახალხო ცხოვრებაში პოლიტიკური რეაქციის გამტარებელ აგენტებს წარმოადგენდნენ (57, 32). ასეთ ვითარებაში, ქართული ეკლესია გადაგვარება-დაცემის ზღურბლზე იდგა (221, № 113, 1).

საქართველოს ეკლესიას გადაგვარების საფრთხე განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისიდან შეექმნა, როდესაც ყველა ზემოჩამოთვლილს დაერთო საქართველოში სეპარატისტული იდეოლოგიის აქტიური გაძლიერება, ხოლო 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში რუსეთის სასულიერო ხელისუფლება აძლიერებს ქართული ეკლესიისა და მისი კრებულის ხალხთა მტარვალის იარაღად გარდაქმნის პროცესს, რომელსაც იმერეთის სამღვდელოების აღნიშვნით თვითმპყრობელობის ნიკოლოზური კანცელარიის „სახელმწიფო მექანიზმში წამყვანი ფუნქცია დაეკისრებოდა" (278, 173, 3). ყოველივე ამის გამო, რევოლუციის პერიოდში ქართველმა სამღვდელოებამ ავტოკეფალიის საკითხის წამოყენებით თავიდანვე განსაზღვრა მისი ბრძოლის მიზანი — განთავისუფლებულიყო საერო მმართველობის ზეგავლენისაგან, მატერიალურად მრევლზე ყოფილიყო დამოკიდებული, ეროვნული თავისუფლება მოეპოვებინა და ჩამოსცილებოდა რუსული საეკლესიო მმართველობის გავლენას (282, 668, 1; 167, № 2941, 2).

სამღვდელოების ასეთი გადაწყვეტილება ქართული ეკლესიის უკიდურესად მძიმე მდგომარეობით იყო გამოწვეული. ქართულ ეკლესიაში გაბატონდა სასულიერო-ბიუროკრატიული რეჟიმი, რომელმაც თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკით საბოლოოდ მოსწყვიტა ქართველი ერი თავის მშობლიურ ეკლესიას, გააღვივა მასში სარწმუნოებისადმი ინდიფერენტიზმი, რაც ბოლო პერიოდში სამღვდელოების მასიური შევიწროებით, ეკლესია-მონასტრების ძარცვა-დარბევით, საეკლესიო ნივთების შებილწვა-დაყაჩაღებით გამოიხატებოდა (206, № 75, 3).

მოწინავე ქართველი სამღვდელოება აშკარად დაუპირისპირდა თვითმპყრობელობისა და საეგზარქოსოს პოლიტიკას და ფარული მოღვაწეობით ხელს უშლიდა მათ მიერ დასახული ღონისძიებების ცხოვ-

რებაში გატარებას. სამღვდელოებას ესმოდა, რომ სწორედ ასეთ დროს ესაჭიროებოდა მას ურთიერთ მხარშიდგომა, ერთიანი მოქმედება, ერთმანეთისადმი სოლიდარობის გამოცხადება. ამ მიზანს ემსახურებოდა „საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღმდგენელი ძმობის" მიმართვა 1905 წლის 10 აგვისტოს სრულიად საქართველოს სამღვდელოებისადმი, სადაც გამოხატულია სასულიერო ფენის მოვალეობანი სამშობლოს წინაშე და ამ ბრძოლაში აშკარად შეინიშნება მათი ერთიანი სულისკვეთების გამოვლინება (278, 173, 16; 185, 23-24, 8).

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ რთულ პერიოდში სამღვდელოებას შორის თავს იჩენდა საერთო ეროვნული საქმისადმი გვერდზე დგომა და იმპერიის ინტერესების სამსახურში ჩადგომა. 1906 წლის № 3 და № 4 ჟურნალ „საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მახარობელში" დაიბეჭდა ინფორმაცია თბილისში, 1905 წლის დეკემბერში ქართველი სამღვდელოების დელეგატთა თავყრილობის შესახებ. შეკრებაზე აღინიშნა რუსული თვითმპყრობელური სასულიერო უწყების ნეგატიური ზეგავლენა ქართულ ეკლესიაზე, რამაც იგი დეგრადაციის გზაზე დააყენა. ყოველივედან გამომდინარე, კრებამ მიღო გადაწყვეტილება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის შესახებ. ქართველმა სამღვდელოებამ ყურადღება გაამახვილა საეკლესიო ცხოვრების რიგ საკითხებზე, კერძოდ, ეკლესიაში კლერიკალური პრინციპების შეკვეცასა და მასში დემოკრატიული საწყისების შეტანაზე.

აღნიშნულმა მოთხოვნებმა, საქართველოს ეკლესიის კრებულის ერთ ნაწილს არაჩვეულებრივი საბაბი მისცა მოწინავე სამღვდელოებასთან დასაპირისპირებლად და მათ წინააღმდეგ ხელისუფლების სასარგებლო ბრძოლის დასაწყებად. მაგალითად, გაზეთ „ცნობის ფურცლის" 1906 წლის № 3016-ის გვერდზე გაჩნდა მღვდელ ციცქიშვილის წერილი, სადაც იგი გმობდა ქართული ახალი საეკლესიო წესების მოთხოვნას; სამღვდელოების ერთი ნაწილის სახელით უარს აცხადებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე და სახელმწიფოსაგან ამ აზრის გამტარებელი პირების ალაგმვას ითხოვდა (74, 336-339). მღვდელ ციცქიშვილის სახელთან არის დაკავშირებული თბილისში, რუსული კეთილდამწყსველთა გუნდის დაარსება, რომელშიც

ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე სხვა ქართველი სასულიერო პირებიც შედიოდნენ. ავტოკეფალისტების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად და ასპარეზად მათ გამოიყენეს ეგზარქოსის უშუალო ნებართვით დაარსებული გაზეთი „ახალი სიტყვა“, რომლის რედაქტორიც თავად მღვდელი ციცქიშვილი იყო (282, 272, 1). საერთო სახალხო საქმიდან სამღვდელოების ერთი ნაწილის განდგომა ავტოკეფალისტებში დიდ აღშფოთებას იწვევდა და ისინი, ხალხში პროპაგანდის მეშვეობით ცდილობდნენ ასეთი მანკიერი იდეოლოგიის თავიდან აცილებას (228, № 89, 3).

საქართველოს მოსახლეობაში ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, მოწინავე სამღვდელოება ცდილობს თავისი მშვიდობიანი პოლიტიკა და ინტერესები გამოავლინოს, რამაც კარგად იჩინა თავი მის სამშვიდობო როლში სომეხ და აზერბაიჯანელ ერებს შორის არსებული კონფლიქტის პერიოდში.

რუსეთის მთავრობა რევოლუციის წლებში ფარულად ატარებდა ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთდაპირისპირების პოლიტიკას, რათა შეეჩერებინა მათი რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაკადი. ასეთ პოლიტიკას, შედეგად, თათარ-სომეხთა არაერთგზისი შეტაკება მოჰყვა. სომეხ-თათართა დაპირისპირება გამოწვეული იყო ცარიზმის მიერ ირანსა და თურქეთიდან დაბრუნებული სომეხი მოსახლეობის აზერბაიჯანელთა მიწებზე დასახლებით. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რადგან თავად ისინი მწვავედ განიცდიდნენ მიწის პრობლემას. სომხებისა და აზერბაიჯანელების მძიმე მდგომარეობა ცარიზმმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ერთმანეთის წაქიდებით, „გათიშე და იბატონე“ პრინციპით, ცარიზმი თავისი აბსოლუტური ბატონობის მოპოვებას ცდილობდა მათზე, რომელმაც ყველაზე მკაფიო გამოვლინება 1905 წელს ჰპოვა აზერბაიჯანში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიით. ამავე წლის 21-22 ოქტომბრის რიცხვებში მეფის ადმინისტრაცია შეეცადა ბაქოს მსგავსად თბილისშიც გამოეწვია სომეხ-აზერბაიჯანელთა შეტაკებანი, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ, 1905 წლის 21-22 ნოემბერს თვითმპყრობელობის შავმა ძალებმა კავკასიაში პროვოკაციულად გამოიწვიეს სომეხ-თათართა სისხლიანი შეტაკებანი განჯასა და თბილისში. ამ შეტაკებათა პირველი დღეების შედეგები

ოფიციალური ცნობების საფუძველზე იყო 34 მოკლული და 55 დაჭრილი (36, 217-223; 293). მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებული ქართველი სამღვდელოება გრძნობდა თვითმპყრობელობის ვერაგული პოლიტიკით მოახლოებულ კიდევ უფრო დიდ ტრაგედიას. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1905 წლის განჯაში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის ქართველი სამღვდელოების ერთი ჯგუფის გამოხმაურება. მათ სამშვიდობო მოწოდებით მიმართეს სომხეთის ეპისკოპოსს გარეგინ სატუნიანს და აზერბაიჯანის შეიხს ულ-ისლამს და მათ სისხლისღვრის შეწყვეტის, მშვიდობის დამყარებისა და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდეს (167, № 2956,4).

ავტოკეფალისტი სამღვდელოების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით დაინტერესება კარგად ჩანს მის მზრუნველობაში იმ ხალხის მიმართ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში. ქართველ ეპისკოპოსთა განკარგულებით, სამღვდელოება სისტემატიურად აგროვებდა მრევლში შემოწირულობებს, რომელიც მთლიანად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ხმარდებოდა (167, № 2956, 4). ამ გზით ცდილობდა ქართველი სამღვდელოება ხალხთან გაბზარული ურთიერთობის გამთელებას. მათ კარგად ესმოდათ, რომ საქართველოში სასულიერო ფენა ხალხისაგან მოწყვეტით ვერ იარსებებდა. მათი მისწრაფებებისა და მოთხოვნილებებისათვის უნდა ეგრძნოთ და მხარი დაეჭირათ (104, № 15, 5; № 21, 3). საამისოდ, ქართველი სამღვდელოება ქმედით ნაბიჯებსაც დგამდა. მაგალითად, ქართლ-კახეთის სამღვდელოთა კრებაზე აღინიშნა, რომ სამღვდელოებასა და ხალხს მხოლოდ ერთი ინტერესები შეიძლებოდა ჰქონოდათ, რომ ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა სამღვდელოების განთავისუფლება ბიუროკრატიული აპარატისაგან (167, № 2837, 2; № 2945, 2; № 2781, 3; 189, № 188, 3; 191, 2). ქართველ სამღვდელოებას უნდა ეკისრა ხალხსა და ხელისუფლებას შორის შუამავლის ფუნქცია, ყოფილიყო ხალხის გაჭირვებული მდგომარეობისა და მისი მწეობის მოსარჩლე (187, № 4, 9-10)

მოსახლეობაში ავტორიტეტის მოპოვებისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებით აღსანიშნავია სამღვდელოების ტაქტიკა, რომ-

ლითაც იგი თავის შეცდომებს უმხელდა მრევლს, ერთგულებასა და თავდადებას ჰპირდებოდა; მოუწოდებდა მათ ერთიანი ბრძოლისაკენ და ამით თავისი დადებითი წვლილი შეჰქონდა ეროვნული სახელმწიფოსა და ეკლესიის აღდგენისათვის ბრძოლის საქმეში; ეპისკოპოსი ლეონიდი შენიშნავდა: „...ყოველივე ის, რაც ასუსტებს და არღვევს საქართველოს ეკლესიას, ასუსტებს და არღვევს ჩვენში ეროვნულ მთლიანობას, და, მაშასადამე, სახელმწიფოებრიობასაც..." (279, 2).

ქართველი სამღვდელოების აღნიშნული კუთხით მოღვაწეობამ მრევლის ნდობა-პატივისცემა დაიმსახურა. გურიის ეპარქიის სამღვდელოება აღნიშნავდა, რომ მრევლი თანაგრძნობით ეკიდებოდა სამღვდელოების რევოლუციურ ნაბიჯს ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. მოწინავე ქართველი სამღვდელოების ხალხში აქტიური ეროვნული პროპაგანდის მეშვეობით, მოსახლეობა აწყობდა კრებებს, სადაც იღებდნენ მთავრობაში გასაგზავნ პეტიციებს ეროვნული ეკლესიის თავისუფლების აღდგენისათვის (125, № 9-10, 2). ასეთი სახის მოთხოვნები გაგზავნეს თბილისის, ქუთაისის, კახეთის, გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთის მოსახლეობამ (125, № 11, 13-14, 15-16; 171, № 8, 4; 152, № 9, 1). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იყო იშვიათი შემთხვევებიც, როდესაც ანტიეროვნული ძალების აგიტაციით მრევლი უარს აცხადებდა ავტოკეფალიისათვის ბრძოლაზე. მაგალითად, 1905 წლის 17 ივნისს ქალაქ სიღნაღის მოსახლეობამ ქართველი სამღვდელოების მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა (125, № 13-14, 2).

ეროვნული ეკლესიისათვის ბრძოლამ პროგრესულად მოაზროვნე სამღვდელოება მჭიდროდ შეაკავშირა და ერთმანეთის გულშემატკივრადა და მოსარჩლედ აქცია. ისინი თავად ცდილობდნენ ერთმანეთის მხარში ამოდგომას და მძიმე მატერიალური ყოფის შემსუბუქებას. ამის დასტურია 1905 წლის 16 ივნისის ქვემო რაჭის 20 სოფლის სასულიერო პირთა გაერთიანებული სხდომა, სადაც განიხილეს მედავითნეთა უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა და დაადგინეს, რომ მღვდლებს თავიანთი შემთხვევითი შემოსავლის მესამედი მედავითნეთათვის ეწილადათ (119, № 26, 412). ყოველივე, ქართველ სამღვდელოებას კიდევ უფრო მტკიცედ აკავშირებ-

და ერთმანეთთან და საერთო საქმეში დარაზმულსა და მობილიზებულს ხედავდა.

ქართველი სამღვდელოების აქტიობას და მათ კავშირს ქართველ საზოგადოებრიობასთან ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში დიდად აფასებდა ქართველი ინტელიგენცია, და კარგა ხნით ადრე მოუწოდებდა მათ ერთიანი ბრძოლისაკენ (30, 72). თავად სამღვდელოებაც ინტელიგენციასა და ხალხთა ფართო მასებთან ერთად ეროვნული ინტერესების დაცვის სამსახურში ჩადგა. ეპისკოპოსი დავით (კაჭახიძე) აღნიშნავდა: „...თუ ინტელიგენცია განუდგა სამღვდელოებას, მაშინ იგი თან გაიმძლავნიებს ხალხსაც..." (104, № 17, 4). ქართველმა სასულიერო ფენამ კარგად იცოდა, რომ საერთო სახალხო დემოკრატიულ მოძრაობაში ინტელიგენციის მონაწილეობას ერთერთი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა და თავისი მიზნების განხორციელებას, ამ უკანასკნელთა მჭიდრო კონტაქტში ხედავდა. აქედან გამომდინარე, სამღვდელოება სულ უფრო აქტიურად ილტვის ინტელიგენციასთან თანამშრომლობისაკენ.

ქართველი სამღვდელოების სწრაფვას ინტელიგენციისაკენ, დიდად აფასებდა ეს უკანასკნელი. ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ილ. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავდნენ სამღვდელოებისადმი მხარდაჭერასა და თანადგომის აუცილებლობას (117, № 3, 7-8). ინტელიგენცია, სამღვდელოებისაგან ითხოვდა მათ მჭიდრო კავშირს ხალხთან, რადგან ამ უკანასკნელის სულიერი მსახური ეკლესია იყო და ხალხის სიძლიერეზე იყო დამოკიდებული ეკლესიის მატერიალური კეთილდღეობა და მისი სიძლიერე. ინტელიგენცია იწონებდა სამღვდელოების თავისუფალი ეკლესიისათვის ბრძოლას და ამ საქმეში თანადგომასა და მხარდაჭერას პპირდებოდა (104, 825, 3-4).

აღსანიშნავია, რომ ქართველი ინტელიგენციის ფენაში ავტოკეფალიის საკითხისადმი აზრთა სხვადასხვაობაც არსებობდა. ინტელიგენციის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილმა კარგად აუღო ალღო სამღვდელოების მოთხოვნებს და აქტიურად ჩაება ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში. ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსებმა

და საზოგადო მოღვაწეებმა თ. ჟორდანიამ, ა. ცაგარელმა, ალ. ხახანაშვილმა, ნ. მარმა, პ. იოსელიანმა, მ. ჯანაშვილმა და სხვებმა დიდი წვლილი შეიტანეს ავტოკეფალობის ირგვლივ ატეხილ სადაო საკითხების გაშუქება-განმარტებაში. მათ ყოველმხრივ შეისწავლეს ქართული ეკლესიის ისტორია და გამოაამჟღავნეს უტყუარი საბუთები, რომლებიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე ღაღადებდნენ და მიაწოდეს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ეს საკითხი სადაოდ მიაჩნდა (40, 87-88).

ფასდაუდებელი და საგულისხმოა თერგდალეულთა წვლილი ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საქმეში. თავისი მოღვაწეობით ისინი ხელს უწყობდნენ საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავებას.

თერგდალეულები ეროვნული თავისუფლების საქმეს პირდაპირ უკავშირებდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და ამ საქმეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი ითხოვდნენ ქართული ეკლესიისათვის ჩამორთმეული ყველა საეკლესიო მამულის უკან დაბრუნებას; კათალიკოსის ტახტისა და საეკლესიო არჩევითი სისტემის აღდგენას და ა. შ. , რაც მოსახლეობას გაანთავისუფლებდა სასულიერო უწყების დაწესებულებათა და სამღვდელოების შენახვის მოვალეობისაგან. ყოველივე კი, მათ შორის ისტორიულად არსებულ კეთილმეგობრულ ურთიერთობებს აღადგენდა. თერგდალეულები გარკვეულწილად ეროვნული საკითხის გადაჭრაში ქართულ ეკლესიას ეყრდნობოდნენ და მას ქართველი ერის მორალური ერთიანობის განმტკიცების იარაღად მიიჩნევდნენ. ამით იყო განპირობებული მათი ესოდენ სწრაფვა ეკლესიისაკენ და მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა (28, 109-113).

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებული აქტიობით თერგდალეულთა ლიდერი — ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლი იაკობ გოგებაშვილი გამოირჩეოდნენ. ქრისტიანულ რწმენაში ილია ხედავდა ძალას, რომელსაც ერის ინტერესებისათვის უდიდესი სარგებლობის მოტანა შეეძლო. რელიგიას, იგი ქართველი ხალხის გაერთიანების, მოქმედების იარაღად მიიჩნევდა და მათი ბრძოლის დროშას შემდეგი სიტყვები წააწერა — „მამული, ენა, სარწმუნოება“. ილიას აღნიშვნით, ქრის-

ტიანული სარწმუნოება მთლიანად საქართველოს მიწა-წყალს, ქართველობას ნიშნავდა (42).

ეროვნული ეკლესიის თავისუფლებისათვის დაუღალავ მებრძოლად გვევლინება ქართული პედაგოგიური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი, დიდი ეროვნული და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. მას ერის ზნეობის სათავედ სწორედ ეკლესია და მის შემდგომ სკოლა მიაჩნდა. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, იაკობ გოგებაშვილი იბრძვის რუსიფიკატორული რეჟიმით შელახული ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ხალხში ამაღლებისათვის და მათ, ეროვნული სარწმუნოებისადმი რწმენის, სიყვარულისა და ერთგულებისაკენ მოუწოდებს (9: 317, 112-113). იგი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა ხალხს: „... მედგრად მოითხოვეთ ეს ძვირფასი უფლება და მტკიცედ გამოაცხადეთ, რომ თუ იგი უფლება არ დაგიბრუნდა მთელი ქართველობა ზურგს შეაქცევს და უარყოფს მართლმადიდებლობას..." (156.4).

სამღვდელოებისა და ინტელიგენციის ერთობლივი ძალისხმევის ნაყოფია ქართველ თავადაზნაურთა საერთო კრების გადაწყვეტილება, რომლითაც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე წარსდგა თავადი ე. მიქელაძე 1905 წლის 7 ოქტომბერს (206. II.X.3).

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ინტელიგენციასთან და სამღვდელოებასთან ერთად თავი იჩინეს განმანათლებლურ-ხალხოსნურმა, სოციალ-დემოკრატიულმა და ეროვნულ-დემოკრატიულმა მიმდინარეობებმა. 1905-1907 წლების რევოლუციამ სამოღვაწეო ასპარეზზე მრავალი ჯგუფი და მიმდინარეობა გამოიყვანა. აღსანიშნავია, რომ სულ საქართველოში დაახლოებით 20-მდე ჯგუფი და მიმდინარეობა არსებობდა, რომელთაც ცხადია, სულ სხვადასხვაგვარად ესმოდათ და ესახებოდათ ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული საქართველო და მისი ეროვნული ეკლესია.

ქართველი სამღვდელოების მიერ ეროვნული ეკლესიის აღდგენის მოთხოვნისათვის შედგენილ პროგრამებსა და პეტიციებში, მართალია ხაზგასმით არ იყო ნახსენები ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის საკითხი, მაგრამ მათი შინაარსი ამკა-

რად მეტყველებდა იმაზე, რომ სამღვდელოების მოთხოვნები მხოლოდ ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენით არ შემოიფარგლებოდა და საერთო სახალხო მიზნების მისაღწევად ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა (189, № 188, 3). ფაქტიურად, ქართველი სამღვდელოება იმ პერიოდში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან კონტაქტში აღმოჩნდა, თვით უკიდურეს მემარცხენეებთანაც კი, რომლებიც მკაცრად ითხოვდნენ ეკლესიის გამიჯვნას სახელმწიფოსაგან. პოლიტიკურ პარტიებისა და სამღვდელოების ინტერესები, მათ ერთობლივ მოთხოვნაში მდგომარეობდა — აღდგენილიყო ეროვნული სახელმწიფო და დაბრუნებოდა ქართულ ეკლესიას ისტორიული ავტოკეფალია. რევოლუციის პერიოდში მოღვაწე ყველა პოლიტიკური პარტია, კატეგორიულად ითხოვდა თვითმპყრობელობის ზეგავლენისაგან მშობლიური ეკლესიის დამოუკიდებლობას. მათი სამღვდელოებისადმი თანაგრძნობა იმითაც იყო განპირობებული, რომ სასულიერო ფენა ხალხისა და ეროვნული ბურჟუაზიის მსგავსად ცდილობდა ცარიზმისაგან განთავისუფლებას. ამ მხრივ, განსაკუთრებულ თანადგომას სამღვდელოება ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობისაგან გრძნობდა (88, 1).

ავტოკეფალური მოძრაობა საქართველოში, თავისი სოციალ-პოლიტიკური შინაარსით სავსებით ეთანხმებოდა სოციალ-ფედერალისტურ მიმართულებას. სოციალისტ-ფედერალისტების მოთხოვნას ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიაზე რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში — მხურვალედ უჭერდა მხარს ქართველი სამღვდელოება. ავტოკეფალისტები აღნიშნავდნენ: „... ის ვინც პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვს, ითხოვს, რასაკვირველია, ავტოკეფალურ ეკლესიასაც...“ (125, № 11-12, 4). ამიტომ, რევოლუციის წლებში, ქართველი სამღვდელოება სულ უფრო მეტად ილტვის პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობისაკენ, რისი დასტურიცაა 1905 წლის 8-9 დეკემბრის ქართველი სამღვდელოების დეპუტატთა კრების მოწვევა (154, 3), სადაც გადაწყდა, რომ კრებებზე საგანგებოდ მოიწვიონ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები და ურთიერთშეთანხმებით იმოქმედონ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. ასეთი სახის გაერთიანებულმა აზრთა გაზიარებამ თავისი შედეგი გამოიღო, როდესაც საქართველოს სხვადასხვა

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ. პარტიათა გაერთიანებულმა კრებამ – „საქართველოს ხელშეკრულების უფლებათა დამცველმა კავშირმა" 1907 წელს ოფიციალურად მიმართა რუსეთის მთავრობას, რათა აღედგინა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა (263, 5412, 3). აღნიშნული დოკუმენტი, მთელი ქართველი საზოგადოებრიობის ნების უმაღლესი გამოხატულება იყო და ეროვნული ეკლესიის თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში წინ გადადგმული ნაბიჯი.

განსაკუთრებით საგულისხმო იყო სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულება ქართველი სამღვდელოების მოთხოვნისადმი. მათ ავტოკეფალია მიაჩნდათ სარწმუნოების სფეროში ეროვნული დევნა-შევიწროებების მოსპობა, ხალხისა და სამღვდელოების დაახლოებით და ხალხის გავლენის ნათელი გაძლიერებით ეკლესიაში. მათი აზრით, დემოკრატია, რადგან რწმენა-სინდისის თავისუფლებას ქადაგებდა, ამიტომ რწმენაში ძალდატანება დაუშვებელი იყო; საჭიროდ მიაჩნდათ ეკლესიის სახელმწიფოსა და სკოლისაგან გამოყოფა. მხოლოდ ამ კუთხით იწონებდნენ ისინი ავტოკეფალისტების მიერ წამოყენებულ საკითხს (272, 26429, 3). სოციალ-დემოკრატები ეწინააღმდეგებოდნენ ეკლესიის განთავისუფლებას ისტორიული საფუძლით, რადგან ეკლესიის ყოველ ქონებას მხოლოდ ხალხის საკუთრებად თვლიდნენ. ამასთან, ავტოკეფალისტების მიერ ისტორიულად თავისუფალი ეკლესიის აღდგენის მოთხოვნას, სოციალ-დემოკრატები მარტოოდენ „ხუცესების საქმედ" მიიჩნევდნენ და კლერიკალად თვლიდნენ ყველა მათ, ვინც ამ მოთხოვნას მხარს დაუჭერდა (104, № 4, 1-2).

სოციალ-დემოკრატების ქართული ეკლესიისადმი ამგვარი დამოკიდებულება ვნებდა მრევლსა და სამღვდელოებას შორის. მეტნაკლებად აღდგენილ კეთილ ურთიერთობას, იმ მიზნით, რომ მრევლამდე სწორედ მიეტანა თავისი ინტერესები, ქართველი სამღვდელოება ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში სულ უფრო აქტიურად ებმოდა.

ქართველი სამღვდელოების აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობა პოლიტიკურ პარტიებთან. სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა ხელისუფლებაში. ავტოკეფალიის მოთხოვნას დაპირისპირებული რუსი საზოგადოების ერთი ნაწილი ქართული ეკლესიის რეორგანიზაციას მოითხოვს; ქართველი სამღვდელოების მოძრაობას მათ პო-

ლიტიკურ ინტერესებს უკავშირებს და მის გამომწვევ მიზეზად რევოლუციას მიიჩნევს (262, 3238, 52; 76, VI).

რუსეთის იმპერიის საერო და სასულიერო ხელისუფლებას კარგად ესმოდათ ქვეყანაში შექმნილი ვითარების სირთულე, ქართველი სამღვდელოების ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობის მნიშვნელობა და ყველანაირად ებრძოდნენ ავტოკეფალისტებს. თვითმპყრობელობა მათ რევოლუციონერობას სწამებდა, რომელთა მიზანიც კავკასიის ამხედრება იყო ხელისუფლების წინააღმდეგ (56, 9). მთავრობის აღნიშვნით, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი მხოლოდ სამღვდელოების უმაღლესი იერარქიის ცალკეულ პირებს აღელვებდათ (249, 22).

ავტოკეფალისტებს განსაკუთრებული ბრძოლა სასულიერო ხელისუფლებამ გამოუცხადა. არქიმანდრიტი ნიკანდრო გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის" (1905 წ. № 227) ფურცლებზე აღნიშნავდა, რომ ქართული ეკლესიის „მორჩილება" რუსული სინოდისადმი, მოწყობილი იყო სამოქალაქო ძალაუფლების ინიციატორობით და იგი არ ეწინააღმდეგებოდა მსოფლიო საეკლესიო წესებს (277, 278, 28). საქართველოს ეგზარქოსის ალექსის ხელქვეითი და საეგზარქოსოს მოძღვარ-ადმინისტრატორი ავტოკეფალიის საკითხს პირდაპირ და ღაუფარავად უკავშირებს თვითმპყრობელობის პოლიტიკურ მიზნებს კავკასიაში და მის სერიოზულ მოწინააღმდეგედ მიიჩნევს; იგი აღნიშნავს: „ავტოკეფალია, რომ მივცეთ რუსები განაწყენდებიან, ახლა ხომ ამიერკავკასიაში ბლომად არიან რუსები" (56, 68). ავტოკეფალისტებისადმი უკიდურესად რეაქციულად იყო განწყობილი ბერი იოანე ვოსტორგოვიც, რომელიც ავტოკეფალიის მოთხოვნას შემდეგნაირად ახასიათებდა: „...არსებობს პოლიტიკური საკითხი; ამით ინილბება კავკასიური რევოლუცია, თანაც იგი გამოწვეულია ურწმუნო ადამიანების მიერ, რომლებიც სხვა მიზნებისაკენ ესწრაფვიან. ქართველებში ავტონომიის აზრი გამოვლინდა ჯერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის მოთხოვნაში..." (73, 7-8). ვოსტორგოვი კარგად აცნობიერებდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობას და მძაფრად უპირისპირდებოდა მას. მისი პუბლიკაციები და ქადაგებები უაღრესად კონტრრევოლუციური, ანტიეროვნული იდეებით გამოირჩეოდა. სამოქმედო არენად ვოსტორგოვი ირ-

ჩუედა არა მარტო მუშათა და გლეხთა დასახლებებს, არამედ თვით ქართულ ეკლესიასაც, სადაც მთელი შეუპოვრობითა და მონდომებით ქადაგებდა ანტიავტოკეფალურ იდეებს. აღნიშნულ საქმეში აქტიურობდნენ საეგზარქოსოს რუსი ეროვნების სამღვდელოებაც. ისინი პროტესტს უცხადებდნენ ქართველი სამღვდელოების მოთხოვნებს და მათ ყრილობებს არ ესწრებოდნენ. ამ მხრივ გამოირჩეოდა ყარსის რუსული კეთილდამწყსეელთა კრებული, რომელსაც არა ერთი გზის აცნობებს სინოდს თავიანთი არაკეთილგანწყობა ქართველი სამღვდელოებისა და მათი მოთხოვნისადმი (217, 2).

მთავრობა კი სამღვდელოების „ამბოხებას" რეპრესიებით პასუხობდა. ავტოკეფალისტებს უკიდურესად ავიწროებდნენ: თანამდებობიდან აყენებდნენ და სდევნიდნენ, რუსეთის შიდა გუბერნიებში ასახლებდნენ. მათ შორის იყვნენ ეპისკოპოსები: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი ხელაია (104, №21, 3), დეკანოზები: კორნელი კეკელიძე, დავით ცინცაძე, გიორგი თოთიბაძე, იოანე გიორგაძე (262, 3239, 113), თბილისის ამაღლების ეკლესიის მღვდელი ილარიონ ჯაში (272, 26390, 10), გელათის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი ნიკოლოზ ნამორაძე და სხვ. (262, 3238, 13).

მთავრობა განსაკუთრებით სამღვდელოების თავყრილობებს სდევნიდა. საეგზარქოსო ხელისუფლებამ საპოლიციო უწყებისა და სინოდის ობერპროკურორისაგან წინასწარ იცოდა ქართველი სამღვდელოების შეკრების ადგილი და ცდილობდა მათი მუშაობის ჩაშლას (262, 3238, 45). საეგზარქოსოსათვის ასევე ცნობილი იყო ქართველი სამღვდელოების ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ (272, 26390, 8). საეგზარქოსო ხელისუფლება სისტემატიურად არბევდა სამღვდელოების შეკრებებს, აპატიმრებდა მათ მონაწილეებს; ასეთ რეპრესიებს ემსხვერპლნენ ავტოკეფალისტები: კირიონი, ლეონიდე, დავითი, გიორგი, არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია და სხვ. მიუხედავად ყოველივესი, ავტოკეფალისტები რუსეთის ხელისუფლების ოპოზიციურ ძალად რჩებოდნენ და თავდადებით იბრძოდნენ დაზარალებული სასულიერო პირების განთავისუფლებისათვის. მაგალითად, თბილისის ამაღლების ეკლესიის მღვდელმა ილარიონ ჯაშმა 1905 წლის 30 მაისს ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებაზე მოუწოდა სამღვდელოებას მთავრობის სა-

წინააღმდეგო მოძრაობისაკენ და „დასჯილი" პირების განთავისუფლებისაკენ. კრებამ მიიღო განცხადება, რომელიც პროტესტს უცხადებდა არსებულ რეჟიმს და მოითხოვდა დატყვევებული სამღვდელოების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. კრებას 300 კაცი ესწრებოდა, რომელთაგან განცხადებას 241 კაცი აწერდა ხელს, აქედან, 43 არაქართველი ეროვნების სასულიერო პირი იყო. მათ შორის სჭარბობდნენ რუსი ეროვნებისანნიც. საეგზარქოსოს ხელისუფლებას, უწმინდესი სინოდის ბრძანებით, სამღვდელოების კრების მონაწილეთა წინააღმდეგ უმკაცრესი ზომები უნდა გაეტარებინა (272, 26390, 9-11).

ქართველი სამღვდელოების მიმართ თვითმპყრობელობის რეპრესიებმა უმაღლეს ზღვარს 1905 წლის 31 მაისს მიაღწია, როდესაც უხეშად იქნა დარბეული ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების ყრილობა თბილისში. ყრილობის მოწვევამდე, თბილისის ეპარქიალურ სანთლის ქარხანაში შეკრებილმა სამღვდელოებამ ეგზარქოსს მოსთხოვა ყრილობის ჩატარების ნებართვა რაზეც ამ უკანასკნელმა მოითხოვა ყრილობაზე განსახილველი საკითხების წინასწარ გაცნობა. თბილისის კეთილდამწყსველთა დეკანოზებმა ტყემალაძემ და შოშიაშვილმა ეგზარქოსს წარუდგინეს ქართველი სამღვდელოების მოთხოვნები. ეგზარქოსმა სამღვდელოების მოთხოვნას უარყოფითი რეზოლუცია დაადო (227, № 107, 3). მხოლოდ სამღვდელოების დაჟინებითი მოთხოვნისა და სინოდიდან მიღებული თანხმობის შემდეგ, ეგზარქოსმა გასცა ყრილობის ჩატარების ნებართვა (25, 211). 1905 წლის 31 მაისს ეგზარქოსის განკარგულებით, თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში შეკრებილ სამღვდელოებას სასტიკად გაუსწორდნენ, მათრახებით სცემეს და ძალით გამოდევნეს შენობიდან (147, 31, V., 4). ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო თვითმპყრობელობის დაუნდობელი და შეურიგებელი ბრძოლა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა**ღმი**, რაზეც ქართველმა სამღვდელოებამ ხმა აღიმაღლა და დამნაშავეთა მკაცრი დასჯა მოითხოვა. მათ საპროტესტო წერილით მიმართეს კავკასიის მეფისნაცვალს, საქართველოს ეგზარქოსს, მინისტრთა კომიტეტს (278, 173, 1) და სხვა ორგანოებს.

ქართველი სამღვდელოების დარბევის ფაქტმა აღაშფოთა იმერეთის შიდა ეპარქიების სამღვდელოების ერთი ნაწილიც. მათ ქართველ სა-

სულიერო ფენას აშკარა სოლიდარობა გამოუცხადეს. ამ მხრივ აღსანიშნავია ციმბირის ეპარქიის კურგანის მაზრის სამღვდელოების პეტიცია (167, № 2836, 2), ერევნის, ბაქოსა და განჯის კეთილდამწყსველთა პროტესტები (167, № 2836, 2). ცინიზმით გამოირჩეოდა თბილისის რუსი ეროვნების სამღვდელოების თანაგრძნობის წერილი, სადაც ისინი მომხდარ ფაქტში ეგზარქოსს ამართლებდნენ (147, 31. V., 4). უმაღლეს სასულიერო ხელისუფლებას არ შეუწუხებია თავი მომხდარი ინციდენტის გამო, პირიქით, სინოდის განცხადებით, ქართველი სამღვდელოების ყრილობა მიჩნეულ იქნა არაკანონიერად, ხოლო მისი მონაწილენი კი დამნაშავეებად, რომლებიც სამართალში მიცემას ექვემდებარებოდნენ. ყველა მონაწილემ, რომელმაც ხელი მოაწერა ყრილობის დადგენილებას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნაზე შეუწყვიტეს ხელფასები, უფლება ჩამოერთვათ სახელმწიფო ჯილდოზე გადაცემაზე ათი წლის ვადით და სამუდამოდ მოეხსნათ უფლება სახელმწიფო ხაზინიდან მიეღოთ საეპარქიოში მოღვაწეობისათვის კუთვნილი პენსია (284, 1589, 1-2). ასეთი იყო ის სასჯელი, რომელიც ქართველმა სამღვდელოებამ ხელისუფლებისაგან თვითნებური გამოსვლის გამო მიიღო.

ხელისუფლების რეპრესიებმა ქართველი სამღვდელოება კიდევ უფრო გააქტიურა. მან სრულიად ქართველ სამღვდელოებას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთიანი, აქტიური და შეურიგებელი ბრძოლისაკენ მოუწოდა (152, № 12, 2-3). ამ ბრძოლამ თავისი გამოვლინება განსაკუთრებული სახით საქართველოში ახალი ეგზარქოსის განწესების ჟამს მიიღო. საქართველოს სამღვდელოებამ პროტესტი გამოუცხადა ახალ ეგზარქოსს. ამ მხრივ აღსანიშნავია სიღნაღის მაზრისა (214, 2) და ქუთაისის სამღვდელოების გადაწყვეტილებები (215, № 28, 2-3). 1906 წლის 18 აგვისტოს შესდგა სიღნაღის მაზრის სამღვდელოთა კრება. კრებაზე შეიქმნა „ძმური კავშირი", რომელშიც ყველა კეთილდამწყსველთა რეგიონიდან ორი მღვდელი და ერთი მედავითნე შედიოდა. კრებამ დაადგინა, რომ არ დამორჩილებოდნენ ახალ ეგზარქოსს და მტკიცედ მოეთხოვათ საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება შეეცდებოდა მათ დასჯას, ყველა სასულიერო პირი მოვალე იყო მისი დაცვისათვის სათანადო ზომები მიეღო. ასეთივე სახის კრება მოაწყო ქუთაი-

სის სამღვდელოებამ, რომელთა უმრავლესობაც დიდ სიფრთხილეს იჩენდა ეგზარქოსის შეხვედრის საკითხზე (214, 2).

როდესაც, ქართველი სამღვდელოების მტკიცე პროტესტის მიუხედავად, თვითმპყრობელობამ, საქართველოში ეგზარქოსად ნიკონი (1906-1908) განაწესა, ქართველმა სასულიერო ფენამ სახელმწიფო საბჭოს წევრს, თავად ილია ჭავჭავაძეს სთხოვა თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება გადაეცა ახალი ეგზარქოსისათვის (277, 278, 12; 259, 2130, 30). ხშირი იყო ახლადდანიშნული ეგზარქოსისადმი ანონიმური ხასიათის წერილების გაგზავნაც, სადაც უცნობი ავტორები ეგზარქოსს ფიზიკური მოსპობითაც ემუქრებორდნენ (262, 3238, 44).

მიუხედავად ქართველი სამღვდელოების უარყოფითი დამოკიდებულებისა, ახალი ეგზარქოსი თბილისში საპატიო დაცვითა და დიდი პატივით შემოვიდა, რომელსაც საპოლიციო აპარატის მუშაკები, ხელისუფლების წარმომადგენლები და რუსი სამღვდელოება შეეგება; რაც შეეხება ქართველ სამღვდელოებას, მათ ბოიკოტი გამოუცხადეს ეგზარქოსს და მის პირველ ღვთისმსახურებას სიონის საკათედრო ტაძარში არ დაესწრნენ (117, № 1, 13).

თვითმპყრობელობის ასეთ გადაწყვეტილებას არ შეუნელებია ქართველი სამღვდელოების ბრძოლა თავისი მიზნის მისაღწევად და ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპარქიების სამღვდელოების ერთმა ნაწილმა ერთობლივი პეტიცია გაუგზავნა რუსეთის ხელისუფლებას ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (278, 173, 16).

საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, იმპერატორი იძულებული გახდა სინოდის ობერპროკურორის 1906 წლის 11 აგვისტოს მოხსენების საფუძველზე გაეცა განკარგულება, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხის განხილვა გადასცემოდა რუსეთის უახლოეს საეკლესიო კრებას (272, 27259, 1; 25452, 48).

აღსანიშნავია, რომ ქართველი სამღვდელოების მოძრაობას თან სდევდა რუსეთის სამღვდელოების მღელვარებანი რუსული ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოცალკევების შესახებ. შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ორივე ეკლესიას საბოლოოდ უნდა გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი (226, 2; 191, 2), ხო-

ლო ქართულ ეკლესიას კიდევ ერთი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი — განთავისუფლებულიყო რუსული ეკლესიის ბატონობისაგან (278, 174, 42-43). საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ორივე ერის მოწინავე სამღვდელოება ცდილობდა ერთმანეთისადმი დახმარების აღმოჩენას. ქართული სასულიერო ფენა სოლიდარობას უცხადებდა რუს სამღვდელოებას, რადგან კარგად უწყოდა, მხოლოდ პატრიარქობის აღდგენითა და რუსული ეკლესიის სახელმწიფო ბიუროკრატიისაგან გამიჯვნით შეიძლებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა (171, № 12, 2; 286, 2). თავის მხრივ, რუსი სამღვდელოება ცდილობდა ყოველანაირი პირობა შეექმნა ქართველი ავტოკეფალისტებისათვის, რუსეთის სასულიერო და საერო ფენებში აქტიური პროპაგანდისათვის. ამ მიზნით სანკტ-პეტერბურგში, რუსი სამღვდელოების ინიციატორობით „32 მღვდლის კავშირმა" თავიანთ კრებაზე ქართველ მღვდელს იოსებ ჩიჯავაძეს წააკითხეს მოხსენება ქართველი სამღვდელოების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის თემაზე. კრებაზე რუსი სამღვდელოების დიდმა ნაწილმა სრული თანადგომა გამოუცხადა ავტოკეფალისტებს და დაგმეს სინოდისა და საეგზარქოსოს პოლიტიკა ქართული ეკლესიის მიმართ (167, № 2942, 3).

ქართველმა სამღვდელოებამ, რუსი საზოგადოებრიობისაგან აშკარა მხარდაჭერა სინოდზე ქართული ეკლესიის საკითხის განხილვისას იგრძნო. ქართული ეკლესიის პოზიციას იცავდნენ სინოდის წევრი, მიტროპოლიტი ანტონი, კურსკის ეპისკოპოსი პიტირიმი, პენზის ეპისკოპოსი ტიხონი, ვლადიმერ-სუზდალის ეპისკოპოსი ნიკოლოზი, როსტოვ-იაროსლავის ეპისკოპოსი ტიხონი, ვლადიკავკაზის ეპისკოპოსი პიტირიმი, კალუგის ეპისკოპოსი ტიხონი (262, 3238, 157; 215, № 2, 4). ქართული ეკლესიის ინტერესებისათვის იბრძოდნენ რუსეთის საერო პირები ნ. მარი, მ. კოვალნიცკი, ი. სოკოლოვი, ნ. ზაოზერსკი, ი. პალმოვი და სხვ. პროფესორი ნიკო მარი აშკარად ადანაშაულებს სახელმწიფო ხელისუფლებას ქართველი სამღვდელოების წინაშე წაყენებულ პოლიტიკურ ბრალდებებში (56, 68), ხოლო ეკლესიის ისტორიის ცნობილი სწავლული ნ. დურნოვი რუს სასულიერო პირებს საერთოდ არ სცნობდა კომპეტენტურად ქართული ეკლესიის განხილვის საქმეში (228, № 20, 2). სინოდმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი შესასწავლად და განსახილველად გადასცა

პროფესორ ი. სოკოლოვი, რომელმაც სათანადო მასალის საფუძველზე თავისი მოსაზრება გამოსთქვა: „...გასაოცარია, რომ ქართველებმა აქამდე ვერ მიაღწიეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნებას, რომელიც მისმა უწმინდესმა სინოდმა კანონიერი დადგენილების უარყოფით..." (277, 268, 8).

სინოდში ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ პროფესორები: გლუბოკოვსკი, ბერდნიკოვი, ალმაზოვი, ოსტროუმოვი, ეპისკოპოსი სტეფანე, მიტროპოლიტები ვლადიმერი და მაკარი, ტვერის ეპისკოპოსი სერაფიმე, ეპისკოპოსი ინოკენტი, დეკანოზები ოსტროგოვი და ბუტკევიჩი (262, 3238, 51; 25, 227-228). ყველა ისინი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს უსაფუძვლოდ მიიჩნევდნენ, რის გამოც საერთოდ უარყოფდნენ ამ საკითხის სინოდის სხდომაზე გატანას.

სინოდის სხდომებმა, პროფესორ გ. პანკოვის აღნიშვნით ქართული ეკლესიის „განკითხვის" სახე მიიღო (76, 92-94). ეს იყო თვითმპყრობელური რუსეთის მიერ ქართველი საზოგადოების აბუჩად აგდების აშკარა გამოვლინება. სინოდის წევრთა უმრავლესობა უარყოფითად შეხედა ავტოკეფალიის საკითხს. მათი აღნიშვნით, ქართული ეკლესიის საკითხი გადაჯაჭვული იყო ქვეყნის ავტონომიის საკითხთან, რის საფუძველზეც, მათ ავტოკეფალიის საკითხი არა საეკლესიო, არამედ პოლიტიკურ საკითხად მიიჩნიეს, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ბატონობას კავკასიაში. სინოდის სხდომებს 20 წევრი ესწრებოდა, საიდანაც 16 რუსი და 4 ქართველი სასულიერო პირი იყო. ქართველთაგან იყვნენ ეპისკოპოსები კირიონი, ლეონიდი, გიორგი და ევთიმე (ელიაშვილი); პროფესორები ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი და ნიკო მარი, რომლებმაც ავტოკეფალიის საკითხის გასაშუქებლად საზოგადო სხდომების დროს წაიკითხეს მოხსენებები (277, 278, 34; 25, 211-212). ქართველ მოღვაწეთა მცდელობა ამაო აღმოჩნდა. სინოდმა, როგორც უკვე აღინიშნა, არ მიანიჭა ქართულ ეკლესიას ავტოკეფალობა.

სინოდის ბოლო სხდომაზე, რომელსაც ქართველი საერო და სასულიერო პირები აღარ ესწრებოდნენ, დეკანოზმა ვოსტორგოვმა სხდომის წევრებს წარუდგინა ქართული ეკლესიის რეორგანიზაციის ორი პროექტი: საეგზარქოსოს შენარჩუნებაზე და საეგზარქოსოს ნაც-

ვლად კავკასიის მიტროპოლიის დაარსებაზე. უკანასკნელს უნდა შეეჩერებინა ქართველი სამღვდელოების მოძრაობა (259, 1688, 2). სხდომას მხოლოდ 10 წევრი ესწრებოდა, და მიუხედავად იმისა, რომ კვორუმი არ იყო, 7 წევრმა მოიწონა მიტროპოლიის დაარსების იდეა, ხოლო სამი ამის წინააღმდეგი გამოვიდა. ესენი იყვნენ მიტროპოლიტი პიტირიმი, ლიტვის არქიეპისკოპოსი ტიხონი და ხოლმოგორის ეპისკოპოსი ნათანაელი (189, № 158, 2).

სინოდის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, სპობდა იმ სუსტ ავტონომიურ უფლებებს, რომელიც აქამდე ქართულ ეკლესიას საეგზარქოსოს სოციალური ინსტიტუტის არსებობით გააჩნდა. ასეთი გადაწყვეტილებაზე მკაცრი პროტესტი განაცხადეს ქართველმა ეპისკოპოსებმა კირიონმა და ლეონიდმა: „...თვით საქართველოს ეკლესია განახორციელებს ავტოკეფალიას, გაშორდება სინოდს..." (187, № 4, 14).

ამ დროიდან, ქართველი სამღვდელოების ბრძოლაში იწყება ახალი ეტაპი საეგზარქოსოს ინსტიტუტის შენარჩუნებისათვის, რომლის დაშლაც განიზრახა თვითმპყრობელობამ, რათა სამღვდელოების ყურადღება ავტოკეფალიის საკითხისადმი მოედუნებინა.

ამრიგად, 1905-1907 წლების რევოლუციამ საქართველოს ბიძგი მისცა დემოკრატიული მოძრაობის გაღვივებაში, რომელშიც საზოგადოების ყველა ფენასთან ერთად განსაკუთრებული აქტიობით ქართველი სამღვდელოება გამოირჩეოდა და, რომელმაც ამ ბრძოლაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი წამოაყენა. ქართველმა სამღვდელოებამ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წამყვან მომენტად ეროვნული ეკლესიისათვის თავისუფლების მისაჰების საკითხისათვის ბრძოლა დააყენა და ამ საქმეში მედროშის როლიც ითავა. ქართველი სამღვდელოების ირგვლივ დაირაზმა ხალხთა მასები, ინტელიგენცია, იმ პერიოდის თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია და ერთსულოვნად მოითხოვეს ეროვნული ეკლესიის თავისუფლება.

ქართველი სამღვდელოება თვითმპყრობელობისა და საეგზარქოსოს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების საერო და სასულიერო ცხოვრებაში გატარებას წინ აღუდგა. სამღვდელოება ცდილობდა 1905-1907 წლების რევოლუცია დაეკავშირებინა ეროვნული ეკლესიის განთავისუფლების მოთხოვნისათვის ბრძოლას და ტრადი-

ციული ისტორიული კონტაქტი აღედგინა ხალხთა მასებთან. ქართვე-ლი სამღვდელოების მეცადინეობით, ეკლესიის ინტერესები ხალხის რე-ვოლუციური მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცია.

თვითმპყრობელობა ქართველი სამღვდელოების მოძრაობაში ხე-დავდა თავისი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ მიზანდასახულ ბრძოლას და მკაცრად უპირისპირდებოდა მას, მაგრამ ავტოკეფალის-ტები ძლიერ ოპოზიციურ ძალად რჩებოდნენ და მედგარ წინააღმდე-გობას უწევდნენ მთავრობას.

1905-1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუ-ციაში ქართულმა ეკლესიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სრუ-ლიად საქართველოს სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში.

ვფიქრობთ, რომ ქართული ეკლესიის დამსახურება მშობლიური ერის წინაშე სათანადო ასახვას ჰპოვებს ისტორიოგრაფიაში.

ქართველი სამღვდელოების აქტიური ბრძოლა ქართული სახელმ-წიფოებრიობისა და ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის, რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც მთელი სიმძაფრით მიმდინარეობ-და.

## თავი მეოთხე

# საქართველოს საეგზარქოსო რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებს შორის (1907-1917 წწ.)

რუსეთის იმპერიაში, პირველი რევოლუციისა და მის შემდგომ პე-რიოდში განსაკუთრებულად რთული ვითარება შეიქმნა: დაიწყო შა-ვი რეაქციის ხანა, რომელიც 1910 წლამდე მძვინვარებდა. ამ დროის ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა 1907 წლის 3 ივნისის გადატრიალე-ბით დაიწყო, რომლის ორგანიზატორიც რეაქციონერთა მესვეური სტო-ლიპინი იყო.

რეაქციის წლებში ცარიზმმა განსაკუთრებული იერიში იმპერიის განაპირა მხარეებზე მიიტანა, რომლებიც რევოლუციის პერიოდში აქ-ტიურობდნენ და „განუყოფელ იმპერიას" დამლით ემუქრებოდნენ. ასეთ მხარეთა რიგში აღმოჩნდა ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო.

1905-1907 წლების რევოლუციის მარცხის შემდგომ, თვითმპყრობელობამ მკაცრი ანგარიშსწორება დაიწყო საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთა მიმართაც. ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის ცარიზმს დიდ დახმარებას უწევდა ეკლესია, მათ შორის საქართველოს საეგზარქოსო.[1]

მიუხედავად რევოლუციის მარცხისა, მის შემდგომ პერიოდშიც ადგილი ჰქონდა რევოლუციურ გამოსვლებს, ანტისაეკლესიო მოძრაობას. ამ გამოსვლებში დიდი წვლილი შეიტანეს სოციალ-დემოკრატიულმა და სხვა პარტიებმა. ისინი მოსახლეობას ამხედრებდნენ რუსული რეჟიმისა და მისი ერთგული მსახურის — ეკლესიის წინააღმდეგ; მოუწოდებდნენ მათ დაუმორჩილებლობისაკენ (261,9,1). ყოველივემ, მოსახლეობა საეკლესიო ცხოვრებას ჩამოაცილა და მას უკიდურესად დაუპირისპირა. მრევლსა და სასულიერო ფენას შორის შექმნილ ურთულეს დამოკიდებულებას გულისტკივილით აღნიშნავდნენ საეგზარქოსოს სხვადასხვა ეპარქიების მღვდელმთავრები და ამ საქმეში დახმარებას სასულიერო უწყებას სთხოვდნენ (272,22709,4-5).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, საეგზარქოსომ ენერგიული მუშაობა გააჩაღა მშრომელ მასებში, განსაკუთრებით კი ფაბრიკა-ქარხნების მუშათა შორის. მათი რევოლუციიდან ჩამოცილებისა და სარწმუნოებრივ-ზნეობრივი დონის ამაღლების მიზნით, ეგზარქოსმა ნიკონმა (1906-1908) 1908 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ თბილისის ყველაზე რევოლუციურად განწყობილ რკინიგზის მუშებისათვის შექმნათ ცალკე კეთილდამწყობელთა კრებული, რომელსაც გადაეცა მუშათა დასახლების ეკლესია-სამლოცველოები. რადგან მუშათა ყველა დასახლებას არ ჰქონდა თავისი ეკლესია, მათ გამოყვეს ვაგონი, სადაც მოთავსდა ეკლესია და იგი ემსახურებოდა რკინიგზის მუშებს თბილისსა და ჯულფას შორის (272,22628,1-3).

მოსახლეობის ქრისტიანული რწმენით აღზრდას ემსახურებოდა საეგზარქოსოს კულტურულ-საგანმანათლებლო რიგი ღონისძიებები საზოგადო სასულიერო კონცერტებისა და ლექცია-ქადაგებათა ჩატარების სახით (50,152). მოსახლეობაში ავტორიტეტის ამაღლებისა და მათი გულის მოგების მიზნით, საეგზარქოსო საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა, რომელიც ისევ ხალხის ხარჯზე ხდებოდა. მაგალი-

თად, სინოდის 1911 წლის 29 ნოემბრის №9329-ის დადგენილებით, საეგზარქოსოს ეკლესია-მონასტრებში 15 იანვარს ჩატარდა პურის მოუსავლიანობით გამოწვეული საყოველთაო თანხების შეგროვება (273,53451,2). 1910 წელს ეგზარქოსმა ინოკენტიმ (1909-1913) კავკასიის მოსახლეობისათვის წამოიწყო აბასთუმნის საავადმყოფოს მშენებლობა, რისთვისაც ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და სოხუმის კეთილდამწყსეელთ მრევლიდან შემოწირულობა უნდა აეკრიფათ (273,52959,1-5). მიმდინარეობდა ასევე გონებადაქვეითებულ და ავადმყოფ ბავშვთათვის თანხების შეგროვება (207,№65,3). არც სასულიერო წოდებას აკლებდა „მზრუნველობას" ეგზარქოსი ინოკენტი. იგი აქტიურად გამოეხმაურა ვლადიკავკაზის სამღვდელოების წამოწყებას კავკასიის მინერალურ წყლებზე სანატორიუმის აგებისათვის. სანატორიუმში იმპერიის ღარიბ სამღვდელოებას უნდა მომსახურებოდნენ უფასოდ. ამ საქმისათვის კი, ეგზარქოსი ისევ აგროვებს საჭირო შემოწირულობებს საქართველოს ეპარქიებში (273,53193,1).

რეაქციის წლებში, თვითმპყრობელური რეჟიმის ავტორიტეტის მოპოვება-განმტკიცებისათვის, საეგზარქოსო მოხერხებულად იყენებს რომანოვების დინასტიის მეფობის 300 წლისთავს. საეგზარქოსოს ყველა ეკლესიაში, ისევე, როგორც მთელს იმპერიაში, გაიშალა ფართომასშტაბიანი ღონისძიებანი რომანოვის დინასტიის სადიდებლად. ეგზარქოსის ბრძანებით, საქართველოს ეკლესია-მონასტრებში ჩატარდა საყოველთაო შემოწირულობათა აკრეფა (281,38,44).

რევოლუციის დამარცხების შემდეგ, საქართველოს საეგზარქოსომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი სასულიერო ფენის „გაჯანსაღებას". საეგზარქოსოს ხელისუფლებამ მთავარი ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდა სასულიერო პირთა აღზრდაზე, რომელთა საშუალებითაც ის აპირებდა ოპოზიციურად განწყობილი, ძველი სასულიერო თაობის შეცვლას. ამ მიზნით, ეგზარქოსი ყოველნაირად ზღუდავდა და სდევნიდა ქართველი სამღვდელოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილს. ასეთ რეპრესიებს შეეწირა ქართული ეკლესიის არა ერთი თავდადებული მუშაკი. 1907-1908 წლებში ეგზარქოსის მიყოლებით თანამდებობებიდან განთავისუფლდნენ საქართველოს საეპარქიოების მრავალი სასულიერო პირი; მღვდელი, დიაკვანი, თუ მედავითნე (272, 24119,1;259,850,4).

1905-1907 წლების რევოლუციისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი გავლენა განიცადა ქართველმა ახალგაზრდობამ, რასაც სასულიერო ხელისუფალნი ეგზარქოსისადმი გაგზავნილ თავიანთ ანგარიშებსა, თუ მოხსენებით ბარათებში დიდი გულისტკივილით აღნიშნავდნენ.

მიუხედავად რევოლუციის მარცხისა, საქართველოს საერო და სასულიერო სასწავლებლებში მოეწყო ახალგაზრდობის რამდენიმე გამოსვლა, თუ გაფიცვა, სადაც ისინი აყენებდნენ მთელ რიგ პოლიტიკურ და აკადემიური ხასიათის მოთხოვნებს. ამ გამოსვლების მონაწილეთა წინააღმდეგ მთავრობამ მკაცრი ღონისძიებები გაატარა (4,332).

ქართველ საზოგადოებრიობაში რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროპაგანდის დიდ წარმატებას თვითმპყრობელობა მოსახლეობის დაბალი სარწმუნოებრივი დონით ხსნიდა, რაშიც ქართველ სამღვდელოებას ადანაშაულებდა (272,22709,4-5). სინოდმა, 1908 წელს მოწვეულ საგანგებო სხდომაზე მსჯელობის საგნად აქცია სწავლა-განათლების მდგომარეობა რუსეთის იმპერიის სასულიერო სასწავლებლებში. სინოდი მიიჩნევდა, რომ სწავლა-აღზრდის არსებული ძველი წესის გარდაქმნით შესაძლებელი გახდებოდა ისეთი სასულიერო ფენის მომზადება, რომელიც თვითმპყრობელობის პოლიტიკის გამტარებელი იქნებოდა იმპერიის შიდა და განაპირა მხარეებში. აღნიშნულ სხდომაზე, სასულიერო სასწავლებლებში შექმნილი უწესრიგობის ორი მთავარი მიზეზი იქნა დასახელებული: 1). პედაგოგ-მასწავლებელთა არასათანადო კვალიფიკაცია და მოსწავლეთა კონტიგენტის შერჩევა, რომელთა დიდი ნაწილი არ იყო მოწოდებული სასულიერო სამსახურისათვის; 2). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერი ზეგავლენა ახალგაზრდობაზე, რომელიც დროულად არ აღმოიფხვრა სასულიერო სასწავლებლების ხელმძღვანელობის ძალისხმევით (51,65-66). სინოდი მიიჩნევდა, რომ რევოლუციის შემდგომი პერიოდის არსებითი ამოცანა იყო ბრძოლის გაძლიერება „მავნე იდეოლოგიის" წინააღმდეგ. ამ მიზნის მისაღწევად, ეკლესიის მესვეურნი საჭიროდ სთვლიდნენ ქადაგებათა გაუმჯობესება-გააქტიურებას, რელიგიური შინაარსის ლიტერატურით სასწავ-

ლო ბიბლიოთეკების დაკომპლექტებას, მოსწავლეებზე მკაცრი კონტროლის დაწესებას და სხვ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რევოლუციის შემდგომ ხანაში, სასულიერო უწყებამ შეცვალა პოლიტიკა მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ. თუ მანამდე, სახელმწიფოსა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ გამოსვლებში შენიშნული სასწავლებლები იხურებოდა, ახლა ეს მეთოდი მკაცრად აიკრძალა, რადგან ეგზარქოსების აღნიშვნით, სასწავლებლის გარეთ დარჩენილი ახალგაზრდობა არასასურველი გავლენის ქვეშ ექცეოდა და კიდევ უფრო სახიფათო ხდებოდა ხელისუფლებისათვის.

საეგზარქოსო ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა სასულიერო სასწავლებლების ხელმძღვანელი და პედაგოგ-აღმზრდელთა კადრების შერჩევის საქმეს. როგორც წესი, წამყვან თანამდებობებზე რუსი ეროვნების სასულიერო და საერო პედაგოგები ინიშნებოდნენ. უპირატესობა კი, რეაქციონერ პირთ ენიჭებოდათ. მათი მოვალეობა იყო სასწავლებლებში თვითმპყრობელობის სასარგებლო აგმოსფეროს შექმნა. ამ მიზნით, 1909 წელს (272,22758,2-10) სასულიერო უწყების ხელმძღვანელობამ შემოიღო საღვთო სჯულის სწავლება ქართულ ენაზე. ამ ღონისძიების გატარებით საქართველოს ეგზარქოსი ქართველი სამღვდელოების გულის მოგებასაც ცდილობდა.

საქართველოს ეგზარქოსის აღნიშნულ გადაწყვეტილებას დადებითად გამოეხმაურა რუსი საერო და სასულიერო ხელისუფლება. მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის (1905-1915) აღნიშვნით, არარუს ხალხებში რუსული ენის სწავლების ძალდატანებით მეთოდს, მშობლიური ენის სწავლებასთან ერთად, დადებითი ნაყოფი უნდა გამოეღო ხალხთა ასიმილაციის საქმეში.

საქართველოს საეგზარქოსოს მიერ სასულიერო განათლების დარგში გატარებული პრაქტიკული ღონისძიებანი, მიზნად ისახავდა მოსწავლე ახალგაზრდობის ჩამოცილებას რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებიდან.

საეგზარქოსო ხელისუფლების ყურადღების ქვეშ იყო ინტელიგენციის განწყობა სარწმუნოებისადმი. იგი შეშფოთებული იყო ინტელიგენციის გულგრილი დამოკიდებულებით და დაპირისპირებით ეკლესიისადმი (192,№234,3).

საქართველოს ეგზარქოსი მოუწოდებდა სასულიერო ფენას ყოველი ღონე ეხმარათ ინტელიგენციის მთავრობისაკენ გადაბირებაში. ამით იყო ნაკარნახევი, რომ 1912 წელს, თბილისის სიონის კათედრალურ ტაძართან შეიქმნა „სიონის ტაძართან არსებული წმინდა ღვთისმშობლის ძმობა". მისი მთავარი მიზანი იყო „ქადაგების" გამოცემა, სადაც აღინიშნებოდა სამღვდელოების პირდაპირი მოვალეობა — ებრძოლათ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ამ საქმეში აქტიურობა მოწინავე ქალაქის სასულიერო ფენას დაეკისრა, რომელსაც თავისი საქმიანობით მაგალითი უნდა მიეცა პროვინციის სამღვდელოებისათვის. „ქადაგებაში" გამოქვეყნებული წერილებით, საეგზარქოსოს ხელისუფლება ცდილობდა მასების ყურადღების მოდუნებას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში, მთავრობისა და ეკლესიის ყურადღების ცენტრში იდგა სამისიონერო საქმის გაფართოების საკითხი საეგზარქოსოს მთელ ტერიტორიაზე. დროთა ვითარებაში სულ უფრო მძლავრად იჩინა თავი სექტანტურმა მოძრაობებმა და სერიოზული საფრთხე შეუქმნა კავკასიაში მცხოვრებ რუსი ერთვნების მართლმადიდებელ ქრისტიანებს. სინოდის 1910 წლის 18 სექტემბრის დადგენილებით (273,52986,7) საეგზარქოსოს ხელისუფლებას დაევალა სექტანტობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის წარმოება.

სინოდის განკარგულების შესასრულებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო სათანადოდ მომზადებული კადრების შერჩევა სამისიონერო საქმისათვის რადგან, საქართველოს საეგზარქოსო ასეთი კვალიფიციური მუშაკების უკიდურეს ნაკლებობას განიცდიდა; საეგზარქოსოსთან არსებულმა საეპარქიო-სამისიონერო საბჭომ შესთავაზა ამიერკავკასიის სამღვდელოებას იქ, სადაც სექტანტები მოღვაწეობდნენ შეექმნათ იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან არსებული სამისიონერო კურსების მსგავსი უჯრედები (207,№ 116,3).

თბილისში, 1910 წელს, ეგზარქოსის მიერ მოწვეულ სამღვდელოთა საგანგებო თათბირზე გადაწყდა, რომ საქართველოს ეპარქიათა ყველა საძმო უნდა შეერთებოდა საეგზარქოსოს აპარატის

მუშაობას სექტანტობის წინააღმდეგ. დაქვემდებარებულნენ სამისიონერო საბჭოს და მასთა განრიგითა და მითითებებით ემსახურებოდნენ მრევლზე (207,№ 1163).

საქართველოს საეგზარქოსოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედ სამისიონერო ჯგუფებს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ იმპერიის საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან, რომელთაგან ისინი დიდ მატერიალურ დახმარებას იღებდნენ. ხელისუფლება, სამისიონერო ექსპედიციებში სისტემატიურად აგზავნიდა საეკლესიო ინვენტარს, სასულიერო ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებს, ფულად დახმარებას უწევდა მისიონერებს და ა.შ. მაგალითად, თბილისის საეპარქიოს მისიონერმა ა.პ. პლატონოვმა მოსკოვის სხვადასხვა შეძლებულ პირთაგან მარტო 1910 წელს 15 000 მანეთამდე საეკლესიო ინვენტარი და ფულადი დახმარება მიიღო სამისიონერო მუშაობის წარმატებით წარმართვისათვის (138,№ 82,2).

სექტანტურმა მოძრაობამ განსაკუთრებულად აქტიური ხასიათი მიიღო გურია-სამეგრელოსა და სოხუმის ეპარქიებში. სოხუმის ეპისკოპოსის დიმიტრის აღნიშვნით, სექტანტობა წალეკვით ემუქრებოდა შავიზღვისპირეთის ოლქს, ხოლო აფხაზეთის რეგიონში მაჰმადიანური რწმენისაკენ სერიოზული ლტოლვა შეიმჩნეოდა (273,52986,9-10). შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, სოხუმის ეპისკოპოსმა ადგილობრივ სამღვდელოებას აქტიური საქმიანობისაკენ მოუწოდა. მაგალითად, საჭირო შეიქმნა ყოველ სამრევლოში დაარსებულიყო ჭეშმარიტ ქრისტიანთა წრე 4-5 კაცის შემადგენლობით, რომელსაც მოსახლეობა სექტანტობისა და მაჰმადიანური პროპაგანდისაგან უნდა დაეცვა (224,№ 14,218-219).

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის ცენტრალური ქალაქი — ბათუმიც, სადაც განსაკუთრებით აქტიურობდნენ სექტანტები. მათ წინააღმდეგ, ადგილობრივმა სასულიერო ხელმძღვანელობამ გაატარა რიგი ღონისძიება. მაგალითად, 1908 წელს სხვადასხვა სამრევლოებში შეიქმნა ანტისექტანტური წრეები და ორგანიზაციები, მაგრამ მათ არსებობა ვერ შეძლეს, რადგან მრევლის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო მათ მოსახლეობა ვერ აფინანსებდა. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა 1910 წლის 9 ოქტომბერს თხოვნით მიმართა სინოდის ობერპროკურორს დახმარება აღმოეჩი-

ნათ მათთვის სათანადო ბროშურების გამოცემაში, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნაში, სკოლების დაარსებაში, საეკლესიო მგალობელთა გუნდების ჩამოყალიბებისათვის საჭირო თანხების გამოყოფაში და სხვ. ძირითადი აქცენტი კი ეპისკოპოსს გადატანილი ჰქონდა იმაზე, რომ საეპარქიოებში დანიშნულიყო თითო სამაზრო მისიონერი უმაღლესი სასულიერო განათლებით, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის ენა ეცოდინებოდა (273,52986,7).

მიუხედავად სასულიერო უწყების მიერ დასახული რიგი ღონისძიებებისა, საეგზარქოსოს მრევლში მაინც სავალალო სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მდგომარეობა იყო; სამისიონერო საქმე ვერ ართმევდა თავს ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური ვითარებით შექმნილ წინააღმდეგობას, რომელიც სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა მრევლსა და ეკლესიას შორის. სუსტი იყო თვით საეგზარქოსოში შექმნილი სამისიონერო საბჭოს საქმიანობაც, რომელიც იშვიათად იკრიბებოდა და მართავდა კრებებს; საეპარქიოთა მისიონერები არ იჩენდნენ სათანადო გულისხმიერებასა და პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისადმი, არ დაიარებოდნენ მათდამი რწმუნებულ სამწყსოებში, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო მათი მძიმე მატერიალური ყოფით, უგზოობით და ა.შ. საქართველოს საეგზარქოსოს 1914 წლის გადაწყვეტილებით უნდა გააქტიურებულიყო სამისიონერო საბჭოს მუშაობა, მოწვეულიყო კრებები თვეში არანაკლებ ერთხელ მაინც, სადაც დაისახებოდა შემდგომი მუშაობის გზები და მეთოდები. ეს საქმე ეგზარქოსმა პიტირიმმა (1914-1915) დაავალა ბაქოს ეპისკოპოსს – პიმენს (194,№ 192,3).

რევოლუციის შემდგომ პერიოდში არ განელებულა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი სამღვდელოების ბრძოლა ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. რუსეთის იმპერიაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარება, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მოსახლეობაში სარწმუნოებრივი დონის დაცემა – ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის სასარგებლოდ მიმდინარეობდა. 1913 წლის 28 იანვარს, შორეულ მსარეში გადასახლებული ქართული ეკლესიის თავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი კირიონ საძაგლიშვილი თა-

ვის თანამოაზრესა და მეგობარს იოსებ ჩიჯავაძეს წერდა:

„...ავტოკეფალიას ნუ მოუყრუეთ ყური: მაგისთანა კითხვა სწრაფად არა სწყდება. ხელსაყრელი გარემოებით უნდა ვისარგებლოთ. რუსეთში მართლმადიდებელ ეკლესიას ნიადაგს უთხრიან, მისიონერების გამრავლებამაც თვალსაჩინო სარგებლობა ვერ მოუტანა მას...“ — აღნიშნავდა კირიონი (278,147,19).

ქართული ეკლესიის მოჭირნახულის მოწოდება ბრძოლის გაგრძელებისათვის, კიდევ უფრო აღაფრთოვანებდა ქართველ სამღვდელოებას და თავისუფლების მოპოვებისათვის დაუცხრომელ ბრძოლას აგრძელებდა. ქართველი სამღვდელოება იბრძოდა იმ დღისათვის, როდესაც ავტოკეფალურ ქართულ ეკლესიას მოჰყვებოდა მთლიანად საეკლესიო ცხოვრების გამოცოცხლება საქართველოში: აღორძინდებოდა ეროვნული ეკლესიის საგანმანათლებლო ქსელი, სადაც დამკვიდრდებოდა მშობლიური ქართული ენა; აყვავდებოდა ქართული ეკლესია-მონასტრების ცხოვრება; აღდგებოდა ძველი საეკლესიო ისტორიული ნაშთები; აღორძინდებოდა საეკლესიო ლიტერატურა და გამომცემლობა და, რაც მთავარია ქართულ ეკლესიას დაუბრუნდებოდა თავისი კუთვნილი საეკლესიო მამა-პაპეული მამულები (109,2). საამისოდ, ქართველი სამღვდელოება არ ზოგავდა თავის ნიჭსა და ენერგიას. მას კარგად უწყოდა, რომ ქვეყანას და მის ეკლესიას დროის შესაფერისი სასულიერო კრებული ესაჭიროებოდა (158,№27,1). ამიტომ ქართული უმაღლესი სასულიერო ფენა სრულიად საქართველოს სასულიერო წოდებას შეკავშირებული, ერთსულოვანი ქმედებისაკენ, მრევლთან ერთად ერთობლივი ბრძოლისკენ მოუწოდებდა ქვეყნისა და ეკლესიის თავისუფლების მოპოვებისათვის.

ზემოაღნიშნულზე მეტყველებს ეპისკოპოს დავითის მიერ 1911 წლის 13 ნოემბერს გორის მაზრის ოქონის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში წარმოთქმული სიტყვა: „...ჩვენი ხსნა გადაგვარებისაგან ეკლესიასთან მჭიდრო კავშირშია. მეტი ყურადღება მივაქციოთ სოფელსა და შევიტანოთ მიგ სწავლის, ჭეშმარიტის მეცნიერების ცხოველმყოფელი სხივები...“ (237,9). ქართველი სამღვდელოება იბრძვის ხალხთან კეთილმეგობრული ურთიერთობის აღდგენისათვის, მოუწოდებს თანამოაზრეებს საქმიანობის გააქტიურებისაკენ (158, №17,12; №23,5; 138, №187,3). განსაკუთრებული აქტიობით მრევლში იღწვოდნენ მღვდელ-

მსახურები, რათა აღედგინათ ხალხში ეკლესიისადმი კრძალვა-პატივისცემა და სიყვარული: "...შეიყვარეთ, ძმანო, ეკლესია! დაუახლოვდით სამღვდელოებას, მოსთხოვეთ მას, თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს, გაამხნევეთ, გაამაგრეთ იგი სიტყვებითა და საქმით; და მაშინ, მხოლოდ მაშინ, გაუმჯობესდება ჩვენი საეკლესიო ცხოვრება, და ამასთანავე გაძლიერდება ეროვნული თვითცნობიერება" — აღნიშნავდა ეპისკოპოსი დავითი (237,28). ქართველი მღვდელმსახურები თავიანთი კრებულისაგან მკაცრად ითხოვდნენ სასულიერო მოვალეობის დაცვას და ხალხში ავტორიტეტის ამაღლების მიზნით ყველა სათანადო წესის შესრულებას (157,15).

ქართველ სამღვდელოებას განსაკუთრებით აწუხებდა თავის წიაღში ფეხმოკიდებული მანკიერების აღმავლობა და მათი საეკლესიო ცხოვრებისაგან ჩამოცილება. რევოლუციის შემდგომ პერიოდში, სამღვდელოების ერთი ნაწილი აქტიურად ჩაება თვითმმართველობის სამსახურში და საქართველოს ერთგულ მუშაკად იქცა. ისინი არად დაგიდევდნენ ეროვნული სახელმწიფოსა და მისი ეკლესიის შეურაცხყოფას და საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნვას აყოლილნი სამსახურში ჯილდო-ჩინების მოპოვებისათვის ზრუნავდნენ (158,№23,12;№19,2). მათ თავიანთი მიზნები კარგად გამოააშკარავეს საეკლესიო გამოსაღებთა აკრეფისას. გაზეთი „ჩვენი აზრი" იუწყებოდა: „...სასულიერო პირები განსაკუთრებულ სიმკაცრეს დრამის ფულის აკრეფაში ავლენდნენ. მღვდლები, ფულს აწერდნენ ისეთ კომლებსაც კი, რომლებიც არ არიან ცნობილნი ცალკე კომლად საზოგადოების ყრილობის მიერ" (159,3), — აღნიშნავდა გაზეთი. ასეთი სამღვდელოება არც საეკლესიო სანთლის საწარმოო ფაბრიკებს ინდობდა: ხშირი იყო დამზადებული სანთლის, ცვილისა, თუ ფულის მოპარვის შემთხვევები. ამ მხრივ ცნობილი გახდა თბილისისა და ფოთის სანთლის ქარხნების გაქურდვის შემთხვევები (90,№268,3-4).

სამღვდელოების შეუფერებელი საქმიანობა, საზოგადოდ სასულიერო წოდების ავტორიტეტის დაცემას იწვევდა მრევლში და უკიდურესად უპირისპირდებოდა მას. პროგრესული სამღვდელოება ილაშქრებდა თვითმმართველობის სამსახურში მდგომი სამღვდელოებისადმი. მათ ხალხში ნდობის მოპოვების მიზნით, აქტიურ საქ-

ველმოქმედო საქმიანობას მიჰყვეს ხელი. ამ მხრივ აღსანიშნავია 1909 წლის 14 დეკემბრის ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრება, სადაც 2410 მანეთი და 84 კაპიკი, რომელიც სამღვდელოების ხელფასისათვის იყო განკუთვნილი — ეპარქიის უღატაკეს მრევლს დაურიგდა. გურია-სამეგრელოს ეპარქიაში 1909-1910 წლებში ავადმყოფ ბავშვთა დასახმარებლად შეგროვდა სოლიდური თანხა და ა.შ. (273,51547,3).

სამღვდელოების მანკიერი ქმედებების აღმოფხვრისათვის საჭირო იყო მათი მატერიალური ყოფის გაუმჯობესებაც. საამისოდ, ქართული სასულიერო ფენა ყოველ ღონეს ხმარობდა. 1908 წლის 17 დეკემბრის ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა კრებაზე განიხილეს „ურთიერთდამხმარე საზოგადოების" დაარსების საკითხი. მის წევრებს პროექტის მიხედვით ყოველთვიურად უნდა გადაეხადათ 90 კაპიკი, იმ სამღვდელოების სასარგებლოდ, რომელთაც მარჩენალი არ ჰყავდათ, ან შრომის უუნარონი იყვნენ. მღვდლის ოჯახზე წელიწადში გაიცემოდა 1000 მანეთი, მედავითნეზე 500 მანეთი (89,4).

გარდა ქველმოქმედებისა, ქართველმა სამღვდელოებამ განსაკუთრებული ყურადღება სამეურნეო საქმიანობის აღდგენა-განვითარებას მიაპყრო. ქართველი სასულიერო ფენა ყოველმხრივ ცდილობდა ისტორიულად მამა-პაპეულ საქმიანობას დაბრუნებოდა, მეურნეობისათვის მიეყო ხელი და ამით, როგორც პირადი ცხოვრება, ისე ერისა და ეკლესიის მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. მან ყურადღება მეურნეობის ისეთ დარგებზე გაამახვილა, როგორიც არის მეფუტკრეობა, რაც ეკლესიისათვის მომგებიანი იქნებოდა (110,№ 120,2-3). მეფუტკრეობის განვითარებისათვის საქართველოს ეპარქიებში იხსნებოდა ამ დარგის შემსწავლელი დაწყებითი სასწავლებლები სპეციალურად სასულიერო პირთათვის; სისტემატიურად იმართებოდა მეფუტკრეთა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვები მთელი საეგზარქოსოს ტერიტორიაზე. 1910 წელს, თბილისში გამართულ გამოფენაში ორი ქართველი მღვდელი მონაწილეობდა: საგურამოდან — ალექსანდრე ჯაღაშეილი და მანგლისიდან — მამა ჩიტაძე, რომლებმაც სასულიერო უწყებისაგან სათანადო ჯილდოები მიიღეს (138,№ 187,3). ზემოაღნიშნული გამოფენის ექ-

სპონატებს 40-მდე ქართველი მღვდელი გაეცნო, რომელთაც ამ საქმისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს და ხელი მიჰყვეს მის შესწავლა-დანერგვის საქმეს საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში (138,№ 1902).

საეგზარქოსოს დედათა მონასტრები მეაბრეშუმეობით დაინტერესდნენ. აღსანიშნავია, თეკლათის დედათა მონასტრიდან გაგზავნილი ორი მონაზონის სწავლა თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურში. (129,2). მცხეთის წმინდა ნინოს სახელობის სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარმა თხოვნით მიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას ემუამდგომლათ ხელისუფლების წინაშე, რათა მათთვის გამოეყოთ თანხები ქალთა მონასტრის სკოლისათვის საქსოვი დაზგების შესაძენად (210,4).

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, ქართველი სამღვდელოება თავისი ტრადიციული სამისიონერო საქმიანობის ერთგულიც რჩებოდა. იგი ყოველთვის ცდილობდა მოღვაწეობის გააქტიურებას იმ ადგილებში, სადაც ქართულ საქმეს ყველაზე მეტად უჭირდა. ასეთი ადგილები იყო ისინი, სადაც ქართველ მრევლს დაცვა ესაჭიროებოდა მაჰმადიანური და სექტანტური პროპაგანდისაგან. ამ მხრივ, რევოლუციის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით აღსანიშნავია თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღოლის ნინოს (თავადი ვაჩნაძე) სამისიონერო საქმიანობა. მან 1912 წელს თხოვნით მიმართა სოხუმის ეპისკოპოსს სოხუმში გაეხსნა თეკლათის მეტოქი (სამონასტრო ეკლესია). ამ ეკლესიის დანიშნულება უნდა ყოფილიყო სოხუმის ქართველი სამღვდელოების დახმარება მრევლში სარწმუნოებრივი დონის ამაღლების საქმიანობაში. მალე, ეკლესიასთან აიგო პატარა ფუნდუკი, სადაც ინახებოდა ქართულ ენაზე გამოცემული სასულიერო ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები. ეკლესიაში ღვთისმსახურება მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა (224,№ 9,129-130).

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში ქართველ სამღვდელოებას ზურგს უმაგრებდა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციის ნაწილიც. ინტელიგენცია კარგად აღიქვამდა თვითმპყრობელობის მზაკვრულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, რომელმაც განსაკუთრებული გამოვლინება ეკლესიისადმი დამოკიდებულებაში ჰპოვა. ამით იყო განპირობებული ინტელიგენციის თანაგრძნობა ქართველი სამღვდელოებისადმი, როდესაც ამ უკა-

ნასკნელმა, თავისი ბრძოლის დროშას საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა დააწერა. ინტელიგენცია, სამღვდელოების ამ გაბედულ ნაბიჯს რუსეთის დამთრგუნველი რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ ოპოზიციურ გამოვლინებად აცხადებს და მოუწოდებს ქართველ ერს მხარში ამოუდგეს სამღვდელოებას ამ კეთილშობილურ საქმეში. აკაკი ჩხენკელი აცხადებდა: „თუ ქართველი ერი მათ დროშას არ გაჰყვა და ავტოკეფალია თავის საქმედ არ დასახა, ნურას უკაცრავად!..." (128,3).

პროგრესული ინტელიგენცია სამღვდელოების საკითხს უკავშირებდა ქვეყნის ხსნისა და სახელმწიფო ერთეულის აღდგენის საქმეს. ყოველივე ეს დასტურია მისი მოთხოვნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, 1912 წლის 27 მაისის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა შეკრება (192,№ 122,3), სადაც განცხადებით გამოვიდა თავადი გ.ნ. დიასამიძე. მის სიტყვაში გაისმოდა თავადაზნაურობის მოწოდება დახმარებოდნენ სამღვდელოებას ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საკითხში და პროტესტი განეცხადებინათ ხელისუფლებისადმი ავტოკეფალისტთა რეპრესიებისათვის.

ქართველი ინტელიგენცია ავტოკეფალისტთა დახმარების მიზნით, დაუფარავად ილაშქრებდა სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ ქართული პრესის ფურცლებზე. იგი სამღვდელოებასთან ერთად ცდილობს მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას პროგრესულად მოაზროვნე რუს სასულიერო და საერო წარმომადგენლებთან. გაზეთი „თემი" აღნიშნავდა: „...ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენთან ერთად რუსეთის პრესის და საზოგადოების საუკეთესო ნაწილი მთლიანად გაითვალისწინებს სრულ მავნებლობას რუსეთის საეკლესიო ბიუროკრატიის ნაბიჯისას..." (97,№ 876,2).

როგორც უკვე აღინიშნა, ქართველი სამღვდელოების მოთხოვნა რუსმა რეაქციონერმა საზოგადოებამ პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას დაუკავშირა და ქართველ ერს რუსი ერისადმი სიძულვილში დასწამა ცილი (82,№ 28,1;56,15-16). ქართველ საზოგადოებაში ასეთმა ცილისმწამებლურმა კომპანიამ, საწინააღმდეგო პოლემიკა გამოიწვია.

საქართველოში გამომავალ ქართულ და რუსულენოვან პერიოდულ გამოცემებში სისტემატიურად იბეჭდებოდა ამგვარი ცილისმწამებლური

და შეურაცმყოფელი, ერის დამამცირებელი პუბლიკაციები. ქართველი სამღვდელოება ცდილობდა დაესაბუთებინა თავისი კეთილმეგობრული დამოკიდებულება რუსი ერისადმი და მათ შორის უთანხმოების მიზეზად თვითმპყრობელობის ბიუროკრატიულ რეჟიმს ასახელებდა. ქართველი სასულიერო ფენის აღნიშვნით, ქართული და რუსული ეკლესიები ერთ უღელქვეშ იყვნენ და კანონიერ თავისუფლებას ითხოვდნენ. ხოლო საქართველოში მოღვაწე ზოგიერთი რუსი სასულიერო პირის არაკანონიერ და უსამართლო დამოკიდებულებას ქართული ეკლესიისადმი, მხოლოდ საკუთარი ინტერესებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გამოვლინებად მიიჩნევდნენ (190,№ 24,3).

ქართველი და რუსი ერების ძმურ, ტრადიციულად კეთილმეგობრულ ურთიერთობებს ეძღვნებოდა ეპისკოპოს დავითის პუბლიკაციები რუსულ და ქართულ პერიოდულ გამოცემებში (110, № 91, 3; 208,2; 222,1-2). ეპისკოპოს დავითს, ქართველ და რუს ერებს შორის არსებული გაუგებრობის გამოსწორების საშუალებად ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენა მიაჩნდა: „...საკვირველია, ის ხალხი, განაპირა ქვეყნებისა, და ცენტრის შეღულებას რომ სცდილობს თვით აგებს „ინოროდცებსა“ და რუსთა შორის ზღუდეს. ყოველი საქმე, თუ საფუძვლად არ დაუდვიათ ხალხთა სიყვარული, პატივისცემა ერთა განსაკუთრებული თვისებათა, გონიერი ადამიანის მოთხოვნილებათა და უფლისადმი, ღელოს ვერ გაიტანს, ადრე თუ — გვიან მოისრება. დაინგრევა“ (110,№ 82,4). ქართველ მოწინავე საზოგადოებრიობას თავის სასულიერო ფენასთან ერთად სწამდა და სჯეროდა თავისი „ქრისტესმიერი ძმის“ სიყვარულის (286,1-2).

რევოლუციის შემდგომ პერიოდში, ქართველი სამღვდელოებისა და ინტელიგენციის მოთხოვნას მხარს უჭერენ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებიც, რომელთა შორის აქტიურობით გამოირჩეოდნენ სოციალ-ფედერალისტები. ამ პარტიის ლიდერი არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავდა: „ეროვნული დამოუკიდებლობის აზრი ისე იყო დამწიფებული, რომ ყოველივე, რაც სასარგებლო იყო ამ აზრის გამაგრებისათვის, სავალდებულო ხდებოდა თვით ეკლესიისათვისაც. რადგან ამით ეკლესია, როგორც მოსარჩლე ეროვნული ინტერესებისა, ხალხში ჰპოვებდა ძალას და ავტორიტეტს“ (141,3). აღნიშნული მეტ-

ყველებს სოციალ-ფედერალისტური პარტიისა და ქართველი სამღვდელოების ერთიმბლივ ინტერესებზე, რომლის საფუძველიც მათი მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა იყო.

ავტოკეფალიის მოთხოვნის საკითხს სოციალ-დემოკრატიული პარტიაც აყენებდა, რომლის იმავდროულად ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის იდეას პარტიის ლიდერები სერიოზულ საკითხად მიიჩნევდნენ. ისინი თვითმპყრობელობის პოლიტიკას საქართველოსადმი უსამართლოდ სთვლიდნენ, განსაკუთრებით კი ეკლესიის მიმართ და პროტესტს უცხადებდნენ ყველა მათ, ვინც ამ საკითხის გადაჭრას აყოვნებდა (97,№121,2).

მოწინავე რუსი საზოგადოება მხარდაჭერას უცხადებდა ქართველი სამღვდელოების მოთხოვნას და თავის მხრივ ცდილობდა რუსულენოვანი გაზეთების ფურცლებზე სამართლიანად გაეშუქებინა ქართული ეკლესიის მდგომარეობა. მაგალითად, 1908 წლის იანერიდან მაისამდე გაზეთ „რუსკი სტიაგის" რედაქცია აქვეყნებდა ნიკოლოზ დურნოვოს ვრცელ წერილს „ქართული ეკლესიის ბედი", რომელშიც მთლიანობაში იყო წარმოდგენილი ქართული ეკლესიის საკითხი და რუსული ეკლესიის უკანონო დამოკიდებულება მის მიმართ. ნიკოლოზ დურნოვო დაუფარავად ამიშელებს ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მძიმე შედეგებს საქართველოში. მისი აღნიშვნით, რუსული საეკლესიო მმართველობა მხოლოდ უპირისპირებს ერთმორწმუნე ერებს ერთმანეთს და უმძიმესი შედეგები მოაქვს ორივე ერისათვის (28,85,131). ავტორი ებრძვის საქართველოში მოღვაწე რეაქციულ ქართულ, თუ რუსულ საეკლესიო პოლიტიკას და მათ გამტარებლებს და საჯარო განკითხვის წინაშე აყენებს მათ (56,3-4).

ქართული ეკლესიის ეროვნულობის პრინციპის დამცველად გვევლინება „ცერკოვნი ვედომოსტის" ფურცლებზე დაბეჭდილი სასულიერო პირის ა. კატანსკის პუბლიკაციები, რომელიც ეკლესიის ეროვნულობის დამცველად და ამღიარებლად, მისი უფლებების მიმნიჭებლად მხოლოდ მსოფლიო საეკლესიო კრებას მიიჩნევს (232,№51,2235). იგივე მოსაზრებას იზიარებდა ამავე ჟურნალის გვერდებზე მოთავსებული მღვდელ აგეევის წერილები (232,№7,1323).

რუსული საეკლესიო პოლიტიკის მკაცრი კრიტიკით გამოდის მღვდელი ანდრეი გორაინი, რომლის აღნიშვნით, რუსულმა ეკლესიამ თა-

ვისი ბიუროკრატიული მმართველობით ულალატა მართლმადიდებლურ რწმენას, რაც კარგად გამოიკვეთა მისი დამოკიდებულებით ერთმორწმუნე ერებისადმი (177,235).

რუსული ეკლესიისა და თვითმპყრობელობის თანამშრომლობას დამღუპველად მიიჩნევდა ჟურნალ „ბოგოსლოვსკი ვესტნიკის" პუბლიცისტი ნ. ვისოცკი, და ამ უკანასკნელის ურთიერთგამიჯვნის საკითხს აყენებდა (190,№67,3).

პროგრესულად მოაზროვნე რუსი საზოგადოება მაქსიმალურად ცდილობდა მოსახლეობისათვის აეხსნა ქართველი სამღვდელოების სამართლიანი მოთხოვნის მიზეზი, რომელსაც თვით რუსული ეკლესიისათვის და სახელმწიფოსათვისაც უნდა მოეტანა სარგებელი, რადგან მათი რწმენით, რაც უფრო მტკიცე იქნებოდა რწმენა ხალხში, მით უფრო მაღლა უნდა მდგარიყო მათი ზნეობრივი დონე და კეთილდღეობა (262,3238,157).

როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთის პირველ რევოლუციას ხელისუფლების მძაფრი რეაქციის ხანა მოჰყვა, მთავრობის ამ განსაკუთრებულმა პოლიტიკამ საქართველოში კიდევ უფრო გაამძაფრა კოლონიური ჩაგვრის სიმწვავე და მოსახლეობის მისადმი დაპირისპირებას უაღრესად მკაცრი და დაძაბული ხასიათი მიანიჭა. ქართველი სამღვდელოება ამ დროს კიდევ უფრო დიდ აქტიურობას იჩენს და უკმაყოფილებას გამოთქვამს მთავრობისა და საეგზარქოსოს პოლიტიკისადმი, რაც მათი საეკლესიო მოთხოვნით გამოიხატებოდა. თვითმპყრობელობის მოხელეთ კარგად ესმოდათ შექმნილი ვითარების სირთულე და მთელი სიმკაცრით სდევნიდნენ, როგორც ეროვნული სახელმწიფოს, ისე ავტოკეფალიის მომხრეებს.

საქართველოში რეაქციული პოლიტიკის გაძლიერების მიზნით, იმპერიის სასულიერო უწყებამ ეგზარქოსის თანამდებობაზე 1906 წელს განაწესა უკიდურესი რეაქციონერი მღვდელმთავარი ნიკონი (1906-1908).

ახალ ეგზარქოსს მთავრობამ კავკასიაში თვითმპყრობელობის რეჟიმის განმტკიცების მისია დააკისრა. ამ მისიის შესრულებისათვის ნიკონმა მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა „ამბოხებულ" ქართველ სასულიერო წოდებას. ძველი, იერარქიულად განწყობილი სამღვდელოების შეცვლის მიზნით, იგი აქტიურ საქმიანობას ეწევა ახალ-

გაზრდა სასულიერო პირთა აღსაზრდელად. სინოდის მითითებით, სასულიერო სასწავლებლებში უმკაცრესი ღონისძიებები ტარდებოდა მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობებიდან ჩამოსაცილებლად (50,149). ეგზარქოსმა აკრძალა სასწავლებლის დახურვა, სამაგიეროდ, მაქსიმალური ყურადღება ამ სახის დაწესებულებათა ხელმძღვანელ თანამდებობებზე განაწილების საქმეს მიაპყრო. ამ პერიოდიდან, პასუხსაგებ თანამდებობებზე მხოლოდ რუსი ეროვნების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. მოსახლეობისა და სამღვდელოების თვალის ახვევის მიზნით, ეგზარქოსი ერთი შეხედვით კომპრომისზეც მიდიოდა, რისი დასტურია, როგორც უკვე აღინიშნა, საღვთო სჯულის სწავლების ქართულ ენაზე შემოღება (272,22758,2-10).

რევოლუციისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული ეგზარქოსის განკარგულებით 1907 წელს თბილისში რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების დაარსება. მას უნდა დაეცვა მოსახლეობა „მავნე“ ზეგავლენისაგან. ეგზარქოსის დანიშნულება კი ამ საქმეში რელიგიისა და ზნეობის საკითხების დამუშავება იყო“. „საზოგადოება“ სისტემატიურად მართავდა კრებებს, ქალაქის სხვადასხვა უბნებში აარსებდა ბიბლიოთეკებს; სცემდა „საზოგადოების“ წევრთა ნაშრომებს; ატარებდა საჯარო ლექცია-მოხსენებებს და ა.შ.

ნიკონის საქმიანობას საქართველოში უმკაცრესი გამოვლინების სახეც ჰქონდა. მისი მოღვაწეობის პერიოდში სისტემატიურ დევნა-შევიწროებას განიცდიდა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი სამღვდელოება. ამ პერიოდში, არა ერთი პირის მიმართ იქნა აღძრული სასამართლო საქმე; ასობით სასულიერო პირი იდევნებოდა სამშობლოდან და შორეულ მხარეში იკარგებოდა. განსაკუთრებულად გახმაურებული იყო გელათის მონასტრის წინამძღვრის ნიკოლოზ ნამორაძის, ბერ-მონაზვნების – დოდოსა და ილარიონის (50,144), საზოგადო მოღვაწისა და მწერლის კონდრატე თათარაშვილის (45,115-116), ახალქალაქელი მღვდლების შატბერაშვილისა და მაღრაძის, სოფელ იფარის მღვდლის სუპატაშვილის, სოხუმის ეპარქიის მღვდლის ტროფიმე ჯოხთაბერიძის (50,146) და სხვათა საქმეები.

ახლადგანწესებული მღვდელმთავრის რეაქციული ბუნება და დანიშნულება მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობისათვის ადრევე ცნობილი იყო, რის გამოც, თბილისში მის დანიშვნას ქართველი სასულიერო ფენა განსაკუთრებული პროტესტით შეხვდა. 1908 წელს ეგზარქოსი ნიკონი თავისსავე რეზიდენციაში მოჰკლეს. ნიკონის დანიშვნის გამო, და ბოლოს, ამით გამოწვეული ქართველი სამღვდელოების პროტესტი, შემდგომ მისი მკვლელობა, თვითმპყრობელობამ ქართველ და რუს ერებს შორის ეროვნული შუღლის გასაღვივებლად და საქართველოში გააქტიურებული პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოიყენა. ცარიზმი, ეგზარქოსის მკვლელობაში ბრალს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთ სდებდა, რომელ საქმეშიც მათ მხარს პოლიტიკური პარტიები უჭერდნენ. ამით, იგი აღნიშნავდა მათ მჭიდრო თანამშრომლობას, საიდანაც ასკვნიდა, რომ ავტოკეფალიის მოთხოვნა ავტონომიის წინამორბედი იყო.

თვითმპყრობელობის ვარაუდით, ეგზარქოსის მკვლელობაში ჩარეული უნდა ყოფილიყო სოციალ-ფედერალისტთა პარტია, ამ გადაწყვეტილებას ცარიზმი შემდეგი მოსაზრებით ასაბუთებდა: ჯერ ერთი, ყველა დანარჩენი მოქმედი პარტია არ ინტერესდებოდა საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებით და ეწინააღმდეგებოდა მის ავტონომიას და თავისთავად ეკლესიის ავტოკეფალიასაც, რაც ნათლად ჩანდა ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდანაც (262,3238,8). ხელისუფლებას ეკლესიის დამოუკიდებლობის აქტიურ მხარდამჭერად სოციალ-ფედერალისტური პარტია მიაჩნდა. ყოველივეს სიმცდარეზე, ჩვენ უკვე ზევით აღვნიშნეთ, რადგან საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია ერთხმად ითხოვდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას; უსამართლოდ მიაჩნდა თვითმპყრობელობის პოლიტიკა მის მიმართ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესიის შემდგომ ბედზე — დამოუკიდებელ საქართველოში, ყველა პარტიას თავისი მოსაზრება გააჩნდა.

სასულიერო უწყებამ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა რუსი ეროვნების მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ აქტად გამოაცხადა. რეაქციონერი ბერი ვოსტორგოვი თავისი ქადაგებებით მო-

უწოდებდა რუს ხალხს კავკასიაში თავისი ინტერესების დაცვისაკენ (272,24119,4). შავრაზმული „პატრიოტული საზოგადოება" შეეცადა ნიკონის მკვლელობა თავისი შავბნელი საქმისათვის გამოეყენებინა. მისი ინიციატივით, რუსმა სამღვდელოებამ ახალ ეგზარქოსს „თხოვნა" წაუყენა, რომელსაც 762 კაცი აწერდა ხელს. მასში აღნიშნული იყო, რომ რუსული სამრევლოები უარს აცხადებდნენ ქართველი სასულიერო პირების სამსახურზე და დევნიდნენ მათ თავიანთი სამრევლოებიდან. ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობდა ორი ერის ურთიერთდაპირისპირებას (254,10).

საქართველოს ეგზარქოსის მკვლელობის ფაქტმა უკიდურესად აღელვა ქართველი სამღვდელოება, რადგან მათ კარგად უწყოდათ, რომ ეს ტერორისტული აქტი თვით საქართველოს ეკლესიის მტრების მიერ იყო მოწყობილი და თვითმპყრობელობა ამ მოვლენას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. როდესაც უკვე გადასახლებაში მყოფმა კირიონ საძაგლიშვილმა შეიტყო ნიკონის მკვლელობის ამბავი სიმწრით აღნიშნა: „...მოკლეს ეგზარქოსი და ამით მოკლეს ავტოკეფალიის საკითხიც..." (56,28).

ქართველი სამღვდელოების აზრით, ნიკონის მკვლელობა თვით რუსეთის მთავრობისა და სინოდის მიერ იყო მოწყობილი, რაც მოამწიფა სასულიერო ფენასა და ხელისუფლებას შორის ბოლო დროს არსებულმა დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ (264,1). ყოველივეს ერთოდა ეგზარქოსის სიცოცხლეში საქართველოს ეკლესიის ხაზინაში მომხდარი დიდი თანხის გაფლანგვის ფაქტიც, რომელიც ამხილა სინოდალური კანტორის რევიზორმა იაცკევიჩმა. ქართველ საზოგადოებრიობას მიაჩნდა, რომ, რადგან ეგზარქოსმა იცოდა დამნაშავეთა ვინაობა, დანაშაულის დაფარვის მიზნით, იგი მოკლულ იქნა. საამისო დამადასტურებელი საბუთი ქართველობას ხელთ ჰქონდა. მათ უწყოდათ, რომ ეგზარქოსს გაფლანგულ თანხაზე წინასწარ საუბარიც კი ჰქონია ქართველ ისტორიკოს ა.ა. ცაგარელთან (56,24-25).

ქართველი საზოგადოების განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ბესარაბიის დეპუტატის პურიშკევიჩის სიტყვამ სახელმწიფო სათათბიროზე 1908 წლის 10 დეკემბერს, სადაც მან ნიკონის მკვლელობაში პირდაპირ დაადანაშაულა ქართველი სამღვდელოება და

მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი კავკასიაში გატარებული უნიათო პოლიტიკის გამო. პურიშკევიჩის აღნიშვნით, ეგზარქოსის მკვლელობამ დაასაბუთა ადგილობრივი ხელისუფლების დეზორგანიზაცია და მისი სისუსტე რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში (176,3).

დეპუტატ პურიშკევიჩის განცხადებას მტკიცე პროტესტი გამოუცხადა ქართველმა სამღვდელოებამ. 1908 წლის 19 დეკემბერს (82,№ 41,3) მოიწვიეს სრულიად საქართველოს სამღვდელოების კრება, რომელმაც პურიშკევიჩის წინააღმდეგ აღძრა საჩივარი და ეს საქმე მღვდელ იოსებ ჩიჯავაძეს მიანდო (82,№ 43,3).

ახალმა რევოლუციურმა აღმავლობამ და მთელს კავკასიაში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა ეგზარქოსების ფიზიკურ არსებობას. ისინი სისტემატიურად იღებდნენ ანონიმურ წერილებს, სადაც მათ სამშობლოში დაბრუნებისაკენ მოუწოდებდნენ და ფიზიკური მოსპობით ემუქრებოდნენ (265,6983,5-12). მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებისათვის, თბილისის გუბერნატორები სათანადო ზომებს იღებდნენ და ეგზარქოსთა დაცვისათვის ქალაქის პოლიციის მუშაკთა ჯგუფებს ქმნიდნენ.

რევოლუციური აღმავლობის პერიოდში, საეგზარქოსომ კიდევ უფრო გააქტიურა მუშაობა და ამ საქმეში სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოები ჩართო. საეგზარქოსოს ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები აშკარად მიმართული იყო საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. საეგზარქოსოს განსაკუთრებული მკაცრი დამოკიდებულება შეინიშნება ქართველი სამღვდელოების მეკრებების მიმართებით, სადაც ბრძოლების ახალი ხერხები და მეთოდები მუშავდებოდა. სასულიერო ხელისუფლების განკარგულებით, რკინიგზის სადგურების უნტერ-ოფიცრების პირადად დავალებული ამოცანები პირნათლად სრულდებოდა. მათ ევალებოდათ რკინიგზის სადგურებში სასულიერო პირთა გადაადგილების დაფიქსირება და მის შესახებ საეგზარქოსოს ხელისუფლებისათვის მცნობა, რომლის შედეგად, ეს უკანასკნელი სათანადო ზომებს იღებდა (262,3238,45).

სასულიერო ხელისუფლებამ გაამკაცრა რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის მეთოდები. 1912 წელს

სინოდმა გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც დამნაშავედ იც-
ნობოდა ყველა ის, ვინც შეურაცხყოფდა ეკლესიას, წმინდანთა ხატებ-
სა და საეკლესიო ინვენტარს. ისინი სამართლდებოდნენ კანონის ძა-
ლით და იგზავნებოდნენ გადასახლებაში ხანგრძლივი დროით
(272,59003,2).

საეგზარქოსოს ხელისუფლებამ განსაკუთრებული ბრძოლა ეკლე-
სია-მონასტრების ძარცვას გამოუცხადა. რევოლუციის შემდგომ პერი-
ოდში, მოსახლეობის საეგზარქოსოს აპარატისადმი დამოკიდებულე-
ბამ უკიდურესად დაპირისპირებული სახე მიიღო და მასში სარწმუ-
ნოებრივი დონის დაცემა გამოიწვია, რამაც მკაფიო გამოვლინება
სწორედ საეკლესიო ქონების დატაცებაში ჰპოვა. 1908 წლის 3 თებერ-
ვალს მოხდა თბილისის ანჩისხატის ეკლესიის გაქურდვის ერთ-ერთი
დიდი შემთხვევა, რომელიც სასულიერო სემინარიის სტუდენტებმა ჩა-
იდინეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წაქეზებით (272,22687,12).
შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, 1912 წლის 31 ივლისს სინოდმა
თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საეგზარქოსოს ტე-
რიტორიაზე ეკლესია-მონასტრების დაყაჩაღების წინააღმდეგ გადაუ-
დებელი ზომების მიღების შესახებ (273,54585,1). თავის მხრივ საეგზარ-
ქოსომ მოუწოდა სამღვდელოებას აქტიური ღონისძიებების გატარე-
ბისაკენ ეკლესია-მონასტრების დასაცავად (281,20,41).

რევოლუციის დამარცხების შემდეგ, საეგზარქოსოში გააქტიურდა
შავრაზმული საქმიანობა. ამ მხრივ თავი გამოიჩინა „თბილისის საე-
პარქიო სასულიერო ძმობამ". 1908 წელს „ძმობას" არსებობის 10
წლისთავი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით მისმა მესვეუ-
რებმა ადრესით მიმართეს იმპერატორ ნიკოლოზ II-ს. „ძმობის" წევ-
რები არწმუნებდნენ მეფეს იმაში, რომ მედგრად დაიცავდნენ კავკა-
სიაში რუსეთის ინტერესებს. „ძმობის" საქმიანობის პრაქტიკული ღო-
ნისძიებები გამოიხატებოდა მრევლში თვითმპყრობელობის სასარგებ-
ლო აგიტაცია-პროპაგანდისა და რელიგიური შინაარსის ფურცლების
გავრცელებაში. მისი უშუალო ინიციატორობით მარტო 1909 წელს და-
იბეჭდა და გავრცელდა 63 500 ცალი ფურცელი (254,71). „ძმობის" მე-
ცადინეობით თბილისში გაიხსნა რამდენიმე სამხატვრო სახელოსნო,
რომლებშიც ამზადებდნენ ხატებსა და რელიგიურ თემებზე სურათებს,
რომლებიც მათსავე მაღაზია-დუქნებში იყიდებოდა (272,27026,3-6).

„ძმობა" დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობაში თვითმპყრობელური იდეების განმტკიცებას. მათი ინიციატივით შეიქმნა „კურსები მოზრდილთათვის". 1907-1910 წლებში, „ძმობის" სალექციო დარბაზში სისტემატიურად იმართებოდა მოსახლეობისათვის კულტურული ღონისძიებები: ნაძვის ხე საეკლესიო-სამრევლო სკოლების აღსაზრდელთათვის, ეწყობოდა კინო-თეატრების ჩვენება, ტარდებოდა ლიტერატურული საღამოები, ასწავლიდნენ სასულიერო სიმღერებს, ეწყობოდა ახალგაზრდობისა და მოსახლეობის შეხვედრა საუბრები უმაღლეს სასულიერო პირებთან და სხვ.

მიუხედავად „ძმობის" დიდი მეცადინეობისა, მისმა მუშაობამაც ვერ გაამართლა რუსეთის ხელისუფლების იმედები. თუ რევოლუციის პერიოდში, „ძმობამ" აქტიური მუშაობით ერთგვარად გაზარდა თავისი რიგები, სტოლიპინის რეაქციის წლებში, მოსახლეობამ პირიქით, დაკარგა ინტერესი მისი საქმიანობისადმი, რის შედეგადაც, მათი მსმენელთა რიგები დღითი-დღე მცირდებოდა (254,54).

რელიგიური საზოგადოებებისა და კავშირების ასეთი მიმართულების საქმიანობით, ხელისუფლება ცდილობდა გაეფანტა ხალხის ყურადღება ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობებისაგან.

როგორც უკვე ითქვა, XX საუკუნის დასაწყისიდან კაპიტალიზმი თავისი განვითარების მაღალ საფეხურს — იმპერიალიზმს აღწევს. მსოფლიო ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა გადანაწილებული, მაგრამ იმპერიალიზმის განვითარების სტადიაში მოგეიანებით მოსული სახელმწიფოები სამყაროს ხელახალი გადანაწილებისათვის დიდ ინტერესს იჩენდნენ. პარალელურად, ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარე რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების აღმავლობის შესაჩერებლად ყველანაირი მცდელობა ტარდებოდა მსოფლიო ომის დაწყებისათვის.

1914 წლის 1 აგვისტოს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის დაიწყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი. გერმანია ცდილობდა მსოფლიოს ახალ, ძირეულ გადანაწილებას თავის სასარგებლოდ და ინგლისის გავლენის აღკვეთას თავის ძველ გასაღების ბაზრებზე. სწორედ ინგლის-გერმანიის იმპერიალისტური დაპირისპირება გახდა მსოფლიო ომის ძირითადი მიზეზი. ინგლისის ინტერესები

ომში მხარი დაუჭირა საფრანგეთმა და რუსეთმა. საფრანგეთის მიზანი ის იყო, რომ მას დაებრუნებინა ელზასა და ლოტარინგიის ტერიტორიები, ხოლო რუსეთი, რომლის ეკონომიკაც საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალიზმზე იყო დამოკიდებული, ამ უკანასკნელთა მოკავშირედ გამოდიოდა. პარალელურად, რუსეთის იმპერიაც ილტვოდა მსოფლიოს ახალი ბაზრებისაკენ, კერძოდ, ცდილობდა შავი ზღვის სრუტეებისა და სომხეთის იმ ნაწილის ხელში გდებას, რომელიც თურქეთის შემადგენლობაში იყო. თავის მხრივ, გერმანიის მხარდამჭერთა რიგებში აღმოჩნდნენ ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი და ბულგარეთი. თურქეთის ომში ჩაბმამ გახსნა კავკასიის ფრონტი, რის შედეგადაც ამიერკავკასია და მათ შორის საქართველოც, ომისწინა ზოლში მოექცა (53,110-112).

პირველი მსოფლიო ომისათვის მზადება თვითმპყრობელურმა რუსეთმა გაცილებით ადრე დაიწყო და ამ საქმეში განსაკუთრებული ფუნქცია ეკლესიას დააკისრა.

ომის წინა წლებში, იმპერიის სასულიერო და საეგზარქოსოს ხელისუფალთა მცდელობა კვლავ მიმართული იყო თვითმპყრობელური რეჟიმის ავტორიტეტის განმტკიცებისაკენ, რომელსაც რუსული საეკლესიო პოლიტიკა მტკიცედ უნდა დაეფუძნებინა კავკასიაში და თავისი გავლენა და ადგილი მიეპოვებინა მის მოსახლეობაში. ამ მიზნით, რუსული მართლმადიდებლური ეკლესია საეგზარქოსოს მეშვეობით მოხერხებულად იყენებდა იმპერიის ყველა ღირსშესანიშნავ თარიღს და მრევლში მის საზეიმო აღნიშვნას ითხოვდა. ამისი შესანიშნავი დასტურია, როგორც უკვე აღინიშნა, რომანოვების დინასტიის 300 წლისთავისა და 1912 წლის 20 ოქტომბრის კანონის „დროებით ვალდებულთა და დამოკიდებულ გლეხთა, აზნაურთა და მიწათმფლობელთა შესახებ" საზეიმო ცერემონიალით აღნიშვნა (272,25418,5).

საეგზარქოსოს ხელისუფლებას, თვითმპყრობელობის მოხელეთა მსგავსად, უკიდურესად აღელვებდა ქვეყანაში დემოკრატიული მოძრაობით შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და მისი ჩახშობის გზას ეძებდა. ამით იყო გამოწვეული, რომ ეკლესია აქტიურად ებმება ცარიზმის მიერ ომის მომზადების საქმიანობაში.

მთავრობის მითითებით ეკლესიამ ომისათვის მზადება 1910 წლიდან დაიწყო, როდესაც უწმინდესმა სინოდმა სამხედრო ნაწილებს, საზ-

ღვაო ფლოტისა და ჰოსპიტლებში მუშაობისათვის სასულიერო ფენის მობილიზაციის გეგმა შეიმუშავა (51,76). სინოდის ამ გადაწყვეტილებას აქტიურად გამოეხმაურა საქართველოს საეგზარქოსოს აპარატიც. ეგზარქოს ინოკენტის (1909-1913) მითითებით და საქართველოს ეპარქიის რუსული მონასტრების კეთილდამწყსველ არქიმანდრიტ ანტონის მეცადინეობით 1911 წელს (281,44,38) ქალთა მონასტრებში: ბოდბეს, სამთავროს და მამკოდის წინამძღვრებმა მოაწყვეს სამონასტრო კურსები მონაზვნებისა და მორჩილი დების მოსამზადებლად, რომელთაც ომიანობისა და უბედურების შემთხვევების დროს დახმარება უნდა აღმოეჩინათ დაჭრილ-ავადმყოფთათვის.

1912 წელს, თბილისში გაიხსნა წმინდა ნადეჟდას სახელობის „საძმო", რომელსაც ევალებოდა სარეზერვო მედდების საინაღო კადრის მომზადება ომიანობის შემთხვევისათვის. აღნიშნული კურსების მსმენელები ძირითადად რუსი ეროვნების სასულიერო ფენის წარმომადგენლები იყვნენ. „საძმოში" მომზადებას გადიოდნენ: მოქეის მოძინების ქალთა მონასტრიდან 4 რუსი მონაზონი, ბოდბეს წმინდა ნინოს სახელობის მონასტრიდან 6 რუსი მონაზონი, თეკლათის მონასტრიდან ერთი ქართველი მონაზონი და სხვ. სასულიერო ხელისუფლებამ მონაზონთა უზრუნველსაყოფად საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორიდან გამოყო 421 მანეთი (273,53507,23).

ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ეკლესიამ ფართო და მრავალმხრივი მუშაობა გაშალა. უპირველეს ყოვლისა, ის ცდილობდა ომის დაწყების ნამდვილი მიზეზი და რუსეთის ომში მონაწილეობა თვითმპყრობელობის პოზიციებიდან აეხსნა. ასეთი სახის საქმიანობით, ხალხის ფართო მასებში მოტყუების დიდი მუშაობა გაჩაღდა და მათი სულიერ ზნეობრივი დამონებით ეკლესიამ თვითმპყრობელობას უდიდესი სამსახური გაუწია (115,№7,32).

რუსეთის ომში ჩაბმის მთავარ მიზეზად ეკლესია ასახელებდა თვითმპყრობელობის ზრუნვას სლავიანურ ქვეყნებსა და მათი მოსახლეობის მიმართ. სამღვდელოება ცდილობდა დაერწმუნებინა მოსახლეობა, რომ რუსეთს ომი მოახვიეს უცხოეთის ქვეყნებმა და იგი მხოლოდ სამშობლოს დაცვის მიზნით მიმდინარეობდა. სინოდმა ომი დაახასიათა, როგორც ურწმუნოებთან „ქრისტეს წმინდა საფლავის" გადარჩენისათვის წარმოებულ ბრძოლად (62,305). იგი იმპერატორთან ერთად

იუწყებოდა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების უძველესმა მდევნელმა — თურქეთმა, გერმანია-ავსტრიის წაქეზებით ომი გამოუცხადა „მართლმადიდებლურ რუსეთს". ამიტომ, რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აკურთხა იმპერიალისტური ომი, რომელიც „სამშობლოს" დაცვის ღვთიურ საქმედ მიაჩნდა. მან, ომის მოწინააღმდეგენი „სამშობლოს" მოღალატეებად გამოაცხადა და ომის „სიწმინდის" დაცვა ითავა (39,191-192); ამით ეკლესია ყოველმხრივ ფარავდა ომის ნამდვილ ზრახვებს და ამოცანებს.

ომის დაწყებისთანავე, სინოდმა გასცა განკარგულება სასულიერო ფენის მობილიზაციისათვის. სინოდის 1914 წლის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1). საეკლესიო გამოცემებში დაბეჭდილიყო მეფის მანიფესტი და დარიგებულიყო ის იმპერიის ყველა ეკლესია-მონასტერში;

2). ეკლესია-მონასტრებში ჩატარებულიყო ყოველდღიური ლოცვები საომარი მოქმედებისათვის წარმატებიანი მიმდინარეობისათვის;

3). ეკლესია-მონასტრებში სისტემატიურად მოწყობილიყო რუსეთის ომში გამარჯვებულისათვის საყოველთაო წირვა-ლოცვები და სამღვდელოებას ეტარებინა მილიტარისტული შინაარსის საუბარ-ქადაგებები;

4). ომის საჭიროებისათვის წარმოებულიყო შემოწირულობათა შეგროვება ეკლესია-მონასტრებში;

5). ყველა ეკლესიაში დადგმულიყო შემოწირულობის ყუთი;

6). ეკლესია-მონასტრებში ეწარმოებინათ საჭირო მატერიალური სახსრები;

7). სამღვდელოებას მოსახლეობაში გაეწია ომის საჭიროების აგიტაცია-პროპაგანდა და ა.შ.

აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდა 1914 წელს „საეკლესიო უწყებაში" (65,13-14).

სინოდის გადაწყვეტილებას ენთუზიაზმით გამოეხმაურა საქართველოს საეგზარქოსო. ეგზარქოსმა პიტირიმმა (1914-1914) ომთან დაკავშირებით სიტყვით მიმართა სამღვდელოებასა და მრევლს: „...რუსეთის მიწა-წყლის პატრონი, ღვთის რჩეული და ჩვენი მამა — ხელმწიფე თავის ქვეშევრდომებთან ერთად იბრძვის სამართლიანი საქმისათვის... ჩვენი მებრძოლები ერთიანი რიგებით მიდიან მტრის

წინააღმდეგ... გავიხსენოთ, საყვარელო ძმებო, რომ ისინი საკუთარ სიცოცხლის ფასად ცდილობენ ჩვენთვის მშვიდობის მოპოვებას... დაე, განსაცდელისა და გამოცდის დროს, რომელიც მიუწვდომელმა ღვთის განგებამ მოგვივლინა, თითოეული ჩვენთაგანი გამოეხმაუროს სამშობლოს გასაჭირს... დაე, ქართველებმა დაამტკიცონ, რომ ისინი ღირსნი არიან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და მოციქულთა თანასწორის ნინოსი" (272,26436,5). საეგზარქოსოში შემოღებულ იქნა წირვა ომში იმპერატორისა და ჯარის გამარჯვებისათვის (272,26425,2).

ომის დაწყებისთანავე, საქართველოში ცხოვრება უკიდურესად დამძიმდა. გაიზარდა ფასები ყოველდღიური მოთხოვნილების საგნებზე; სპეკულაციამ, შიმშილით გამოწვეულმა ავადმყოფობებმა და სიკვდილიანობამ გაამწვავა კლასობრივი დაპირისპირება.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური პროპაგანდის საფუძველზე, 1914 წლიდან მძლავრი გამოსვლები აღინიშნება თბილისის სარკინიგზო ხელოსანთა შორის. მუშათა შორის გავრცელებულ პროკლამაციებში ომი ფასდებოდა, როგორც იმპერიალისტური და მატარებელი ყოველგვარი ბოროტების, და იგი, მთელი თავისი შინაარსით მტაცებლურ ხასიათს ატარებდა. 1915 წელს, შეინიშნება თბილისისა და ტყიბულის მუშათა ანტისაომარი ოპერაციების შეწყვეტისათვის წარმოებული გამოსვლები (78,238). ასეთი მოთხოვნით, მარტო 1916 წელს მთელს ამიერკავკასიაში მოეწყო 68 გამოსვლა, უმეტესად თბილისსა და ბაქოში (79,101).

ომის დაწყების წლებში, მუშათა მოძრაობის აღმავლობას თან ერთვოდა გლეხთა რევოლუციური გამოსვლებიც. ჯერ ომამდე, საქართველოში მიმდინარე გლეხთა გამოსვლების ობიექტური მიზეზები იყო მათი ბრძოლა ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ. სრულად არ იყო მოსპობილი ბატონ-ყმობის გადმონაშთები, ხოლო ახალმა ომმა კი გლეხობას ახალი სიმძიმე, გადასახადები და სილატაკე მოუტანა.

ომის დაწყების პირველ ხანებში, გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს სტიქიური და დაქსაქსული ხასიათი ჰქონდა. მას აკლდა მასობრიობა, სიმტკიცე. ამის მიზეზი პირველ ყოვლისა, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ომის პირველსავე დღეებში არმიაში გაწვეულ იქნა გლეხური მოსახლეობის ყველაზე შეგნებული შემადგენლობა. 1905-1907 წლების რევოლუციაში ნაწრთობი გლეხობის დიდი ნაწილი ფრონტზე და-

იღუპა, სოფელი თითქმის გაუკაცრიელდა, უმეტესად მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ამარა დარჩა (36,387). მოგვიანებით, როდესაც ომგადახდილი, დასახიჩრებულ-დაავადებული გლეხობა სოფელს დაუბრუნდა და გაპარტახებული კარ-მიდამო დახვდა, სოციალ-დემოკრატთა აგიტაციაზე დაყრდნობით პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაება და თანასოფლელებს ომისა და ცარიზმის წინააღმდეგ გამძაფრებული ბრძოლისაკენ მოუწოდა (63,474).

გლეხთა მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა ომისათვის საჭირო ინვენტარის, პროდუქტის, საქონლის, ტანისამოსისა და სხვ. გამოღებამ, რის საფუძველზეც, გლეხობა ჯარში გაწვევის წინააღმდეგ გამოდის და აწყობს საპროტესტო აქციებს გორში, ოზურგეთში, ბორჩალოში, სიღნაღში, ზუგდიდში და სხვა მაზრებში (53,559-565).

ცარიზმის მოუმზადებლობა ომისათვის და თვით ომის უსამართლო, იმპერიალისტური ხასიათი უარყოფითად მოქმედებდა ჯარის მორალურ განწყობაზე. ჯარისკაცებს აკლდათ შეიარაღება, ტანსაცმელი, სურსათი. ფრონტებზე ზედიზედ მარცხის გამო, ისინი უკან იხევდნენ. ომის გაჭიანურება და ფრონტის მომარაგების გაუარესებამ, ბოლშევიკური პარტიის პროპაგანდამ, მეფის არმიის მორალური სიმტკიცე საფუძველშივე შეარყია. ცალკეულ სამხედრო ნაწილებში დეზერტირობამ, მღელვარებამ, საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღებაზე კოლექტიურმა პროტესტმა, მოწინააღმდეგე ნაწილებთან დაძმობილების შემთხვევებმა მასობრივი ხასიათი მიიღო.

ჯარისკაცთა უმძიმესი მდგომარეობა, ცუდი კვება, ანტისანიტარია, აუტანელი ყოფითი პირობები, მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებდა და ხშირ შემთხვევაში, მის სიცოცხლეს საფრთხესაც უქმნიდა. ფრონტის რიგ ადგილებში მძვინვარებდა მძიმე ეპიდემიური დაავადებები. მარტო 1915 წლის 1 დეკემბრიდან 1916 წლის 1 ოქტომბრამდე, კავკასიის ფრონტის სამხედრო ნაწილებში დაფიქსირებულია ჯარისკაცებში 140 445 კაცის ავადმყოფობის შემთხვევა, ხოლო ოფიცრებსა და სხვა ჩინოვნიკებს შორის 4 627 შემთხვევა (70,64).

სამხედროთა მძიმე მდგომარეობამ დააჩქარა მათში რევოლუციური სიტუაციის მომწიფება. სულ უფრო ხშირი ხდებოდა მთელი ნაწილების გამოთიშვა ბრძოლის ხაზიდან. სანგრებში გაჩნდა მოწოდებები — „მშვიდობა გვსურს" (63,474). ომის საწინააღმდეგო პროტესტის

სტიქიური გამოვლინება იყო გაწამებული სამხედროების დეზერტირობის შემთხვევები. მარტო 1916 წლის 1 ნოემბრიდან 1917 წლის 1 იანვრამდე ამიერკავკასიის ჯარებში 3441 დეზერტირობის შემთხვევა იყო.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს, ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშიდან ცნობილი ხდება, რომ მარტო ოზურგეთის მაზრაში 1916 წლის 27 სექტემბერს 2231 დეზერტირი ირიცხებოდა; სულ კი დასავლეთ საქართველოს 223-ე სარეზერვო ფეხოსანთა პოლკიდან, რომლის შემადგენლობაში 398 ჯარისკაცი იყო, 222 დეზერტირობდა (225,260-262).

სამხედროთა უკიდურესად მძიმე მდგომარეობას კარგად იყენებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია და სისტემატიური პროპაგანდისტული მუშაობით ამხედრებდა ჯარისკაცებს თავიანთი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და ომის სასწრაფო შეწყვეტას ითხოვდნენ (63,260-262). სამხედროებში გავრცელებულმა ათასობით პროკლამაციაბროშურებმა მოამწიფა ჯარისკაცთა მასიური გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგალითად, 1914 წელს აჯანყდა ბაქოს გარნიზონი, რომელთაც თავიანთი ხელმძღვანელი მოკლეს და ბრძოლის ხაზი თვითნებურად მიატოვეს; ამავე წელს აჯანყდა ჯულფას სამხედრო ნაწილი. ცნობილია 1914-1915 წლების ყარსის, დონის, ყუბანის, თურქესტანის ბატალიონების ერთობლივი გამოსვლები და სხვა მრავალი (53,516-517,252-253).

საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენაში მიმდინარე მზარდმა ანტისაომარმა, ანტისამთავრობო გამოსვლებმა კიდევ უფრო დაამძიმა ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება. თვითმპყრობელობა ხსნის გზას ეძებდა და თავისი ავტორიტეტის განმტკიცებისათვის ეკლესიას კიდევ უფრო დიდ ნდობას უცხადებდა და აქტიური საქმიანობისაკენ მოუწოდებდა.

თავის მხრივ, პირველი მსოფლიო ომით, სასულიერო ფენა ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის შეჩერების შესაძლებლობას ხედავდა. საამისოდ, სამღვდელოება ყოველი მეთოდით აქტიურებდა ბრძოლას იმპერიალისტური ომის გასაღვივებლად და ხსნის გზას რუსეთის ამ ომში გამარჯვებაში ხედავდა (180,10;55,152).

ეკლესიის ომისადმი მხარდაჭერა, უპირველეს ყოვლისა სამღვდე-

ლოების ქალაქებში იგრძნობოდა. საეკლესიო პერიოდულ გამოცემებში და ათასობით ნაბეჭდ ფურცლებზე ვრცელდებოდა ფანტასტიკური არაკები ფრონტზე ქრისტეს, ღვთისმშობლის, ნიკოლოზ საკვირველმოქმედის, წმინდა იოანესა და სხვა წმინდანთა გამოჩენის შესახებ (65,22). 1914 წლის სექტემბერში, საქართველოს საეგზარქოსომ გამოაქვეყნა „ვედრებანი ომში რუსი მეომრის გამარჯვებისათვის" (272,264253). ის დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე და დაურიგდა საეგზარქოსოს ყველა ეკლესიას მოსახლეობისათვის გასაცნობად. სამღვდელოება ხალხს მოუწოდებდა მიელოთ რუსეთის სასარგებლოდ ომის დასრულებაში მონაწილეობა, რომ ქართველებს დაემტკიცებინათ ხელისუფლებისადმი ერთგულება (50,159).

ომის პერიოდში, რელიგიური ორგანიზაციების განკარგულებაში იყო 200-მდე ჟურნალ-გაზეთი. ამასთან, არსებობდა მთელი რიგი გამომცემლობა, რომლებიც სცემდნენ არაპერიოდულ სასულიერო ლიტერატურას. მათი უდიდესი ნაწილი, თვითმპყრობელობის უკიდურესი რეაქციული ინტერესების დამცველი და ქომაგი იყო (68,17-19). მთელი ომის მანძილზე, ეკლესია შეუწყვეტლივ ბეჭდავდა თავის მრავალრიცხოვან გამომცემლობებში ათობით მილიონ ბროშურას, დაგზავნებსა და ფურცლებს. მოქმედი სამხედრო შტაბის დავალებით ზოგიერთი გამოცემა დაიბეჭდა 1 650 000 ეგზემპლარი. საეპარქიო კომიტეტებთან შეიქმნა სპეციალური მისიები, რომელთაც სამხედრო ნაწილები და ჰოსპიტლები უნდა მოემარაგებინათ ასეთი სახით ლიტერატურით, ხატებით, ჯვრებით და სხვ. მარტო 1914-1915 წლებში კომიტეტებთან არსებულმა მისიებმა ჰოსპიტლებში 100, ხოლო ლაზარეთში 1 800 სტუმრობა მოაწყვეს, სადაც დაარსეს ბიბლიოთეკები (65,99). ასეთი სახის ღონისძიებების ჩასატარებლად 1915 წლის 15 იანვარს საქართველოს საეგზარქოსოში შესდგა საგანგებო კრება ეგზარქოს პიტირიმის თავმჯდომარეობით, სადაც გადაწყდა, რომ შემდგარიყო სპეციალური კომისია, რომელიც მოამარაგებდა დაჭრილ მებრძოლებს ჰოსპიტალ-ლაზარეთებში და ბრძოლის ხაზზე სათანადო რელიგიური შინაარსის ლიტერატურითა და პერიოდული გამოცემებით (209,1915,№ 86,3).

მოსახლეობაში, საბრძოლო მოწოდებებთან ერთად, საეგზარქოსოს ხელისუფლება აქტიურ ღონისძიებებს ატარებდა ხალხის ომში გაწ-

ვევისათვის. ეგზარქოსმა 1916 წლის 10 თებერვალს, სინოდის ობერპროკურორ საბლერისაგან მიიღო საგანგებო დავალება ომში საყოველთაო გაწვევისათვის მიეღოთ სათანადო ზომები (273,56924,6).

საეგზარქოსოს ომისადმი მხარდაჭერა, ადგილობრივი მოსახლეობის უკიდურეს აღშფოთებას იწვევდა, განსაკუთრებულ უკმაყოფილებას სამხედრო ნაწილებში გამოხატავდნენ. მებრძოლები მღვდელს „სისხლის მწოველებად" მოიხსენიებდნენ (75,25,79). ისინი ეკლესიის წინააღმდეგ უკვე აშკარად იმაღლებდნენ ხმას: „...ამჟამად ყოველი გლეხი მღვდელში ფარისეველს ხედავს. ჯარისკაცი, რომელმაც ერთი, ან ორი წელი იმსახურა, ეკლესიას არ მიაკითხავს. რადგან გლეხმა იცის, რომ მღვდელი იმავ დუდუკზე ცეკვავს, რომელზედაც ხელისუფლება უკრავს" (211.80).

ომის დაწყებისთანავე იმპერიაში მნიშვნელოვნად გააქტიურდა სამხედრო სამღვდელოების საქმიანობა. ომის დაწყებამდე ორი თვით ადრე შედგა სამხედრო სამღვდელოების კრება. მას ხელმძღვანელობდა რუსეთის სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების პროტოპრესვიტერი გ. შაველსკი. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 12 მსხვილი სამხედრო ოლქის სამღვდელოებამ. ყრილობაზე შემუშავდა და დამტკიცდა სამხედრო ნაწილებში რელიგიური მუშაობის მეთოდები, სამღვდელოთა საქმიანობის ინსტრუქცია ომიანობისათვის და ა.შ. ყრილობის დელეგატებმა იმპერატორს აღუთქვეს ერთგული სამსახური თვითმპყრობელობის ინტერესების დაცვისათვის (55,154-156).

სამხედრო სამღვდელოების ძირითადი ამოცანა იყო სამხედრო ნაწილებში „საბრძოლო სულის ამაღლება". მათ სამხედროთა შორის უნდა ჩაეტარებინათ ქადაგებანი ომის დროს მებრძოლთა მოვალეობის შესახებ, რათა მათ არ დაეშოგათ თავიანთი უნარი და ენერგია ქვეყნისა და მეფის სამსახურში. ამავდროულად, მიმდინარეობდა აგიტაცია სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ. სამხედრო სამღვდელოების დასახმარებლად შეიქმნა სპეციალური „სასულიერო ნაწილები", რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ ქალაქისა და სოფლის სამღვდელოება. ეს ნაწილები ხვდებოდნენ რკინიგზის სადგურებში სამხედრო მატარებლებს, ურიგებდნენ მებრძოლებს ჯვრებს, ხატებს, სასულიერო ლიტერატურას, ლოცვანებს და ამხნევებდნენ მათ უმძიმეს ბრძოლებში მონაწილეობისათვის.

ყოველივედან გამომდინარე, ჯარში საგრძნობლად გაიზარდა სამხედრო მღვდლების რიცხვი, რომელიც დაახლოებით 600 000 კაცს ედრიდა. იმ ნაწილებში, სადაც არ იყო სამხედრო სასულიერო პირი, სათანადო სამუშაოს ეწეოდა მიმდებარე ეკლესიის მღვდელი. მათ ევალებოდათ თვალყურის დევნება ჯარისკაცთა, ოფიცერთა და არმიაში მომუშავე პირებზე, მათ დამოკიდებულებაზე სარწმუნოებისა და ხელისუფლებისადმი. მათ უნდა დაეცვათ სამხედრო მოსამსახურენი უცხო სახელმწიფოსა და განსხვავებული სარწმუნოების პირთა პროპაგანდისაგან (272,27060,2;273,58294,3), რომლის შესახებაც სინოდმა 1916 წლის 29 თებერვალს მიიღო დადგენილება (273,59403,1;272,27085,1). განსაკუთრებული სამუშაო ჰქონდათ დაკისრებული ტყვეთა რიგებში მომუშავე სამღვდელოებას. მათ მებრძოლებში უნდა გაეწიათ აგიტაცია დანაშაულებათა მინანიებისათვის (66,40). ისინი გონივრულად და სიფრთხილით უნდა მისდგომოდნენ დამნაშავეთ, აღემაღლებინათ მათში საბრძოლო განწყობა და კეთილსინდისიერი სამსახურისადმი მოვალეობის გრძნობა გაეღვიძათ (178,11). ასეთი პოლიტიკით, სასულიერო უწყება ცდილობდა მოსახლეობისა და სამხედროების რიგებში თავისი პატივისცემის მოპოვებას.

პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას, საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლების დღის წესრიგში მთელი სიმძაფრით დადგა სამხედრო სამღვდელოების საკითხი. მანამდე, საქართველოში თვითმპყრობელობა და მისი სასულიერო უწყება არ ამახვილებდა ყურადღებას აღნიშნულ ამოცანაზე, რომლის ნაკლებობამაც მწვავედ იჩინა თავი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში.

როგორც უკვე აღინიშნა, სამხედრო ნაწილებში გამოაშკარავდა თვითმპყრობელური რეჟიმისადმი მიმართული საწინააღმდეგო მღელვარებები, რომლებმაც განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი კავკასიის სამხედრო ნაწილებში. კავკასიის ფრონტის გენერალ-მაიორი ავერიანოვი კავკასიის საომარი ოლქის შტაბის უფროსს თხოვნით მომართავდა გამოეგზავნათ არმიაში სასულიერო პირები სამხედრო ნაწილებში მღელვარებების წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდის ჩატარებისათვის. სამღვდელოებას, ახალწვეულებში უნდა აღმოეფხვრა რევოლუციური სულისკვეთება და აემაღლებინა მათში საბრძოლო სული (273,58294,3).

სასულიერო წესის სამხედრო საქმიანობაში ჩართვის მიზნით, საეგზარქოსოს ხელისუფლება სასულიერო პირთ ყოველნაირ უზრუნველყოფას ჰპირდებოდა. კერძოდ, ომში გაწვეულ მღვდლებს ეკლესიისა და სამღვდელოების შემოსავლიდან ეძლეოდათ დახმარება (272,59405,1); მათი კუთვნილი მიწები უფასოდ მუშავდებოდა; ტყვედ ჩავარდნილ სასულიერო პირთა ოჯახებს ეძლეოდათ ჩარჩენილის კუთვნილი სრული ხელფასი (272,27066,2); ომში დაღუპული სამხედრო სამღვდელოების შვილები უფასოდ იღებდნენ სასულიერო განათლებას და სხვ. (272,59469,2).

მოსახლეობასა და სამხედრო ნაწილებში შრომისუნარიანობის ამაღლების მიზნით, ეკლესია აწარმოებდა ეკლესია-მონასტრების აღდგენით სამუშაოებს. თუ 1900 წელს, ამ საქმისათვის სახელმწიფო ხაზინიდან გაიცა 900 000 მანეთი, 1902-1903 წლებში, ამ თანხამ მიაღწია 450 000 მანეთით მეტს. 1908 წლისათვის, მთელს იმპერიაში აიგო 658 სამხედრო ეკლესია, ხოლო პირველ მსოფლიო ომის პერიოდში, მათმა რიცხვმა 1 000-ს მიაღწია (66,26).

თვითმპყრობელობის რიგი სხვა მოხელეთა მსგავსად, სამხედრო სამღვდელოება სარგებლობდა ცარიზმის ყოვლისმომცველი პრივილეგიებით. მთავრობა სისტემატიურად ზრდიდა მათ ხელფასებს, ურიგებდა ჯილდოებს და სხვ. (66,23-25). 1914-1917 წლებში, სამხედრო სამღვდელოებამ ხელისუფლებისაგან ჯილდოდ მიიღო 227 ოქროს ჯვარი წმინდა გიორგის სახელობის ბაფთით, წმინდა ნიკოლოზის სახელობის მე-3 ხარისხის 85 ორდენი ხმლით, წმინდა ვლადიმერის სახელობის მე-4 ხარისხის 203 ორდენი ხმლით, წმინდა ანას მე-2 ხარისხის 304 ორდენი, წმინდა ანას მე-3 ხარისხის ორდენი ხმლით 239 ცალი და სხვ. (65,33). მარტო 1915 წელს ათასზე მეტმა სასულიერო პირმა მიიღო მთავრობის ჯილდო ქვეყნისადმი ერთგული სამსახურისათვის (68,114).

ომის წარმატებაში ეკლესიას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა. ჯერ კიდევ 1912 წელს, სინოდმა შეიმუშავა ეკლესია-მონასტრებში დაცული ძვირფასეულობის ევაკუაციის გეგმა ფრონტისპირა რაიონებიდან, რომელიც შესაძლებელი იყო ძლიერი შეტევის დროს დაეტოვებინა რუსეთს (51,76). ასეთი რეგიონთა რიცხვში იყო საქართველოს საეგზარქოსოც.

ომის დაწყებისთანავე, მისი საჭიროებისათვის იმპერიაში აკრიბებოდა ძვირფასეულობა, ოქროსა და ვერცხლის ნივთები. სახელმწიფოს ბარდებოდა ეკლესია-მონასტრების ძვირფასი საეკლესიო ინვენტარიც (68,32). ეკლესიის მსახურნი ამ საქმეს დიდი ენთუზიაზმით ასრულებდნენ, რის გამოც მრავალი ნივთი, რომელთაც ისტორიული და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა იგზავნებოდა „ომის საჭიროების ფონდში". ისტორიული ნივთების განიავებამ ფართო ხასიათი მიიღო, რის გამოც, არქეოგრაფიულმა კომისიამ თხოვნით მიმართა იმპერატორს, რომ საგანგებო ბრძანებით შეეჩერებინა ძვირფასეულობის ჩაბარება (273,59403,2).

დროთა ვითარებაში, სახელმწიფოს სულ უფრო უძნელდებოდა ომი და მისგან გამოწვეული ზარალის ანაზღაურება. არმია უკიდურეს ნაკლებობას განიცდიდა პროდუქციით, სურსათ-სანოვაგითა და იარაღით. 1916 წლის 9 თებერვალს, იმპერიის მიწათმოქმედების მინისტრმა ნაუმოვმა უწმინდეს სინოდს შეატყობინა, რომ სამხედრო ნაწილებისათვის ბოლო წლებში დიდი რაოდენობით ხორცის წარმოებამ, გაზარდა საქონლის ხოცვა სახელმწიფოს ძირითად ფონდში. ყოველივე იწვევდა იმპერიის მეურნეობის გაჩანაგებას, განსაკუთრებით კი იმ რაიონებში, სადაც ხორცის დამზადებას მისდევდნენ. მიწათმოქმედების მინისტრი, სინოდის ხელმძღვანელობას სთხოვდა საეკლესიო ლონისძიებების გატარებას ჯარსა და მოსახლეობაში ხორცით მომარაგების მიმართებით. 1916 წლის 8 მარტს, სინოდის განკარგულებით გამოცხადდა საყოველთაო მარხვის დაცვა, რაც, როგორც ეკლესიურ ცხოვრებას, ისე სახელმწიფო საქმეს წაადგებოდა (273,54406,1).

ეკლესია ომის პერიოდში გამოდიოდა შემოწირულობების ინიციატორად, სისტემატიურად ითხოვდა მოსახლეობისაგან შემოწირულობათა გადიდებას. მარტო 1915 წელს იმპერიაში შეგროვდა 6,1 მილიონი მანეთი, ხოლო საეკლესიო დაწესებულებებიდან 300 000 მანეთი (188,№40,307). ეკლესიამ ამ საქმეში ჩააბა სასულიერო სასწავლებლების აღსაზრდელები. მათ ფულადი სახსრების გაღების გარდა, აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ ომის საჭიროებისათვის აუცილებელი ნივთების შეგროვებითა და პირადი შრომით. საამისო ბრძანება სინოდმა 1914 წელს მიიღო, რომლის

განხორციელებასაც დიდი ენთუზიაზმით შეხვდა საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებაც (68,31).

იმპერიის შიდა ეპარქიების მიბაძვით, საქართველოს საეგზარქოსოშიც იქმნებოდა ომის სასარგებლო სხვადასხვა საზოგადოებები და კომიტეტები. „საქართველოს საეგზარქოსოში ომის დროის საჭიროებისათვის შეწირულობათა შემგროვებელი „კომიტეტის" (272,24173,59) შემადგენლობაში შედიოდნენ: ეგზარქოსი პიტირიმი, ერევნის ეპისკოპოსი პიმენი, გორის ეპისკოპოსი ანტონი, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორი მიტროფანე პოპოვი, პროტოიერები: სერგი გოროდცევი, სოლომონ შოშიაშვილი, ნესტორ მაჭარაშვილი და ტიმოთე ეცხელოვსკი (272,26424,1). სამღვდელოება კომიტეტის საქმიანობით არ კმაყოფილდებოდა. ეგზარქოსმა სასულიერო პირთ დაავალა ქადაგებების მეშვეობით ემოქმედათ მრევლზე და ჩაენერგათ მათში შემოწირულობათა გამოღების აუცილებლობა (272,24173,59). „კომიტეტის" ხაზინადარის ცნობით, ომის საჭიროებისათვის 1915 წელს საეგზარქოსოში შეგროვდა 51 017 მანეთი და 37 კაპიკი; აქედან, დაიხარჯა 47 162 მანეთი და 52 კაპიკი, ხოლო „კომიტეტს" დარჩა 3 854 მანეთი და 85 კაპიკი (188, № 8-9,270-271). 1916 წელს „კომიტეტმა" მიიღო სულ 53 477 მანეთი, დახარჯა 47 955 მანეთი და 95 კაპიკი. ხაზინაში დარჩა 5 521 მანეთი და 5 კაპიკი (188,№ 19,595).

საეგზარქოსოს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან შემოწირულობანი შეგროვდა 1916 წელს – 1 384 და 7 კაპიკი (188,№ 8-9,12-13;273,64555,1).

შემოწირულობათა გაღების მაგალითი თვით სასულიერო წოდებას უნდა მიეცა მოსახლეობისათვის. „კომიტეტმა" დაადგინა, რომ საეგზარქოსოს ყველა ეკლესია-მონასტერს ყოველთვიურად გაეღო შემოწირულობა (273,54406,1). ამის გამო, სამღვდელოებას სახელმწიფო ჯამაგირიდან ყოველთვიურად უკავდებოდა ხელფასის 2% (272, 26424,1; 24173,80). ყველა ის, ვინც საჭირო და სავალდებულო თანხის გარდა გაიღებდა დამატებით შემოწირულობას, მას ეგზარქოსისაგან სპეციალური მადლობა ეცხადებოდა (209,1914 № 264,2). ამასთან, ეგზარქოსმა, ყველა ის ოჯახი, რომლის მარჩენალიც ფრონტის ხაზზე იბრძოდა გაანთავისუფლა „დრამის" გამოსაღებისაგან (272,26424,2;83,3).

საეგზარქოსოს ხელმძღვანელობა უდიდეს მზრუნველობას იჩენდა ომში დასახიჩრებულ-დაავადებულთა მიმართაც, ზრუნავდა მათი შრომით დასაქმებაზეც. სამისოდ, 1916 წელს „კომიტეტთან" გაიხსნა სპეციალური სახელოსნო, სადაც შესაფერისად დასაქმდა ყველა ის ყოფილი მებრძოლი, რომელიც ომში დაზარალდა (135, № 1843;142,№ 1103).

აღსანიშნავია საეგზარქოსოს ხელისუფლების ინიციატივით ომის საჭიროებისათვის ჩატარებული კონცერტ-საღამოების მნიშვნელობაც, რომელთაგან აღებული შემოსავალიც სრულიად ომის საჭიროების ფონდში ირიცხებოდა. 1914 წელს, თბილისში, კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის თაოსნობით ჩატარდა სასულიერო ქართულ-რუსული საგალობლების საჯარო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ეგზარქოსის, სასულიერო სემინარიისა და დედათა საეპარქიო სასწავლებლის საკლესიო ქოროებმა. კონცერტში მონაწილეთა რიცხვი 200 კაცს აღემატებოდა. შემოსავლის ერთი ნაწილი მოხმარდა ომში დაზარალებულ მეომართა განკურნების საქმეს, ხოლო მეორე ნაწილი კი — ქართული საეკლესიო საგალობლების შეკრება — გამოცემის საქმეს (142,№ 110,4).

კონცერტ-საღამოებს ხშირად მაღალი რანგის სასულიერო პირთა ქადაგება — საუბრები ერთვოდა. 1916 წელს, 19 თებერვალს, თბილისში, არტისტული საზოგადოების დარბაზში გაიმართა ეგზარქოსის საჯარო ლექცია, რომელსაც თან საკონცერტო განყოფილება ახლდა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ეგზარქოსის გუნდმა ი.ე. ელცოვის ხელმძღვანელობით; ქართული ამხანაგობის გუნდმა გ. სვანიძის ლოტბარობით და მეფისნაცვლის გუნდმა „კონვოიმ" მ.ნ. კოლოტილინის ხელმძღვანელობით. ლექცია-კონცერტის შემოსავალი მთლიანად მეომართა ობლებს მოხმარდათ (149,№ 506,2-3).

საეგზარქოსოს ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობდა ყურადღება არ მოეკლო ლტოლვილებისთვისაც. უწმინდესმა სინოდმა 1915 წლის 9-15 ოქტომბრის № 8245-ის განკარგულებით ლტოლვილთა დასახმარებლად შექმნა იმპერიის საეპარქიოებში სპეციალური კომიტეტები, რომელთაც ხელმძღვანელობას ადგილობრივი მღვდელმთავრები უწევდნენ. მათში გაერთიანებულნი იყვნენ სასულიერო წესის შავი და თეთრი სამღვდელოება, ასევე, საერო პირები (273,58290,14).

ომში დაღუპულ მეომართა შვილებისათვის, უწმინდესმა სინოდმა 1914 წელს გამოსცა ცირკულარი, რომლის ძალითაც მთელს იმპერიაში უნდა გახსნილიყო ობოლ ბავშვთა თავშესაფრები. ამავე წლის 30 დეკემბერს აღნიშნული ცირკულარი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასაც გაეგზავნა ბრძანების სისრულეში მოსაყვანად (273,58296,1). საეგზარქოსოს ხელისუფლება გამოეხმაურა სინოდის განკარგულებას და ამ კუთხით სათანადო ღონისძიებების დასახვა-გატარებას შეუდგა.

ომში დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად, ეგზარქოსის მოთხოვნით, საეგზარქოსოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა ეკლესია-მონასტერს აღსაზრდელად რამდენიმე ობოლი ბავშვი უნდა აეყვანა (272,23179,6;188,№ 19,596-597). სპეციალურად არსდებოდა ობოლ ბავშვთა თავშესაფრები, მათ შორის თბილისში (135,№ 223,2), დავითის მონასტერში, სადაც სპეციალური ლაზარეთიც გაიხსნა (142,№ 126,3). ასეთი სახის თავშესაფრების აგება-კეთილმოწყობისათვის, 1916 წელს საეგზარქოსოს ხელისუფლებამ საერთო შემოწირულობებიდან გამოყო 16 054 მანეთი და 33 კაპიკი (272,64555,1).

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, იმის გამო, რომ ვერ ამართლებდა საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლების პოლიტიკას ომისადმი დამოკიდებულებაში, ყველანაირი მეთოდით ცდილობდა ხელი შეეშალა სასულიერო უწყებისათვის აღნიშნული ღონისძიებების გატარების საქმეში, რის გამოც ხშირად უარს აცხადებდა, ან კიდევ პასიურობას იჩენდა ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში დანერგვის საქმეში. მაგალითად, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი უწმინდეს სინოდს უარს უთვლის დაჭრილი ჯარისკაცებისა და მათი შვილების საეპარქიოში მიღებაზე და ამის მიზეზად არაჯანსაღ ჰავასა და ეკლესია-მონასტრების უკიდურეს გაჭირვებულ მატერიალურ მდგომარეობას ასახელებს (273,58296,3).

მიუხედავად ყოველივესი, საქართველოს ეპარქიებში იშვიათად, მაგრამ მაინც იხსნებოდა დაჭრილ მეომართა სამკურნალო საავადმყოფოები და სტაციონარები. 1915 წელს მარტო იმერეთის ეპარქიაში რამდენიმე ლაზარეთი ამოქმედდა. მათ შორის მოწამეთას მონასტერში გამოყვეს 8 ოთახი, გაენათის მონასტერში 2, სულ იმერეთში 50 ჯარისკაცისათვის იქნა გამოყოფილი საწოლი (273,58289,26). სამკურნა-

ლო სტაციონარები გაიხსნა თბილისში, რომლიდანაც ზოგიერთის დაფინანსება ითავა სასულიერო სემინარიის რექტორმა, არქიმანდრიტმა მელქისედეკმა (142,№ 133,3;№ 114,2;№ 175,4). სამკურნალო დაწესებულებების სურსათ-სანოვაგით მომარაგება მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა (188,№ 8-9,13).

ამრიგად, 1905-1907 წლების რევოლუციის მარცხის შემდგომ, ცარიზმმა მკაცრი ანგარიშსწორება დაიწყო საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობის მიმართ. აღნიშნულ პოლიტიკაში, რუსეთის ხელისუფლებას დიდ დახმარებას უწევდა ეკლესია, მათ შორის საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებაც.

რეაქციის წლებში, საქართველოში მიმდინარე რევოლუციურ და ანტი-საეკლესიო მოძრაობებს საეგზარქოსოს ხელისუფლება აქტიური ღონისძიებებით პასუხობს. მოსახლეობის რევოლუციიდან ჩამოცილების მიზნით, მუშათა რეგიონებში არსდება სპეციალური სასულიერო კრებულები, რომელთაც აგიტაცია-პროპაგანდა უნდა გაეწიათ მშრომელებში რუსული ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებისათვის. აღსანიშნავია საეგზარქოსოს მიერ გატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო რიგი ღონისძიებები, რომელთაც ლექცია-ქადაგებებისა და კონცერტების ჩატარების სახე ჰქონდათ. ეგზარქოსები მოხერხებულად იყენებდნენ იმპერიის რიგ ღირსშესანიშნავ თარიღებს და თვითმპყრობელობის ავტორიტეტის მოპოვებისათვის საჭირო ღვთისმსახურებებს ატარებდნენ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში.

საეგზარქოსოს რეაქციული პოლიტიკის გამოვლინების დასტურია მის მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქართველი სამღვდელოების შეცვლას ახალგაზრდა სასულიერო ფენით, რომელიც თვითმპყრობელობის პოლიტიკური ინტერესების დამცველი იქნებოდა საქართველოში.

ახალგაზრდობის ანტისამთავრობო და ანტისაეკლესიო გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაება საეგზარქოსოს მთელი აპარატი. იგი მიიჩნევდა, რომ რევოლუციის შემდგომი პერიოდის არსებითი ამოცანა იყო ბრძოლის გაძლიერება „მავნე იდეოლოგიის“ წინააღმდეგ. საამისოდ, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, საეგზარქოსოს ხელისუფლება ატარებდა ფრთხილ პოლიტიკას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სასულიერო სასწავლებელთა ხელმძღ-

ვანელი და პედაგოგთა კადრების შერჩევის საქმეს. მის მიერ გატა-რებული ყველა ღონისძიება მიზნად ისახავდა მოწინავე ახალგაზრ-დობის ჩამოცილებას რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლე-ბელი მოძრაობებიდან.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მოექცა ინტელიგენციის თავის-კენ გადაბირების პოლიტიკა; გააქტიურდა საამისო პროპაგანდისტ-ული მუშაობა; არსდებოდა რიგი სასულიერო ხასიათის პერიოდული გა-მოცემები, სათანადო ლიტერატურა, რომლებშიც გამოქვეყნებული პუბ-ლიკაციები საერო და სასულიერო ფენას რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

საქართველოში მიმდინარე საერთო სახალხო დემოკრატიულ მოძ-რაობას იმპერიის საერო და სასულიერო ხელისუფლება სხვადასხვა სახის გამოვლინებებით ებრძოდა. რეაქციის ხანაში, თვითმპყრობე-ლობის ქართველი ერისადმი შურისძიების უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენდა დიდი ქართველი მამულიშვილის, მწერლისა და სა-ზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობა.

ამავე დროს, მთავრობისა და ეკლესიის სერიოზული დაინტერესე-ბა შეინიშნება სამისიონერო საქმიანობის გაფართოების მიმართულე-ბით, საეგზარქოსოს ხელისუფლება სახავს მრავალ ამოცანას საქარ-თველოს რიგ რაიონებში მომძლავრებული სექტანტური მოძრაობის წინააღმდეგ.

რეაქციის ხანაში, საეგზარქოსოს მეტ ტერიტორიაზე მრავლდება და მოღვაწეობის აქტიურ ხასიათს იღებს შავრაზმული საზოგადოე-ბები და კავშირები. ასეთი სახის ორგანიზაციების საქმიანობით, თვითმპყრობელობა ცდილობდა ხალხის ყურადღება ჩამოეცილე-ბინა რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრა-ობებიდან.

საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებას, ცარიზმის მოხე-ლეთა მსგავსად აღელვებდა ქვეყანაში დემოკრატიული მოძრაო-ბით შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაცია და მისი ჩახშობის გზას ეძებდა. ამით იყო გამოწვეული, რომ ეკლესია აქტიურად ჩაება ომის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდით სამუშაოებში. ეკლესიამ ომის მიზეზების თვითმპყრობელობის პოზიციიდან ახსნისათვის, მი-

სი დაწყების პირველივე დღეებიდან გააქტიურა და მრავალმხრივი გახადა თავისი მუშაობა. საეკლესიო პერიოდულ გამოცემებში საეგზარქოსის ხელმძღვანელობა აქვეყნებდა სხვადასხვა სახის „ვედრებებს" მეომართა ომში გამარჯვებისათვის; საეპარქიო კომიტეტებთან იქმნებოდა მისიები, ჯარისკაცებსა და მოსახლეობას შორის ვრცელდებოდა ბროშურა-ფურცლები, სასულიერო-მოწოდებითი ლიტერატურა, ხატების, ჯვრებისა და სხვა რელიგიური ნივთების გადაცემა.

განსაკუთრებით გააქტიურდა სამხედრო სამღვდელოების საქმიანობა. სამხედრო ნაწილებში, თვითმპყრობელობის რეჟიმის საწინააღმდეგო მღელვარებათა აღმოფხვრის, მოსახლეობასა და სამხედროებში ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, საეგზარქოსის ხელისუფლება სახავს სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებებს, კერძოდ, უწევს ეკლესია-მონასტრების აღდგენით სამუშაოებს, სასულიერო პირთ უმჯობესებს მატერიალურ პირობებს, სამხედრო სამღვდელოთა ოჯახებს უწევს დახმარებას და ა.შ.

საქართველოს საეგზარქოსო ომის პერიოდში გამოდის კავკასიაში შემოწირულობათა აკრეფის ინიციატორად და ამ საქმეში მხარის ყველა დაწესებულებასა და საზოგადოების ყველა ფენას რთავს. ომის დახმარების მიზნით, საეგზარქოსოს მთელს ტერიტორიაზე მოღვაწე ყველა სასულიერო პირს უკავდება ხელფასის 2%; ომში მონაწილე სამღვდელოების ოჯახებს გარკვეული პრივილეგიებიც გააჩნდათ, კერძოდ, თავისუფლდებიან საეკლესიო გამოსაღებებისაგან; სისტემატიური სახე მიეცა კონცერტ-საღამოებს, საიდანაც აღებული შემოსავალი ომის ფონდში ირიცხებოდა; ომში დაღუპულ მეომართა შვილებისათვის იხსნებოდა სპეციალური ობოლ ბავშვთა თავშესაფრები; დაჭრილ და დასახიჩრებულ მებრძოლთათვის ამოქმედდა რიგი ლაზარეთ-საავადმყოფოები, სტაციონარები და სხვა სახის სამკურნალო დაწესებულებები.

მიუხედავად თვითმპყრობელობა — ეკლესიის აქტიური და განუზომელი მეცადინეობისა, რუსეთმა პირველ მსოფლიო ომში სერიოზული მარცხი განიცადა. სახალხო მეურნეობის არსებულმა დაბალმა დონემ, ვერ უზრუნველყო ომის საჭიროებანი. ქვეყანაში დაიწყო სწრაფი სამეურნეო ნგრევა, ომმა დააჩქარა რუსეთის ცარიზ-

მისა და მისი ხელისუფლების ღრმა კრიზისი. ქვეყანაში აღმოცენდა რევოლუციური სიტუაცია, რის გამოც თვითმპყრობელობა გარდაუვალი დამხობისა და სახალხო რევოლუციის წინაშე დადგა.

ომის სიძნელეებმა განსაკუთრებული სიმწვავით იჩინეს თავი იმპერიის განაპირა მხარეებში, მათ შორის საქართველოს რეგიონშიც. ცარიზმის წინააღმდეგ ქართველი ერის საერთო დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა, პირველი იმპერიალისტური ომის წლებში ბიძგს აძლევდა საქართველოს დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციას — გააქტიურებასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ აღმავლობას. ამ საქმეში კი განსაკუთრებული აქტიურობით იღწვის ქართველი სასულიერო წყება, რომელიც ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიისწრაფვის.

## თავი მეხუთე

# საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადება

1916 წლის მიწურულისათვის ცხადი გახდა, რომ თვითმპყრობელურ რუსეთს ომის გაგრძელების უნარი აღარ შესწევდა. ომისათვის მოუმზადებელი რუსეთი სრულმა ანარქიამ მოიცვა; მოიშალა ფრონტი და ზურგი; ქვეყნად შიმშილმა დაისადგურა. ომის საწინააღმდეგო მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო; გარევოლუციურებულმა ხალხთა მასებმა იარაღი ცარიზმის წინააღმდეგ მიმართეს. მებრძოლ ძალებს სულ უფრო მეტად უღვივდებოდათ ეროვნული თავისუფლების მოპოვების სურვილი.

ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში, არც ამჟამად დარჩენილა განზე ქართველი სამღვდელოება და იგი მთელი მონდომებით ცდილობდა იმპერიაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ქართველი სასულიერო წოდება მთელი სიმძაფრით აყენებს ქარ-

თული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს და საამისოდ, ენერგიასა და მცდელობას არ იშურებს.

რუსეთის პირველ მსოფლიო ომში წარუმატებლობამ, იმპერიის განაპირა რეგიონებში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, თვითმპყრობელობას ისედაც მკაცრი პოლიტიკის უკიდურესად გამკაცრებისაკენ უბიძგა. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა საქართველოსთან მიმართებაში გამოვლინდა. საქართველოში მიმდინარე მძლავრი სახალხო დემოკრატიული მოძრაობის შეჩერებისათვის, ცარიზმა საქართველოს საეგზარქოსოს მმართველად ნიშნავს რეაქციონერ სასულიერო მღვდელმთავარს პლატონს (1915-1917), მაგრამ სასულიერო უწყებას ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული მღელვარების შეჩერების უნარი უკვე აღარ შესწევდა.

1916 წლიდან საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში მოწვეულმა სამღვდელოების კრებებმა არა ერთი გადაწყვეტილება მიიღეს ქართული ეკლესიის თვითმოწესეობის შესახებ. უწმინდესი სინოდის მხრიდან ამ ფაქტის აღიარების მიზნით, ქართველი სასულიერო ფენა სპეციალურ დელეგაციებს აგზავნის და რუსეთის, კანონიური საეკლესიო უფლებების აღდგენას სთხოვს. ქართველ სამღვდელოების წარმომადგენელთა მეცადინეობებს არავითარი შედეგები არ მოსდევდა. სინოდში, მთელი მონდომებით იღწვოდა ყოფილი ეგზარქოსი პლატონი, რომლის ანტიქართული ქმედებანი დიდი მოწონებით სარგებლობდა რუს რეაქციონერ სასულიერო და საერო ხელისუფლებას შორის (86, 3). თვით სინოდის ხელისუფლება, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას არ ჩქარობდა ომის დამთავრებამდე და მის მაქსიმალურად გაჭიანურებას ცდილობდა.

იმპერიალისტური ომით გამოწვეული მარცხი, ქართველ სამღვდელოებას უდიდეს იმედს უსახავდა ეროვნული ეკლესიისათვის ბრძოლის კეთილად დაგვირგვინების საქმეში. იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, შორეულ მხარეში გადასახლებულ ქართული ეკლესიის თავისუფლებისათვის მებრძოლ ეპისკოპოს კირიონს 1916 წლის 6 აპრილს ატყობინებდა: „...ჯერ-ჯერობით ჩვენი მტრები დამარცხებულები არიან; ჩვენი ეკლესიის საკითხი გაიზარდა, წელში გაიმართა და გაფართოვდა, ბევრ სასიკეთო ნიშნებს ვხედავთ და იმედია, რომ ღვთით სრულებით გავიმარჯვებთ“ (272, 26974, 96).

ქართველი სამღვდელოების მიერ რუსეთში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის სწორი შეფასება კარგად გამოიხატებოდა მათ მოწოდებაში შემდგომი ბრძოლის გაგრძელებისათვის. ისინი ქართველი ერისაგან მამულისათვის ესოდენ საჭირო ჟამს დარაზმვას მოითხოვდნენ (149, № 524, 3; 155, 6-7). მათ კარგად იცოდნენ, რომ ეროვნული ეკლესიის ისტორიული უფლებების აღდგენა არ ნიშნავდა მთლიანად ქვეყნის განთავისუფლებას, მაგრამ ღრმად სწამდათ, რომ ქართული ეკლესიის განთავისუფლება ერთგვარი ჩანასახი იყო ეროვნული თავისუფლებისა.

ქართველი სამღვდელოების მოწოდებას უდიდესი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები. ისინი, ადგილობრივი პრესის ფურცლებიდან მოუწოდებდნენ სრულიად ქართველ ერს ერთობლივი ბრძოლებისაკენ. მათ აუცილებლობად მიაჩნდათ პოლიტიკური იდეების შეუთანხმებლობის აღმოფხვრა და ქვეყნის ინტერესებისათვის ერთობლივად დარაზმვა (135, № 72, 3).

წინა პერიოდების მსგავსად, თვითმპყრობელობამ საქართველოს განმანთავისუფლებელ მოძრაობას მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა. კავკასიის მთავარმართებელმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხს ქართველი ერის სეპარატიზმის გამოვლინება უწოდა და ქართული საზოგადოებრივი აზრის ძირითად საზრდოდ მიიჩნია. ამიტომ, მთავარმართებელი სასულიერო უწყებისაგან ქართული ეკლესიის საკითხის განხილვის ომის დამთავრებამდე გადადებას ითხოვდა (259, 2266, 2). /ქართველი სამღვდელოების მოძრაობის გააქტიურება კი იმპერიის სასულიერო უწყებას გადამჭრელი ღონისძიებების გატარებისაკენ უბიძგებდა. 1916 წლიდან სინოდში აქტიურად დაიწყო რიგი საეკლესიო რეფორმების შემუშავება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საქართველოს საეგზარქოსოს შემდგომი ბედიც. განსახილველად წარმოდგენილ პროექტებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმპერიაში საეპარქიოთა და საეპისკოპოსოების რაოდენობის გაზრდის საკითხს და განსაკუთრებული ოლქების შექმნას.

საქართველოს საეგზარქოსოსთან მიმართებაში, სინოდი იხი-

ლაედა სამ წარმოდგენილ პროექტს:

1). კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსებას, რომელსაც უნდა ჩაეხშო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის მოთხოვნა;

2). სოხუმის ეპარქიის პროექტი, რომლის ძალითაც საეგზარქოსოს უნდა მოწყვეტოდა აფხაზეთის რეგიონი;

3). საქართველო – იმერეთის სინოდალური კანტორის დახურვის პროექტი, რომელიც სინოდის ზოგიერთი წევრის აზრით ემსახურებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის მოთხოვნას.

1916 წლის № 73-ის გაზეთი „ბაქო" კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის შექმნას საქართველოს ეკლესიის საკითხის ლიკვიდაციის მცდელობად მიიჩნევდა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ 1906 წელს მსჯელობდა უწმინდესი სინოდი (263, 4651, 25, 44-45).

სინოდის 1916 წლის 29. II. – 1. III-ის № 1463-ის გადაწყვეტილებით, სინოდთან შეიქმნა სპეციალური კომისია პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტის პიტირიმის თავმჯდომარეობით, რომლის დანიშნულებაც იყო რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ეპარქიათა რიცხვის ზრდა და მისი საზღვრების გადანაწილება რუსეთის თვითმპყრობელური აპარატის სასარგებლოდ.

მიღებული კანონის ცხოვრებაში დანერგვისათვის, საქართველოს საეგზარქოსოში გატარდა რიგი ღონისძიებები. საეგზარქოსოდან გამოიყო სოხუმის ეპარქია და საქართველოს საეგზარქოსოს ეწოდა კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი (263, 4651, 18).

სინოდის გადაწყვეტილებას, საქართველოს ეგზარქოსი პლატონი დიდი მოწონებითა და ენთუზიაზმით შეხვდა. მისი აღფრთოვანება გამოიწვია სოხუმის ეპარქიის პროექტმა. ეგზარქოსის აზრით, სოხუმის ეპარქიის სინოდზე დაქვემდებარება დიდ როლს შეასრულებდა ქართველი ერის ავტოკეფალიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან ჩამოცილების საქმეში. ეგზარქოსს განსაკუთრებით აღელვებდა საქართველოში მცხოვრები რუსი ეროვნების მოსახლეობის საკითხი, რაც გამოწვეული იყო მათში სექტანტობის გავრცელებით. ამ

ეტაპზე. ეგზარქოსს აუცილებლობად მიაჩნდა რუსულენოვანი მოსახლეობისათვის საეპარქიოს დაარსება და ამ საქმეში იმპერიის სასულიერო უწყების დახმარება (258, 1799, 28).

პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულმა მძიმე შედეგებმა, ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებამ 1916 წლიდან ახალი რევოლუციური სიტუაციის მომწიფება დააჩქარა, და, რაც ყველაზე აღსანიშნავია, მთელი იმპერიის მასშტაბით შეიქმნა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ის ძირითადი რგოლი, რომელიც დაინტერესებული იყო არა მარტო მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებით, არამედ ერთა ინტერესების გაერთიანებითაც. ეს იყო მძიმე და დამანგრეველი ბრძოლა, რომელმაც ერთ წერტილში მოუყარა თავი ყველა საზოგადოებრივ წინააღმდეგობას. ასეთ პირობებში, ოპოზიციურ ძალების მიერ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იყო. 1917 წლის თებერვალში რუსეთის მოსახლეობამ დაამხო მეფის მთავრობა. გაიმარჯვა რუსეთის მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რაც რუსეთის ისტორიაში უდიდესი გარდატეხის მომასწავებელი იყო (32, 328).

რუსეთში თებერვლის რევოლუცია, საჭიროებიდან გამომდინარე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის, ამიტომ იგი ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს დადებითად შეხვდა და პირველი დღეებიდანვე ჩადგა დროებითი მთავრობის სამსახურში. „აღსრულდა ღვთის ნება, რუსეთი დაადგა სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ გზას. ღმერთმა აკურთხოს ჩვენი სამშობლო“ (272, 60, 5), — აღნიშნავდნენ ეკლესიის მსახურები და ყველას მოუწოდებდნენ ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინათ დროებითი მთავრობისათვის. რუსეთის მოსახლეობის სახელით, ეკლესია ევედრებოდა ღმერთს ეკურთხებინა დროებითი მთავრობა და მისი საქმიანობა (272, 24175, 2). დროებითი მთავრობისადმი თანადგომით, მართლმადიდებლური ეკლესია იმედოვნებდა მის საბოლოო დამოუკიდებლობის მოპოვებას სახელმწიფოსაგან, თავისი მტრის — რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მებრძოლის მხარდაჭერას და ძველი უფლებებისა და ავტორიტეტის აღდგენას სახელმწიფოში. შექმნილ ვითარებაში, სასულიერო წოდება ცდილობდა ისეთნაირად წარემართა მუშაობა, რომ ხალხი ჩაერთო სასულიერო ცხოვრებაში

(273, 60362, 1-2) და ჩამოაცილებინა იგი დემოკრატიული მოძრაობისაგან.

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესს დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ქართველი სამღვდელოება. წლების მანძილზე ამ უკანასკნელის მხარდაჭერა რუსი სამღვდელოებისადმი, მოეპოვებინათ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, უდიდეს იმედს აღუძრავდა ქართველ ავტოკეფალისტებს ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობის საქმეში. ქართველმა სასულიერო ფენამ მეფის ხელისუფლების დამხობისთანავე გააქტიურა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა. 1917 წლის 30 იანვარს, საქართველოს ეგზარქოსს წარუდგინა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამღვდელოთა დეპუტაცია პროტოიერეების ი. ოქროპირიძის, ვ. კარბელაშვილის; კეთილდამწყსველთა ს. დევიძის, დ. ჩხეიძისა და კ. ანთაძის შემადგენლობით. დეპუტაციამ ეგზარქოსს საქართველოს სამღვდელოების ყრილობის გადაწყვეტილება გააცნო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნის შესახებ.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარება, საეგზარქოსოს ხელისუფლებას ფრთხილ მოქმედებაზე მიუთითებდა. სასულიერო ხელისუფლებას საერო ხელისუფლებასთან შეთანხმებით უნდა ემოქმედა და ერთობლივი მსჯელობით მიეღოთ გადაწყვეტილება ქართველი სამღვდელოების მოთხოვნის დროებით შეჩერებაზე, სანამ ხელისუფლება საამისო მოთხოვნის საწინააღმდეგო ღონისძიებას არ შეიმუშავებდა. ამით იყო გამოწვეული, რომ ეგზარქოსი დეპუტაციის წევრებს დახმარებასა და ამ საკითხის მეფისნაცვალთან განხილვას დაჰპირდა (263, 5071, 4; 195, 3).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი იყო, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და რუსეთში დამხობილი თვითმპყრობელური აპარატი სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ რუსეთის ხელისუფლებას სასულიერო უწყებასთან ერთად საქართველოს ეროვნული თავისუფლება აწუხებდა. იგი ყველანაირად ცდილობდა ახალი მმართველობის ფორმებით შეენარჩუნებინა თავისი ძალაუფლება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში.

/ქართველი სამღვდელოება და მოწინავე საზოგადოებრიობა კარგად ხედავდა რუსეთის ახალი ხელისუფლების ზრახვებს და აქტიუ-

რად აგრძელებდა ბრძოლას თავისუფლებისათვის. ამით იყო განპირობებული სამღვდელოების გვერდით საერო ნაწილის გააქტიურებული მხარდაჭერაც ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნისათვის. ამის დასტურია საქართველოს ეგზარქოსთან მრავალი წარჩინებულ და გავლენიან საერო პირთა ჯგუფების წვევა, რომლებიც ერთსულოვნად ითხოვდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას (263, 4671, 31; 196, № 103, 4). /

/ რუსეთის დროებითი მთავრობა კი ძალაში ტოვებდა უწმინდესი სინოდის კომპეტენციას საქართველოს ეკლესიაზე, მაქსიმალურ უფლებებს უნარჩუნებდა ეგზარქოსს, თუმცა ქართველი სამღვდელოება ფაქტიურად მას უკვე აღარ ემორჩილებოდა და აბსოლუტურ დაუმორჩილებლობას უცხადებდა. /

ქართველმა სამღვდელოებამ იმედი დაჰკარგა ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარების ცნობაზე, გადაწყვიტა დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა რუსეთის დროებითი მთავრობისათვის. ამიტომ, 1917 წლის 12 მარტს, მცხეთის საკათედრო ტაძარში შეიკრიბა 10 000-მდე სასულიერო პირი, მათ შორის ქართველი მღვდელმთავრები ლეონიდე, გიორგი, ანტონი, პიროსი; მთელი საქართველოს სამღვდელოება; გუბერნიებისა და მაზრების თავები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ფართო საზოგადოებრიობა. მცხეთის ტაძარში წირვა აღავლინა ეპისკოპოსმა ლეონიდმა. წირვაზე მოიხსენიებულნი იყვნენ საქართველოს უკანასკნელი მეფენი ერეკლე II და გიორგი XII-ე.

მრავალჟამიერი უსურვეს საქართველოს ეკლესიისათვის მებრძოლ ეპისკოპოსებს კირიონსა და დავითს, არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას, რომლებიც რეპრესირებულნი იყვნენ თვითმპყრობელობისა და სინოდის მიერ და გადასახლებაში იმყოფებოდნენ. ქართველმა უმაღლესი სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა საჯაროდ გამოაცხადეს თავიანთი გადაწყვეტილება, რომ 1917 წლის 12 მარტიდან აღდგენილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. დროებით, კათალიკოსის არჩევამდე ეკლესიის გამგედ დაინიშნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი, ხოლო საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალებოდა აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიოდნენ როგორც სასულიერო, ისე საერო წარმომადგენლები, კერძოდ, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი კ. კეკელიძე, დე-

კანონზი გ. თალაკვაძე, მღვდლები ვასილ და პოლიევქტო კარბელაშვილები; საერო პირნი იპ. ვართაგავა, ვ. ბარნოვი, ს. გორგაძე, გ. კიზირია, ქ. ახვლედიანი, თ. სახოკია, ა. ბარათაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, გრ. ყიფშიძე, ს. მგალობლიშვილი, დ. დავითაშვილი და ან. ნატროშვილი (136, № 59, 4; 25, 228-230).

1917 წლის 13 მარტს ეპისკოპოსმა ლეონიდმა საქართველოს ეგზარქოს პლატონს წერილობითი განცხადება წაუყენა მცხეთის საეკლესიო დადგენილების შესახებ, რომლის ძალითაც, იგი გადაყენებულ იყო თანამდებობიდან, ჩამოერთვა ქართლ-კახეთის ეპისკოპოსის წოდება და საქართველოს ეპარქია-სამრევლოების იურისდიქციაში შემავალი სასულიერო სასწავლებლებისა და დაწესებულებების მართვის უფლება (136, № 63, 2; 25, 232-233). ამავე წლის 16 მარტს კი თბილისში შედგა სრულიად საქართველოს სამღვდელოების კრება, რომელმაც დაადგინა სიონის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურება მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებულიყო. იგივე კანონი მთელი საქართველოს საეპარქიოთა ეკლესია-მონასტრებზეც ვრცელდებოდა, გარდა იმ სამრევლოებისა, სადაც რუსი ეროვნების მრევლი ცხოვრობდა. ამ ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება ქართულთან ერთად, რუსულ ენაზეც უნდა შესრულებულიყო (136, № 62, 71, 72, 125).

ქართული ეკლესიის ძალაუფლების განმტკიცებისათვის, 1917 წლის 23 მარტს, საქართველოს კათალიკოსის დროებითი მმართველი კომიტეტის წევრის ეპისკოპოს ანტონის მეთაურობით სამღვდელოთა დელეგაცია ეწვია ამიერკავკასიის კომისარიატის წევრებს კ. აბაშიძესა და მ. პაპაჯანოვს, გააცნეს მათ ქართული ეკლესიის მდგომარეობა და სთხოვეს შუამდგომლობა სინოდის ხელისუფლების წინაშე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის. კომისარიატის წევრებმა მათ დახმარება აღუთქვეს (150. № 827, 3)

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტს აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ამ საქმისათვის დამაშვრალი სასულიერო პირები — „გილოცავთ ავტოკეფალიას. ხუნდები აეხსნა ჩვენს სრულიად ივერიის ეკლესიას, რადგანაც დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სიწმინდე. მდაბიო ერად იყო ქცეული ქართველი ხალხი, ტანჯვის ცრემლსა ჰღვრიდა, ახლა კი სიხარულის

ცრემლს [ვაშრობდეთ]. გაუმარჯოს თავისუფალ ქვეყანას თავისუფალ ეკლესიას" (147, 30, VIII., 10), — იწერებოდა ვიტებსკიდან ეპისკოპოსი კირიონი.

საქართველო თებერვლის რევოლუციის შემდგომაც რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში რჩებოდა, ამიტომ ავტოკეფალიის საკითხიც დროებითი მთავრობისა და სინოდის გადასაჭრელი იყო. ამ მიზნით, რომ სინოდს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა ეღიარებინა, 1917 წლის ივნისის მეორე ნახევარში პეტერბურგში გაიგზავნა ქართველ სასულიერო და საერო მოღვაწეთა დელეგაცია, რომელთა მეცადინეობამაც წარუმატებლად ჩაიარა. ამ საქმეში სერიოზული უარყოფითი როლი საქართველოს ყოფილმა ეგზარქოსმა პლატონმა შეასრულა.

საქართველოს საეგზარქოსოს რუსი ეროვნების სამღვდელოება უარყოფითად შეხვდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას. რუსული სასულიერო ფენა აშკარად ჰკარგავდა თავის გავლენას საქართველოში და ყოველნაირად ცდილობდა თავისი პრივილეგიების შენარჩუნებას ამ მხარეში. საამისოდ, 1917 წლის 27 მარტის რუსი სამღვდელოების გაერთიანებულ სხდომაზე, მათ მიიღეს გადაწყვეტილება ეთხოვათ სინოდისათვის ამიერკავკასიის საეგზარქოსოს შექმნის თაობაზე, რომელიც უშუალოდ სინოდს დაექვემდებარებოდა (136, № 71, 2-3). დროებითი მთავრობის ინტერესებშიც არ იყო საქართველოში რუსული საეკლესიო უფლებების შეკვეცა-მოსპობა და იგი ყოველნაირად ცდილობდა რუსული სასულიერო ფენის ინტერესების გამოყენებას თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის საქართველოში და სამღვდელოების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ესწრაფოდა. ამიტომ, მან ქართული ეკლესიის საკითხის განხილვის შემდეგ აღიარა მისი მხოლოდ ქართულ-ეროვნული ხასიათი და უარყო მისი ტერიტორიული პრინციპი. ყოველივე კი იმის მომასწავებელი იყო, რომ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და უფლებები მხოლოდ ქართველ მრევლზე ვრცელდებოდა, ხოლო რუსი ეგზარქოსი კვლავინდებურად იბატონებდა ქართულ ეკლესიაზე. მას დაევალა რუსი და არაქართველი მრევლის მართვა-გამგეობა. ეგზარქოსი უშუალოდ სინოდს უნდა დამორჩილებოდა. გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ეკლესიას უნდა გამოერკვია თავისი უფლებრივი მდგომარეობა და წა-

რედგინა იგი დასამტკიცებლად დროებით მთავრობისათვის. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა დაემტკიცებინა (25, 233).

1917 წლის აპრილში, საქართველოს ეკლესიის საკითხის გადასაწყვეტად და ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი მართლმადიდებელი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად, სინოდმა საქართველოში მიავლინა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი. თავდაპირველად, ამ ფაქტს, საქართველოს საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა და მას იმედი ჩაუსახა, რომ ბენეშევიჩი, როგორც პროფესორ ნიკო მარის მოწაფე და ბიზანტიოლოგიის საუკეთესო მცოდნე, ქართული ეკლესიის საქმეს ობიექტურად გადაწყვეტდა. სათანადო მუშაობის ჩატარების შემდეგ, ბენეშევიჩმა ეპისკოპოს ლეონიდს წარუდგინა დეკლარაცია, რომელიც საქართველოს ეკლესიის ექსტერიტორიალურობის პრინციპს იცავდა. ამან, ქართველთა პროტესტი გამოიწვია (150, № 851, 2).

1917 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით, დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დროებითი წესები":

1). საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველობა;

2). აფხაზებს, სურვილისამებრ უფლება ეძლეოდათ საქართველოს ეკლესიას დაქვემდებარებოდნენ;

3). საქართველოს ეკლესიის ეპარქიებს ამტკიცებდა დროებითი მთავრობა;

4). საქართველოს ეკლესიას სათავეში ედგა მცხეთის არქიეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, რომელიც საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით ირჩეოდა;

5). კათალიკოს-პატრიარქს ამტკიცებდა სახელმწიფოს უმაღლესი მთავრობა;

6). სასულიერო ფენა ხელფასით უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ხაზინიდან (86, 3).

ამავე პერიოდში, სინოდმა განიხილა ამიერკავკასიაში რუსული ეკლესიის დროებითი წესების დამტკიცების საკითხიც და დაადგინა, რომ რუსული ეკლესიები მოწყობილიყო კავკასიის შემდეგ რეგიონებში:

თბილისის, ელიზავეტპოლის, ბაქოს, ერევნის, ქუთაისის, შავიზღვის-
პირეთის, ყარსის, ბათუმისა და ზაქათალის რაიონებში და არტვინი-
სა და სოხუმის ოლქებში.

სინოდის გადაწყვეტილებით, კავკასიის რუსულ საეგზარქოსოში გა-
ერთიანებული უნდა ყოფილიყო რუსი ეროვნების მართლმადიდებე-
ლი მოსახლეობა და სხვა ერები, რომლებიც მართლმადიდებელ სარ-
წმუნოებას მისდევდნენ. ეგზარქოსის რეზიდენცია თბილისში უნდა და-
ფუძნებულიყო. მას მიანიჭეს თბილისის მიტროპოლიტისა და კავკასი-
ის ეგზარქოსის წოდება. კავკასიის საეგზარქოსო უნდა დაყოფილიყო
ეპარქიებად, რომელთა ხელმძღვანელები ეგზარქოსს დაექვემდება-
რებოდნენ. ამასთან, ეგზარქოსი განაგებდა სასამართლო და საგან-
მანათლებლო დაწესებულებებს (272, 23269, 1; 273, 60358, 1).

უწმინდესმა სინოდმა ანგარიში არ გაუწია იმ ფაქტს, რომ თბი-
ლისს უკვე თავისი მიტროპოლიტი ჰყავდა და საქართველოში აღნიშ-
ნულ თანამდებობაზე არქიეპისკოპოსი პლატონი მოავლინა. ამის სა-
პასუხოდ, 1917 წლის 13 აგვისტოს, ქართველი სამღვდელოების კრება-
ზე აღდგენილ იქნა მიტროპოლიტის კათედრა და მის თანამდებობაზე
დაინიშნა ეპისკოპოსი ლეონიდი. ამავე წლის 23 აგვისტოს, სამღვდე-
ლოებამ ყოფილი ეგზარქოსის რეზიდენცია დაიკავა (86, 3).

საქართველოს ეკლესიის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი
კათალიკოსის მოსაყდრის ლეონიდის ხელმძღვანელობით აქტიურად აგ-
რძელებდა ბრძოლას ეროვნული ეკლესიის რეალური თავისუფლების
მოპოვებისათვის. რუსეთის სინოდისა და დროებითი მთავრობის სა-
წინააღმდეგო ბრძოლასთან ერთად საჭირო იყო ქართული ეკლესი-
ის საშინაო ცხოვრების მოწესრიგებაც, და, რაც მთავარია, კათალი-
კოს-პატრიარქის არჩევა, რომელიც მთელი ერის საეკლესიო ცხოვ-
რებას წარუძღვებოდა (84, 7).

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე, ქართველმა სამღ-
ვდელოებამ მკაცრად დაგმო სინოდის ზემოაღნიშნული გადაწყვეტი-
ლება და აღნიშნა, რომ ქართული ეკლესიისათვის სასიცოცხლო მნიშ-
ვნელობა ჰქონდა როგორც მის ეროვნულ, ისე ტერიტორიალურ ავ-
ტოკეფალიას, მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობა ერთმანეთს და-
უპირისპირებდა არაქართველ და ქართველ მრევლს. ქართულმა ეკ-
ლესიამ საჭიროდ მიიჩნია, რომ საქართველოს რუს მოსახლეობას თა-

ესის ეპისკოპოსი ჰყოლოდა, რომელიც მსოფლიო საეკლესიო კანო-
ნების თანახმად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს დაემორჩილე-
ბოდა. ეს გადაწყვეტილება ქართველმა სამღვდელოებამ გაგზავნა
დროებითი მთავრობის თავმჯდომარესთან, სინოდის ობერპროკუ-
რორსა და კავკასიის კომისარიატის ხელისუფლებასთან (136, № 72, 4).

როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, ქართული ეკლესიის დამო-
უკიდებლობის მოპოვება საქართველოში მოღვაწე ყველა პოლიტი-
კურმა პარტიამ ეროვნული მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნია. მართა-
ლია, სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის ეს მოვლენა არც რე-
ვოლუციას და არც სოციალისტური წყობის დამყარებას არ ნიშნავ-
და, მაგრამ მას სწამდა, რომ ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა
მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზე შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან სა-
ქართველოს თავისუფალი ეკლესიის საფუძველი, თავისუფალი საქარ-
თველო უნდა ყოფილიყო (150, № 817, 1-2; 160,4). ასეთი შეხედულე-
ბით, ქართული ეკლესიისადმი ერთ დროს ერთად-ერთი მეტნაკლე-
ბად ოპოზიციურად განწყობილი პარტია მებრძოლ ქართველი სამღ-
ვდელოების რიგებში ჩადგა და დროებითი მთავრობისაგან ეროვნუ-
ლი ეკლესიის სრული თავისუფლების აღიარება მოითხოვა. ეს იყო
ქართული ეკლესიის კიდევ ერთი გამარჯვება.

/იმპერიაში არსებული მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, დროე-
ბითი მთავრობა იძულებული გახდა მიბრუნებოდა ქართველი სამღვ-
დელოების მოთხოვნის საკითხის განხილვას და იგი სახელმწიფო საბ-
ჭოზე დასამტკიცებლად გაამზადა, მაგრამ დაძაბულმა პოლიტიკურმა
მდგომარეობამ ისევ გააჭიანურა გადაწყვეტილების გამოტანა, რის
გამოც ქართული ეკლესიის დროებითმა ხელმძღვანელობამ სპეცია-
ლური დელეგაცია გააგზავნა პეტერბურგს (136, № 125, 3). ამის შემ-
დეგ, რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა ეცნო საქარ-
თველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა (25, 234).

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განსამტკიცებლად და კა-
თალიკოს-პატრიარქის ასარჩევად, სასულიერო ფენის დღის წესრიგ-
ში დადგა საეკლესიო კრების დაუყოვნებლივი მოწვევა, რომლის წი-
ნასწარი თათბირი გაიმართა 1917 წლის 12 აგვისტოს (151, № 18, 1)
თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის შენობაში, რომელსაც
ესწრებოდა 60 დელეგატი სასულიერო და საერო უწყებებიდან. თათ-

ბირჩე შეიმუშავეს საეკლესიო კრებაზე განსახილველი საკითხები (151, № 25, 2).

1917 წლის აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში სრულიად საქართველოში საეკლესიო კრებაზე გასაგზავნი დელეგატების საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორუფლებიანი და ფარული ხმის მიცემით არჩევნები მოეწყო. თითოეულ საეკლესიო ოლქს ოთხი დელეგატი უნდა აერჩია: მღვდელი, დიაკვანი, ან მედავითნე და ორიც საერო პირი. დელეგატად არჩევის პრინციპი არ ეხებოდათ ეპისკოპოსებსა და მონასტრების წინამძღოლებს. დელეგატებად აირჩიეს: თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდი, ეპისკოპოსები: პირის ოქროპირიძე, ანტონ გიორგაძე, გიორგი ალადაშვილი, არქიმანდრიტები, ბერმონაზვნები და საერო პირები. კრებას თავმჯდომარეობდა მიტროპოლიტი ლეონიდი. პრეზიდიუმს ჰყავდა სამი წევრი: გიორგი ქურული, ტრიფონ ჯაფარიძე და სპირიდონ კედია.

საეკლესიო კრებაზე რამდენიმე საკითხი იხილებოდა: სინოდის ობერპროკურორის კარტაშევის წერილზე პასუხი, აფხაზეთის ეკლესიისა და სასულიერო-საგანმანათლებლო ქსელის მოწყობის საკითხი.

კრებაზე ცხარე კამათი გამოიწვია სინოდის ობერპროკურორის კარტაშევის ტელეგრამამ, რომელიც ქართველ ერს ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას ულოცავდა და პარალელურად, საყვედურობდა რუსი მართლმადიდებელი მოსახლეობისადმი უპატივცემლობის გამოვლინებას. ტელეგრამაში, ობერპროკურორი ქართველ ხალხს აბრალებდა თვითნებობას და აფრთხილებდა იმ მოსალოდნელ უთანხმოებაზე, რომელიც შესაძლებელი იყო მოჰყოლოდა საეკლესიო ქონების განაწილების საქმეს რუსულ და ქართულ ეკლესიებს შორის.

კრებამ კარტაშევის ტელეგრამაზე პასუხის გაცემა დაავალა პრეზიდიუმის წევრებს, რომელთაც ობერპროკურორისათვის უნდა დაესაბუთებინათ ქართული ეკლესიის ყველა ის უფლება, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე უგულებელყოფილი იყო რუსეთის თვითმპყრობელური აპარატის მიერ.

კრების სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა აფხაზეთის საკითხიც. დელეგატებმა ქართველ ერს მიულოცეს სოხუმის ეპარქიის საქართველოსათვის შენარჩუნების ფაქტი, რომლის დედა-ეკლესიისაგან

ჩამოცილებაც დიდი ხნის მანძილზე ჰქონდა მიზნად დასახული რუსეთის სინოდს და საამისოდ მთელი მონდომებით მეცადინეობდა. სოხუმის სამღვდელოების დელეგატმა ანჩაბაძემ და სამურზაყანოს დელეგატმა ჩქოტუამ კრებაზე აღნიშნეს, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის შემდეგ, აფხაზეთის ქართულ ეკლესიასა და ქართველ-აფხაზთა ტრადიციულ ისტორიულ ძმობას საფრთხე აღარ ელოდა (136, № 200, 3).

საეკლესიო კრებაზე განიხილეს სასულიერო სასწავლებლების კეთილმოწყობა-უზრუნველყოფის საკითხებიც. კრებამ საამისოდ შექმნა საგანმანათლებლო საკითხთა მომზადების სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა სასულიერო-სამრევლო სკოლების მოწყობა-ამოქმედება (151, № 51, 2).

კრებაზე აქტიური მუშაობა გაჩაღდა საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის არჩევისათვის. 17 სექტემბერს, კათალიკოს-პატრიარქობის კანდიდატებად დასახელებულ იქნენ ეპისკოპოსი კირიონი და თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდი. არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 440 დელეგატი. არჩევნები წარიმართა ფარული კენჭისყრით. ლეონიდმა მიიღო 230 დადებითი და 218 უარყოფითი ხმა, ხოლო ლეონიდისაგან განსხვავებით კირიონმა მიიღო 241 დადებითი და 206 უარყოფითი, 11 ხმით მეტი ლეონიდთან შედარებით, რისთვისაც იგი არჩეულ იქნა საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად (136, № 205, 3). კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ეპისკოპოსებად აირჩიეს ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრაზე — ამბროსი ხელაია, ურბნისის საეპარქიო კათედრაზე — ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე და ალავერდის საეპისკოპოსო კათედრაზე — ეპისკოპოსი პიროს ოქროპირიძე (25, 241).

ახლადარჩეული კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო საეკლესიო კრებას, მაგრამ ქართველ სამღვდელოთა შეკრებას სპეციალური გუჯარით მიმართა, რომელიც დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ წაიკითხა კრილობაზე. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „...ხელთა შინა თქვენდა არს მომავალი ერისა ჩვენისა, თქვენ ხართ სახო და ხელისაღმპყრობელ მისი. ღელავს და მძვინვარებს ზღვა ჩრდილოისა, სანაპიროსა თავისასა გარდმოხეთქილი, და ტანჯავს უქადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა. და

თქვენ, რჩეულნო იერეისანნო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან. თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროისა და დაამყარო მასში ძმობა, მშვიდობა და ბედნიერება. თქვენი ერთობა, ქრისტიანობა და ღვთისა ყარამისა განმსჭვრეტელობა განცხოველდება და ქართველი ერი კვლავ აღბეჭდავს მატიანესა შინა კაცობრიობისასა საქმეთა თვისთა საგმიროთა" (147, 30. VIII., 11).

მოგვიანებით, კათალიკოს-პატრიარქს კირიონ II-ს პირველმა თბილისის მიტროპოლიტმა ლეონიდმა მიულოცა: „მე მოირკეცდება ძალლიან, რომ მარტო არა ვარ და მეგულებით ჩვენი ეკლესიის უმაღლეს ხელმძღვანელად. ფიცს ვდებ მთელი ჩემი არსებით დავეხმარო ტვირთის ზიდვაში, ჩვენი ეკლესიის საქმის გაძღოლაში" (161, 1).

ქართველი საზოგადოებრიობა უდიდესი სიხარულით შეხვდა თავისი მრავალტანჯული ეკლესიის ტყვეობიდან გამოხსნის ფაქტს. მთელი საქართველოს პროგრესული საზოგადოებრიობა ერთიანად დარაზმული იღწვოდა ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის მისაღწევად და მათი ზეიმიც ერთსულოვანი იყო. მნიშვნელოვანი იყო ავტოკეფალიის აღდგენის დღეს ნიკო ნიკოლაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ქართველ ერს მომავლისადმი იმედით განაწყობდა: „დღეს აქ ეკლესიური კრება მოვაწყვეთ თავისუფლად, რომელმაც შარაგზაზე უმწეოდ განრთხმული ეკლესია ფეხზე წამოაყენა, ხელი უპყრა და თავისებური ცხოვრების მხედველობა აღუდგინა..." (94, 2).

პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია ერის გადარჩენას ქართული ეკლესიისა და მისი ცხოვრების აღდგენის საქმეში ხედავდა. იგი მთელი ბრძოლის მანძილზე ერთგულად იდგა მხარში მებრძოლ ქართველ სამღვდელოებას და ზურგს უმაგრებდა მას. ამით იყო განპირობებული ქართველი ინტელიგენციის განსაკუთრებული აღფრთოვანება ეროვნული ეკლესიის გათავისუფლების საქმეში. საქართველოში მოღვაწე პოლიტიკური პარტიები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ მეტად ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოვლენას. ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი რაფიელ ინგილო აღნიშნავდა: „კათალიკოს-პატრიარქის არჩევა ეგზომ დიდი ხნის უცხოთა ბატონობის შემდეგ სამართლიანად უნდა ჩაითვალოს პირველხარისხოვან ეროვნულ-პოლი-

ტიკურ აქტად, რომელიც ძირიანად შეცვლის ეკლესიური ცხოვრების ყოფა-ცხოვრებას და, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ ყოველგვარად ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების გაღვივებასა და გაფართოებას..." (136, № 198, 1).

ქართველი საზოგადოებრიობა იმედოვნებდა, რომ ერთ მუშტად შეკრავდა ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ერს თავისუფალი ეკლესიის ფაქტი, რომელიც გაწამებული იყო მრავალსაუკუნოვანი ტანჯვის უღლით და თავისუფლებისათვის სიცოცხლესაც კი არ ზოგავდა — „...დე, დღევანდელმა დღემ შეგვაძლებინოს საფიცრის დადება, რომ უმჯობესი იქნება ჩვენი მშობელი სიონის დანგრევა, ვიდრე მის თაღით ქვეშ რომელსამე მაინც უცხო საგალობელის გაგონება..." (136, № 198, 2) — აღნიშნავდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი წევრი დავით კასრაძე.

ამრიგად, თვითმპყრობელური რუსეთის დამხობამ ხელფეხი გაუხსნა ქართველ სამღვდელოებას ეროვნული ეკლესიის თავისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის საქმეში. რუსეთის დროებითი მთავრობის მოღვაწეობის პერიოდში, ქართული ეკლესია იბრუნებს თავის კანონიერ ძალაუფლებას და ერის სამსახურში დგება.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა, ქართველი ერის ვეებერთელა გამარჯვება იყო და მას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეროვნული ეკლესიის თვითმპყრობელობის ბატონობისაგან განთავისუფლებამ დაამტკიცა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სიყვარული და ღრმა პატივისცემა მშობლიური ეკლესიისადმი, ნათელი მოჰფინა მსოფლიო საეკლესიო გადაწყვეტილების ობიექტურობას, რომ ქართველი ხალხი ღირსი იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკლესიისა. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლამ და მისმა აღიარებამ გამოააშკარავა, რომ ეს ფაქტი საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთეულის აღდგენის წინა პირობა იყო. ამავე პერიოდიდან, საქართველოს ისტორიაში იწყება ახალი ხანა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში, რომელ საქმეშიც, ისევ აქტიური ფუნქცია ქართულ ეკლესიას და მის კრებულს უნდა შეესრულებინა.

## კარი მესამე

# ქართველი სამღვდელოება და ქართული კულტურა 1900-1917 წწ.

თუ ეკონომიკურ დარგში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო საქართველოს გადაქცევა რუსეთის მრეწველობის დანამატად, საქონლის გასაღების ბაზრად და ნედლეულის წყაროდ (17,214-216), კულტურის დარგში, ეს უკანასკნელი სულიერად და ხორციელად უნდა შერწყმოდა რუსეთის იმპერიას. მხარის კულტურულად დაპყრობა ითვალისწინებდა ქართველი ხალხის ეროვნული ფესვების ყოვლისმხრივ შეზღუდვას.

რუსეთის რეაქციული ძალები საგანგებო ღონისძიებებს ატარებდნენ ქართველი ერის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართული ენის მოსასპობად, ქართველი ერის დანაწილებისა და მისი სხვადასხვა კუთხის დასაპირისპირებლად, დედასამშობლოსაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად. რეაქციულ ძალთა მხრიდან უმკაცრეს დევნას განიცდიდა ქართული ენა, ქართული პრესა, ქართული წიგნი, ქართული თეატრი, რომლებსაც ცარიზმის მოხელეები ბრალად სდებდნენ „ეროვნული გრძნობების" გაღვივებას.

XX საუკუნის დასაწყისიდან თვითმპყრობელობამ კიდევ უფრო გაამკაცრა თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოში (32,102-106).

კულტურის დარგში გატარებული ანტიქართული ღონისძიებებით, ცარიზმი სულიერად ცდილობდა წინ აღდგომოდა ქართველი ერის კულტურული ერთობის განმტკიცების პროცესს, რათა გაეადვილებინა ქართველი ხალხის დაშლა-დანაწევრება და თითოეული მათგანის ასიმილაცია. ამ საქმეში წამყვანი ფუნქცია თვითმპყრობელობამ რუსული ეკლესიის კავკასიის უჯრედს — საქართველოს საეგზარქოსოს დააკისრა. ეს უკანასკნელი კი, თავისი აქტიური მოღვაწეობით რუსული პოლიტიკის გამარჯვებას უწყობ-

და ხელს, როგორც მთელს კავკასიაში, ისე საქართველოში.

თვითმპყრობელობის ეროვნული პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშანი იყო მცირე ერების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ მათ დაევიწყათ თავიანთი წარსული, გადაქცეულიყვნენ მრავალრიცხოვან რუს ერში, მომხდარიყო მათი ასიმილაცია. ამ მიზნის მისაღწევად, მთავრობამ ბევრი საშუალება გამონახა: სამოქალაქო სამსახური, სადაც საქმის წარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა; სამხედრო სამსახური, სადაც უკიდურესი თვითმპყრობელური აღმოსავლური წესები; ეკლესია, რომელსაც ცარიზმი თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ამოცანების გადასაჭრელად იყენებდა. მაგრამ უმთავრესი და ძირითადი საშუალება სკოლა იყო, საიდანაც მთელი სიმკაცრით იდევნებოდა მშობლიური ენა, ლიტერატურა, ისტორია, რასაც კი კავშირი ჰქონდა ერის საკითხთან. ასეთი ვითარება დიდ საფრთხეს უქმნიდა ეროვნული კულტურის განვითარება-წინსვლის საქმეს, იწვევდა მის მოღვაწეთა დაკნინებას და საერთო ჯამში, ერის გადაგვარებას (8, 227).

მეფის თვითმპყრობელობა სწავლა-განათლების საქმეს სახელმწიფოს ორი დიდი ბიუროკრატიული აპარატის – განათლების სამინისტროსა და უწმინდესი სინოდის მეშვეობით განაგებდა, რომელთა ქვემდებარე ორგანიზაციებს საქართველოში წარმოადგენდა „კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო" და საქართველოს საეგზარქოსო. ორივე დაწესებულების ხელმძღვანელობა დაინტერესებული იყო ახალგაზრდა თაობაში შთაენერგა ღვთის შიში, წმინდა ეკლესიის სიყვარული და მეფისა და მამულის ერთგულება და სამსახური (238).

რუსეთის იმპერიის განაპირა გუბერნიებში, რუსიფიკატორული პოლიტიკის იარაღად საეკლესიო-სამრევლო სკოლები გადაიქცნენ, რომელთა ქსელი უკიდურესი სისწრაფით იზრდებოდა. აქ, მთელი სიმძაფრით იდევნებოდა მშობლიური ენა. რუსულმა ბიუროკრატიამ, საქართველოს საეკლესიო სკოლებში უარყო მშობლიური ენის სწავლება და ამით ეროვნული ეკლესიის მოსპობას ლამობდა, რადგან იგი ეროვნული თვითშეგნებით ახალგაზრდობის აღზრდის სამჭედლოს წარმოადგენდა (119, №37, 579). ასეთი გზით, თვითმპყრობელობა ცდილობდა ქართველი ხალხის განათლებისა და ეროვ-

ნული კულტურისადმი მძაფრი ლტოლვის შეჩერებას, მათში ეროვნული თვითშეგნების აღმოფხვრას (55,50-51).

საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლების განკარგულებით, სასწავლებლების სასწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდისა და სასწავლო ენის კრიტიკის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ სასულიერო პირთ, რომლებიც უნდა დაქვემდებარებოდნენ აღნიშნულ საკითხთა შემსწავლელ საცენზურო კომიტეტს. საეგზარქოსოს აპარატის მკაცრი კონტროლით აკრძალული იყო პერიოდულ პრესაში სამრევლო სკოლების ცხოვრების ირგვლივ კრიტიკული წერილების გამოქვეყნება (50, 123).

საქართველოს მოსახლეობის დაბალ ფენაში სამრევლო სკოლებს ოდითგან უპირატესობა ენიჭებოდათ, რადგან ისინი სახელმწიფო სკოლებთან შედარებით იაფი და მოკლევადიანი იყო. აქ საგნები თავდაპირველად მშობლიურ ენაზე ისწავლებოდა. პედაგოგ-მასწავლებელთა ანაზღაურება უკიდურესად დაბალი იყო. ისინი უმეტესწილად დიაკვნები, სასულიერო სასწავლებლებისა და სემინარიების კურსდამთავრებულები, სასულიერო პირთა შვილები იყვნენ (30,62-65). მოგვიანებით, საეკლესიო-სამრევლო სკოლებშიც მდგომარეობა შედარებით გართულდა, აქაც გამეფდა მკაცრი, თვითმპყრობელური რეჟიმი, იდევნებოდა მშობლიური ენა და ადგილობრივი პედაგოგ-მასწავლებლები.

საქართველოს მოსახლეობის რუსიფიკაციის მიზნით, ხელისუფლებამ აქტიური ბრძოლა გააჩაღა ქართული ენის წინააღმდეგ. ქართული ენა აიკრძალა სახელმწიფო, სასულიერო და საერო სასწავლებლებსა და დაწესებულებებში. ქართველი პედაგოგები, რომლებიც ცდილობდნენ მოსწავლეებში დედაენის შესწავლის სურვილის გაღვივებას, აღრიცხვაზე აჰყავდათ და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ითხოვდნენ თანამდებობიდან; მიუხედავად ნამსახურევი წლებისა, პენსია არ ენიშნებოდათ და ის დრო, რომელიც მათ ქართული ენის სწავლებას მოანდომეს, პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟში არ ეთვლებოდათ.

მეფის მოხელეები ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიდნენ ისეთ ორგანიზაციებსა და პირებს, რომელთაც კითხვა-ლექციების მოწყობით ხალხის განათლება-გათვითცნობიერება ჰქონდათ განზრა-

ხელი. ამიტომ, მშობლიურ ენაზე მათი გამართვა-ჩატარება, ცარიზმის მიერ მკაცრად იკრძალებოდა (30,10).

ჯერ კიდევ 1885 წელს, სინოდის განკარგულებითა და საქართველოს ეგზარქოს პავლეს (1882-1887) მიერ საქართველოს სამრევლო სკოლებში დამტკიცდა ქართული ენის სწავლების სამწლიანი კურსი. 1903-1904 წლებში, საქართველოს საეპარქიო საბჭოს დადგენილებით, ქალაქის საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სწავლა პირველივე წლიდან რუსულ ენაზე იწყებოდა, ხოლო სოფლად, სადაც მხოლოდ ქართველი ბავშვები სწავლობდნენ, სწავლა პირველ რიგში დასაწყის სამ წელს ქართულ ენაზე წარმოებდა; პარალელურად, მიმდინარეობდა რუსული ენის სწავლებაც; ხოლო იმ სკოლებში, სადაც შერეული ეროვნების ბავშვები იღებდნენ განათლებას, სწავლა პირდაპირ რუსულ ენაზე, ე.წ. „მუნჯური მეთოდით“ უნდა წარმოებულიყო (100, № 144,2). აღნიშნული პროექტი, შემოღებულ იქნა საეპარქიო მეთვალყურის დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის მიერ. იგი ამ უმკაცრეს მეთოდს იმით ამართლებდა, რომ სახელმწიფო სკოლებში დიდი ხნის გაუქმებული იყო ქართული ენის სწავლება და ჯერი ამჟამად, საეკლესიო-სამრევლო სკოლებზე იყო მიმდგარი (103, № 45,1).

ქართული ენის სისტემატურმა და მიზანდასახულმა დევნამ, შესამჩნევად დასწია ქართველთა გონებრივი და საზოგადოდ სულიერი განათლების დონე, რამაც შეაფერხა სწავლა-განათლების გავრცელება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მიუხედავად ამისა, ცარიზმმა ვერ შეძლო მოესპო ქართველების ლტოლვა ეროვნული კულტურისაკენ (104, № 5,6).

რადგან რუსიფიკაციის ერთ-ერთ საშუალებას მოსახლეობაში ეკლესია წარმოადგენდა, შავრაზმელი სამღვდელოება დაჟინებით ითხოვდა ქართულ ეკლესიებში ღვთისმსახურების სლავურ ენაზე ჩატარების უფლებას. მთავრობის ამ ღონისძიებამ, საზოგადო სენად აქცია წირვა-ლოცვის საქმე სასულიერო პირის ხელში, რომელიც ჯერ ქართულ, შემდეგ კი სლავურ ენაზე გრძელდებოდა (118, 629-630). დროთა ვითარებაში, საქართველოს ეპარქიებში და მასზე დაქვემდებარებულ ეკლესია-მონასტრებში წელიწადში ერთხელაც კი ვერ სრულდებოდა ღვთისმსახურება მშობლიურ ენაზე, რაც მოსახლეობას თანდათანობით აშორებდა ეროვნულ ეკლესიას (120,11).

უცხო ენაზე ღვთისმსახურებამ და საეკლესიო მმართველობის უცხო წესმა შეასუსტა სამღვდელოების კავშირი მრევლთან, შეანელა სარწმუნოების გავლენა ხალხზე და მორწმუნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაშორა მას. თვითმპყრობელობის ქართული ენისადმი აგრესიულმა პოლიტიკამ განსაკუთრებული გამოვლინება აფხაზეთის რეგიონში ჰპოვა.

ქართული კულტურული ნაკადისა და გავლენის შესაწყვეტად, გარდა ადმინისტრაციული მეთოდებისა და ღონისძიებებისა, მთავრობა შენიღბულ კულტურულ საშუალებებსაც მიმართავდა. იგი შეეცადა მეგრული და სვანური ანბანებისა და დამწერლობის შექმნით აღეკვეთა ამ ადგილებში ქართული კულტურის გავლენა და ამის შედეგად გაეადვილებინა რუსიფიკატორული რეჟიმის გატარება.

ქართულ საეკლესიო გალობას უძველესი ისტორიული ტრადიცია აქვს. ამ საქმეს ქართველი კაცი ოდითგან დიდი ხალისით მისდევდა და საზოგადოებაშიც ერთობ დაფასებული იყო. საეკლესიო მგალობლებს ეძლეოდათ სათანადო სარჩო-საბადებელი, საეკლესიო ჯილდოები და გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ ხალხში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცნობილი იყვნენ მგალობელნი, კერძოდ, თბილისში – მესხიანი, გაბაშვილები, სულხანიანი; მცხეთაში – ლუხუმიშვილები, ქადაგიძენი; სამეფო კარზე – ხელაშვილები, არქიმანდრიტი გერმანე (ანთაძე) ძმებით; სამთავისში – ყანჩაველნი, ქარუმიძეები, პარკაძეები, მალალაშვილები; მარტყოფში – ჭილაშვილები; თოთამისშვილები; დავით გარეჯში – ეჩნაძეები, გარსევანიშვილები, შანაბლები; გელათში – კანდელაკები; ხონში – ქუთათელაძეები; მარტვილში – დადიანები; შემოქმედში – გოგიტიძენი, მაჭუტაძენი და სხვ. (280,80,1).

დიდი თანაგრძნობითა და ხოტბა-დიდებით იხსენიებდნენ ქართულ სასულიერო გალობას XIX-XX საუკუნეების რუსი კომპოზიტორები და მუსიკის მცოდნენი, სახელდობრ მ. იპოლიტოვ-ივანოვი, ი. კლენოვსკი, ვ. სმოლენსკი და სხვ. (92,64). ქართული საეკლესიო გალობის მიმართ ერთგვარ მზრუნველობას იჩენდნენ ზოგიერთი საქართველოში მოღვაწე რუსი ეროვნების საერო, თუ სასულიერო მოღვაწენიც. მაგალითად, საქართველოს ეგზარქოსის ალექსი I-ის (1901-1905) მიერ სპეციალურად შედგენილ იქნა სახელმძღვანელო ქართული სა-

ეკლესიო გალობის შესასწავლად (101, № 130,2), ხოლო კავკასიის მთავარმართებელს გ.ს. გოლიცინს ქართლ-კახეთის სამღვდელოებისათვის გადაეცა 1000 მანეთი ქართული საეკლესიო გალობათა ნოტების გამოსაცემად (102, № 184,1).

ქართულ საეკლესიო გალობას ბევრი მტერიც ჰყავდა, როგორც რუსი ეროვნების, ისე ქართველთაგანაც. ცნობილია, რომ ერთ-ერთმა საქართველოს ეგზარქოსმა ქართულ საეკლესიო მუსიკას „ძაღლის ყეფა" უწოდა (92,64). ქართველმა თავადმა ციციანოვმა კი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ანტონ II-თან წერილში ქართულ საეკლესიო გალობას „თხის კიკინი" უწოდა და კათალიკოსს ურჩევდა რუსული საეკლესიო გალობის შესწავლისათვის მიეყო ხელი (233, № 51-52,7).

XX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს ეგზარქოსთა შუამდგომლობის საფუძველზე, უწმინდეს სინოდს სასულიერო სასწავლებლებში ჯერ შეუმცირებია საეკლესიო გალობის გაკვეთილები (100, № 93,1), ხოლო მოგვიანებით კი, ისინი რუსულ საეკლესიო გალობის გაკვეთილებისათვის დაუთმია. რუსული ენის უცოდინარობის გამო, აღსაზრდელები ქართულ ენაზე რუსული ნოტებით ასწავლიდნენ გალობას და ასეთი გზით ამახინჯებდნენ და საერთოდ სპობდნენ ქართულ საეკლესიო ბგერებსა და ხმებს (158, № 19,8). გარდა ამისა, საეგზარქოსო საეკლესიო-სამრევლო მგალობელ პედაგოგთა კადრების ნაკლებობასაც განიცდა. მაგალითად, თბილისში მხოლოდ ერთი ვინმე ჩარკვიანი, ხოლო რუსულ სკოლაში მოღვაწეობდა ვინმე ივანოვი (188, № 7, 120-11). ყოველივე კი, გამოწვეული იყო უცხო ერის საეკლესიო მუსიკის ზეგავლენით, რამაც გააუცხოვა ქართული საეკლესიო საგალობელი საერო წრეების საზოგადოებისათვის (99, № 90,1). ეკლესიებში ქართველი მრევლი აღარ ესწრებოდა ღვთისმსახურებას, რადგან იქ არც ქართული ენა და არც მშობლიურ ენაზე შესრულებული საგალობელი ისმოდა (99, 6235,2; 101, № 268,2; 156, 640).

სხვადასხვა ხასიათის უძველეს, უნიკალურ ქართულ საეკლესიო და ისტორიულ ძეგლებს დაკარგვის სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. განსაკუთრებული საშიშროება შეიქმნა XIX-XX საუკუნეებიდან, როდესაც თვითმპყრობელური რუსეთის მზაკვრული ხელი ქართული კულტურის ძეგლებსაც შეეხო; ათასობით ძვირფასი ნივთი იკარგებოდა

და ნადგურდებოდა. საქართველოდან უწყვეტ ნაკადად გაედინებოდა ერის საგანძური და თაობებისათვის იკარგებოდა.

ცარიზმისა და საეგზარქოსოს სამოხელეო აპარატი დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა ეროვნული პრესის დაარსებასა და პუბლიცისტიკის განვითარებას. საერო და სასულიერო ხელისუფლება უმკაცრესი მეთოდებით სდევნიდა ეროვნული გამოცემების ამ მეტად მნიშვნელოვან საშუალებას და ყოველთვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს სახავდა. ისინი სთვლიდნენ, რომ ასეთი სახის გამოცემები გადაიქცეოდნენ სხვადასხვა სახის ნაციონალურ იარაღად ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში (16,247). თვითმპყრობელობას ამ საქმეში აქტიურად უჭერდა მხარს ქართველი რეაქციული სამღვდელოება. მათ შორის გამოირჩეოდა ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე, რომელიც იქადნებოდა, რომ მთავრობას ყველა ქართულ ენოვან ჟურნალ-გაზეთის დაახურინებდა და ამით ამოძირკვავდა ქართველი ერის თავისუფლებისადმი მისწრაფებას (133,7).

ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით, მთავრობის პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად და მათთვის სათანადო მიმართულების მისაცემად, თვითმპყრობელობამ ცენზურა დაარსა. მართალია, თავისი პოლიტიკის საზოგადოებაში დანერგვისათვის, რუსეთის ხელისუფლებას ჟანდარმერია ჰყავდა, მაგრამ საცენზურო დაწესებულების მოღვაწეობა, ამ შემთხვევაში, იმით იყო საინტერესო და საყურადღებო, რომ იგი სდევნიდა არა მარტო საზოგადოების საქმიანობას, არამედ, მათ აზრს, იდეურ მიმართულებას.

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში მიმდინარე მძლავრმა საერთო სახალხო დემოკრატიულმა მოძრაობამ თვითმპყრობელობას გააქტიურებულ ღონისძიებების გატარებისაკენ უბიძგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საეკლესიო საცენზურო კომიტეტის ამ კუთხით საქმიანობა.

1908 წლის 7 მაისს უწმინდესი სინოდის განკარგულებით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბაზაზე დაარსდა საცენზურო კომიტეტი ქართულ ენაზე სასულიერო პერიოდული ლიტერატურის გამოცემისათვის. კომიტეტის უფროსად დინიშნა პროტოიერეი მარკოზ ტყემალაძე, ხოლო მდივნად სინოდალური კანტორის მსახური მიხეილ მონასელიძე (272, 26974,6). ამ პერიოდიდან მოყოლებუ-

ლი, მკაცრი ცენზურის გამო, სასულიერო და საერო გამოცემების ფურცლებზე შეზღუდვით, მაგრამ მაინც იბეჭდებოდა ქართული ეკლესიის თანამედროვე ცხოვრების ამსახველი სიუჟეტები.

თვითმპყრობელობისადმი პროტესტის ნიშნად, ქართველი სამღვდელოება უარს აცხადებდა რუსეთის სასულიერო უწყების მთელ რიგ გამოცემათა გამოწერაზე, კერძოდ საქართველოში გამომავალ „სასულიერო უწყებასა" და „საქართველოს საეგზარქოსოს მოამბეზე". სამღვდელოების აღნიშვნით, ეს გამოცემები ინტერესმოკლებული იყო ქართველი სასულიერო ფენისათვის, რადგან მათგან არც ერთში არ აისახებოდა ქართველი ერის ჩვეობრივი ცხოვრება და მისი ნამდვილი სახე; საზოგადოებრივი და სარწმუნოებრივი მოღვაწეობა და მისი მნიშვნელობა ერის შემდგომი განვითარებისათვის (134, № 35,4). ქართველი სამღვდელოების ეს პროტესტი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი ფაქტი იყო იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ცარიზმის ოფიციალური წარმომადგენლების გარდა, იყო დიდი ჯგუფი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისა, რომლებიც ქართველ მოწინავე მოღვაწეებს მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში გვერდში ედგნენ (48,43). „ქართველებს ყოველთვის მესწყეელათ ნიჭი და უნარი მეცნიერებისა და მისდამი სწრაფვა, რომლისაც კი მათ თავისუფლება და საამისო შესაძლებლობა გააჩნდათ" (64,71). რუსი ეროვნების მოაზროვნენი ხალად და სწორად აფასებდნენ არსებულ მდგომარეობას და სათანადოდ გასაჩლერავდნენ საქართველოში კულტურის განვითარების მაღალ მაჩვენებლებს.

რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციისა და სასულიერო წოდებას დღის სინათლეზე გამოჰქონდათ მთავრობისა და რუსი სამღვდელოების ბნელი საქმიანობა საქართველოში. მათი აღნიშვნით, სასულიერო მოღვაწენი შოვინისტური გრძნობებით ტაძრებსა და მონასტრებში შეგნებულად ანადგურებდნენ ფრესკებს, წარწერებს, კედლის მხატვრობას, რათა ყველგან ეროვნული კვალი წაეშალათ. ამ მხრივ, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გამოიჩინა რუსმა მხატვარმა ვ.ვ. ვერეშჩაგინმა. იგი თავდადებით ექომაგებოდა და იცავდა ქართულ ეროვნულ კულტურას მაერამზელი სამღვდელოებისაგან და იმ პერიოდის ცენტრალური პრესის ფურცლებზე სათანადო წერილებს აქ-

ვყუნებდა (218,2). ვერეშჩაგინი გულისტკივილით აღწერს რუსი ბერების ბარბაროსულ საქციელს ახალი ათონის, ბიჭვინთის, სვეტიცხოვლის, ალავერდის, ქაშვეთისა და სხვა ძეგლების მიმართ (164, №584,1).

ქართული კულტურის დიდი მოსარჩლე ნიკოლოზ დურნოვო მთელი შეგნებით ეხმიანებოდა ქართულ ეროვნულ ხელოვნებას, რომელიც საუკუნეების წარღვნას გადაურჩა და ცარიზმის მსახურთა მსხვერპლად იქცა. იგი აღნიშნავდა: „საქართველოს ყველა კუთხიდან ისმის ძველი ტაძრების დაქცევა, მათი მშვენიერი ხუროთმოძღვრების და ქანდაკების ნაწარმოების გადაკეთება, განადგურება და აოხრება" (164, №586,1).

ქართველი საზოგადოება დიდად აფასებდა პროგრესულად მოაზროვნე რუსი საზოგადოების თანადგომას და ყოველმხრივ ცდილობდა აღნიშნულის დაფასებას. ცნობილია, რომ ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების დადგენილების თანახმად, მადლობა გამოეცხადათ ნიკოლოზ დურნოვოს საქართველოს ეკლესიის გამოქომაგებისათვის რუსული გაზეთების „რუსისა" და „რაზსვეტის" რედაქციებს აღნიშნული წერილების გამოქვეყნებისათვის. ისევე პატივი მიაგო ქართველმა სამღვდელოებამ და სასულიერო უწყებამ რუსეთში მოღვაწე ქართველ პროფესორს ნიკო მარს ქართული ეკლესიისა და ქართული კულტურის ისტორიების შესწავლისათვის (167, №2837,3).

რუსი საზოგადოებრიობის თანადგომა, ქართველ სასულიერო ფენას კიდევ უფრო აღაფრთოვანებდა მის ეროვნულ საშურ და ძნელ საქმიანობაში.

ქართველი ხალხი, მისი პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი კარგად ხედავდა თვითმპყრობელობის პოლიტიკით შექმნილ დიდ ეროვნულ საშიშროებას, რომელიც წალეკვითა და გადაგვარებით ემუქრებოდა ქართველობას, მის ისტორიას, ეკლესიას, ენას და ა.შ. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ ერის საუკეთესო ძალები წინ აღდგომოდნენ ანტიქართულ ამ ტალღას და ცარიზმის ამგვარი პოლიტიკისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოეცხადებინათ. მათ კარგად უწყოდათ, რომ ეროვნული თავისებურებანი აქცევდნენ ამა, თუ იმ ხალხს კეთილმოსურნისა და სარგებლიანს სხვა ერებისათვის სწორედ კულტურის სფეროში (187, №4, 18). მათ თავიანთ მიზნად დაისახეს ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კულტურულ-ეროვნული

იდეალების შენარჩუნება-განვითარებისათვის ბრძოლა და საამისოდ საჭიროდ მიიჩნევდნენ ქართველ ერში რუსიფიკატორული პოლიტიკით გამოწვეული ეროვნული განცალკევებისაკენ მისწრაფების აღმოფხვრას, რაც ეროვნული კულტურის უარყოფის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო (104, № 15,7).

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი როლი ენიჭებოდა ქართულ ეროვნულ ძალებს. მის ისეთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, როგორებიც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", საეთნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოება, ქართული თეატრი, ქართული დრამატული საზოგადოება, საადგილმამულო ბანკი და ბოლოს, ერის სულიერი საუნჯე – ქართული ეროვნული ეკლესია (35,648-649).

რეაქციულ ძალებს დაუპირისპირდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, დავით ყიფიანი; ქართული ეკლესიის თავდადებული მამანი კირიონ საძაგლიშვილი, ლეონიდ ოქროპირიძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, ანტონ კეკელია, გაბრიელ ქიქოძე, ფილადელფოს კიკნაძე, გიორგი ალადაშვილი, დავით კაჭახიძე, პიროს ოქროპირიძე, ანტონ გიორგაძე, დიმიტრი მარღანია, სვიმონ ნიდია, სიმონ მჭედლიძე და სხვ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნიდან, ქართული ეკლესიის მოწინავე ნაწილი კიდევ უფრო მეტად ჩადგა ქართული კულტურის გადარჩენისათვის მებრძოლთა რიგებში. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ცდილობდა იდეოლოგიურად გაეერთიანებინა ქვეყნისათვის ყველა მებრძოლი.

– ქართული ეკლესიის მთელი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ერის კულტურის ისტორიასთან (25,1) – „თუ ქართველებმა შეინარჩუნეს თავიანთი ნაციონალური ენა და საზოგადოების ლიდ ოჯახში არსებობენ როგორც დამოუკიდებელი ხალხი, ეს მთლიანად განსაზღვრულია ქრისტიანობით", – სამართლიანად აღნიშნავდა ჟურნალი „მწყემსი" (121,7).

მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, ქართველი სასულიერო

ფენა პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას: მეს-ვეურობდა ერს განათლების საქმეში; მან შექმნა სასულიერო ლი-ტერატურა, თავისებური ხუროთმოძღვრება, სასულიერო მუსიკა და სხვ. (167, № 2920,2). ცნობილი ქართველი თეოლოგი პოლიევქტოს კარ-ბელაშვილი შენიშნავდა: „სასულიერო წოდებას უნდა უმადლოდეს ქართველი ერი თავისი ძველი წარმატებული კულტურისათვის. წე-რა-კითხვის შემუშავება, ყრმათა სასწავლებლისა გახსნა ეკლესიებ-თან და მონასტრებში, მოძღვარნი და მასწავლებელნი, მეცნიერნი და მთარგმნელნი, აღორძინება სამშობლოს მწერლობისა, მხატვრობა, ხუ-როთ-მოძღვრება, მრავალი ხელოვნება, ერის ზნეობრივი განსპეტა-კება და სხვა – ყველა ამის მიზეზი და მოთავე იყო დიდად მოღვაწე სასულიერო წოდება" (37, 49).

XIX-XX საუკუნეების საქართველოს კეთილდღეობისათვის დამაშ-ვრალ სასულიერო პირთა შორის უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშ-ნოს ქართველი ისტორიკოსისა და არქეოლოგის, საქართველოს კა-თალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის (ერისკაცობაში საძაგლიშვილი) მოღვაწეობა.

გიორგი საძაგლიშვილი 1855 წლის 1 იანვარს დაიბადა გორის მაზ-რის სოფელ ქვემო ნიქოზაში. პირველდაწყებითი განათლება მამამ მიაბარა ანანურის ეკლესიაში გახსნილ სკოლაში. გორის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, იგი სწავლას აგრძელებს კიევის სასულიერო აკადემიაში, რომ-ლის დამთავრებისთანავე ინიშნება თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1894 წლიდან კირიონი მუშაობას იწყებს სამშობლოში, კერძოდ თბილისის ქალთა ეპარქიალური სასწავლებ-ლის ზედამხედველად. მოგვიანებით, არჩეულ იქნა ჯერ გორის, შემ-დეგ ალავერდის და სოხუმის ეპისკოპოსებად.

1906 წლიდან, ეპისკოპოსი კირიონი ქართული ეკლესიის დამოუ-კიდებლობისათვის ბრძოლის გამო, მეფის მთავრობის მიერ დასჯისა და სამშობლოდან გაძევების მიზნით, განწესებულ იქნა რუსეთში და სხვადასხვა დროს მუშაობს ჯერ კამენეც-პოდოლსკში, შემდეგ ლიტ-ვაში, პოჩაევსკის მონასტერში წინამძღვრად, ხერსონის ეპარქიის, პო-ლოცკისა და ვიტებსკის ეპისკოპოსად (47, 294-297).

რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის კირიონმა მრა-

ვალი დამცირება, შეურაცხყოფა გადაიტანა. წლების მანძილზე მას ჩამორთმეული ჰქონდა ღვთისმსახურებისა და პენსიის მიღების უფლება (87,2). მას სამშობლო და მისთვის თავგანწირვა სანუკვარ საქმედ მიაჩნდა. „მაშინ ჩაითვლები, — წერდა კირიონი, — ადამიანად, თუ სამშობლოს სათაყვანებელ ხატად გახდი" (147, 390. VIII.,10).

კირიონი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა თავის სამშობლოში. იმდენად დიდი იყო მისდამი რწმენა, რომ რუსეთში მისმა გადასახლებამ და სასულიერო წოდების ჩამორთმევამ, უამრავ ადამიანს და მათ შორის აკაკი წერეთელსაც თავზარი დასცა — „კირიონის ამბავმა ლახვარი გამიყარა!... რაც იმედები მქონდა, სულ გამიქარწყლდა..." (147,30.VIII.,10) — ამბობდა აკაკი.

კირიონის დიდი ავტორიტეტი თავისი ქვეყნის ფარგლებს სცილდებოდა და პროგრესულად მოაზროვნე მთელი საზოგადოებრიობას მისი ბედი აწუხებდა. შორეულ რუსეთში კირიონის გადასახლებას აქტიურად გამოეხმაურა ბელგიის „კაცთა უფლების ლიგის" თავმჯდომარე ჟორჟ ლორანი, რომელმაც ოფიციალური წერილით მიმართა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოვს კირიონის შეწყნარებისათვის (90, №66,2).

შორეულ მხარეში გადახვეწილ ქართველს, იქაც სამშობლოს ბედი აწუხებდა, დღენიადაგ მასზე ფიქრში იყო. კირიონი მოუწოდებდა ქართველ სამღვდელოებას და საერთოდ საქართველოს საზოგადოებრიობას ერთიანი ბრძოლისაკენ სამშობლოსა და ეკლესიის განთავისუფლებისათვის. მძიმე სნეულით შეწუხებულ მოღვაწეს ერთად-ერთ ნუგეშად ქვეყნის განთავისუფლებისათვის აქტიური ბრძოლა მიაჩნდა — "... თუ მანდიდან ექსორიობასა შინა მყოფს შემომესმა, რომ ერთგულად შრომობთ, მეც აქ გული დამიმშვიდდება, ტანჯვა შემიმსუბუქდება..." (278,40,5).

კირიონმა კარგად იცოდა ეკლესიის როლი და გავლენა ქართველთა ისტორიაში და ამიტომ ამბობდა: „ნურვინ იტყვის, რომ ეკლესიამ თავისი დრო მოჭამა, რომ ეხლა არა კულტურული, არამედ ანტიკულტურული ძალაა; მას კიდევ შესწევს იმდენი ძალა, რომ ხალხს ემსახუროს, გაუნათოს მას გზა უმჯობესი მომავლისაკენ... მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი განმტკიცება-გაერთიანებას რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენ ეპოვოთ შესაფერისი და დამსახურებული ადგილი..." (147,

30. VIII.,10). ასეთ ფუნქციას აკისრებდა კირიონი ქართულ ეკლესიას და მთელ თავის ძალ-ღონეს და ენერგიას მშობლიური ეკლესიის წარსულის კვლევას ანდომებდა; ზრუნავდა მისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. საამისოდ, კირიონს სასულიერო ხელისუფლებისაგან ხელშეწყობა არ ჰქონია, პირიქით, მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა მეუფის მეცნიერული მოღვაწეობა და 1902 წელს უარს უცხადებს იერუსალიმში წასვლაზე, სადაც მას ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლა-დამუშავება სურდა (164, № 1833,1).

კირიონი ნაყოფიერ მეცნიერულ კვლევას ეწეოდა საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის დარგებში. მან მრავალი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა ქართულ ფოლკლორისტიკას და იგი გაამდიდრა უნიკალური ძველი მასალებით. წლების მანძილზე, კირიონს ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყველა კუთხე და მოიძია არა ერთი ძნელად ხელმისაწვდომი ნივთი, საბუთი, თუ სიგელ-გუჯარი. თავისი სამეცნიერო გამოკვლევებით, კირიონ საძაგლიშვილი ცდილობდა რუსეთის საზოგადოებისათვის გაეცნო საქართველოს ისტორიული წარსული, მისი დიდი მნიშვნელობა და ადგილი მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში. კირიონის სამეცნიერო მოღვაწეობა მთლიანად მიმართული იყო თავისი სამშობლოს თავისუფლების მოპოვებისა და მისი შემდგომი განვითარება-წინსვლისათვის ბრძოლისაკენ. მისი ყოველი სამეცნიერო გამოკვლევა ასაბუთებდა ქართველი საზოგადოებრიობის იმ მოთხოვნათა სამართლიანობასა და ჭეშმარიტებას, რომელსაც მთელი ერი შეგნებულად უყენებდა რუსეთის თვითმპყრობელური აპარატის ხელმძღვანელობას.

კირიონ საძაგლიშვილის ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობაზე მეტყველებს მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომები, გამოკვლევები, მონოგრაფიები, თუ პუბლიცისტური წერილები: „ქართული ეკლესიის ისტორია“ (1901), „ივერიის კულტურული როლი რუსეთის სტორიისათვის“ (1910), „დავით გარეჯელი და მისი მღვიმე“ (1901), „ქართველი სამღვდელოებისა და ეკლესია-მონასტრების როლი საზოგადოებისა და ეროვნული ეკლესის წინაშე“ (1899) და სხვა მრავალი. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული ნარკვევები სვეტიცხოვლის, შუამთის ძველი და ახალი მონასტრების, ანანურის მიძინე-

ბის და წრომის ამაღლების ტაძრების სიძველეთა შესახებ; გამოკვლევები სხვადასხვა სასულიერო და ისტორიულ პირებზე და სხვ.

კირიონის დიდებული სამეცნიერო მოღვაწეობა აღაფრთოვანებდა რუს მეცნიერებსაც და მისდამი უდიდესი პატივისცემით განაწყობდა. როდესაც ჟურნალ „ბოგოსლოვსკიე ვესტნიკის" რედაქტორს პროფესორ გლუბოკოვსკის ჟურნალში მიმოუხილავს კირიონ საძაგლიშვილის სალიტერატურო ნაშრომები და ამის გამო სინოდის ობერპროკურორ როგოვიჩის შენიშვნა დაუმსახურებია, პროფესორს შემდეგი სიტყვებით მიუმართავს მისთვის: „მე, არასოდეს ერთმანეთში არ ურევ პოლიტიკასა და მეცნიერებას, ხოლო ეპისკოპოს კირიონის სამეცნიერო მოღვაწეობა ყველგან და ყველასგან დაფასებულია" (91,2).; ასეთი ავტორიტეტით სარგებლობდა კირიონი თვით თავის ოპოზიციურ ბანაკშიც კი.

კირიონ საძაგლიშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული საეკლესიო მხატვრობის აღდგენის საქმეში. მისი განკარგულებით, ალავერდის ტაძრის კედლებიდან ჩამოცილებულ იქნა თეთრი სადებავი, რომლითაც დაფარული იყო ძველი ქართული კედლის მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები. მისი მეცადინეობით აღდგა არა ერთი ეროვნული ხატის პირვანდელი სახე და დაუბრუნდა თავის ერს (162, № 1241,2).

კირიონი თავის პირად საქმიანობასთან და სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, აქტიურ და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. 1899 წლიდან, იგი არჩეულ იქნა მოსკოვისა და კიევის არქეოლოგიური და ქართული ფილარმონიული საზოგადოებების საპატიო წევრად. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეში. მის სახელთან არის დაკავშირებული კახეთის დედოფალ თინათინის დაკარგული საფლავის აღმოჩენა. მისი ინიციატივით ჩატარდა მცხეთის ტაძრის აღდგენა-რესტავრაცია, ალავერდის ტაძრის შეკეთება, საეკლესიო ბიბლიოთეკებისა და მუზეუმის ჩამოყალიბება და სხვა მრავალი (278,1,2).

კირიონის ცხოველი შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებდა გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მოღვაწეებთან. მისი წერილები დიმიტრი ყიფშიძის, პოლიევქტო კარბელაშვილის, პეტრე სმირნოვის, გიგა ყიფშიძის, ტრიფონ ჯაფარიძის, იოსებ ჩიჯავაძისა და სხვათა მი-

მართი საქმეა სამშობლოსადმი სიყვარულითა და თავდადებით.

კირიონ საძაგლიშვილის მნიშვნელოვან ზრუნვის საგნად იყო ქართული უცხოეთში მოღვაწე ქართველი სტუდენტების მდგომარეობა. მღვდელმთავარი დიდი მონდომებით იღწვოდა გორის მაზრაში სარეწების განვითარებისათვის. მისი მზრუნველი ხელი არც აფხაზეთის ქართველობას მოჰკლებია, რომელსაც მღვდელმთავარი ყოველნაირად ცდილობს სოხუმის ქართველ მოსახლეობას მართლმადიდებლური ქართული ეკლესია აუშენებინოს. მნიშვნელოვანია კირიონის ბრძოლა თბილისის სასულიერო სემინარიაში ქართული ენის სწავლების შემოღებისათვის. ასევე, აღსანიშნავია, მის მიერ კავკასიის სასულიერო სასწავლებლების გარდაქმნის პროექტის შემუშავებაც.

ყველგან, სადაც კი კირიონ საძაგლიშვილს უხდებოდა მოღვაწეობა თავის გულისხმიერ ყურადღებას არ აკლებდა ადგილობრივ მოსახლეობასა და მათ მხარეს; ღვთისადაგ მრევლის ინტერესების დაცვისათვის იღწვოდა. ამისი შესანიშნავი დასტურია პოლოცკის ქალთა სასწავლებლის გამგეობის მადლობის წერილი კირიონისადმი, რომელმაც განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა სასწავლებლისადმი.

(კირიონ საძაგლიშვილს, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე გვერდს უმშვენებდა ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ეპისკოპოსი ლეონიდ ოქროპირიძე.)

ლეონიდ ოქროპირიძე დაიბადა 1861 წელს გორის მაზრის სოფელ დისევში. მისი ბიძა იყო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე. თბილისის სასულიერო სასწავლებლისა და სტავროპოლის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც სწავლის პერიოდშივე აღიკვეცა ბერად. აკადემიის დამთავრებისთანავე, საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ ლეონიდი დანიშნა „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების აღმდგენელი საზოგადოების" მისიონერად და მისი სკოლების ინსპექტორად. ამ დროიდან იგი მისიონერობს საინგილოში, ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთისა და ოსეთის რეგიონებში (24,5-6). მისი მეცადინეობით, საქართველოს რიგ მთიან რაიონში დაარსდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები (182,№ 8,9,21-22).

1900 წლის ზაფხულში, ლეონიდი ეგზარქოსის მაგიერ განაგებდა

საეგზარქოსოს, რომლის დროსაც მას გორის ეპისკოპოსის კათედრა ეკავა. ამავე დროიდან, იგი იმერეთის ეპისკოპოსად განაწესეს.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის გამო, ლეონიდი, კირიონის მსგავსად მთავრობის მხრიდან დევნას განიცდიდა. ხშირი იყო მისი დასმენა სასულიერო უწყებაში, რის გამოც იგი განდევნეს სამშობლოდან და წლების მანძილზე ჩამოართვეს ღვთისმსახურების უფლება (90, №203).

ეპისკოპოსი ლეონიდი, მშობლიური ეკლესიის თავისუფლებისათვის დაუღგრომელი მებრძოლია, რაც ნათლად შეინიშნება მის პუბლიკაციებში; დიდია მისი წვლილი საზოგადოებრივ საქმეშიც. წლების განმაელობაში იგი ხელმძღვანელობდა თბილისის საეკლესიო და ისტორიულ ნივთთა სიძველეთ-საცავსა და სასულიერო წოდების ღარიბთა სამზრუნველოს (24,13-14).

ეპისკოპოს ლეონიდის მზრუნველი ხელი არ მოკლებია არც ქართველ მაჰმადიანებს, რომელთა ყოფა ცხოვრებისა და მშობლიურ რწმენაზე დაბრუნების საქმეს, მან უდიდესი ენერგია და ძალისხმევა მოანდომა.გამოირჩეოდა ლეონიდის ქადაგებანიც ქართველ წმინდანთა შესახებ, რომლის ძალითაც იგი ქართველ მრევლში სამშობლოსა და მართლმადიდებლობის რწმენას აღვივებდა. მის პუბლიკაციებში აშკარად წარმოჩინდებოდა ეროვნული ეკლესიის თავისუფლებისათვის ბრძოლა და ეროვნულ ძალთა ამ საქმეში გაერთიანებისათვის თავედაუზოგავი მეცადინეობა. ეპისკოპოს ლეონიდის ქადაგებანი სისტემატურად იბეჭდებოდა საეგზარქოსოს ეპარქიათა სტამბებში და დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა მრევლში (47,391-294).

აღსანიშნავია ლეონიდ ოქროპირიძის ქველმოქმედებითი მუშაობაც ეროვნული ეკლესიის საკეთილდღეოდ. როდესაც იგი „მცხეთის ტაძრის განმაახლებელი კომიტეტის" რიგით წევრად აირჩიეს, მისი ძალისხმევით, ამ საქმისათვის მოსახლეობიდან აიკრიფა 70 000 მანეთი. მან განაახლა ქორმუხის, თასმალოს, ყორნისის, თიღვის, საფარის და სხვა მონასტრები.

ქართული კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართველ სასულიერო მოღვაწეს ეპისკოპოს გიორგის (ერისკაცობაში ალადაშვილი).

გიორგი ალადაშვილი 1905 წელს დანიშნეს ჯერ გურია-სამეგრე-

ლის ეპისკოპოსად, ხოლო 1908 წლიდან იმერეთის ეპისკოპოსის კათედრაზე აიყვანეს (93,2). მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენა — ქუთაისის სასულიერო სემინარიის გახსნა, რომლის დახურვის შემდგომ, მისი აღდგენისათვის ბრძოლას შეალია მხცოვანმა მეუფემ მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება (135, №56,4).

ეროვნული სახელმწიფოს და ეროვნული ეკლესიის ინტერესებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგებს ამშვენებდა დიდი ქართველი სასულიერო პირი ამბროსი ხელაია.

ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონი) ხელაია (1861-1927) ყაზანის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1901 წელს ბერად აღიკვეცა და ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად დაინიშნა. 1904 წლიდან, იგი თბილისში გადაიყვანეს ამაღლების მონასტრის წინამძღვრად და უწმინდესი სინოდის წევრად აიყვანეს (212,222).

მთელი თავისი შეგნებული მოღვაწეობა ამბროსი ხელაიამ რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ წარმართა. იგი აქტიურად გამოდიოდა მაერაზმელი გოლუბცოვისა და ეპისკოპოს არსენის (იზოტოვი) წინააღმდეგ, რომლებიც აფხაზ ხალხში ქართველი ერის სიძულვილს თესავდნენ და ამ ორ მეგობარ ერს ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართავდნენ.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, ამბროსი ხელაია თავდაუზოგავად იბრძოდა სხვა ქართველ სასულიერო პირებთან ერთად ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნებისათვის. დაუცხრომელი მოღვაწის პოლიტიკური საქმიანობიდან ჩამოცილებისა და თავიდან მოცილების მიზნით, სინოდმა მას საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობის ცილი დასწამა და შორეულ რუსეთში გადაასახლა. მართალია, მას ეს ბრალდება 1911 წელს მოეხსნა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება ხელისუფლებამ მაინც არ მისცა, როგორც თვითმპყრობელობის რეჟიმისათვის საშიშ პიროვნებას.

ამბროსი ხელაიას სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდგომ მოხერხდა. იგი ჯერ ჭყონდიდის მიტროპოლიტად აირჩიეს, შემდეგ ცხუმის (სოხუმის) მიტროპოლიტად განა-

წესეს აფხაზეთში, ხოლო 1921-1927 წლებში, მას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ტახტი ეკავა.

დიდია ამბროსი ხელაიას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ჰორიზონტი. იგი პოლიტიკურ საქმიანობას მოხერხებულად და შესანიშნავად უფარდებდა სამეცნიერო მოღვაწეობასაც; გულდასმით სწავლობდა ქართულ ისტორიულ საბუთებს. მან აღმოაჩინა ჭყონდიდის „მოქცევაი ქართლისაის" ახალი ვარიანტი, რომლის ირგვლივაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე ერთობ საინტერესო სამეცნიერო მოხსენებაც წაიკითხა. ამბროსი ხელაიას კალამს ეკუთვნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახის მნიშვნელოვანი ნაშრომი „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელიც 1915-1917 წლებში იბეჭდებოდა ქართული ჟურნალების „განთიადისა" და „ცხოვრების" ფურცლებზე (146, 8-9).

ამბროსი ხელაია, ფსევდონიმის „ამბერის" სახელით სისტემატიურად აქვეყნებდა სხვადასხვა სახის პუბლიცისტურ წერილებს პოლიტიკაზე, კულტურაზე, ქართული ეკლესიის წარსულსა და იმდროინდელ მდგომარეობაზე. ამ მხრივ, საინტერესოა მისი პუბლიკაციები რუსულენოვან გამოცემა „პეტერბურგსკიე ვედომოსტის" ფურცლებზე და ა.შ. (212,222).

ქართველი მღვდელმთავრების გვერდით აქტიურად იღწვოდნენ დაბალი რანგის სასულიერო პირნიც: მიხეილ მახათაძე (90, № 252,1), იონა ნაჭყებია, ამბაკო თოფურიძე, მედავითნენნი სვიმონ ნოდია, სამსონ კვაჭანტირაძე (48,31-32), კეთილდამწყსველი დიმიტრი მარღანია, დეკანოზი დავით ღამბაშიძე (96, № 4,3) და სხვ.

XIX-XX საუკუნეების დასავლეთ საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აღდგენასთან არის დაკავშირებული ანტონ კეკელიას (1855-1920) მოღვაწეობა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. არ დარჩენილა კულტურული, თუ საზოგადოებრივი თვალსაზრისით რამდენადმე მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოს ამ ეპარქიაში, რომ მისი მეცადინეობითა და ხელშეწყობით კეთილად არ დაგვირგვინებულიყოს. მისი ინიციატივით დაარსდა 15-მდე სკოლა, სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებში, კერძოდ, ნაჩილაჩაოში, ორქაში, ონოღიაში, ნავიბეროვესა და ნაჯახავოში (112, № 409,15). ასევე, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სასამართლო, საავადმყოფო და სხვ.

ანტონ კეკელია სასულიერო ჩამომავლობისა იყო. გაბრიელ ეპის-
კოპოსისაგან მღვდლად კურთხევისთანავე, მან ენერგიული მუშაობა
გააჩაღა თავის სამწყსოში განათლების შესატანად (172,9). მას, ამ საქ-
მეში უდიდეს დახმარებას უწევდა ღრმა ერუდიცია, განათლება, რუ-
სული, კლასიკური და ევროპული ენების ზედმიწევნით კარგად ცოდ-
ნა (112, №40, 15). მის მიერ გახსნილ სკოლებში, იგი ასწავლიდა სად-
მრთო სჯულს, მათემატიკასა და ფრანგულ ენას (169,4).

ანტონ კეკელია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგე-
ნისათვის მებრძოლთა რიგებში იყო. ჯერ კიდევ, 1906 წელს საქართ-
ველოს სამღვდელოების კრებაზე კეთილდამწყსველ მღვდელბს უარი
უნდა ეთქვათ თანამდებობებზე ნიშნად მთავრობისადმი პროტესტი-
სა, მათ შორის იყო ანტონ კეკელიაც (285,2).

ქართული კულტურის დაცვის საქმეში გაწეული მუშაობის შესა-
ნიშნავი ნიმუშია მღვდელ კეკელიას თავდადებული მოღვაწეობა სა-
ეკლესიო ლიტერატურისა და თარგმანის საქმეში. როგორც გურია-
სამეგრელოს ეპარქიის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტიანი წარმო-
მადგენელი და ადგილობრივი რეგიონის მკვიდრი, ხელისუფლებამ იგი
შეიყვანა უწმინდესი სინოდის მიერ შედგენილ საგანგებო კომისიაში.
სასულიერო უწყების გადაწყვეტილებით, კომისიას უნდა აერჩია სა-
ხარების მეგრულ ენაზე თარგმნის კომისიის წევრები, დაესაბუთები-
ნა ამ ღონისძიების მართებულობა და მიზანშეწონილობა. როგორც
აღნიშნული კომისიის წევრი, ანტონ კეკელია მთელი ძალისხმევით
ებრძოდა სინოდის ამგვარი ღონისძიების გატარებას და ქართული ენის
ინტერესების დამცველად გამოდიოდა.

ანტონ კეკელიას დიდი მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა
ქართველ ეროვნულ მოღვაწეებთან კირიონ საძაგლიშვილთან, ამბ-
როსი ხელაიასთან, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლ დადი-
ანთან, ცნობილ იურისტ მექი ყაღავასთან, სამხედრო პირ კოკი და-
დიანთან და სხვ. (112, №40,15).

ქართველი სამღვდელოების დიდი ზრუნვის საგანი იყო საღად მო-
აზროვნე, სამშობლოსათვის თავდადებული ახალგაზრდა თაობის აღ-
ზრდა.

ქართველი სამღვდელოება კარგად ხედავდა თვითმპყრობელობის
მიზანს ქართული სასულიერო სასწავლებლებისა და მისი აღსაზრდე-

ლების მიმართ. ამით იყო განპირობებული სამღვდელოების გააქტიურებული ბრძოლა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. რუსეთის ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობის იმპერიასთან შერწყმის საქმეს ხელს უშლიდა ის ეროვნული მიდრეკილებანი, რომლის ერთ-ერთი გამღვივებელი ქართველი სამღვდელოება იყო. ცარიზმის მოხელეთა აღნიშვნით, ქართველი ერის ბედის სადავეები მხოლოდ რუსულ ადმინისტრაციას უნდა ჰქრობოდა ხელთ, რათა მომავალი თაობა აღზრდილიყო რუსეთის სახელმწიფოსადმი ერთგულებისა და თავდადების გრძნობით (54,31).

თვითმპყრობელობის ამ იდეოლოგიას მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ქართველმა სასულიერო ფენამ. ეპისკოპოსი დავითი ერის გადაგვარების საწყისს ცარიზმის პოლიტიკით დაღდასმულ საგანმანათლებლო-სასწავლო ქსელში ხედავდა. მას მიაჩნდა, რომ მიზეზი საქართველოში დაცემული სარწმუნოებრივ-ზნეობრივი დონისა, სწორედ რუსული თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკაში მდგომარეობდა და მკაცრად ილაშქრებდა მის წინააღმდეგ (250,70).

ქართველი სამღვდელოების მეცადინეობით, სხვადასხვა კერძო გამომცემლობებში სისტემატიურად იბეჭდებოდა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი სასწავლო-აღმზრდელობითი ლიტერატურა, რომელთაც მომავალ თაობაში უნდა გაეღვივებინათ ეროვნული თვითშეგნება, სამშობლოსადმი ერთგულება და სიყვარული. ამ საქმეში შენიშნულ გამოჩენილ პირთა რიგებში იყვნენ სასულიერო პედაგოგ-აღმზრდელები, რიგი სასულიერო ლიტერატურის ავტორები არქიმანდრიტი პიროს ოქროპირიძე, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, გიორგი იოსელიანი, იოსებ იაკობაშვილი, ნესტორ ყუბანეიშვილი, პლატონ ხუროშვილი და სხვ.

მოწინავე ქართველი სამღვდელოება არც საქართველოს ფარგლებს გარეთ მოსწავლე ახალგაზრდობას აკლებდა თავის მზრუნველობას. ქართველ სასულიერო პირთა მეცადინეობით, რუსეთის სასულიერო აკადემიების პედაგოგ-მასწავლებლებმა გააქტიურეს ყურადღება ქართული საეკლესიო ისტორიის რიგ საკითხებზე და ამ ნიადაგზე ქართველ სტუდენტებს სამეცნიერო მუშაობისათვის ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებს ურიგებდნენ. მაგალითად, 1914 წელს, რუსეთის სასულიერო აკადემიებს ამთავრებდნენ ანტონ ფირცხალავა, ფილიპე სი-

რაძე, იოანე მარღიშეილი, ონოფრე შუშანია, ლავრენტი ფირცხალა-ევა, ევსილ პატარაშეილი და სხვ. მათ მიერ სტუდენტობის პერიოდში შესწავლილ და დამუშავებულ იქნა რიგი ქართული საეკლესიო ის-ტორიის პრობლემური საკითხები: „სამეგრელოს უძველესი ეკლესია-მონასტრები", „საქართველო-რუსეთის სარწმუნოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობები ერთმორწმუნე რუსეთთან XVIII საუკუნემდე", „ბიზანტიის იმპერატორთა ურთიერთობები მსოფლიო საეკლესიო კრებასთან", „იბერთა მოქცევა ქრისტიანულ რწმენაზე", „საეკლესიო წყობა ივერიაში XIII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე" და სხვ. (194, № 2390,3).

საქართველოში, პოლიტიკური ბატონობის აბსოლუტური გამარ-ჯვების, მოსახლეობის იმპერიაში ასიმილაციისა და ეროვნული თვით-შემეცნების გადაგვარებისათვის, თვითმპყრობელობა მიზნად ისახავდა ქართველი ერის ისტორიის ფალსიფიკაციას, მისი წყაროების გაყალ-ბებას, ქართული დამწერლობისა და წერილობითი ძეგლების უგულ-ებელყოფას (16,3). ცარიზმის რეაქციის ამ კუთხით გამოვლინების სა-წინააღმდეგო მოძრაობას, ქართველი სამღვდელოება სულ უფრო მი-ზანდასახულ და ფართო ხასიათს აძლევს. განსაკუთრებული სახე მი-ეცა მათ სამეცნიერო მუშაობასაც. ქართველი სამღვდელოების თვალ-საჩინო წარმომადგენლები წლობით იკვლევდნენ ქართული ისტო-რიის რიგ მოვლენებსა და ფაქტებს; ცდილობდნენ საზოგადოებრიო-ბის წინაშე წარმოეჩინათ მივიწყებულ საერო და სასულიერო პირ-თა დიდი ისტორიული ღვაწლი ერისა და სამშობლოს წინაშე. მათი ამ კუთხით საქმიანობას, ერში უნდა აემაღლებინა ეროვნული თვით-შეგნება.

XIX-XX საუკუნეებში გამოქვეყნდა მრავალი ქართველი, თუ სხვა-დასხვა ერის წარმომადგენელი მართლმადიდებელი ქრისტიანის მო-წამეობრივი ცხოვრება-მოღვაწეობანი. მათ შორის წმინდა თევდო-რეს, არაგვეთის მთავართა დავითისა და კონსტანტინეს, გიორგი მერ-ჩულეს, დავით გარეჯელის, წმინდა ეკატერინეს და სხვ. პარალელუ-რად, ქართველი სასულიერო პირნი სცემდნენ რიგ სამეცნიერო წიგ-ნებსა და ბროშურებს. ასეთი კუთხით საქმიანობამ, XX საუკუნის პირ-ველ ათეულში განსაკუთრებული აქტიური სახე მიიღო, ეს მაშინ, რო-დესაც ქართველმა სამღვდელოებამ მთელ ერთან ერთად თვითმპყ-

რობელობის წინაშე პრინციპულად დააყენა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი.

ქართველი საზოგადო მოღვაწეების ი. ლეკავას, არ. ქუთათელაძის, ს.მჭედლიძის, ი. ხელაძის, არ. კერესელიძის და სხვათა კერძო სტამბებში იბეჭდებოდა პ. კარბელაშვილის „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ (1900), მისივე „ძველი ანჩისხატის ტაძარი თბილისში. ისტორიული მიმოხილვა“ (1902), თ. ჟორდანიას „ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები“ (1903), მ. კელენჯერიძის „ქართული ქრესტომათია, ანუ კრებული ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები“ (1907), პ. ინგოროყვას „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“ (1913), კალ. ცინცაძის „ქართული ეკლესიის ავტოკეფალია“ (1905), ნ. მარის "აღაპნი ჯვრის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა" (1914) და სხვა მრავალი.

სიონის საკრებულო ტაძართან არსებული ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის „ძმობის“ ეგიდით 1912-1913 წლებში სისტემატიურად იბეჭდებოდა „ქადაგებანი“, რომლის ავტორები იყვნენ ეპისკოპოსები დავითი და ლეონიდი, არქიმანდრიტი ანტონი, დეკანოზები კალ. ცინცაძე, მ. ტყემალაძე, ი. გამრეკელი, ნ. მაჭარაშვილი, ი. შიუკაშვილი, ბ. გულისაშვილი, ი. ჩეკურიშვილი, ი. ფერაძე და სხვ.

წლების მანძილზე, ქართველ სასულიერო პირთა მიერ ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევა-ძიებამ შეკრიბა და წარმოაჩინა ქართული საეკლესიო წერილობითი ძეგლები. ისინი დაცული იყო სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო-საჯარო ბიბლიოთეკაში, მუზეუმებში, მათ შორის საეგზარქოსო მუზეუმის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში და სხვ. სამღვდელოება ცდილობდა იმპერიაში გაბნეული მდიდარი სამეცნიერო მასალის თავმოყრას, მათ წარმოჩინება-შესწავლას და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ქართული კულტურის გაცნობას. ამ მიზნით, სამღვდელოება სარგებლობს 1901 წლის 12 იანვრის 100 წლისთავისათვის საქართველოს რუსეთთან შეერთების საიუბილეო თარიღით და იმპერატორსა და უწმინდეს სინოდს თხოვნით მიმართავს, რათა სანქტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კათედრაზე გაიხსნას ქართული ეკლესიის ისტორიის განყოფილება შეუსწავლელი და უცნობი ძეგლების დასამუშავებლად. თხოვნაში ხაზგასმული იყო, რომ ამ ფაქტს უნდა გაემდიდრებინა რუსული

სასულიერო ლიტერატურა ახალი წყაროებით და გამოემზეურებინა რუსული ეკლესიის ჯერ კიდევ შეუსწავლელი რიგი საკითხი. ქართველი სამღვდელოება სინოდს სთხოვდა ახლადგახსნილ განყოფილებაში თანამშრომლებად მიეღო ქართული ეკლესიის მკვლევრები ალექსანდრე ხახანაშვილი და გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი, ღვთისმეტყველების კანდიდატი თედო ჟორდანია (284, 1613, 11-12).

ქართველი სამღვდელოების ეს მოთხოვნა კარგა ხნის მანძილზე დაუკმაყოფილებელი იყო. მხოლოდ 1911 წელს, სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ამოქმედდა ქართული ეკლესიის ისტორიის შემსწავლელი განყოფილება, სადაც თავდაუზოგავად იღწვოდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, დავით ბაქრაძე, პლატონ იოსელიანი, მოსე ჯანაშვილი, ნიკო მარი, თედო ჟორდანია და სხვ. ისინი, მომავალ თავისუფალ საქართველოს ღირსეულ თაობებს უზრდიდნენ.

ქართველი სამღვდელოება, იმპერიაში მიმდინარე 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიურ გამოყენებას ცდილობდა თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მათ კარგად უწყოდათ, რომ მხოლოდ რევოლუციის გზით შეიძლებოდა თვითმპყრობელობის დამხობა, რაც საქართველოსა და მის მსგავს ჩაგრულ ქვეყნებს თავისუფლებასა და მშვიდობას მოუტანდა. რევოლუციის პერიოდში, ქართველი სამღვდელოება მხოლოდ ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით არ შემოიფარგლებოდა. იგი აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა ქართული ეკლესიის დაცვისათვის. ამ მხრივ, განსაკუთრებული სახე მიეცა მშობლიური ენის შენარჩუნება-დაცვისათვის ბრძოლას. 1905 წელს, ქართლ-კახეთის სამღვდელოთა კრებაზე მიიღეს დადგენილება, რომ სასულიერო სასწავლებლებში ყველა საგანი მშობლიურ ენაზე ისწავლებოდეს, ხოლო რუსული ენა აუცილებელ საგნად გამოცხადებულიყო (278, 173,15). იგივე სახის გადაწყვეტილება მიიღო იმერეთის სამღვდელოებამ 1905 წლის 26 მარტის სამღვდელოთა ყრილობაზე (272, 22496,8). ამის შემდგომ, ქართველმა სამღვდელოებამ არა ერთ გზის ითხოვა სინოდისაგან სასულიერო სასწავლებლებისათვის უფლება მიეცათ სწავლება ეწარმოებინათ მშობლიურ ენაზე (272, 22758, 1-2, 10),

რაზეც მათ უარი ეთქვათ იმ გარემოებით, რომ ქართულ ენაზე შესაბამისი სახელმძღვანელოები არ არსებობდა (126,12).

უწმინდესი სინოდის ხელმძღვანელობის უარით შეურაცხყოფილი ქართველი სამღვდელოების ერთი ნაწილი პროტესტის ნიშნად ტოვებდა თანამდებობას და უარს აცხადებდა არამშობლიურ ენაზე ქართული საღვთო ისტორიის აღსაზრდელებისათვის სწავლებაზე (96, № 4,3).

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ, ასეთ შემთხვევაში, გადაწყვიტა საკუთარი ხარჯებით დაეარსებინა ერთი საერო სასწავლებელი, სადაც ყველა საგნის სწავლება მხოლოდ მშობლიურ ენაზე იწარმოებოდა (149, № 491, 3). მაგრამ ასეთი სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ვერ გააგრძელებდნენ სწავლას, თუ რუსულ ენაზე საგნების ჩაბარების შედეგად ვერ მიიღებდნენ სიმწიფის მოწმობას (271,2).

საეგზარქოსოს ხელისუფლების ლაშქრობამ ქართული ენის წინააღმდეგ აღშფოთება გამოიწვია საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენაში. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ვრცელი წერილით მიმართავდა საქართველოს ეგზარქოსს და პროტესტს გამოსთქვამდა მთავრობის ასეთი პოლიტიკის მიმართ (272, 26588, 189).

პროფესორი ნიკო მარი აღნიშნავდა: „ნუთუ, არ ფიქრობენ, რომ ენისა და ლიტერატურის [illegible] მრევლს „ცარიელ ადგილამდე", გონებრივ და კულტურულ დაცემამდე არ მიიყვანს და ამას შედეგად არ მოჰყვება სიბრიყვე და რელიგიურ გაგებათა დაცემა?" (92,64).

1902 წლის 26 ივნისის სინოდის დადგენილებით, საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის დამტკიცებული ახალი სასწავლო გეგმით, სამეგრელოს სკოლებიდან განიდევნა ქართული ენა და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა ე.წ. „მუნჯური მეთოდი", მეგრულის გამოყენებით.

ახალი სასწავლო გეგმის ცხოვრებაში დანერგვას წინ აღუდგა გურია-სამეგრელოს საეპარქიო საბჭო და მთელი სამეგრელოს მოსახლეობა, რაც განსაკუთრებით საქართველოს ეგზარქოს ალექსისა და ოლქის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურის იოანე ვოსტორგოვის სამეგრელოში მოგზაურობისას გამომჟღავნდა 1903 წლის აპრილში. მარტვილიდან, სამეგრელოს მოსახლეობამ განდევნა რუ-

სული ეკლესიის კათედრის ნაცვალი პეტრე, რომელმაც თავი რუსეთის შეაფარა; დაიხურა მრავალი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, რადგან ხალხმა უარი თქვა შვილების რუსულ სკოლაში შეყვანასა და რუსული განათლების მიღებაზე (277, 278, 34).

თვითმპყრობელობამ, ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით აფხაზეთის რეგიონში გააძლიერა. აქ ერთადერთ მოქმედ ენად რუსული ითვლებოდა. აფხაზეთში ცარიზმის ასეთ პოლიტიკას, ქართველი ინტელიგენცია აღუდგა. კერძოდ, თ. სახოკია, გ. ნ. ჯანაშია, თ. ქორდანია, ა. ჯუღელი, პ. ჭარაია, ს. ნორაკიძე, ი. გეგია, გრ. კანდელაკი, ი. ბურჭულაძე და სხვ. ისინი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა 1900 წლის 28 მარტს კავკასიის მეფისნაცვალთან შეხვედრისას მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ „ქართულ პარტიად" მოიხსენია (48, 200-201).

ქართველი საზოგადოებრიობა, ცარიზმის ასეთ ფარისევლურ მეთოდს სხვადასხვა ხერხით დაუპირისპირდა. ხშირი იყო იმ სასულიერო პირებზე თავდასხმები, მათი სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები, რომლებიც ზემოაღნიშნულ ენებზე ცდილობდნენ სალვთო ლიტერატურის თარგმნას (105, №220,1). პროგრესულად მოაზროვნე სამღვდელოების დიდი ნაწილი ქართულ, თუ რუსულ პერიოდულ გამოცემებში ხმას იმაღლებდა ასეთი მახინჯი გამოვლინების წინააღმდეგ, ამხელდნენ ამ საქმის თაოსანთ და აღნიშნავდნენ, რომ ცარიზმი ქართველთა ასეთ გამოხლომებს თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა და მტრობას ჩამოაგდებდა არა მარტო თვით ქართველებს, არამედ ქართველ ერსა და რუს ერს შორისაც (96, №43).

ქართველი ინტელიგენციისა და სასულიერო წოდების მოწინავე ნაწილი არა მარტო ქართულ ენას იცავდა აფხაზეთში, არამედ ესარჩლებოდა აფხაზურ ენასაც და სათანადო პატივს მიაგებდა მას. ისინი ჰგმობდნენ ყველა მათ, ვინც კი მოინდომებდა სხვათა ენის შეურაცხყოფას და წინ აღუდგებოდა მას. დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი გაზეთ „ზაკავკაზიეს" ფურცლებზე წერდა: „გაზეთების ზოგი კორესპონდენტი წერდა და მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ღვთისმსახურების შესრულებას. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნეების მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკურ

სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ხომ უეჭველია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე, როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდაოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე. ამ მიმართულებით უნდა იმოქმედონ სოხუმელმა ქართველებმა და ყოველნაირად დაეხმარონ აფხაზებს ამ კულტურულ წამოწყებაში" (10, 200-201).

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ცდილობდა რა გაეუმჯობესებინა და გაეძლიერებინა აფხაზეთის სასულიერო ფენა, საქართველოს ეგზარქოსის წინაშე აღძრა შუამდგომლობა თბილისის სასულიერო სემინარიაში სპეციალურად შემოეღოთ აფხაზური ენა და ამ ენაზე სწავლება (274, 289, 73). ქართველი სამღვდელოების ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა საქართველოს ეგზარქოსმა, რადგან ხელისუფლების დავალებით, იგი ყველანაირად ცდილობდა ქართველი სამღვდელოების ჩამოცილებას აფხაზეთისაგან და იქ თავისი ზეგავლენის საბოლოოდ დამკვიდრებას.

ქართველი ერის მიერ დაცულ და შექმნილ სულიერ საგანძურთა შორის ერთ-ერთი უპირველესი ადგილი საეკლესიო მუსიკას უჭირავს, როგორც თავისი სიმდიდრით და მრავალფეროვნებით, ისე თავისი სიძლიერითაც. აქედან ცხადია, თუ რა დიდი ეროვნულ-კულტურული ღირსების მატარებელია ქართული ეროვნული მუსიკა.

სასულიერო მუსიკა ოდითგან ტკბილხმოვან გალობასავით ზემოქმედებდა ქართველის სულზე (101, № 147, 3; 142, № 1151,2). „იგივე ლოცვა იმავე ენით, იგივე გალობა იმავე ხმაზე, იგივე სამოციქულო და სახარება მაკავშირებს ძველ დროთა ქართველ საზოგადოებასთან და მ ყოფს განუწყვეტლად წარმომობას და განვითარებას წარსულს და აწმყო საუკუნეებისას. ამიტომ მიყვარს ქართული ეკლესია, მისი ტკბილი გალობა, ქართული საღმრთო წერილი მიღვიძებს ჩაფერფლილს პატრიოტულს სიამაყესაც", — აღნიშნავდა ქართველი ისტორიკოსი ალექსანდრე ხახანაშვილი (96, № 55,4).

ქართველმა საზოგადოებამ კარგად იცოდა, რომ სარწმუნოების დამკვიდრების ერთ-ერთი დედაბოძი საეკლესიო გალობა იყო, მეტად-

რე სარწმუნოებაზე გულაცრუებული ქართველი ერისათვის. ამით იყო განპირობებული ქართველი სასულიერო ფენის აქტიური საქმიანობა სასულიერო გალობის დაცვა-აღორძინებისათვის. ენერგიულად დაიწყო ძველი ქართული საგალობლების შეგროვება, ფონოგრაფის ფირფიტებზე მათი გადაღება და შემდგომი დამუშავება-დანერგვა (40, 84).

ქართველი სამღვდელოების მიერ მოძიებული ქართული საეკლესიო საგალობლები კრებულის სახით გამოდიოდა სხვადასხვა კერძო სახის ქართულ გამომცემლობებში. მათ შორის აღსანიშნავია ფილიმონ ქორიძის „საგალობლები“ (1901), რაჟდენ ხუნდაძის „ქართული საეკლესიო გალობა გურულ-იმერულ კილოზე“ (1902), მისივე „ქართული გალობა“ (1911), ფილიმონ კარბელაშვილის „ქართული საეკლესიო გალობანი“ (1907), ნიკოლოზ სულხანიშვილის „ქართული საეკლესიო მუსიკა“ (1912), „საეკლესიო გალობა“ — შეკრებილი და გამოცემული მონაზონ ეკვთიმეს მიერ (1914) და სხვა მრავალი.

საეკლესიო მგალობელთა გუნდის ორგანიზაციისათვის საქართველოს საეგზარქოსოს ეკლესიები დაიყო ოთხ კატეგორიად: პირველ კატეგორიას წლიურად გამოეყო 150 მანეთი; მეორე კატეგორიას — 30 მანეთი; მესამე კატეგორიას — 20 მანეთი. ამ საქმისათვის ყოველწლიურად საქართველოს საეპარქიოთა მღვდელმთავარნი და ეკლესია-მონასტრები მოვალენნი იყვნენ ეხადათ გარკვეული ოდენობით თანხები. მაგალითად, იმერეთის საეპარქიოდან წელიწადში გროვდებოდა 100 მანეთი, პირადად ეპისკოპოსი ლეონიდი იხდიდა 100 მანეთს, კირიონი 200 მანეთს და სხვ. სულ, წელიწადში გროვდებოდა 1487 მანეთი. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება დაამტკიცა საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ (1898-1901) 1899 წლის 3 ნოემბერს, რომელმაც ამ საქმის გაძღოლისათვის სპეციალური კომიტეტიც კი შექმნა პროტოიერეების შოშიაშვილის, კონჭუევის, მღვდლების იოსებ ჩაჯავაძის პოლიევქტო და ვასილ კარბელაშვილების, ალექსანდრე მოლოდინაშვილისა და ანტონ თოთიბაძის შემადგენლობით (273, 58747, 6-7).

პირველ მგალობელთა გუნდის ლოტბარად დაინიშნა ბ. კავსაძე. გუნდი 15 კაცისაგან შედგებოდა და აქტიურად მონაწილეობდა თბილისის სხვადასხვა ეკლესია-მონასტერში. გუნდში იწვევდნენ ყველა ეროვნებისა და სოციალური ფენის მოქალაქეებსა და ყმაწვილებს, რომელთაც საამისო ნიჭი აღმოაჩნდებოდათ (108, №37, 591-592).

სისტემატიური ხასიათი მიიღო სასულიერო საგალობელთა ნოტე-ბის გამოცემის საქმემაც. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, ს. კლენოვსკიმ, ფ. ქორიძემ, ა. ბენაშვილმა და სხვ. (108, № 27, 425-426).

საეკლესიო გალობის პედაგოგ-მასწავლებელთა კადრების გაზრდის მიზნით, საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ყალიბდებოდა გალობის კაბინეტები, სადაც მომავალი თაობა ეუფლებოდა საეკლესიო გალობის ლოტბარობის ხელოვნებას (99, № 276,1; 100, № 102,2).

1910 წლის 20 ივლისს, თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში მოეწყო ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრება, სადაც გადაწყდა დაარსებულიყო ქართული საეკლესიო გალობის შემსწავლელი კურსები. კურსებზე გალობის შესასწავლად იგზავნებოდნენ დიაკვნები, მედავითნენი და სხვა სასულიერო წოდების წარმომადგენლები (138, 663,2). ასეთივე სახის სკოლა გაიხსნა ქუთაისში ეპისკოპოს გიორგის მეცადინეობით. სკოლაში სწავლება უფასო იყო და წლიურ დახმარებას 200 მანეთის ოდენობით მას უგზავნიდა იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭო (110, № 44,4).

განათლებამიღებული მგალობელთა ახლადდაარსებული გუნდები რიგრიგობით გალობდნენ საქართველოს ეპარქიების სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში. მათ შესანახ თანხებს ქართველი სამღვდელოება იღებდა (227, № 188,2). და რასაკვირველია მცირედი თანხები ვერ უზრუნველყოფდა ქართული საეკლესიო გალობის განვითარება-წინსვლის საქმეს. ამით იყო განპირობებული ქართველი სასულიერო წოდების წარმომადგენელთა სისტემატიური მიმართვები უწმინდესი სინოდის ხელისუფლებისადმი.

1907 წლის 7 დეკემბერს, ეპისკოპოსმა კირიონმა საქართველოს ეგზარქოსს – ნიკონს თხოვნით მიმართა ეშუამდგომლა უწმინდესი სინოდის ხელისუფლების წინაშე საქართველოში გალობის საქმის მოწესრიგებაში დასმარებისათვის. საქართველოს ეგზარქოსის ნებადართვით, კირიონმა უწმინდეს სინოდს დახმარება სთხოვა, რის შედეგადაც მათ გამოეყოთ წელიწადში 2000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარებოდა სიონის საკათედრო ტაძრის ქართულ მგალობელთა გუნდის საქმიანობას. დროთავითარებაში, თანხების უქონლობის საბაბით უწმინდესმა სინოდმა შეწყვიტა ქართველ მგალობელთა გუნდის დაფი-

ნანსება. იგივე მიზეზით, ეპისკოპოსების პეტრესა და დავითის 1908 წლის 10 სექტემბერს თხოვნაზე უარი განეცხადათ ამჟამად უკვე საქართველო – იმერეთის სინოდალური კანტორის ხელმძღვანელობის მიერ.

1913 წლის 22 მარტის საქართველოს ეგზარქოსის ინოკენტის განკარგულებით, ქართული საეკლესიო გუნდის კომიტეტმა თავისი არსებობა შეწყვიტა (273 58747,7).

ქართული საეკლესიო მგალობელთა გუნდები დიდ ქველმოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდნენ. ქართული საეკლესიო ქოროები აწყობდნენ კონცერტ-სალამოებს ქართული ეკლესია-მონასტრებისა და მისი მრევლის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ცნობილია, რომ 1900 წლის 26 მარტს, თბილისში გაიმართა ქართული სასულიერო კონცერტი მცხეთის ტაძრის განახლებისათვის. 60 კაციან ქორის ლოტბარობდა ბ.ი. მონადირიშვილი (162, № 1086,2).

1908 წელს, ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ ზაქარია ფალიაშვილის ლოტბარობით სასულიერო მუსიკის კონცერტი გამართა, რომელსაც ერთვოდა საეკლესიო მუსიკის მოკლე ლექცია (126,10).

სასულიერო მუსიკის კონცერტების შემოსავალი ძირითადად ირიცხებოდა თბილისის სასულიერო სემინარიის ღატაკ მოსწავლეთა დახმარების ფონდში (138,№ 189,3; 139, № 276,2; 143,3; 144,2; 135, № 55,3).

განსაკუთრებულად საყურადღებო და საგულისხმო იყო სანკტ-პეტერბურგში ლოტბარ კ.გ. ფოცხვერაშვილის თაოსნობით გამართული ქართული სასულიერო მუსიკის კონცერტი. კონცერტს მრავალი გამოჩენილი მუსიკოსი დაესწრო, მათ შორის პროფესორები ე. საკეტი, ვ. სოლოვიოვი, კ. ვულფიუსი; კომპოზიტორები ს. ტანეევი, ი. ლისიცინი, ა. ბრუნი და სხვ. (142,№ 115,3). კონცერტმა დიდი წარმატება ჰპოვა მსოფლიოს სახელმოხვეჭილ მუსიკის სწავლულთა შორის.

ქართველი სამღვდელოების სერიოზული ზრუნვის საგანი იყო ქართული კულტურის უძველეს ნიმუშთა დაცვა-პატრონობა.

მოწინავე ქართველ ინტელიგენციასა და სასულიერო ფენას სერიოზულად აშფოთებდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული საგანძურის განადგურება – განძავების სისტემატიური შემთხვევები და მის აღსაკვეთად ენერგიულ ზომებს იღებდა.

აღნიშნული კუთხით გაცხოველებული მუშაობა XIX საუკუნის მი-

წერულიდან დაიწყო. ქართველი სამღვდელოება ინტელიგენციისა და ხალხის დახმარებით შეუდგა ქართული სიძველეების, ფოლკლორული მასალის შეგროვებასა და მის ერთ ადგილზე თავმოყრას. გადაწყდა ქართული საეკლესიო-ისტორიული მუზეუმის დაარსება, სადაც საგანგებოდ იქნებოდა დაცული ეროვნული საეკლესიო ინვენტარი, ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, ძვირფასი ისტორიული მასალა.

ქართველი სასულიერო ფენა გულდასმით შეუდგა შეგროვებას საქართველოს გარეთ რუსი სასულიერო, თუ საერო პირებისა და ქვეყნის მოღალატეთა მიერ გატანილი ნივთების შეგროვება-გამოსყიდვას.

ქართული საეკლესიო მუზეუმის წესდება შეადგინა ქართველმა ისტორიკოსმა დავით ბაქრაძემ, რომელიც ოფიციალურად უწმინდესი სინოდის 1889 წლის 24 იანვრის სხდომაზე დამტკიცდა. ამ საქმეში დახმარებისათვის დავით ბაქრაძემ თხოვნით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს პალადის (1887-1892). „საჭიროა დავაარსოთ სიძველეთ საცავი და მასში შევკრიბოთ საქართველოს ტაძარ-მონასტრებში გადარჩენილი სამწერლო და სხვა ნივთები“ — აღნიშნავდა მეცნიერი (140, №754,2). უწმინდეს სინოდში ეს საკითხი ქართველი სამღვდელოების სასარგებლოდ გადაწყდა, რის შემდგომაც ქართველი სასულიერო ფენის მუშაობა აღნიშნული კუთხით კიდევ უფრო გააქტიურდა.

ქართული საეკლესიო მუზეუმის დაარსებიდან ათი წლის შემდეგ სიძველეთსაცავის ფონდებში შედიოდა 366 ხელნაწერი, 938 სიგელ-გუჯარი, 55 სხვადასხვა სახეობის საეკლესიო ინვენტარი.

1908 წლისათვის საეკლესიო მუზეუმში ინახებოდა 1040 ხელნაწერი, აქედან, ტყავზე შესრულებული — 170, რომლებშიც 30 900 ფურცელი იყო. 1912 წლისათვის მუზეუმის ხელნაწერთა რიცხვმა 1045 — ს მიაღწია, სიგელ-გუჯარმა — 1074-ს, სასულიერო პირთა სამოსელმა — 183-ს , საეკლესიო ჭურჭელმა — 116-ს, ხატ-სურათებმა - 142-ს, წარწერიანმა ქვებმა — 102-ს; 50-მდე ისტორიულ სხვადასხვა სახეობის ნივთს: თოფებს, კერპებს, კარ-ფანჯრებს და სხვ. 215-მდე ძველ მონეტას, 157-მდე სამეცნიერო ნაშრომსა და წიგნს.

1899 წლიდან, ქართველი სამღვდელოება ქართული საეკლესიო მუზეუმისათვის ყოველწლიურად 1000 მანეთს იღებდა (140, №754,2).

საეკლესიო მუზეუმს თავისი გამგეობა ჰყავდა, რომელსაც ხელმძღვანელობას ეპისკოპოსი ლეონიდი უწევდა. კომიტეტის შემადგენლო-

ბაში შედიოდნენ, როგორც სასულიერო, ისე ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ეპისკოპოსი კირიონი, მღვდელი ი. ფერაძე, ა. ნატროშვილი, კ. ცინცაძე, ვ. კარბელაშვილი, მეცნიერ ი მ.ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე (140, №714,3).

ქართული საეკლესიო მუზეუმის ფონდები დღითი-დღე იზრდებოდა. ეპისკოპოს კირიონის უშუალო მეცადინეობით, თბილისის დარიის მონასტერიდან მუზეუმში გადაიტანეს ტყავზე შესრულებული, ათონის მთაზე გიორგი მთაწმინდელის ნათარგმნი ხელნაწერი (99,№240,3). ენერგიული მუშაობა მიმდინარეობდა ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლა-გამომზეურების კუთხითაც. საამისოდ, მუზეუმი იწვევდა ცნობილ ქართველ მეცნიერ-მკვლევრებს. „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" ქართულ საეკლესიო მუზეუმს გადასცა ძველი ხელნაწერების მოზრდილი ნუსხა, რომელთა მეცნიერული კვლევა წარმოებდა საგანგებოდ შექმნილი მეცნიერთა კომიტეტის მეშვეობით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ მღვდელი ევსილ კარბელაშვილი, არჩილ ქუთათელაძე, დავით კარიჭაშვილი და ალექსანდრე მიქაბერიძე (162, №1072,2).

საეკლესიო მუზეუმის თანამშრომლები აქტიურად იღწვოდნენ ქართული ეკლესია-მონასტრების კედლების ფრესკათა გადარჩენისათვის. საუკუნეების მანძილზე, ძნელბედობის ჟამითა, თუ თვითმპყრობელობის მოხელეთა აქტიური ქმედებებით, თითქმის განადგურებული უნიკალური საეკლესიო კედლის მხატვრობა უკიდურესად მძიმე და სავალალო მდგომარეობაში იყო. მუზეუმის კომიტეტმა ამ საქმისათვის საგანგებოდ მოიწვია გამოჩენილი ქართველი ფერმწერი და გრავიორი გრ. ტატიშვილი, რომელსაც საქართველოს ეპარქიების სხვადასხვა ეკლესია-მონასტრების ორნამენტების გადაღება უნდა ეწარმოებინა (162, №1072,2).

ქართული კულტურის სიძველეთა უნიკალური ნიმუშების გადარჩენას XIX-XX საუკუნეებში ქართველი ერი სწორედ ქართულ საეკლესიო მუზეუმსა და იქ მოღვაწე თავდადებულ ქართველ სასულიერო, თუ ინტელიგენციის წარმომადგენელთ უნდა უმადლოდეს.

ქართველმა სასულიერო წოდებამ, საეკლესიო მუზეუმთან ერთად, 1901 წელს შესძლო თბილისში გაეხსნა ქართული ეროვნული სამკითხველო, სადაც დაცულ იყო ყველა სახის ქართული, თუ უცხოური ლი-

ტერატურა და პერიოდული გამოცემა. ქართველი სამღვდელოების აქტიური მეცადინეობით, საქართველოს ეგზარქოსმა ფლაბიანემ სამკითხველოს გამოუყო ქაშუეთის ეკლესიის სამრევლო-საეკლესიო სკოლის შენობა (99, № 89,2).

ბიბლიოთეკის გახსნისთანავე, ქართველმა საზოგადოებრიობამ აქტიურად დაიწყო სხვადასხვა სახის ლიტერატურის და პრესის შეგროვება. საგანგებოდ იწერდნენ სხვადასხვა ქალაქებიდან უცხოურ ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებს. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ცალკეულმა პირებმაც, რომლებიც უფასოდ სწირავდნენ ბიბლიოთეკას დიდი რაოდენობით ლიტერატურას. მარტო ეპისკოპოსმა კირიონმა სამკითხველოს თითქმის სრულად გადასცა თავისი კერძო ბიბლიოთეკა, რომელშიც 4000 ცალი წიგნი იყო დაცული, მასთან მრავალი ხელნაწერი, პირადი წერილები და სხვ. (139, №340,2).

უსაზღვრო იყო ქართველი სამღვდელოების საქველმოქმედო საქმიანობაც. არ არსებობდა, XIX-XX საუკუნეების არც ერთი კულტურული, თუ საეკლესიო ორგანიზაცია-დაწესებულება, რომელ საქმეშიც ქართველ სასულიერო ფენას აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს. თავად უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი, თანხებს იღებდა ეკლესია-მონასტრების შესაკეთებლად, ხელნაწერებისა და წიგნების შესასყიდად, სამეცნიერო ექსპედიციების დასაფინანსებლად, სასულიერო და საერო ლიტერატურის გამოსაცემად და სხვა მრავალი.

ქართველი მღვდელმთავრები ყურადღებას არ აკლებდნენ საქართველოში მიმდინარე არც ერთ კულტურულ ღონისძიებას და თავანთი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ამ მამულისათვის მეტად მნიშვნელოვან საქმეში. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" 25 წლის იუბილის გამო, ეპისკოპოსმა ლეონიდმა 1904 წელს მას შესწირა 100 მანეთი და აღუთქვა მათ ყოველწლიური დახმარება (166, №2457,2). ასევე მოიქცნენ საქართველოს სხვა ეპარქიათა ეპისკოპოსებიც (148,2)

ზემოაღნიშნული კუთხით, ცნობილია ეპისკოპოს ალექსანდრეს განსაკუთრებული მოღვაწეობა წიგნის ბეჭდვის საქმეში. მისი მეოხებით მრავალი სასულიერო წიგნი აღდგა და ხელმეორედ დაიბეჭდა, კერძოდ, „გუჯრები დავით გარეჯის და სხვა მონასტრებისა", „იერარხნი საქართველოს ეკლესიისა" (99, 6223,1). მისი პირადი ხარჯით გამოუ-

ცა ანტონ კათალიკოსის „მზა მეტყველება“, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი“ და სხვა მრავალი. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ პირადი სახსრებით აღადგინა არა ერთი ქართული ეკლესია-მონასტერი. მათ შორის შიო მღვიმის და იანე ზედაზნელის. იგი პირადად უნიშნავდა სასულიერო სასწავლებელთა გაჭირვებულ მოსწავლეებს სტიპენდიებსა და სხვ. (10:, №250,4).

ქართველმა სამღვდელოებამ თვითმპყრობელობის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლასა და მოსახლეობაში დაცემული მართლმადიდებლური სარწმუნოებრივი დონის ამაღლებისათვის ფართოდ გამოიყენა ჟურნალისტიკა და ამ კუთხით აქტიური საქმიანობა გაშალა.

XX საუკუნის დამდეგიდან ქართული პრესა მნიშვნელოვნად განვითარდა. თუ XIX საუკუნის დასასრულს ყოველწლიურად საქართველოში საშუალოდ 4-8 სახელწოდების ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, 1901-1920 წლებში მათი რიცხვი 10-38-ს უდრიდა, ხოლო მარტო 1914 წელს 57 დასახელების პერიოდული ორგანო გამოდიოდა (1).

XX საუკუნიდან პრესა ჟანრობრივ-თემატიკურად მრავალფეროვანი გახდა; გაფართოვდა ჟურნალისტიკის არეც. გამოდიოდა სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებების, ლიტერატურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური, ისტორიული, პედაგოგიური, საბავშვო და სხვა სახის გამოცემები.

განსაკუთრებით გააქტიურდა რელიგიური შინაარსის გამოცემები. საქართველოში ერთდროულად გამოდიოდა სახელმწიფო, თუ კერძო საეკლესიო ჟურნალ-გაზეთი, რომლებშიც ქვეყნდებოდა მასალები საქართველოს საეგზარქოსოსა და საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სასულიერო განათლების მდგომარეობას, ქართული ენის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, მართლმადიდებლური სარწმუნოების განმტკიცებას. საქართველოს საეგზარქოსოს პერიოდულ გამოცემებში დიდი ადგილი ეჭირა რევოლუციური იდეებისა და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს და სხვ.

საეკლესიო ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ გ. ხელაძე, ი. სანებლიძე, დ. ღამბაშიძე, ს. მჭედლიძე, ე. კაჭახიძე, ი. ფურაძე, გ. ილურიძე, ვ. კარბელაშვილი და სხვ.

საქართველოს ცალკეულ ეპარქიებში თითქმის ყოველ ეკლესია-

მონასტერს თავისი კერძო პერიოდული ორგანო და გამომცემლობა გააჩნდა, სადაც მიმოიხილებოდა ცალკეული ეკლესია-მონასტრის ცხოვრება და რიგი საჭირბოროტო საკითხი (22,16).

XX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომლის ფერხულშიც აქტიურად ჩაება ქართველი სამღვდელოება, მაქსიმალურად ცდილობდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და სახელმწიფოებრივი ერთეულის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოეყენებინა პერიოდული პრესის ფურცლები, რათა მისი საშუალებით საზოგადოებრიობაში გაეღვივებინა ამ საქმისადმი ინტერესი. საამისოდ, ეკლესიას ესაჭიროებოდა საეკლესიო ორგანოს დაარსება, რომელიც უნდა ყოფილიყო დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული. მის ფურცლებზე უნდა გამოაშკარავებულიყო ქართული ეკლესიის მტკივნეული წყლულები, რომლის მეშვეობითაც იგი გარს შემოიკრებდა გულშემატკივრებს, დაანახვებდა მათ ჭეშმარიტ ქართულ ეკლესიას, მიაწვდიდა ქართველ საზოგადოებრიობას სულიერ საზრდოს (134, №45, 2-3).

ქართველი სამღვდელოების მიზანი იყო ისეთი ჟურნალ-გაზეთის დაარსება, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა არა მარტო სასულიერო კრებულისათვის, არამედ მას უნდა ეტარებინა საერო-საზოგადოებრივი ხასიათიც; მომსახურებოდა როგორც სასულიერო წოდებას, ისე მთელი ერის გათვითცნობიერების საქმეს (149, №491,3).

მიუხედავად რუსეთისა და ადგილობრივი მთავრობის წინააღმდეგობისა, ქართველი სამღვდელოება ენერგიულად იღწვოდა დამოუკიდებელი საეკლესიო პერიოდული ორგანოების გამოცემისათვის. 1905 წლის ქართლ-კახეთის სამღვდელოების ყრილობის გადაწყვეტილებით დაარსდა ორკვირეული საეკლესიო-საზოგადოებრივი გაზეთი „განახლება“ („ობნოვლენიე“), რომელიც გამოდიოდა რუსულ და ქართულ ენებზე. რედაქტორებად აირჩიეს დეკანოზი კ. კეკელიძე და თბილისის საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორი, მღვდელი პ. კარბელაშვილი, ა. ნატროშვილი, ი. ფერაძე, ს. გორგაძე. ქალაქის რუსი ეროვნების სამღვდელოებამ, ქართველთა ამ ეროვნულ საქმეს პროტესტი გამოუცხადა და გაზეთის გამოწერაზე კატეგორიული უარი განაცხადა (167,1906,№3009,3).

ქართველმა სასულიერო ფენამ, სასულიერო უწყების ხელმძღვა-

ნელობისაგან ოფიციალურად მიითხოვა ყოველდღიური გაზეთის „სიონის" გამოცემის ნებართვა, რომელშიც ქართველი სამღვდელოების ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ მასალას გაეცნობოდა ქართველი საზოგადოებრიობა (219,2).

ქართველი სამღვდელოება რელიგიური ხასიათის პერიოდულ ორგანოებთან ერთად სცემდა სხვადასხვა სახის ისტორიულ თუ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებსაც (27,7). მათ ფურცლებზე იბეჭდებოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხები, საეკლესიო ხასიათის სხვადასხვა პერიოდის ხელნაწერები, მეცნიერული გამოკვლევები, ქართული სასულიერო მუსიკის ნოტები და სხვა. ასეთი სახის გამოცემებით უხვად სარგებლობდნენ ქართველი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რაც მათ აახლოვებდა ეროვნულ ეკლესიასთან.

ქართული ეროვნული ჟურნალისტიკის განვითარება — აღორძინების საქმეში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის არა ერთ გამოჩენილ ქართველ სასულიერო პირს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მღვდელი სიმონ მჭედლიძე. იგი ნაყოფიერად უთავსებდა ერთმანეთს სასულიერო და საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ საქმიანობას. პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრებისა და მღვდლად კურთხევის შემდეგ, იწყება მისი, როგორც სასულიერო, ისე საგანმანათლებლო-საგამომცემლო საქმიანობა. სიმონ მჭედლიძის შესახებ ქართველი ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „იგი ცნობილი მუშაკი გახლდათ ქართულ წიგნებს, ამასთანავე გახლავთ რედაქტორი სასულიერო და სამოქალაქო გაზეთის „შინაური საქმეების" (23,7).

ქუთაისში გახსნილ სიმონ მჭედლიძის საკუთარ სტამბაში წლების მანძილზე იბეჭდებოდა სასულიერო და საერო ხასიათის ლიტერატურული, ისტორიული, რელიგიური, პოლიტიკური შინაარსის წერილები, რისთვისაც იგი თვითმპყრობელობის მხრიდან სასტიკ დევნას განიცდიდა.

1913 წლიდან სიმონ მჭედლიძის რედაქტორობით გამოდიოდა ყოველთვიური სალვთისმეტყველო-ფილოსოფიურ-პოლიტიკური და ლიტერატურული კრებული „განთიადი", ხოლო 1915 წლიდან კი ორკვირეული სამეცნიერო-პოლიტიკურ-ლიტერატურული ხასიათის ჟურნალი „განთიადი" (90, № 274,1).

სიმონ მჭედლიძის გვერდით, ჟურნალისტიკის დარგში ნაყოფიერად იღწვოდნენ ქართველი სამღვდელოების სხვა გამოჩენილი წარმომადგენლებიც. მათ შორის ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორი დავით ღამბაშიძე, მისი თანამებრძოლი სიმონ მოშიაშვილი (270,15), რომლებიც თავიანთი გამოცემების ფურცლებზე დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდნენ თვითმპყრობელურ რეჟიმს და მკაცრად ილაშქრებდნენ მის წინააღმდეგ.

აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები აკრიტიკებდნენ თვითმპყრობელურ მმართველობის წესს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში, რომელიც უნდობლობასა და მტრობას სთესდა ადგილობრივ მოსახლეობასა და რუს ერს შორის.

ქართულ ეკლესიას და მის მრევლს უანგაროდ და თავდადებით ემსახურებოდა მღვდელი ზაქარია გულისაშვილი (194, №213). მისი მახვილი კალამი უმკაცრესად უპირისპირდებოდა ქართული ეკლესიის გარე, თუ შინაურ მტერს. დიდია ზაქარია გულისაშვილის მოღვაწეობა პედაგოგიურ მეცნიერებაშიც. მის მიერ გამოქვეყნებული სარწმუნოებრივ-პედაგოგიური ხასიათის წერილები დიდ როლს ასრულებდნენ ქართული საზოგადოებრივი აზრის ამაღლება-განვითარებაში.

საინტერესო ხასიათის იყო სიღნაღის გაზეთის „კახეთის ხმის" რედაქტორის მღვდელ კონსტანტინე ტყავაძის პუბლიცისტური წერილებიც (266,2). მიუხედავად ქვეყანაში მოქმედი მკაცრი ცენზურისა, კონსტანტინე ტყავაძე დაუფარავად ამხელდა თვითმპყრობელობის ნამდვილ პოლიტიკურ და საეკლესიო ზრახვებს საქართველოს მიმართ, რისთვისაც იგი იდევნებოდა, მაგრამ აქტიური პუბლიცისტური საქმიანობა არ შეუწყვეტია.

ქართველი სასულიერო წოდების პუბლიცისტები, ინტელიგენციის მხარდამხარ თავგამოდებით იღწვოდნენ ქართველი ერის თავისთავადობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, გმობდნენ და უპირისპირდებოდნენ რუსულ ძალაუფლებას, მათ მცდელობას ხელყოთ ქართველი ხალხის წარსული, მათი სარწმუნოება, კულტურული ფასეულობანი.

XX საუკუნის დასაწყისიდან თვითმპყრობელობის პოლიტიკა კულტურის დარგში აგრძელებდა ქართველი ერის სრულ ძალდატანებით რუსიფიკაციასა და ერთიანი კულტურის საბოლოო მოსპობის გზას.

ქართველი ხალხი, მისი პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი ნათლად ხედავდა თვითმპყრობელობის პოლიტიკით შექმნილ დიდ ეროვნულ საშიშროებას, რომელიც გადაგვარება-წალეკვით ემუქრებოდა ქართველობას, მის ეკლესიას, ისტორიას ენას, მიწა-წყალს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ერის საუკეთესო ძალები მედგრად აღუდგნენ წინ თვითმპყრობელობის პოლიტიკურ ზრახვებს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს მათ.

ეროვნული კულტურის დაცვისათვის ბრძოლაში, ქართველი მოღვაწენი შეხედულებათა სხვადასხვაობისდა მიუხედავად, ერთობლივი განმანთავისუფლებელი მოძრაობის დროშის ქვეშ დაირაზმნენ და ცარიზმის პოლიტიკურ ინტერესებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ.

ქართული კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეში, XIX-XX საუკუნეების მიჯნიდან მოყოლებული უდიდესი და ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ქართული სასულიერო ფენის წარმომადგენლებს კირიონ საძაგლიშვილს, ლეონიდ ოქროპირიძეს, ალექსანდრე და პიროს ოქროპირიძეებს, ამბროსი ხელაიას, დავით ღამბაშიძეს, ანტონ კელიას, პეტრე კონჭოშვილს, გიორგი ხელიძეს, ანტონ გიორგაძეს, დიმიტრი მარღანიას, სვიმონ ნოღაიას, სიმონ მჭედლიძეს, ზაქარია გულისაშვილს, კონსტანტინე ტყავაძეს, კორნელი კეკელიძეს და სხვ.

XX საუკუნის პირველ ათწლეულში, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის თითქმის ყველა სფეროში მიიღო აქტიური მონაწილეობა ქართველმა სამღვდელოებამ. ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი ერთეულის აღდგენისათვის ბრძოლასთან ერთად, იგი მედგრად იცავდა უფლებაყრილ ქართულ კულტურას; ექომაგებოდა მშობლიურ ენას, ღვთისმსახურებას, საეკლესიო მუსიკას, ფერწერას, ჟურნალისტიკას, ლიტერატურას, ისტორიას და ა.შ.

ქართველი სამღვდელოების მოწინავე დემოკრატიული ნაწილი ილაშქრებდა რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ. თავად უკიდურესად გაჭირვებაში მყოფი, უკანასკნელ სახსრებსაც კი ქართული კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეს ახმარდა.

ქართველი სასულიერო წოდების მიერ ეროვნული კულტურის დარგში აქტიური მოღვაწეობა, მისი დაცვა-განვითარებისათვის ბრძოლა შეუნიშნავი არ რჩებოდა თვითმპყრობელობის აპარატსა და მის მო-

ხელეებს. ეს უკანასკნელნი მკაცრად სდევნიდნენ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი სასულიერო ფენის წარმომადგენლებს. ცარიზმის ერთგული თანაშემწენი მთელი მონდომებით ეწეოდნენ ფალსიფიცირებას ყოველივე ქართულის მიმართ და უგულებელყოფდნენ საქართველოსა და მისი ეკლესიის მრავალსაუკუნოვან უძველეს ისტორიულ წარსულს.

თვითმპყრობელობის რეაქციონერ მოხელეთა გვერდით ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ პროგრესულად მოაზროვნე რუსი ეროვნების წარმომადგენელთა მცირერიცხოვანი ჯგუფი. ისინი მედგრად იცავდნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს, მის ეკლესიას და ქართველი სამღვდელოების ინტერესებს. რუსი ეროვნების მოღვაწენი მხარში ედგნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ სამღვდელოებას და ამხნევებდნენ მათ ამ მეტად საპასუხისმგებლო და რთულ საქმეში.

თავის მხრივ, ქართველი სასულიერო ფენა და მისი კრებული დიდად აფასებდა რუსი ინტელიგენციისა და მოწინავე სასულიერო წრის მხარდაჭერას, რითაც ხაზს უსვამდა რუსი და ქართველი ერების მრავალსაუკუნოვან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.

XX საუკუნის დასაწყისში, ქართულმა ეკლესიამ და მისმა შესანიშნავმა კრებულმა უდიდესი ისტორიული მისია შეასრულეს თავიანთი ქვეყნის თავისუფლების მოპოვებისა და მისი კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეში.

ქართველი სამღვდელოება უდიდესი ქომაგის ფუნქციით გამოდის თავისი ერის წინაშე და უმძიმეს ტვირთს ზიდავს მამულისა და ხალხის გადარჩენისათვის.

ქართველი სასულიერო ფენა მარტო ვიწრო სასულიერო საქმიანობით არ შემოიფარგლებოდა. იგი ეროვნული ეკლესიის განთავისუფლების საქმეს უკავშირებდა ქვეყნის თავისუფლებასა და მისი კულტურის დაცვა-აღორძინებას.

ქართული ეკლესია და მისი თვალსაჩინო კრებული საქართველოსათვის XX საუკუნის გარიჟრაჟზე 60-იანელთა იდეების ბრწყინვალე გამგრძელებლად გვევლინება. ქართველი სამღვდელოება მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურებოდა დიდი ილია ჭავჭავაძის ლოზუნგს — „მამული, ენა, სარწმუნოება" — და მთელი ენერგიით ცდილობდნენ ერთმანეთისაგან განცალკევების გარეშე შე-

ესრულებინათ თავიანთი მისია მშობელი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ქართველი საზოგადოებრიობა უაღრესად აფასებდა თავისი სამღვდელოების დიდ წვლილს ეროვნული სახელმწიფოს, მისი ეკლესიისა და კულტურის დაცვა-აღორძინებისათვის მებრძოლთა თავგანწირვასა და ღვაწლს სამშობლოსა და ერის წინაშე და სათანადო პატივს მიაგებს მათ ხსოვნას.

# დასკვნა

XX საუკუნის დასაწყისისათვის, თვითმპყრობელური რუსეთი კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ახალ, იმპერიალისტურ სტადიაში შევიდა, რომლის ყველა ნიშანი მეტ-ნაკლებად თავს იჩენდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. რუსეთი, მეტოქეობას უწევდა დიდ სახელმწიფოებს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საქმეში. პარალელურად იგი უდიდესი იმპერიალისტური სახელმწიფოების პარტნიორი იყო რევოლუციური მოძრაობების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის სახელმწიფოს ძლიერებისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში, ძველი დროიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომლის როლი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში საგრძნობლად გაიზარდა X საუკუნის დასაწყისში.

რუსული მართლმადიდებლური ეკლესია იცავდა სახელმწიფოს ინტერესებს; მოქმედებდა ხელისუფლების მითითებით და თანმიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში თვითმპყრობელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამავდროულად, რუსული ეკლესია ცდილობდა თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას იმპერიაში.

ცარიზმის სამოხელეო აპარატისა და რუსული ეკლესიის საერთო ინტერესებმა და შეთანხმებულმა ერთობლივმა საქმიანობამ განსაკუთრებული გამოვლინება XX საუკუნის დასაწყისში ჰპოვა. ეკლესია, ქვეყნის ერთიანობისა და თვითმპყრობელური სისტემის განმტკიცებისათვის აქტიურად იღწვის იმპერიის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც, ბუნებრივია, მას განსაკუთრებულად პრივილეგირებულ მდგომარეობას ანიჭებდა.

რადგან ისტორიულად რუსული მართლმადიდებლური ეკლესია თვითმპყრობელობის აპარატთან მყარი პოლიტიკურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ქსელებით იყო დაკავშირებული, უდავოა, საქართველოს ათვისება-შემომტკიცების საქმეში ქრისტიანულ სარწმუნოებას

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა და ძლიერი დასაყრდენი ძალა იყო ხალხთა მასებზე ზემოქმედებისათვის. აქედან გამომდინარე, ცარიზმმა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გარკვებრების ათვისების იდეოლოგიური ფუნქციის შესრულება და საამისო საფუძვლის მომზადება დააკისრა, რისთვისაც იგი საქართველოში დამყარებული მმართველობის ორ მთავარ პრინციპს ეყრდნობოდა: თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ აპარატსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას.

XX საუკუნის დასაწყისში, რუსულმა სასულიერო უწყებამ საქართველოს საეგზარქოსოს აპარატის მეშვეობით ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რეალურად განემტკიცებინა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია კავკასიაში.

საქართველოს საეგზარქოსო ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საქართველოს მოსახლეობის თვალში გაემართლებინა თვითმპყრობელური სისტემის არსებობა; მთელი ძალისხმევით ქადაგებდა რუსეთის იმპერატორის ერთმპყრობელობასა და მისდამი ერთგულებას.

საქართველოს საეგზარქოსო, რუსეთის თვითმპყრობელური სისტემის საეკლესიო, პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის საქმეში, მთელი ძალისხმევით ცდილობდა ქართული ეკლესიის თავისებურ მონარქისტულ კათედრად ქცევას, საიდანაც რუსი სამღვდელოება ცარიზმის პოლიტიკის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდას გასწევდა. აღნიშნულის განხორციელებაში აქტიურად იყო ჩაბმული სასულიერო უწყების ყველა დაწესებულება.

საქართველოს საეგზარქოსოს უწყება და მისი მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები თავიანთი მოღვაწეობით მიისწრაფოდნენ ქართველი ერის სიყვარულისა და ნდობა-პატივისცემის მოპოვებისაკენ და ამ საქმეში წარმატების მისაღწევად სხვადასხვა მეთოდებსა და ხერხებს მიმართავდნენ.

საქართველოს საეგზარქოსოს ასეთი პოლიტიკის შედეგად, ქართული ეკლესია თანდათანობით კარგავდა თავის გავლენას მოსახლეობაზე და ობიექტურად ხელს უწყობდა თვითმპყრობელობის რეჟიმის განმტკიცების საქმეს საქართველოში.

საქართველოს საწმუნოებრივ-პოლიტიკური მორჩილების გარდა, ქართული ეკლესიის რუსული სასულიერო უწყებისადმი ეკონომიკურ

დამოკიდებულებას დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა ჰქონდა. საამისოდ, XX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოს ეკლესიის ახალი ძალით დამორჩილებისათვის საეგზარქოსოს ხელისუფლება რიგ ღონისძიებებს ატარებს, რადგან მას კარგად უწყოდა, რომ ქართული ეკლესიის ეკონომიკური დაქვემდებარება რუსულ სასულიერო უწყებაზე, რუსეთის სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის ზრდას გამოიწვევდა. აღნიშნული, ეროვნული ეკლესიის ეკონომიკურ უკიდურეს დაუძლურებას იწვევდა და მას იმპერიის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ქვაკუთხედად აქცევდა.

საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციულმა, ანტიხალხურმა პოლიტიკამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეზე და ცარიზმის რეჟიმისა და რუსული საეკლესიო-პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული სოციალური ხასიათის მღელვარებანი მჭიდროდ დაუკავშირა საერთო სახალხო დემოკრატიულ მოძრაობას.

+ ცარიზმის მიერ გატარებული კოლონიური, საეკლესიო, თუ ეკონომიკური ღონისძიებები უპირისპირდებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ ძალთა აღმაელობისა და კონსოლიდაციის იმ ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ პროცესს, რომელიც თავის უშუალო გამოხატულებას საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში პოულობდა.+

საქართველოს დემოკრატიულ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, საქართველოს საეგზარქოსოს დიდი ფუნქცია დაეკისრა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ ცდილობდა თვითმპყრობელობის ნდობის გამართლებას საქართველოში და თავისი მდგომარეობის გაძლიერებას. საეგზარქოსოს აპარატის ფარულმა, თუ ამკარა ბრძოლამ ქართველი ერის წინააღმდეგ, გამოააშკარავა მისი დანიშნულება და ქართველებს მისი ნამდვილი სახე დაანახვა. ცარიზმის რეჟიმისა და რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული სოციალური ხასიათის მღელვარებანი, XX საუკუნის პირველსავე წლებში მჭიდროდ დაუკავშირდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, აქცია იგი საერო ხასიათის დემოკრატიულ მოძრაობად და მას მეტი სიმკვეთრე და შეურიგებლობა მიანიჭა. ასეთ ვითარებაში, ქართველი ერის ბრძოლა რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ ითვალისწინებდა ბრძოლას რუსული საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგაც.

1900-1904 წლებში, საქართველოს მოსახლეობა რუსულ საეკლე-სიო პოლიტიკას საკმაოდ ძლიერი საპროტესტო გამოსვლებით დაუ-პირისპირდა. იგინი უარს აცხადებდნენ საეკლესიო ცხოვრების წესის შესრულებაზე, საეკლესიო გადასახადებზე, რაც ერთის მხრივ იწვევ-და, მათ დაპირისპირებას სასულიერო ფენისადმი, ხოლო მეორის მხრივ, ამ უკანასკნელს, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აგდებ-და. ყოველივე კი, საეგზარქოსოს წინაშე დაყენებულ ამოცანათა გა-დაჭრას აბრკოლებდა; მთლიანობაში — ყოვნდებოდა თვითმპყრობე-ლური პოლიტიკის განხორციელება კავკასიაში.

+XX საუკუნის დასაწყისშივე, საქართველოში შექმნილმა მძიმე პო-ლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ, თვითმპყრობელო-ბისა და მისი სასულიერო უწყების მხრიდან ყოველივე ეროვნულის დევნამ და ქართული ეკლესიის მოსპობის მცდელობამ, ქართული სა-ეკლესიო ცხოვრების უკიდურესი კრიზისი გამოიწვია, რასაც მძაფრი გამოხატულება ჰპოვა ქართული საეკლესიო კრებულის მოღვაწეო-ბაში, რომლის ერთი ნაწილი უპირისპირდებოდა რუსულ საეკლესიო პოლიტიკას, ხოლო მეორეში კი, უკიდურესი მანკიერი გამოვლინება-ნი იჩენდა თავს. +

საქართველოს საეგზარქოსოში განვითარებული ანტისამთავრობო, რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის აღმოფხვრის მიზნით, საეგზარქოსოს ხელისუფლება სხვადასხვა მე-თოდებსა და ზომებს მიმართავდა, რასაც თან ერთვოდა მისივე პო-ლიტიკით გამოწვეული ქართული საეკლესიო ცხოვრების კრიზისის გამძაფრება.

ქართველი სასულიერო ფენისა და მისი კრებულის დემოკრატიუ-ლი მოძრაობიდან ჩამოცილების ერთ-ერთი მიზეზად, სასულიერო უწ-ყებას, სამღვდელოებასა და მრევლს შორის არსებული დაპირისპი-რების აღმოფხვრა მიაჩნდა. საამისოდ, საეგზარქოსოს ხელისუფლება სახავს რიგ ღონისძიებებს ქართველი სამღვდელოების მატერიალუ-რი პირობების გაუმჯობესებისათვის. მათ შორის ზრდის სასულიერო პირთა ხელფასებს, უნიშნავს პენსიებს, უწევს მათ პერიოდულ დახმა-რებას და ა. შ. ამავე მიზანს ემსახურებოდა იმპერიის ყველა რეგიონ-ში საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობათა მძლავრი აღმავლობის პროცესიც, რომელსაც თავად უნდა უზრუნველეყო სამღვდელოების

ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. სამონასტრო მეურნეობების განვითარებას ემსახურებოდა საეგზარქოსოში გახსნილი რიგი სამეურნეო სასწავლებლები და ა. შ.

1900-1904 წლებში, სულ უფრო აქტიურდება საქართველოს საეგზარქოსოს უწყების მიერ დასახული კულტურული ღონისძიებანი, რომლებიც ერთის მხრივ ქართველი ხალხის ასიმილაციას, ხოლო მეორის მხრივ, მხარეში თავის პოზიციების განმტკიცება-ამაღლებას ემსახურებოდა.

ნიშანდობლივია საეგზარქოსოს ხელისუფლების აქტიური ბრძოლა დემოკრატიული მოძრაობების წინააღმდეგ, რომელმაც განსაკუთრებული გამოვლინება საგანმანათლებლო სასწავლებლებში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობებისადმი იჩინა თავი.

XX საუკუნის პირველივე წლების საეგზარქოსოს საქმიანობა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული მოძრაობის პოტენციალის შესაფერისი იყო, რომელიც სასულიერო უწყების მხრიდან ნაირსახოვანი გამოვლინებებით ხასიათდებოდა. რიგ შემთხვევაში, საეგზარქოსოს ხელისუფლება მკაცრ მეთოდებს მიმართავდა, ზოგჯერ კი იჩენდა სიფრთხილეს და მიდიოდა გარკვეულ დათმობებზე.

XX საუკუნის დასაწყისიდან, ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთა შორის დაიწყო ბრძოლა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. რუსეთის იმპერიამაც გაასინჯა თავისი დამპყრობლური გეგმები. იგი აქტიურ მეტოქეობას უწევდა დიდ სახელმწიფოებს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების საქმეში. ახლო აღმოსავლეთში, თვითმპყრობელური რუსეთის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას დაუპირისპირდა იაპონიის იმპერიალისტური ზრახვები. იაპონიაზე რუსეთის გამარჯვებას, ცარიზმის ვარაუდით უნდა მოჰყოლოდა ახალი კოლონიები, გასაღების ახალი ბაზრები, თვითმპყრობელობის ავტორიტეტის ამაღლება; ქვეყნის შიგნით და განაპირა მხარეებში მიმდინარე რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ჩახშობა.

რუსულმა ეკლესიამ თავიდანვე დიდი მუშაობა გაშალა რუსეთ-იაპონიის ომის სასარგებლოდ. ეს საქმე კავკასიის რეგიონში საქართველოს საეგზარქოსოს დაეკისრა.

საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებამ დაიწყო ომის სასარგებლო აგიტაცია, რომელ საქმეშიც ჩართო სასულიერო უწყების ყვე-

და ოფიციალური საგამომცემლო ორგანო. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სისტემატიურად იბეჭდებოდა საერო და სასულიერო უწყების მიერ გამოსული ომის საჭიროების მოწოდებანი, რომლებიც აქტიურად ვრცელდებოდა მოსახლეობაში.

ომიანობის ჟამს, საქართველოს საეგზარქოსოს ასეთი პოლიტიკა მიმართული იყო საქართველოს მოსახლეობის მორჩილებისაკენ ცარიზმისა და მისი სასულიერო უწყებისადმი და აღმავალი რევოლუციური, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ.

რუსეთის იმპერიის კარგად ორგანიზებული სამხედრო-პოლიციური აპარატი, თვითმპყრობელობის სადარაჯოზე იდგა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქვეყანაში მიმდინარე ანტისამთავრობო რევოლუციური გამოსვლების ჩახშობაში. არმია და პოლიცია იყო ცარიზმის უმთავრესი დასაყრდენი; მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი გარანტი.

ომიანობის პერიოდში, რუსეთის არმია განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სამხედრო ნაწილებში იმძლავრა სექტანტურმა მიმდინარეობებმა და რევოლუციური იდეოლოგიის გავრცელებამ. ასეთ შემთხვევაშიც სასულიერო უწყებას უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრა ქვეყნის ხელისუფლების წინაშე. საქართველოს საეგზარქოსო იწყებს სისტემატიურ და აქტიურ სამისიონერო მუშაობას არმიასა და ფლოტში; სახავს წამოჭრილი საფრთხის წინააღმდეგ მიმართულ რიგ ღონისძიებებს.

არმიასა და ფრონტზე უშუალო საქმიანობა-მონაწილეობის გარდა, საეგზარქოსოს სასულიერო ფენას ზურგშიც უდიდესი საპასუხისმგებლო საქმე ევალებოდა. იგი აქტიურ პროპაგანდას ეწევა ხალხთა მასების ომში ჩათრევისათვის, რომელსაც ქართველი დემოკრატიული საზოგადოებრიობა მკაცრად დაუპირისპირდა და ომის საწინააღმდეგო ლოზუნგით გამოვიდა.

ომის სასარგებლო რიგ ღონისძიებებთან ერთად, საეგზარქოსო ომის საჭირო თანხების შემგროვებლადაც გვევლინება. ქართული ეკლესია არ გამოხმაურებია რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ანტიხალხურ პოზიციას და უსამართლო, დამპყრობლური ომისათვის დახმარების მოწოდებას.

მიუხედავად თვითმპყრობელობისა და სასულიერო უწყების დიდი

მღდელობისა, იაპონიასთან ომში რუსეთმა გამარჯვებას ვერ მიაღწია, ვერც მოსახლეობაში რევოლუციური და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობების შესაჩერებლად გამოიყენა ომი ცარიზმმა. რუსეთის იმპერიალისტურმა ზრახვებმა მძიმე მარცხი განიცადეს. ომი მძიმე ტვირთად დააწვა იმპერიის მთელ მოსახლეობას, უკიდურესად გაამწვავა სოციალური ანტაგონიზმი, დააჩქარა მოსალოდნელი რევოლუციური აფეთქება.

რუსეთ-იაპონიის ომმა ნათლად წარმოაჩინა ცარიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი, გამოიწვია მისი ავტორიტეტის დაცემა ხალხში. თავის მხრივ, ვერც საქართველოს საეგზარქოსომ გაამართლა თვითმპყრობელობის იმედები. მოსახლეობაზე მისი გავლენის დასუსტებამ აშკარად იჩინა თავი ომის პერიოდში. მან ვერ შესძლო ცარიზმის იმპერიალისტური ზრახვების გამართლება, საქართველოში მიმდინარე საერთო სახალხო დემოკრატიული მოძრაობის დასუსტება. საეგზარქოსოს პოლიტიკამ ვერ ჰპოვა ნიადაგი მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობაში, რომელიც გმობდა რუსეთის ცარიზმს და მის საეკლესიო პოლიტიკას საქართველოში. იგი ცდილობდა არსებული ვითარების გამოყენებას, საერთო დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციას, ქართველი საზოგადოების წინაშე მდგარი კარდინალური საკითხების სამართლიანად გადაჭრას.

იმპერიის შიდა პოლიტიკური ვითარების მოგვარებისათვის ბრძოლამ, ცარიზმის ამ მიმართებით გატარებულ ღონისძიებათა დაცვამ, თვითმპყრობელობის უფლებამოსილებისა და ავტორიტეტის დანერგვა-განმტკიცებამ, ცარიზმისა და ეკლესიის თანამშრომლობამ, განსაკუთრებული გამოვლინება 1905-1907 წლების რევოლუციის ხანაში ჰპოვა. აქტიური სახე მიიღო ეკლესია-საერო ხელისუფლების ერთობლივმა ბრძოლამ რევოლუციის წინააღმდეგ. ამ პერიოდში, ეკლესია ცარიზმის მნიშვნელოვანი დასაყრდენი იყო, რომელიც თავდაუზოგავად ებრძოდა რევოლუციურ იდეოლოგიას. რუსულმა ეკლესიამ ამ ბრძოლაში კიდევ უფრო დახვეწა თავისი ბრძოლის მეთოდები და ხერხები.

ფართო მასების რევოლუციური იდეოლოგიიდან ჩამოცილების მიზნით, საქართველოს საეგზარქოსო ხელისუფლება ატარებდა რიგ ღონისძიებას გლეხთა საეკლესიო გამოსაღების შემსუბუქებისათვის, ქარ-

თველი სამღვდელოების რევოლუციური და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობებიდან იზოლაციისათვის. ამავდროულად, მიმართავს მკაცრ ზომებსაც, რომელ საქმეშიც აქტიურად რთავს სახელმწიფო სხვადასხვა ორგანოებს.

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, სასულიერო ხელისუფლება იყენებს სარწმუნოებრივ-პროპაგანდისტული მუშაობის დახვეწილ მეთოდებს; ინტენსიურ სახეს აძლევს საეკლესიო-სამონასტრო აღდგენით სამუშაოებს იმ რეგიონებში, სადაც განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობდა რევოლუციური მოძრაობები. საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლების ძალისხმევით, საქართველოში დაარსდა რიგი კლერიკალურ-მონარქისტული ძმობა-კავშირები, საზოგადოებები, რომელთა უშუალო ამოცანას წარმოადგენდა ხალხთა ფართო მასებში რევოლუციური მისწრაფებების აღმოფხვრა, რუსული ეკლესიისა და თვითმპყრობელობის ავტორიტეტის ამაღლება.

მიუხედავად საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლების ყოველმხრივი მეცადინეობისა, მან მაინც ვერ შესძლო საქართველოს მოსახლეობის დემოკრატიული მოძრაობიდან ჩამოცილება, რაც მისი უპირველესი დანიშნულება იყო 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. პირიქით, ქვეყანაში გატარებულმა პოლიტიკურმა ვითარებამ კიდევ უფრო გაამძაფრა რუსული ეკლესიის შიდა კრიზისი, რომელიც თვითმპყრობელურ-მონარქისტული სისტემის საერთო კრიზისის შემადგენელი ნაწილი იყო. საქართველოში, საეგზარქოსოს პოლიტიკური კრიზისის გამოვლინების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო საქართველოს საზოგადოების ყველა ფენის მისდამი უარყოფაში, რამაც ნათლად იჩინა თავი 1905-1907 წლების რევოლუციაში. ამ დროს, ქართველი საზოგადოებრიობა ამძაფრებს ბრძოლას თვითმპყრობელობისა და რუსული საეკლესიო წყობის წინააღმდეგ. იგი აშკარად იყენებს არსებულ მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას და აყენებს ეროვნული სახელმწიფოსა და მისი ეკლესიის განთავისუფლების მოთხოვნას. XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიაში მიმდინარე მძლავრმა დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის პერიოდმა, განაპირა მხარეებში, და მათ შორის საქართველოშიც, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ხასიათი მიიღო. 1905-1907 წლების რევოლუციამ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-

განმანთავისუფლებელი მოძრაობა და ამ საქმეში ქართველი ერის ყველა ფენის წარმომადგენლებთან ერთად, ეროვნული სამღვდელოებაც აქტიურად ჩართო. ამ ბრძოლაში სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი წამოაყენა. ავტოკეფალიისათვის ბრძოლას, საქართველოსათვის ესოდენ მძიმე პერიოდში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სამღვდელოების მოძრაობამ შეასრულა ისტორიული როლი ეროვნული გათვითცნობიერებისა და შეგნების გასაღვივებლად. ქართველმა სასულიერო კრებულმა საქართველოს დემოკრატიული მოძრაობის წამყვან მომენტად ეროვნული ეკლესიისათვის თავისუფლების მინიჭება მიიჩნია და ამ საქმეში მედროშის როლიც ითავა.

ქართველი სამღვდელოების ირგვლივ დაირაზმა ხალხთა მასები, ინტელიგენცია, იმ პერიოდის თითქმის ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია და ერთსულოვნად მოითხოვეს ეროვნული ეკლესიის თავისუფლება.

ქართველი სასულიერო ფენა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ცარიზმისა და მისი სასულიერო უწყების მიერ გატარებული ღონისძიებების საერო და სასულიერო ცხოვრებაში დანერგვას. იგი ცდილობდა რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუცია დაეკავშირებინა ეროვნული ეკლესიის განთავისუფლების მოთხოვნისათვის ბრძოლას და იბრძვის თავის ერში დაკარგული ავტორიტეტის ამაღლებისათვის. ქართველი სამღვდელოების დიდი მეცადინეობით, ეროვნული ეკლესიის ინტერესები ხალხის რევოლუციური მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცა.

1905-1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ქართულმა ეკლესიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სრულიად საქართველოს სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დაცვაში.

თვითმპყრობელობა და მისი სასულიერო უწყება, ქართველი სამღვდელოების მოძრაობაში ხედავდა თავისი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ მიმდინარეობას და მთელი სიმძაფრით დაუპირისპირდა მას; მაგრამ ავტოკეფალისტები ძლიერ ოპოზიციურ ძალად რჩებოდნენ და მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრობის რეპრესიულ ღონისძიებებს.

1905-1907 წლების რევოლუციის მარცხის შემდგომ, ცარიზმმა მკაცრი ანგარიშსწორება დაიწყო საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობის მიმართ. აღნიშნულ პოლიტიკაში, რუსეთის ხელისუფლებას დიდ დახმარებას უწევდა ეკლესია და მათ შორის საქართველოს საეგზარქოსოს მთელი აპარატი. საქართველოს მოსახლეობის დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება სხვადასხვა მეთოდებით ებრძოდა. რეაქციის ხანაში ქართველი ერისადმი შურისგების უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენდა დიდი ქართველი მამულიშვილის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობის ფაქტი.

საეგზარქოსოს რეაქციული პოლიტიკის გამოვლინების დასტურია მის მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებმაც მთელი სიმძაფრით იჩინეს თავი ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებში. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავდა ქართველი მოწინავე სამღვდელოების შეცვლას იმ ახალი ეროვნული სასულიერო ფენით, რომელიც თვითმპყრობელობის ინტერესებს დაიცავდა საქართველოში.

გარდა ბრძოლის უმკაცრესი მეთოდებისა, რეაქციის ხანაში, საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლება მიმართავდა ფრთხილ და ერთი შეხედვით დათმობების პოლიტიკასაც. მოსახლეობის რევოლუციური იდეოლოგიიდან ჩამოცილების მიზნით, სასულიერო უწყება აარსებდა მუშათა რეგიონებში სპეციალურ სასულიერო კრებულებს, რომლებიც რუსული ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებისათვის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ მოსახლეობაში. ინტენსიური სახე მიეცა საქართველოს საეგზარქოსოს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარებასაც, რომელთაც ლექცია-ქადაგებებისა და კონცერტ-საღამოების ჩატარების სახე მიეცათ.

რეაქციის წლებში, საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება გაამახვილა მოსწავლე ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის დემოკრატიული მოძრაობიდან ჩამოცილებისა და თავისკენ გადაბირების მიმართულებით. აქტიური სახე მიეცა მათ შორის პროპაგანდით მოღვაწეობას; არსდებოდა რიგი სასულიერო ხასიათის პერიოდული გამოცემები, იბეჭდებოდა წერილები და წიგნები, რომ-

ლის ავტორები ამხედრებდნენ საქართველოს საზოგადოებრიობას რევოლუციური მოძრაობების წინააღმდეგ.

რევოლუციის შემდგომ წლებში, საქართველოს საეგზარქოსოს ბრძოლა უხდებოდა საქართველოში მიმძლავრებული სეპარატისტული მოძრაობების წინააღმდეგაც, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა კავკასიაში გაბატონებულ რუსულ ეკლესიას. ამ მიმართებით, შეინიშნება გაცხოველებული სამისიონერო საქმიანობა, რისთვისაც საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლება აქტიურ, ქმედით ღონისძიებებს სახავს.

საქართველოს საეგზარქოსო, ცარიზმთან ერთად, ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ნაირგვარ გზას ეძებდა. ამით იყო გამოწვეული ეკლესიის აქტიური ჩაბმა პირველი მსოფლიო ომის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდისტ საქმიანობაში. სასულიერო უწყებამ ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან დაიწყო ომის მიზეზთა ცარიზმის პოზიციებიდან ახსნითი სამუშაოების ჩატარება, რომელსაც მრავალმხრივი ხასიათი მიეცა. აქტიური სახე მიეცა ომის გამარჯვების ქადაგებისათვის პუბლიცისტურ მოღვაწეობას. საქართველოს საეგზარქოსოს სხვადასხვა პერიოდულ ორგანოებში იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა სააგიტაციო სახის წერილები, ბროშურა-ფურცლები, საერო და სასულიერო ხელისუფლების მოწოდებანი და „ვედრებანი" მეომართა ომში გამარჯვებისათვის და ა.შ.

განსაკუთრებით გააქტიურდა სამხედრო სამღვდელოების საქმიანობა. სამხედრო ნაწილებში, ცარიზმის რეჟიმის საწინააღმდეგო მოძრაობის აღმოფხვრის, მოსახლეობასა და მეომართა რიგებში ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით, საქართველოს საეგზარქოსოს ხელისუფლება სახავს რიგ ღონისძიებას, კერძოდ, ეწყობა ეკლესია-მონასტრების აღდგენით სამუშაოებს, სასულიერო პირთ უუმჯობესებს მატერიალურ პირობებს, სამხედრო სამღვდელოების პირთა ოჯახებს უწევს დახმარებას და ა. შ.

ომის პერიოდში, სასულიერო უწყება გამოდის კავკასიაში შემოწირულობათა აკრეფის ინიციატორად და ამ საქმეში მხარის საზოგადოების ყველა ფენასა და დაწესებულებას რთავს. სისტემატიური სახე მიეცა კონცერტ-საღამოების ჩატარებას, რომლის შე-

მოსავალიც ომის ფონდში ირიცხებოდა; დაღუპულ მეომართა შვილებისათვის იხსნებოდა ობოლ ბავშვთა თავშესაფრები, ლაზარეთ-საავადმყოფოები, სტაციონარები და სხვ.

მიუხედავად თვითმპყრობელობა-ეკლესიის განუზომელი მცდელობისა, რუსეთის ომში მარცხმა და ქვეყანაში მიმდინარე სწრაფმა სამეურნეო ნგრევამ დააჩქარა ცარიზმისა და მისი ხელისუფლების შიდა კრიზისი. ქვეყანაში აღმოცენდა რევოლუციური სიტუაცია და თვითმპყრობელობა გარდაუვალი დამხობისა და სახალხო რევოლუციის წინაშე აღმოჩნდა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ და თვითმპყრობელური რუსეთის დამხობამ ქართველი სამღვდელოება ეროვნული ეკლესიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო გააქტიურა. რუსეთის დროებითი მთავრობის მოღვაწეობის პერიოდში, ქართული ეკლესია იბრუნებს თავის ძალაუფლებას და ერის სამსახურში დგება.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა, ქართველი ერის დიდი გამარჯვება იყო, რომელსაც ასევე დიდი ისტორიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ მეტად მნიშვნელოვანმა მოვლენამ, დაადასტურა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი პატივისცემა და სიყვარული მშობლიური ეკლესიისადმი.

+XX საუკუნის დასაწყისში, ქართულმა ეკლესიამ უდიდესი ისტორიული მისია შეასრულა არა მარტო თავისი ქვეყნის თავისუფლების მოპოვებაში, არამედ მისი კულტურის დაცვა-გადარჩენის საქმეშიც. ქართველი სამღვდელოება ქომაგის ფუნქციით გამოდის ერის წინაშე და მძიმე ტვირთს ზიდავს მამულის, ხალხისა და მისი უძველესი კულტურის გადარჩენისათვის.+

+ქართველი სასულიერო ფენა გონივრულად უკავშირებს ეროვნული ეკლესიის თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს ქვეყნის განთავისუფლებას და მისი კულტურის დაცვა-აღორძინებას.+

+ქართველი სამღვდელოება, საქართველოსთვის უმძიმეს პოლიტიკურ ჟამს, 60-იანელთა იდეების ბრწყინვალე გამგრძელებლად გვევლინება, რომელიც მთელი თავისი რთული მოღვაწეობის მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურებოდა დიდი ილიას უკვდავ დევიზს — „მამული, ენა სარწმუნოება". +

# Резюме

На современном этапе становления независимого,демократического Грузинского государства объективное изучение исторического прошлого страны имеет важное актуальное значение. В этом отношении особенного внимания заслуживает изучение истории Грузинской церкви, оценка ее вклада в общественно-политическую и культурную жизнь Грузии вообще, и, в частности, в начале XX века.

История Грузинского экзархата до последнего времени не была приметом специального научного изучения. Настоящем работа является первой попыткой монографического изучения Истории Грузинского экзархата с 1900 года по 1917 год включительно.

После присоединения Грузии к России Грузинская церковь оказалась под угрозой национального вырождения. В 1811 году была уничтожена автокефалия Грузинской церкви. После ряда преобразований была создана мощная централизованная церковная организация, известная в истории под именем "Грузинского экзархата".

Создавая эту церковную организацию, царизм преследовал цель добиться реального господства Русской православной церкви на Кавказе и тем самым ещё более упрочить свое господство в этом регионе страны.

Изучению истории Грузинской церкви и экзархата начала XX века посвящено не одно научное исследование. Среди грузинских и зарубежных авторов, изучавщих общие вопросы истории церкви, заслуживают внимания труды А. Джорджадзе, Г. Церетели, Ив. Джавахишвили, Гр. Гвелесиани, С. Пирцхалава, Б. Эсадзе, Н. Дурново, А. Лебедева, М. Ковальницкого, С. Мельгунова, В. Розанова, Д. Философова, Н. Бердьяева, Т. Филиппова, О. Покровского, М. Тихомирова, Э. Аквилинова, В. Романовского, В. Жмакина и др.

Интересные исследования посвятили истории Грузинской праваславной церкви и деятельности грузинского духовенства Н.Марр, А. Цагарели, П. Иоселиани, М. Джанашвили, Ф. Жордания, Ал. Хаханашвили, А. Пурцеладзе, З. Чичинадзе, С. Горгадзе, Ев. Николадзе, Арк. Хуцадзе, епископ Кирион /Садзаглишвили/, К. Цинцадзе, М. Ке-

ленджеридзе, П. Карбелашвили и др. Интересные сведения из истории Грузинского экзархата содержится в публикациях Н. Эристова-Шарвашидзе, епископа Давида /Качахидзе/ М. Фомина-Цагарели, М. Ткемаладзе, Ф. Гершельмана, И. Беляева, А. Боярского, И. Соколова, И. Брехничева, и др.

В последные годы усилился интерес исследователей к истории Грузинского экзархата. В этом отношении заслуживают внимания работы М. Хушпвили и Б. Ломинадзе.

Отдельные вопросы истории Грузинского экзархата нашли свое отражение в публикациях К. Челидзе, Г. Габуния, Л. Горгиладзе, Аб. Имедашвили, Тр. Рухадзе, Арк. Хуцидзе, Б. Кандидова, И. Кленовского, М. Курова, Н. Лукина, Н. Платонова и др.

Некоторые аспекты, интересующей нас темы, частично отразились в обобщающих трудах грузинских историков, как: А. Беднанишвили, А. Иоселиани, П. Ратиани, А. Нацвлишвили и др.

Ценные наблюдения о деятельности Грузинского экзархата в области просвещения содержится в работах Т. Рухадзе, О. Бакурадзе, Т. Саришвили и др. Участие учащийся молодежи в политических и антицерковных акциях освещены в работах Аб. Имедашвили, А. Калмахелидзе, К. Челидзе, Г. Габуния, Н. Туташвили, В. Хабурдзания и др.

Отдельные интересные историографические факты исследуемой темы встречаемся в трудах Ф. Гершельмана, И. Грекулова, П. Зырянова, Э. Керского, А. Кленовского, М. Курова, Н. Лукина, Б. Скидского, И. Чхартишвили, В. Чантладзе, Д. Бакрадзе, Л. Боцвадзе, О. Чургулия и др.

Предлагаемое исследование написано на основе критического анализа литературных и новых архивных документальных материалов.

Богатый фактический материал по интересующей нас теме содержится в таких публикациях, как "Всеподданейшая записка по управлению Кавказским краем генерал-губернатора графа Воронцова-Дашкова" /1907/, "Отчет обер-прокурора Святого Синода за 1905 г.", "Отзывы епархиальных архиереев" /1905/ и др.

Интересные сведения для характеристики церковной политики

самодержавия на Кавказе встречаются в публикациях "Краткий очерк духовно-просветительского епархиально-миссионерского братства" /1900/, "Краткий очерк-обзор Тифлисской епархии миссионерской духовно-просветительской деятельности братства" /1907/, "Обзор деятельности восстановления правословного христианства на Кавказе. 1860-1910" /1912/.

Богатейшие материалы по истории Грузинского экзархата отложились в государственных архивах Грузии и Росии. Особенно ценные материалы хранятся в фондах "Канцелярии наместника Кавказа", "Канцелярии Тифлисского губернатора", "Тифлисского окружного суда", "Канцелярии Грузинского экзархата", "Грузино-Имеретинской синодальной конторы", "Общества восстановления православного христианства на Кавказе". Материалы указанных фондов дают возможность подробно осветить скрытые цели Синода по отношению в Кавказскому региону. При изучении просветительской политики царизма и духовного ведомства по отношению к Грузии большое значение имеют материалы "Фонда Тифлисской семинарии".

Личные Фонды гражданских и духовных деятелей _ Кириона Садзаглишвили, К. Цинцадзе, Леонида Окропиридзе, Феодора /Тедо/ Жордания, Бориса и Симона Эсадзе, Полиэвкта Карбелашвили и др. Содержат разнообразные сведения о положении Грузии в начале XX века, уникальные документы по истории Грузинской церкви и Грузинского экзархата.

Духовная и светская периодика начала XX века _ это интересный и многосторонный источник для изучения деятельности Грузинского экзархата. Следует особо отметить духовные периодические издания "Духовный вестник Грузинского экзархата", "Мцкемси" /"Пастырь"/, "Джвари Вазиса" /"Крест из лозы"/ и др.

В публицистических статьях грузинских духовных лиц ярко отразилась борьба передовой общественности в защиту интересов национальной церкви.

В предлагаемой вниманию читателя монографии впервые в специальной литературе были определены место и значение Грузинского экзархата в церковной и политико-экономической жизни Российской империи.

В труде впервые в историографии мы попытались проанализировать политику Грузинского экзархата в отношении происходящих в Грузии общественно-политических процессов, уточнить место и роль грузинского духовенства в национально-освободительном движении. На основании анализа новых документальных материалов, в работе показана борьба за независимость Грузинской церкви трудовой общественности. Впервые в научной литературе предпринята попытка научного осмысления роли Грузинского экзархата в Русско-японской и Первой мировой войнах, раскрыта самоотверженная деятельность грузинского духовенства на благо своей страны, его активное участие в деле защиты и воздержания грузинской культуры и т.д.

Социальный институт Грузинского экзархата был ярким проявлением реакционной сущности царского бюрократического строя. Поэтому этот новый для Грузии церковный аппарат не смог оказать положительного влияния на общественно-политическую жизнь нашей страны.

Юрисдикция Грузинского экзархата распространялась как на Закавказье,, так и Северный Кавказ.

Грузинскому экзархату вменялось в обязанность решение церковных, политических и экономических задач. Экзархат должен был отстаивать политические интересы царизма среди населения окраин Российской империи, для чего ему нужно было превратить Грузинскую церковь в надежную опору монархизма.

В результате мероприятий, осуществленных царизмом в Грузинском экзархате, Грузинская церковь постепенно стала терять свой национальный облик. В настоящей работе вскрыта реакционная роль Грузинского экзархата в общественно-политическом движении Грузии 1900-1917 годов.

Реакционная, антинародная политика Грузинского экзархата имела отрицательное влияние на все стороны общественно-политической жизни страны. Особенно ярко это проявилось с начала XX века, когда происходящие в Грузии социальные волнения, направленные против эксплуататорского режима царизма и негативной религиозной политики Синода тесно сплелись с общенародным демократическим движением.

В исследовании показано стремление Русской церкви упрочить свое положение в Грузии, добиться доверия местного населения. По нашему мнению, тесное сотрудничество Русской церкви с самодержавием не только

раскрыло ее подлинное лицо, но и радикально противопоставило ей большую часть грузинского строя Российской империи была направлена и против государственной политики Русской церкви.

Изучение и анализ согласованных действии царизма и его церковного аппарата в начале XX века, позволил более глубже осветить борьбу прогрессивной общественности Грузии против самодержавия и его идеологического бастиона _ Синода.

Грузинское духовенства внесло большой вклад в решение национального вопроса. Оно активно боролась за сохранение национальной самобытности страны, за автокефалию Грузинской церкви.

Грузинский экзархат полностью поддерживал внешнеполитическую деятельность царизма, что приобрело особую значимость в период Русско-японсой и Первой мировой войне. В годы войны экзархат делал все для того чтобы ослабить революционное и национально-освободительное движение в Грузии и провести в годы войны активные мероприятия по материальной и идеологической поддержке самодержавия. Антинародная позиция экзархата в годы войны еще больше обостряла взаимоотношения между грузинской общественностью и руководителями Русской церкви.

В работе подробно освещена деятельность Грузинского экзархата в период между первой и второй революциями в Росии. В это время экзархат выступает как верный защитник интересов самодержавия и активный проводник его мероприятий.

Монографически изучено противодействие Грузинского экзархата развитию грузинской культуры. Эта политика духовного ведомства вызвала резкий протест лучших сынов Грузии.

В первое десятилетие XX века, представители грузинского духовенства внесли выдающийся вклад в деле защиты и развития национального языка, истории, богословия, церковной музыки, литературы, публицистики и т.д.

12 марта 1917 года была объявлена самостоятельность Грузинской церкви. Этим знаменательным актом Грузинская церковь органически отделилась от русского Синода, завершив свою великую борьбу за автокефалию. С этого времени начинается новый этап в борьбе за возрождение национального Грузинского государства. В этом деле на Грузинскую церьков возлагается историческая миссия.

## Resume


Christian religion had always extremely difficult, timly equal political-justise, cultural-ideological function in any period of the Georgian history past. That formed Christian religion organized and polished structure.

Now, it is needful to study Georgian Christian Church's history in ditail, because, church as state organization historicaly played and plays important part in foreign and home politics of the country.

In all centuries, the Georgian Church always was organized and organizer of joining country. The church ideologically was uniting different social layers of the society, was doing possitive bit in public-political movement, govering cultural live of the nation and etc.

In Georgian historiography, the history of the Georgian Egzarhat is almost unstudied problem. Now, its scientific study is actual and honourable task of the national historiography.

In historiography, for the first time we studed monographically the history of the Georgian Egzarhat in the begining of the XX-th century. In special literature, for the first time defined the place and meaning of the Georgian Egzarhat in ecclesiastical and political-economic life of the Russian empire.

For the first time, we tried to show the Egzarhat's politic towards the public-political movement of Georgia. Also, studed Georgian priesthood's place and part in national-liberation movement and tied up the fight of the Georgian Church for independence.

In the work for the first time, we tried to show designation of the Georgian Egzarhat in Russian empire's war-time, and Georgian priesthood's work in defence and development of national culture.

The Russian orthodoxal church was tied up to the autocracy by the solid political-economical and ideological nets, that's why christian religion was meaning force to influence on people. In Caucasus, this function played Georgian Egzarhat. Because, the Egzarhat was on the differ-

ent position to the Georgian national church and tied its extermination. Egzarhat couldn't influence positive displacement on georgian social life.

In Russian autocracy sistem, Egzarhat was obliged to decide religion, political and economic problems. In Caucasus, Egzarhat passed Tsarizm's political interests and from the Georgian Church by Russian priesthood propagated tasks of Russian autocracy. All this, ideal-politically joined Georgia to Russian empire.

The research tries to study reactionary nature of Georgian Egzarhat towards georgian social-political movement in 1900-1917. Such politic of the Egzarhat influenced on all part of social-politic life of Georgia, which specielly explosed in the begining of the XX-th century, when Georgian movement towards the Tsarizm and its church closely tied up to the public democretic movement.

Political cooperation of Tsarizm and Russian church exposed the real face of Egzarhat and oppossed the biggest part of Georgian people. Georgian nation contrast towards the Russian autocracy was the fight against its church.

The research's task was to show dependence of Georgian priesthood to national problem and its mite in this work. The Georgian priesthood was actual participator in fight for independence of the country and demands independence of Georgian church. Around priesthood, united democratic forces of Georgian society. This was the greatest victory of georgian Church, which finished by the independence of national church.

In the research, it is described the work of Egzarhat in Russian foreign politic, privately, when was going Russian-Japan and first world wars. In that periods, Egzarhat was defending Tsarizm. It's task was relaxing the revolution and national-independent movement in Georgia. Such politic of Egzarhat was reinforcing opossition between Georgian society and Russian power and its church.

Georgian Egzarhat was the defence of Russian autocracy and actual realizer of its measures in the first and second revolutions of Russia.

One of the tasks of the research was dependence of Egzarhat towards the culture of Georgia. The Egzarhat's task in this politic was cultural occupation of Georgia. Against Russian church's such politic began to

fight Georgian priesthood. In the begining of the XX-th century, national priesthood did the biggest bit in defence and development of national language, history, literature, publitistic, theology, ecclesiastical music, in all branch of art and etc.

In 12 march of 1917, there was declared independence of Georgian Church. By this important act, Georgian Church was separated from St.Sinod and finished its century fight for dependence.

# შენიშვნები

## I. ლიტერატურა და წყაროები


1. ბაქრაძე გ. ი., ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947

2. ბენდიანიშვილი ა. ს., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ., თბ., 1980

3. ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1958

4. ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1974

5. გაბუნია გ., საქართველოს ახალგაზრდობის რევოლუციური წარსულიდან, თბ., 1985

6. გაფრინდაშვილი მ., გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა, თბ., 1975

7. გეგეშიძე დ. ვ., მართლმადიდებლობის იდეოლოგიის კრიტიკა, თბ., 1976

8. გიორგაძე გრ., საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905 წწ., თბ., 1928

9. გოგებაშვილი ი., რჩეული თხზულებანი, ტ. II, III, თბ., 1990

10. გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1955

11. გორგილაძე ლ., ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან, თბ., 1967

12. გუგუშვილი პ. ბ., საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. I, თბ., 1958

13. დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1959

14. დუმბაძე მ., მეფის რუსეთის პოლიტიკა ქართლ-კახეთში XIX საუკუნის დამდეგს და ქართველი საზოგადოებრიობა, საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958

15. იმედაშვილი აბ. ნ., ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1900-1917 წწ., თბ., 1961

16. იოსელიანი ა. პ., საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულები, თბ., 1972

17. კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX ს.), ტ. I, თბ., 1954

18. კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია XIX-XX სს., ტ. II, თბ., 1959

19. ლენინი ვ. ი., რჩეული თხზულებანი, ტ. VI

20. ლენინი ვ. ი., რჩეული თხზულებანი, ტ. XX

21. ლენინი ვ. ი., რჩეული თხზულებანი, ტ. XXX

22. ლომინაძე ბ., ეკლესიის რეაქციული როლი 1905-1907 წლების რევოლუციაში, თბ., 1959

23. მჭედლიძე ს., ღვთისმსახურების შესახებ, თბ., 1990

24. ნებოძირელი ილ., იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, თბ., 1902

25. ნიკოლაძე ევ., საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918

26. პარკაძე გ., მასალები ქართლის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ, თბ., 1954

27. რატიანი პ., თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962

28. რატიანი პ., ილია ჭავჭავაძე. ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები, თბ., 1954

29. რუხაძე ტრ., ცარიზმი და სახალხო განათლება საქართველოში 1801-1917 წწ., თბ., 1948

30. რუხაძე ტრ., ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1940

31. სარიშვილი ტ., სახალხო განათლების საკითხები XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1986

32. საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1962

33. საქართველოს ეკლესიის აკლება, თბ., 1907

34. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973

35. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970

36. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972

37. საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია, ტ. I-II, ქუთაისი, 1918

38. სახარება იოანესი, თავი 10

39. სახაროვი ს., ქრისტიანული რელიგიის შესახებ, თბ., 1956

40. სახოკია თ., ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984

41. ფანჯიკიძე თ. ი., მართლმადიდებლობის შემრიგებლური ტენდენციები, თბ., 1965

42. მარაძე ვ., ილია ჭავჭავაძე, ტ. I-II, თბ., 1987

43. შენგელია გ., ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია რევოლუციურ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში (1907-1917), თბ., 1991

44. ჩანტლაძე ე., ფინანსები აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1975

45. ცაიშვილი ს., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1962

46. ჭელიძე კ. ს., თბილისის სასულიერო სემინარიის რევოლუციური წარსულიდან, თბ., 1988

47. ჭიჭინაძე ზაქ., ხიკ. ბესარიონის ძე დოლობერიძე, თბ., 1914

48. ჭურღულია ო., ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I, სოხუმი, 1974

49. ხუციშვილი ი. გ., 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955

50. ხუციშვილი მ. ნ., საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX სს., თბ., 1987

51. ხუციშვილი მ. ნ., საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები რევოლუციური მოძრაობის განვითარების პერიოდში, თბ., 1972

52. Абрамишвили А., Грузинская периодика, Тб., 1968

53. Басилая Ш.И., Закавказье в годы первой мировой войне /до Февральской революции/, дисс. на соискание ученой степени док.ист.наук, Сухуми, 1965

54. Гершельман Ф., Причины неурядиц на Кавказе, СПб., 1908

55. Грекулов Е.Ф., Церковь, самодержавие, народ, М., 1969

56. Дурново Н.Н., Мутный источник, или по поводу речи г. Пуришкевича в Государственной Думе по делам Грузинской церкви, М., 1909

57. Дурново Н.Н., Исторический очерк автокефальных церквей: Иверской и Имеретинской, М., 1910

58. Дурново Н.Н., Судьбы Грузинской церкви, М., 1907

59. Еп. Кирион, Краткий очерк истории Грузинской церкви и Экзархата за XIX столетие, Тифл., 1901

60. Зырянов П.Н., Православная церковь в борьбе с революцией, М., 1984

61. Зырянов П.Н., Православная церковь и самодержавие, М., 1984

62. История Великой войны, т. III, М., 1982

63. История СССР, под ред. Н.Е. Артемова, М., 1982

64. Историческое изображение Грузии в политическом и учебном состоянии. СПб.,1802

65. Кандидов Б.И. Империалистическая война и религия, М., 1933

66. Кандидов Б.И., Религия в царской армии, М., 1929

67. Кандидов Б.И., Церковь к 1905 г., М., 1926

68. Кандидов Б.И., Церковный фронт в годы Первой мировой войны, М., 1927

69. Колониальная политика царизма в Азербайджане /КПЦА/, I, М-Л., 1936

70. Корсун Н.Г., Эрзрумская операция, М., 1938

71. Куров М.Н., Революция 1905-1907 гг., М., 1976

72. Лукин Н.А., Революция и церковь, М., 1925

73. Марр Н., История Грузии, Тб., 1906

74. Топкиелис, Правда об автокефалии Грузинской церкви, Кутаис, 1905

75. ~~Федоренко С.А.~~, Народ на войне, Киев, 1917

76. Цагарели А.А., Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, СПб.,1912

77. Церцвадзе Г.И., Крестьянское движение в Грузии в 1905-1907 гг., Тб., 1955

78. Церцвадзе М.В., Революционное движение в Грузии в 1914-1917 гг. М., 1957

79. Чхартишвили С.И., Из истории революционного движения в Грузии /1914-1917/, Тб., 1957

80. Эристов-Шарвашидзе Н., Памятная записка, Тифл., 1906

81. Эсадзе Б., Историческая записка об управлении Кавказом, т. I, Тифл., 1907

## II. საჟურნალო და საგაზეთო პუბლიკაციები

82. გაზ. ალი, 1908, № 25, 41, 43

83. გაზ. ახალი ქართლი, 1915, № 39

84. გაზ. ახალგაზრდა ივერიელი, 1990, 4. XII

85. გაბუნია გ., საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში (1900-1904) ჟურ. საისტორიო მოამბე, 1982, № 45-46

86. გაზ. განათლება, 1991, 9. X

87. გაზ. დასაწყისი, 1908, № 11

88. გაზ. დილა, 1907, № 4

89. გაზ. დროება, 1908, № 27

90. გაზ. დროება, 1909 № 20, 35, 66, 252, 259, 264, 268, 274

91. გაზ. დროება, 1910, № 37

92. დურნოვო ნ., ქართული ეკლესიის ბედი, ჟურ. განთიადი, 1990, № 10

93. გაზ. ერი, 1913, № 44
94. გაზ. ერი, 1991, 20. III
95. თბილისის სასულიერო სემინარია და ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში, თსუ შრომები, ტ. 34-ა, 1948
96. გაზ. თემი, 1911, № 4, 50
97. გაზ. თემი, 1913, № 121, 876
98. თუთაშვილი ნ., ხაბურძანია ე., მოსწავლე ახალგაზრდობის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნიაში (1905-1907), ჟურ. საისტორიო მოამბე, 1985, № 51-52, დოკ. № 29, 30
99. გაზ. ივერია, 1900, № 3, 89, 90, 223, 235, 240, 276
100. გაზ. ივერია, 1901, № 93, 102, 144, 275
101. გაზ. ივერია, 1902, № 11, 85, 86, 130, 147, 268, 1767
102. გაზ. ივერია, 1903, № 38, 113, 134, 184, 188, 205, 2157, 2168, 2182, 2200, 2204
103. გაზ. ივერია, 1904, № 45, 273
104. გაზ. ივერა, 1906, № 4, 15, 17, 21, 25
105. გაზ. ისარი, 1907, № 220, 250
106. ჟურ. კალამი, 1907, № 90, 7
107. კალმახელიძე ა., საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ჟურ. საისტორიო მოამბე, 1963, № 15-16
108. ჟურ. კვალი, 1900, № 27, 37
109. ჟურ. კლდე, 1913, № 18
110. გაზ. კოლხიდა, 1912, № 44, 82, 91, 120
111. გაზ. ლახვარი, 1907, № 7
112. გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1988, № 30, 40
113. მაღლაკელიძე ს., გლეხთა მოძრაობა საქართველოში 1905 წლის რევოლუციის წინ, ჟურ. საისტორიო მოამბე, 1959, № 10
114. ჟურ. მებრძოლი ათეისტი, 1937, № 5
115. ჟურ. მებრძოლი ათეისტი, 1938, № 4, 7
116. გაზ. მეგობარი, 1906, № 4
117. ჟურ. მიწა, 1906, № 1, 3
118. ჟურ. მოგზაური, 1904, № VII-VIII
119. ჟურ. მოგზაური, 1905, № 9, 10, 14, 26, 37
120. ჟურ. მოგზაური, 1910, № 11
121. ჟურ. მწყემსი, 1886, № 3
122. ჟურ. მწყემსი, 1890, № 3-4
123. ჟურ. მწყემსი, 1896, № 8
124. ჟურ. მწყემსი, 1901, № 10
125. ჟურ. მწყემსი, 1905, № 9-10, 11-12, 13-14, 15-16, 20
126. ჟურ. მწყემსი, 1908, № 5-6
127. ჟურ. მწყემსი, 1909, № 15-16
128. ვაზ. ნაპერწკალი, 1908, № 33
129. გაზ. ხასოფლო გაზეთი, 1913, № 23
130. ჟურ. საისტორიო მოამბე, 1963, № 15-16, დოკ. № 19, 24, 31, 34, 50, 53, 56, 63, 64,

70, 81

131. ჟურ. საისტორიო მოამბე, 1982, № 45-46, დოკ. № 8, 9, 12, 13, 15, 17, 19, 24, 29, 32, 34, 35, 36, 39, 40, 42, 44, 48

132. ჟურ. საისტორიო მოამბე, 1985, № 51-52, დოკ. 26, 27, 28, 34, 36

133. გაზ. საქართველო, 1903, № 5

134. გაზ. საქართველო, 1915, № 35, 45

135. გაზ. საქართველო, 1916, № 55, 56, 72, 83, 184, 223

136. გაზ. საქართველო, 1917, № 59, 62, 63, 71, 72, 125, 198, 200, 205

137. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1991, 27, XI

138. გაზ. სახალხო გაზეთი, 1910, № 63, 82, 187, 189, 190

139. გაზ. სახალხო გაზეთი, 1911, № 276, 340. 429

140. გაზ. სახალხო გაზეთი, 1912, № 714, 754, 771, 776

141. გაზ. სახალხო გაზეთი, 1913, № 882

142. გაზ. სახალხო გაზეთი, 1914, № 99, 110, 114, 126, 133, 175, 1151

143. გაზ. სახალხო გაზეთი, 1915, № 411

144. გაზ. სახალხო გაზეთი, 1916, № 528

145. გაზ. სახალხო განათლება, 1913, № 814

146. გაზ. სახალხო განათლება, 1989, № 15

147. გაზ. სახალხო განათლება, 1990, 8. III; 31. V; 30. VIII

148. გაზ. სახალხო ფურცელი, 1915, № 452

149. გაზ. სახალხო ფურცელი, 1916, № 491, 506, 512, 524

150. გაზ. სახალხო ფურცელი, 1917, № 817, 827, 851

151. გაზ. სახალხო საქმე, 1917, № 18, 25, 51

152. გაზ. სიტყვა, 1906, № 9, 12

153. გაზ. სოფლის ცხოვრება, 1902, № 1722

154. გაზ. სხივი, 1905, № 5

155. გაზ. ქართული გაზეთი, 1916, № 10

156. ჟურ. შინაური საქმეები, 1904, № 7-8

157. ჟურ. შინაური საქმეები, 1908, № 1

158. ჟურ. შინაური საქმეები, 1910, № 17, 19, 23, 27

159. გაზ. ჩვენი აზრი, 1909, № 39

160. გაზ. ჩვენი მეგობარი, 1917, № 319

161. გაზ. ჩვენი ქვეყანა, 1917, № 130

162. გაზ. ცნობის ფურცელი, 1900, № 1072, 1086, 1241

163. გაზ. ცნობის ფურცელი, 1901, № 1675

164. გაზ. ცნობის ფურცელი, 1902, № 584, 586, 1780, 1785, 1831, 1833, 1835, 1848, 1850

165. გაზ. ცნობის ფურცელი, 1903, № 2133, 2157, 2168, 2180, 2204

166. გაზ. ცნობის ფურცელი, 1904, № 2394, 2457, 2580

167. გაზ. ცნობის ფურცელი, 1905, № 2781, 2836, 2837, 2865, 2920, 2930, 2931, 2941, 2942, 2945, 2948, 2955, 2956, 2969, 1906, 3009

168. გაზ. ცნობის ფურცელი, სურათებიანი დამატება, 1905, № 357, 358, 362

169. გაზ. ჭყონდიდი, 1990, № 108

170. ხანთაძე შ. ა., ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში XVIII ს., ჟურ.

საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-ა, XXI-ე, 195
171. ჟურ. ჯვარი ვაზისა, 1906, № 7, 8, 11, 12
172. ჟურ. ჯვარი ვაზისა, 1988, № 1
173. Газ. Баку, 1909, № 279
174. Газ. Баку, 1916, № 73
175. Газ. Батумский голос, 1907, № 21
176. Газ. Батумский голос, 1908, № 127
177. Жур. Векъ, 1907, № 17
178. Жур. Вестник Военного и Морского духовенства, 1914, № 4
179. Газ, Голос Москвы, 1908, 9. VII
180. Газ. Голос церкви, 1915, № 1
181. Газ. День, 1914, 14. X
182. Жур. Духовный вестник Грузинского Экзархата, 1891, № 7,8
183. Жур. Духовный вестник..., 1895, № 10-20
184. Жур. Духовный вестник..., 1904, № 4, 19
185. Жур. Духовный вестник..., 1905, № 1-10, 9-10, 13-14, 23-24
186. Жур. Духовный вестник... /добавление/, № 5
187. Жур. Духовный вестник..., 1906, № 1-2, 4, 5
188. Жур. Духовный вестник..., 1906, № 7, 8-9, 12-13, 19, 40
189. Газ. Закавказье, 1907, № 88, 158, 188
190. Газ. Закавказье, 1908, № 24, 67
191. Газ. Закавказская Речь, 1906, № 2
192. Газ. Закавказская Речь, 1912, № 122, 203, 233, 234, 245
193. Газ. Закавказская Речь, 1913, № 16, 55, 291
194. Газ. Закавказская Речь, 1914, № 21, 192, 230
195. Газ. Закавказская Речь, 1917, № 26
196. Газ. Закавказское слово, 1916, № 55, 103
197. Газ. Искра, 1903, № 26, 43
198. Газ. Кавказ, 1860, № 48-49
199. Газ. Кавказ, 1865, № 97
200. Газ. Кавказ, 1868, № 40, 42, 44, 46, 48
201. Газ. Кавказ, 1892, № 77
202. Газ. Кавказ, 1900, № 64
203. Газ. Кавказ, 1901, № 150
204. Газ. Кавказ, 1903, №35
205. Газ. Кавказ, 1904, № 29
206. Газ. Кавказ, 1905, № 75, II.X
207. Газ. Кавказ, 1910, № 65, 116
208. Газ. Кавказ, 1912, № 183
209. Газ. Кавказ, 1914, № 264; 1915, № 86
210. Газ. Кутаисская жизнь, 1911, № 55
211. Газ. Красный архив, 1934, № 3 /64/
212. Жур. Литературная Грузия, 1989, № 6

213. Жур. На Кавказе, Екатеринодар, 1910, № 7-8

214. Газ. Обновление, 1906, № 5

215. Газ. Отголоски, 1906, № 2, 28

216. Платонов Н.Ф., Православная церковь в борьбе с революционным движением в России. Ежегодник Музея истории религии и атеизма, IV, М.-Л., 1960

217. Газ. Рассвет, 1906, № 2

218. Газ Русские ведомости, 1901, № 246

219. Газ. Русское слово, 1905, 13. VI

220. Газ. Санкт-Петербургские ведомости, 1893, № 87

221. Газ. Санкт-Петербургские ведомости, 1906, № 74, 113

222. Газ. Санкт-Петербургские ведомости, 1912, № 90

223. Сборник "Весь Кавказ", 1832

224. Жур. Сотрудник Закавказской Миссии, г. Сухуми, 1912, № 5, 9, 14

225. Стеклов А.П., Русская армия Кавказского Фронта, накануне Февральской буржуазно-демократической революции, Труды Тбил. Гос. Пед. Института им. А.С. Пушкина, т. VIII, 1960

226. Газ. Тифлис, 1906, № 16

227. Газ. Тифлисский листок, 1905, № 188, 202

228. Газ. Тифлисский листок. 1906, № 20, 49, 89

229. Жур. Христианское чтение, 1905, IV

230. Жур. Церковно-общественный вестник, 1915, № 2

231. Жур. Церковые ведомости, 1903, № 9

232. Жур. Церковные ведомости, 1905, № 5, 7, 45, 51

233. Жур. Церковные ведомости, 1906, 7. I; № 13-14, 47, 51-52

234. Жур. Церковный вестник Грузинского Экзархата, 1904, № 41, 48

235. Жур. Церковный вестник Грузинского Экзархата, 1906, № 1-2

## III. გამოქვეყნებული დოკუმენტები

236. ამიერკავკასიის ბოლშევიკების პროკლამაციები, 1904-1905 წწ., თბ., 1970

237. დავით ეპისკოპოსის ქადაგებანი, თბ., 1991

238. საეკლესიო-სამრევლო სკოლების წესდება. ს.-პეტერბურგი. 1884. 13. VI

239. სასულიერო-საგანმანათლებლო საეპარქიო-სამისიონერო საძმოს მოკლე ნარკვევი, თბ., 1900

240. სასულიერო სასწავლებლის 1900 წლის ანგარიში, ტფ., 1901

241. Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею /в дальнейшем АКАК/, т. I, с. 529, 647

242. АКАК, т. 2, Тифл., с. 14, 101

243. АКАК, т. 4, Тифл., с. 151, 231-232

244. АКАК, т. 7, Тифл., с. 172, 143

245. АКАК, т. 8, Тифл., с. 200, 172

246. АКАК, т. 9, Тифл., с. 245-246, 19?

247. АКАК, т. 9, Тифл., с. 104, 141

248. АКАК, т. 13, Тифл., с. 967, 453

249. Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем генерал-губернатора графа Воронцова-Дашкова, СПб., 1907

250. Давид Еп., К воспитанникам духовной семинарии, Тифл., 1912

251. Кавказский календарь на 1907 г., Тифл., 1906, § 1395

252. Краткий очерк деятельности епархиального миссионерского духовно-просветительного братства в г. Тифлисе, Тифл., 1907

253. Мачавариани Д., Гвртоломей И.А., Нечто о Самурзаканы. _ Записки Кавказского императорского Русского географического общества, кн. 6, Тифл., 1864

254. Обзор деятельности общества восстановления православного христианства на Кавказе, 1860-1910гг., Тифл., 1912

255. Отзывы епархиальных архиереев, ч. I, Тифл., 1905

256. Отчет оберпрокурора за 1905, СПб., 1906

## IV. გამოუქვეყნებელი საარქივო მასალა

I. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი (შემოკლებით: სსცსა)

257. სსცსა, ფ 12, აღწ. 7, საქ. 4089

258. სსცსა, ფ.12, აღწ. 13, საქ. 561 , 751

259. სსცსა, ფ.13, აღწ. 3, საქ. 850, 1688, 1799, 2130, 2152, 2266

260. სსცსა, ფ.13, აღწ. 6, საქ. 374, 808

261. სსცსა, ფ.13, აღწ. 11, საქ. 9, 276

262. სსცსა, ფ.13, აღწ. 15, საქ. 3238, 3239

263. სსცსა, ფ.13, აღწ. 27, საქ. 4651, 4671, 5071, 5308, 5412

264. სსცსა, ფ.13, აღწ. 29, საქ. 190

265. სსცსა, ფ.17, აღწ. 1, საქ. 6983, 7435

266. სსცსა, ფ.113, აღწ. 2, საქ. 1000

267. სსცსა, ფ.116, აღწ. 1, საქ. 13366

268. სსცსა, ფ.422, საქ. 9084

269. სსცსა, ფ.440, აღწ. 1, საქ. 1707

270. სსცსა, ფ.440, აღწ. 2, საქ. 84

271. სსცსა, ფ.480, აღწ. 3, საქ. 109

272. სსცსა, ფ.488, საქ. 60, 1905, 21775, 22098, 21776, 22099, 22011, 22100, 22122, 222- 22246, 22289, 22297, 22312, 22327, 22353, 22364, 22370, 22380, 22437, 22445, 22447, 22466, 22481, 22483, 22496, 22527, 22628, 22651, 22644, 22687, 22709, 22748, 22758, 22766, 22772, 22944, 23179, 23269, 23290, 24119, 24173, 24175, 24576, 24580, 24581, 25418, 25452, 25521, 25522, 26186, 26370, 26372, 26377, 26381, 26383, 26389, 26390, 26391, 26421, 26424, 26425, 26429, 26436, 26974, 26588, 26809, 26810, 26844, 26863, 26908, 27026, 27060, 27066, 27085, 27091, 27121, 27259, 34604, 59405, 59469

273. სსცსა, ფ.489, საქ. 586, 22481, 26383, 33884, 45712, 46364, 46852, 46858, 47318,

47418, 47507, 47509, 47524, 47884, 48079, 48101, 48388, 48614, 48618, 51452, 51547, 51919, 51941, 52959, 52986, 53023, 53193, 53451, 53507, 53917, 54406, 54583, 54599, 55037, 55040, 56924, 56940, 56969, 57674, 56771, 57676, 58289, 58290, 58296, 58715, 58747, 59003, 59403, 59479, 60338, 60358, 60362, 60647,64029, 64555, 65012

274. სსცსა, ფ.493, საქ 2, 186, 289, 560, 1745 (ნაწ 3).

275. სსცსა, ფ.503, საქ. 52

276. სსცსა, ფ.513, საქ. 1418, 1484, 1488, 2370, 2371

277. სსცსა, ფ.1438, საქ. 268, 278

278. სსცსა, ფ.1458, საქ. 1, 16, 20, 40, 56, 147, 173, 174

279. სსცსა, ფ.1459, საქ. 41

280. სსცსა, ფ.1461, საქ. 74, 80

281. სსცსა, ფ.1612, საქ. 20, 38, 44, 95

2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი

282. ვ. კარბელაშვილის ფონდი, საბუთები – 272, 668

283. თ. ჟორდანიას ფონდი, საბუთები – 755, 791

284. კ. საძაგლიშვილის ფონდი, საბუთები – 1589, 1613

285. თ. სახოკიას ფონდი, საბუთი – 723

286. კალ. ცინცაძის ფონდი, საბუთი – 227

# შინაარსი


შესავალი .3 15

კარი პირველი

საქართველოს საეგზარქოსო რუსეთის იმპერიის საეკლესიო და პოლი-ტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში (1900-1917) 16 59

კარი მეორე

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში და საქართვე-ლოს საეგზარქოსო 1900-1917 წლებში

თავი პირველი

საქართველოს საეგზარქოსო 1900-1904 წლებში 60 82

თავი მეორე

საქართველოს საეგზარქოსო 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში . 83-94

თავი მესამე

1905-1907 წლების რევოლუცია და საქართველოს საეგზარქოსო.

1. საქართველოს საეგზარქოსო 1905-1907 წლების რევოლუციის წინა-აღმდეგ ბრძოლაში . . . . . . 94 110
2. ქართველი სამღვდელოება 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუცი-აში 110 131

თავი მეოთხე

საქართველოს საეგზარქოსო რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებს შორის (1907-1917) 131 170

თავი მეხუთე

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადება 170 185

კარი მესამე

ქართველი სამღვდელოება და ქართული კულტურა 1900-1917 წლებში 186 224

დასკვნა 225 236

რეზიუმე 237 244

შენიშვნები 245 253

წიგნი იბეჭდება ავტორის ხარჯით

გამომცემლობის რედაქტორი მალხაზ ხაზარბეგიშვილი

გამომშვები ბადრი ჩაკვეტაძე

ჩაბარდა წარმოებას 23.07.95; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.07.95; ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი თაბახი
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი
ტირაჟი 1000 ეგზ.

ფასი სახელშეკრულებო